მ. მ. გუნგა

დასავლეთ საქართველო
— და —
ბიზანტია

VI — VIII სს.

აფხაზეთის სახელგამი
სოხუმი — 1962

9(C41)+9(И)
ბ95

წიგნში განხილულია მხარის ეთნიკური შემადგენლობა, სოციალური წყობა და ეკონომიური მდგომარეობა ცალკეული ტომებისა: აბაზგების, ლაზების, აფსილებისა და სხვ. და მათი ურთიერთდამოკიდებულება ბიზანტიასთან (VI-VIII საუკ.).

წინასიტყვაობა

როგორც ცნობილია, ძველად, საქართველოს მჭიდრო ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა რომის იმპერიასთან. რომის იმპერია იყო მონათმფლობელური სახელმწიფო. მონათმფლობელობამ აქ თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. იწყება რომში, და საერთოდ მონათმფლობელურ სახელმწიფოებში, მონათა აჯანყებები, რომლებიც ემუქრებოდნენ მონათმფლობელურ სისტემას. მონათა ამ აჯანყებას ზედ ემატებოდა, უკვე ახალი წელთაღრიცხვით და განსაკუთრებით VI საუკუნეში, ბარბაროსთა თავდასხმები. აგრეთვე იტალია მოიცვა ეკონომიურმა კრიზისმა. ამ კრიზისების შედეგად რომის იმპერიის პოლიტიკური ცენტრი გადმოტანილ იქნა ბოსფორის ნაპირზე. მაგრამ კრიზისი იმპერიის პოლიტიკური ცენტრის გადმონაცვლეებით არ დასრულებულა, არამედ იმპერია ორ ნაწილად გაიყო.

მართალია, აღმოსავლეთ რომის იმპერია იყო მონათმფლობელური, მაგრამ დროთა განმავლობაში აქაც ვითარდებოდა ფეოდალური ურთიერთობა და ბოლოს კიდევაც გაიმარჯვა.

მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ რომის იმპერია განაგრძობდა მარტოდ არსებობას, არ შეწყვეტილა ქართველი ტომების მასთან ურთიერთობა, და ეს ურთიერთობა გაგრძელდა იმპერიის უკანასკნელ წლებამდე.

ამჟამად ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღმოსავლეთ რომის ანუ ბიზანტიის იმპერიასთან დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ურთიერთობა. ეს ურთიერთობა სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი იყო სხვადასხვა მიზეზების გამო.

ჩვენი მიზანია გავარკვიოთ VI—VIII საუკუნეების დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის შინაპოლიტიკური და სოციალ-ეკონომიური ურთიერთობა და ამავე დროს ამ ხალხების დამოკიდებულება აღმოსავლეთ რომის იმპერიასთან.

დასახელებული საკითხის დამუშავებისას ვაწყდებით დიდ წინააღმდეგობას წყაროების სიმცირის გამო. თუ პროკოპი კესარიელი აბაზგების სოციალური ურთიერთობის შესახებ გადმოგვცემს მნიშვნელოვან ცნობებს, დასავლეთ საქართველოს სხვა ხალხების შესახებ პირდაპირ ცნობებს არ იძლევა. არც მისი მომდევნო ისტორიკოსები და მწერლები არაფერს ამბობენ ამის შესახებ.

VII საუკუნის ამბების გაგება გვიხდება ძირითადად თეოდოს განგრელის ცნობების მიხედვით, სადაც ერთი სიტყვაც არაა თქმული ამ მხარის ეკონომიურ მდგომარეობაზე. ასევე ძნელი ხდება დასავლეთ საქართველოს ბიზანტიასთან ურთიერთობის საკითხის გაგება ამავე ხანებში. ამავე დროს დიდ სირთულეს წარმოადგენს VIII საუკუნეში ამ მხარის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის გარკვევა. უნდა აღვნიშნოთ, რომ არც ქართული წყაროებია ცნობებით მდიდარი. ისინი ძირითადად აღწერენ VIII საუკუნის ამბებს, მაგრამ აქაც ასეთი ცნობების საფუძველზე ბევრი საკითხის საბოლოო გადაჭრა შეუძლებელი ხდება და იძულებული ვართ გამოვთქვათ მხოლოდ მოსაზრება, რომელიც მომავალში სპეციალური კვლევის საგანი იქნება და შესატყვისი აზრიც გამოითქმება.

თ ა ვ ი I

წყაროებისა და ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

1. წ ყ ა რ ო ე ბ ი.

დასავლეთ საქართველოსა და ბიზანტიას შორის ურთიერთობის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან ბიზანტიელი მწერლები. ამათგან აღსანიშნავია პროკოპი კესარიელი, აგათია სქოლასტიკოსი, მენანდრე პროტიქტორი, იოანე მალალა, სტეფანე ბიზანტიელი, ევარგი სქოლასტიკოსი, თეოფილაქტე სიმოკატტა, თეოდოს განგრელი, ეპიფანე კონსტანტინეპოლელი, თეოფანე ჟამთააღმწერელი, „პასქალური ქრონიკის" ავტორი და სხვ.

პროკოპი კესარიელი მოღვაწეობდა VI საუკუნის პირველ ნახევარში. მისი თანამდებობა ხელს უწყობდა დაწვრილებით გასცნობოდა იმპერატორ იუსტინიანე პირველის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ის იყო ბიზანტიელი სარდლის ველიზარის სამხედრო მრჩეველი და ამავე დროს სამხედრო პირიც. 541 წლიდან პროკოპი იმყოფებოდა სპარსეთის ფრონტზე. სწორედ ამ დროს მას მიეცა საშუალება გასცნობოდა იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციების მოსახლეობას და ამიერკავკასიის ხალხებს.

პროკოპი კესარიელი სამეფო კარის ოფიციალური ისტორიკოსი იყო და ამდენად მისთვის ხელმისაწვდომი იყო სამეფო საგანძურში დაცული ოფიციალური დოკუმენტები. სწორედ ამის შედეგი უნდა იყოს, რომ მას დაწვრილებით აღწერილი აქვს იუსტინიანე პირველის მიერ წარმოებული ომები. აგრეთვე მას აქვს შრომა სახელწოდებით „შენობათა შესახებ", სადაც მოცემულია იუსტინიანეს საალმშენებლო მუშაობა. ამ შრომაში მოცემულია გეოგრაფიული, ტოპოგრაფიული და ეკონომიური ხასიათის ძვირფასი ცნობები. პროკოპი კესარიელს დაწვრილებით რომ არ სცოდნოდა იუსტინიანე პირველის მოღვაწეობის შესახებ, მაშინ ის არ დასწერდა

ისეთ შრომას, როგორიც არის „ანეკდოტა“, სადაც ავტორი აძაგებს იმპერატორს. აგრეთვე პროკოპი იუსტინიანეს თანამედროვე იყო და ეს კი ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა კარგად გასცნობოდა იუსტინიანეს მოღვაწეობის ყველა მხარეს.

პროკოპის ცნობები სანდო უნდა იყოს, მიუხედავად ზოგიერთი შეცდომისა, რომელიც მეორდება მის თხზულებაში. ეს შეცდომები გამოწვეულია იმით, რომ მას თვალით არ უნახავს მის მიერ აღწერილი ყველა ხალხი და მათი ტერიტორიები, არამედ ეს აღწერილობა ეყრდნობა როგორც ოფიციალურ დოკუმენტებს, ისე ზეპირ ცნობებსაც და სწორედ ეს შეცდომებიც გამოწვეული უნდა იყოს ამ ზეპირი ცნობების გამოყენებით. ასეთი ცნობების შედეგი უნდა იყოს ზოგიერთი ომის ეპიზოდის თუ რომელიმე სიმაგრის აღწერისას რომელიმე თვისების გაზვიადება. ასე მაგალითად აბაზგიის სიმაგრის „ტრაქეას“ აღწერისას ავტორი შემდეგს ამბობს: „ერთი შესავალი გზა მიდიოდა ამ ციხეშიც და აბაზგების დანარჩენ მიწაწყალზეც და იგი წყვილ-წყვილად მიმავალთათვის ძნელად გასავლელი იყო. არავითარი შესაძლებლობა არ არის იქ გასვლისა, თუ არა კაცად-კაცადად და ისიც ფეხით. ამ გზას ზედ ადგას ნაპრალი მეტად საზარი, რომელიც ციხიდან ზღვამდეა გადაჭიმული“[1]. ასეთსავე შეცდომას უშვებს ლაზების ეკონომიური მდგომარეობის აღწერისას. ის წერს: „არ მოდის არც ხორბალი, არც ღვინო, არც სხვა რამ სიკეთე“.[2] ეს ფრაზა თითქმის ასევე მეორდება 45-ე გვერდზე. შემდეგ ცნობაში კი აღნიშნავს ლაზიკის მდიდარ მხარეს მოხირისს, სადაც „ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფნიც იქ კარგად ხარობენ“.[3] ასევე შეცდომას უშვებს როცა მდინარე ბოასი „სადღაც ჭანეთის საზღვრების მახლობლად“[4] ეგულება და შემდეგ „ის იზრდება ძალიან და ნაცვლად ბოასისა ამიერიდან ფასისად წოდებული განაგრძობს მდინარეობას“[5]. მაგრამ პროკოპის ცნობები ძირითადად სინამდვილეს შეიცავს. მისი აღწერილობის მიხედვით ჩვენ ვარკვევთ დასავლეთ საქართველოს ტომების დასახლების ადგილებს და თანმიმდევრობას. აგრეთვე ძირითადად სწორია ის ცხობები, რომლებიც ეხება დასავლეთ საქართველოში შინაპოლიტიკურ ვითარებას და ამ მხარის ურთიერთობას ბიზან-

---

1 გეორგიკა, ტ. II, გვ. 127.
2 იქვე, გვ. 25.
3 იქვე, გვ. 163.
4 იქვე, გვ. 71.
5 იქვე, გვ. 72.

ტიასთან. ყველა ეს ცნობა შედგენილია სამეფო საგანძურში შენახული ოფიციალური დოკუმენტების საფუძველზე.

სოციალური ურთიერთობის საკითხი პროკოპის თხზულებაში ნაკლებად არის გაშუქებული. ლაზებში, აფსილებში და მისიმიელებში სოციალური ურთიერთობის შესახებ თითქმის არაფერს ამბობს. ამიტომ დასახელებულ მხარეებში საკითხის გარკვევა გვიხდება სხვა საშუალებებით და ხერხებით.

პროკოპი გვაწვდის გარკვეულ ცნობებს აბაზგიაში სოციალური ურთიერთობის შესახებ, რომლის მიხედვით ვადგენთ, რომ ამ მხარეში VI საუკუნეში ფეოდალური წესი წარმოებისა გამხდარა წამყვან ძალად და თვით ფეოდალები პოლიტიკურად იმდენად გაძლიერდნენ, რომ მათ შესძლეს ძველი მონათმფლობელური მეფის ხელისუფლების გაუქმება და ქვეყნის მართვა-გამგეობის უფლებების ხელში ჩაგდება. აგრეთვე შემდეგში მათ ისევ აირჩიეს მეფეები, რომლებიც, ეტყობა, ფეოდალების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ და მათი უფლებებიც შეზღუდული იყო ამ უკანასკნელთა მიერ.

პროკოპის აღწერილი აქვს ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა დასავლეთ საქართველოს ტომებთან. პროკოპის ცნობები ამ საკითხის გარშემო ძირითადად სანდოა. ამავე დროს მხედველობაში უნდა გვქონდეს მისი მოვალეობა, რომ ის ვალდებული იყო იმპერიის პოლიტიკა დაპყრობილ ხალხებისადმი გაემართლებინა, თუმცა იგი ზოგ შემთხვევაში ააშკარავებს იმპერიის მოხელეების თვითნებობას. ამ პოლიტიკური ურთიერთობის აღწერა იწყება ლაზთა მეფე წათედან და მოდის 552 წლამდე. პროკოპი გვაცნობს ირან-ბიზანტიის ურთიერთობასთან დაკავშირებულ ამბების შესახებ.

დასავლეთ საქართველოში VI საუკუნეში წარმოებდა ხშირი ომები, რომლებიც გამოწვეული იყო ირანისა და ბიზანტიის მეტოქეობით. ორივე სახელმწიფოსათვის დასავლეთ საქართველოს ჰქონდა სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობა. სწორედ ამ მნიშვნელობაზე აშკარად მიუთითებს პროკოპი. ვის ხელში იქნებოდა დასავლეთ საქართველო, ის ჩრდილოეთის ტომების თავდასხმებისაგან უზრუნველყოფილი იქნებოდა. მართლაც კავკასიის მთებზე გადიოდა საუღელტეხილო გზები, რომლის მფლობელს შეეძლო უცხო ტომების თავდასხმების შეჩერება.

პროკოპი კესარიელი გადმოგვცემს ბიზანტიისა და დასავლეთ საქართველოს ეკონომიური ურთიერთობის შესახებაც, რომ აქ ბიზანტიური პოლიტიკა აუტანელი იყო და ხშირი იყო ანტიბიზანტიური აჯანყებები.

ქრისტიანობის გავრცელებისა და მისი გავლენის შესახებ მას მნიშვნელოვანი ცნობები მოეპოვება. ის აღნიშნავს, რომ ლაზები, აფსილები, აბაზგები, ალანები ქრისტიანული სარწმუნოებისა იყვნენ. აგრეთვე მიუთითებს, რომ იუსტინიანემ აბაზგებს აუძენა ღვთისმშობლის ტაძარი.

ასე რომ, VI საუკუნის პირველი ნახევრის ამბების გაგება შეიძლება პროკოპის ცნობებიდან.

პროკოპის მომდევნო ისტორიკოსი, რომელიც 552—558 წლების ამბებს გადმოგვცემს, არის აგათია სქოლასტიკოსი. აგათია საისტორიო შრომის წერას შეუდგა იუსტინიანეს გარდაცვალების შემდეგ. მან განიზრახა იუსტინიანეს დროინდელი ამბების აღწერა იმ დროიდან, სადაც შეწყვიტა პროკოპი კესარიელმა.

აგათიას შრომები, რომლებიც ხუთი წიგნისაგან შედგება, ძირითადად მიუძღვნა აღმოსავლეთის ფრონტის ამბებს. განსაკუთრებით ხაზგასმულია ბიზანტიისა და დასავლეთ საქართველოს ურთიერთობა.

აგათია თავის „ისტორიას“ იწყებს იმ ხუთწლიანი ზავით, რომელიც დაიდო 552 წელს. აგათიას აღწერილი აქვს ლაზთა მეფის გუბაზის რომაელი სარდლებისადმი დამოკიდებულების შესახებ და თვით რომაელი სარდლების ომისადმი დამოკიდებულების შესახებაც. გუბაზის მკვლელობის გამოძახილის და შედეგების შესახებ იგივე აგათია დაწვრილებით გადმოგვცემს. ამ საკითხების ასეთნაირი დაწვრილებითი აღწერა მიუთითებს იმაზე, რომ აგათიამ კარგად იცოდა მის მიერ აღწერილი ამბები და მათთან დაკავშირებული დოკუმენტებიც. მისი ცნობებიდან ირკვევა მისიმიელთა ვინაობა და მათი ადგილსამყოფელი, ბიზანტიელების წინააღმდეგ მათი აჯანყება და მისი შედეგები, რომ „ისინი მათ მონათესავე და მეზობელ აფსილთა ტომს ეკუთვნოდენ“[6]. და მოსახლეობდნენ აფსილებსა და ალანებს შორის, რომ უშიშრად იცავდნენ თავის ქვეყანას ბიზანტიელი მოძალადეებისაგან.

აგათიას ცნობების მიხედვით მისიმიელები სარწმუნოებით ქრისტიანები იყვნენ.

აგათიას „ისტორიის“ განმგრძელებელია მისივე თანამედროვე მენანდრე პროტიქტორი. მენანდრე იყო VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი. მისი „ისტორია“ მოიცავს 558—582 წლების ამბებს. მენანდრეს „ისტორია“ ჩვენამდე არ მოღწეულა მთლიანი სახით. მოღწეულ ფრაგმენტებიდან ჩვენთვის

---

6 გეორგიკა, ტ. III, გვ. 162.

საყურადღებოა ცნობები ორმოცდაათწლიანი ზავისა და სვანეთის გარშემო დავის შესახებ.

მენანდრე თავის „ისტორიას“ იწყებს ირანსა და ბიზანტიას შორის 558 წლის დროებითი ზავით.

მენანდრეს მიერ საზავო მოლაპარაკების დაწვრილებით აღწერა მიუთითებს იმაზე, რომ მას, არსებული საბუთების საფუძველზე, კარგად ჰქონდა შესწავლილი ირანისა და ბიზანტიის ურთიერთობა. მენანდრე მიუთითებს ბიზანტიის დასავლეთ საქართველოს ტომებთან ურთიერთობაზე. მისი ცნობებიდან ირკვევა, რომ შესაძლებელი გახდა ორი დიდი სახელმწიფოს შერიგება, რომელიც გაფორმდა 562 წლის ზავით.

562 წლის საზავო მოლაპარაკების დროს ვერ იქნა გადაწყვეტილი სვანეთის საკითხი და იგი დიდი ხნის სადავო საკითხად იქცა.

მენანდრე პროტიქტორის ცნობები დასავლეთ საქართველოს შესახებ ამით თავდება.

ამის შემდეგ დასავლეთ საქართველოზე ცნობების თანმიმდევრობა ირღვევა.

VI საუკუნის შესახებ ცნობები მოეპოვება იოანე მალალასაც, მაგრამ იგი წარმოადგენს ხშირ შემთხვევაში იმის განმეორებას, რაც პროკოპი კესარიელს აქვს აღწერილი. ასე მაგალითად, მას აქვს აღწერილი ლაზთა მეფე წათის ირანელებისაგან განდგომის შესახებ, ის წერს: „იუსტინეს მეფობის დროს ლაზთა მეფე წათი გაჯავრდა და ჩამოშორდა სპარსეთს. სპარსელთა მეფე იყო კოადი, რომელიც ოდესღაც თვით წათის, ლაზთა მეფის, მეგობრად ითვლებოდა და ამ კოადის სამეფოს ქვეშევრდომი იყო; ამიტომაც იყო, რომ, როდესაც ლაზთა მეფე გარდაიცვლებოდა, სპარსელთა მეფე ნიშნავდა და აგვირგვინებდა ახალ მეფეს, მაგრამ უთუოდ თვით ლაზთა ტომიდან. ლაზთა ეს მეფე (წათი) გადავიდა წარმართთა სარწმუნოებაზე, რადგან ეშინოდა ვაი თუ სპარსელთა მეფემ კოადმა მეფედ არ დამნიშნოსო, მსხვერპლებსაც სწირავდა და ყოველგვარ სპარსულ წესს ასრულებდა, ხოლო როდესაც გარდაიცვალა მისი მამა დამნაზე, მაშინვე მივიდა იუსტინე მეფესთან ბიზანტიონში, გამოაცხადა თავი მის მორჩილად და სთხოვა, ლაზთა მეფედ მაკურთხეო. მეფემ მიიღო ის და აკურთხა; გაქრისტიანებულმა წათიმ შეირთო რომაელი ქალი, პატრიკიოს ნომეს ქალიშვილი, სახელად ვალერიანე“.[7]

---

[7] გეორგიკა, ტ. III, გვ. 263.

იოანე ძალალას აღწერილი აქვს კოადისა და იუსტინეს ურთიერთობა წათის რომაელების მხარეზე გადასვლასთან დაკავშირებით. აგრეთვე ის გადმოგვცემს 532 წლის ზავის შესახებაც.

სტეფანე ბიზანტიელსაც მოეპოვება ცნობები დასავლეთ საქართველოს შესახებ, მაგრამ ეს ცნობები წარმოადგენენ სხვა მწერლების ცნობების განმეორებას. ის ნაკლებ ყურადღებას აქცევდა გეოგრაფიული ცნობების სისწორეს, მაგრამ ჩვენთვის მაინც მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც გვეძლევა შესაძლებლობა შევადაროთ სხვა ცნობებს და გავიგოთ სინამდვილე. თუმცა ზოგჯერ არასწორად არის განსაზღვრული ზოგიერთი ტომების ადგილსამყოფელი.

როგორც ცნობილია, სტეფანე ბიზანტიელი იყო გეოგრაფიული ლექსიკონის ავტორი და ამდენად მისი ცნობები ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მას აქვს შეკრებილი სხვადასხვა მწერლების ცნობები, რომელთაგან ზოგის შრომა ჩვენამდე არ მოღწეულა.

VI საუკუნის ისტორიკოსებიდან ცნობილია ევაგრი სქოლასტიკოსი. მისი „საეკლესიო ისტორია" იწყება 431 წლით და თავდება 594 წლით. მისი ცნობები ემთხვევა პროკოპი კესარიელის და მენანდრე პროტიქტორის ცნობებს. მაგალითად, მას აბაზგების გაქრისტიანების შესახებ აქვს ცნობა, საღაც ზუსტად იმეორებს პროკოპი კესარიელის ცნობას იმავე საკითხზე.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის ე. წ. „პასქალური ქრონიკა", რომელიც წარმოადგენს ბერძნულ-ქრისტიანულ ქრონოგრაფიას და მოიცავს „მსოფლიო ისტორიას" დაწყებული ადამიდან ვიდრე 629 წლამდე „პასქალური ქრონიკის" ავტორი მოღვაწეობდა (ჰ. გელცერის გამოკვლევის საფუძველზე) VII საუკუნეში. მას აღწერილი აქვს მნიშვნელოვანი მოვლენები დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან. ამ ამბების აღწერისას მას გამოუყენებია განსაკუთრებით იოანე მალალას „ქრონოგრაფია".

VIII საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიკოსია ეპიფანე კონსტანტინეპოლელი. ის იყო კონსტანტინეპოლის მონასტრის უხუცესი და მონაზონი და ამდენად მისი თხზულებების ნაწილიც ეხება მოციქულების ცხოვრებას. ეს თხზულებები შეიძლება გამოყენებულ იქნას ზოგიერთი, შედარებით მნიშვნელოვანი ცნობის დაზუსტებისათვის დამხმარე წყაროდ.

მოციქულების მოღვაწეობის აღწერისას ზოგ შემთხვევაში ამჟღავნებს პოლიტიკური ერთეულების საზღვრების გა-

ურკვეველობას. მას ტრაპიზონი მიაჩნია ლაზების ქალაქად. ის წერს: „ამისოდან წამოსვლის შემდეგ ის მივიდა ტრაპეზუნტში, ლაზიკის ქალაქში“.[8]

VI—VII საუკუნეების შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები მოეპოვება თეოფანე ჟამთააღმწერელს. იგი მოღვაწეობდა VII საუკუნის მეორე ნახევარში და VIII საუკუნის დასაწყისში. მისი „ქრონოგრაფი“ შეიცავს ამბებს 284 წლიდან 813 წლამდე.

თეოფანეს ცნობები ჩვენთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მათში აღწერილია მნიშვნელოვანი მოვლენები და ამავე დროს ზედმიწევნით დაზუსტებულია ქრონოლოგიური თარიღები. თეოფანე საინტერესოა როგორც თვით ბიზანტიის, ისე დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების შესწავლის საქმეში.

თეოფანემ აღწერა წათეს განდგომა სპარსელებისაგან და მასთან დაკავშირებული ირან-ბიზანტიის ურთიერთობა. ასევე მიუთითებს ლაზების რომაელებისაგან განდგომაზე.

განსაკუთრებით საყურადღებოა ცნობა სვანებზე ირანელების ლაშქრობის შესახებ, რომელსაც აწარმოებდა ჰორმიზდა. ამ ცნობიდან შეიძლება დადგენილ იქნას ბიზანტიელების მიერ სვანეთის დაბრუნების დრო.

თეოფანე ჟამთააღმწერელის თხზულებებიდან ირკვევა დასავლეთ საქართველოს ტომების ურთიერთობა ბიზანტიასთან ირაკლი კეისრის დროს. ბევრი სხვა ცნობებიც მოეპოვება მას, მაგრამ ისინი ეხებიან ირან-ბიზანტიის ურთიერთობას.

VIII საუკუნის პირველ მეოთხედში აბაზგები ბიზანტიელებს არ ემორჩილებოდნენ მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიის იმპერატორებს თავი აბაზგიის სიუზერენებად მიაჩნდათ. ამიტომაც კეისრებს უხდებოდათ სპეციალური ღონისძიებების ჩატარება აბაზგების დამორჩილებისათვის. ამ მიზანს ემსახურებოდა ალანების წაქეზება აბაზგების წინააღმდეგ. ამის შესახებ აღწერილი აქვს თეოფანე ჟამთააღმწერელს.

VI საუკუნის მეორე ნახევრის შესახებ ზოგი რამ მნიშვნელოვანი ცნობა მოეპოვება თეოფილაქტე სიმოკატტას. წყაროებიდან მას გამოყენებული აქვს მენანდრეს „ისტორია“ და თეოფანე ჟამთააღმწერელის „ქრონოგრაფი“.

---

8 გეორგიკა, ტ. IV, ნაკ. I, გვ. 58. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ლაზეთი, როგორც პოლიტიკური ერთეული.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა თეოდოს განგრელის თხზულებები. თეოდოს განგრელმა შეაგროვა ცნობები მაქსიმე აღმსარებლის შესახებ და დასწერა მოგონებები იმავე მაქსიმეს შესახებ. იგი VII საუკუნის მოღვაწეა და მის მიერ აღწერილი ამბებიც ეხება იმავე VII საუკუნეს. თეოდოსის თხზულებებში მოცემულია დასავლეთ საქართველოს გეოგრაფიული აღწერილობა. აგრეთვე ამ წერილიდან ირკვევა პოლიტიკური ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი.

დასახელებულ წყაროებში მოცემული ცნობების შედარების შედეგად შესაძლებელი ხდება დასავლეთ საქართველოს საზღვრების დადგენა, აქ მოსახლე ტომების სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის და პოლიტიკური ურთიერთობის გაგება. მიუხედავად ამისა ეს წყაროები მაინც დაწვრილებით არ აღწერენ ყველა იმ საკითხს, რომელიც დაკავშირებულია დასავლეთ საქართველოს ტომების ისტორიასთან.

დასავლეთ საქართველოს აღებული პერიოდის ისტორიის შესწავლაში მნიშვნელოვან დახმარებას გვიწევენ ქართული წყაროებიც. ამ წყაროებში მოცემულია ცნობები განსაკუთრებით VIII საუკუნის დასავლეთ საქართველოს შესახებ. ქართული წყაროებიდან ჩვენთვის საინტერესოა განსაკუთრებით იმ ავტორების ცნობები, რომლებიც ეხებიან VI—VIII საუკუნეებს. ეს პერიოდი აღწერილია ლეონტი მროველის შრომაში „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა". ამ თხზულებაში მოცემულია ცნობები აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ. აქ აღნიშნულია ნიკოფსი, რომელიც აღიარებულია ბიზანტიის საზღვრად და ამავე დროს ეს პუნქტი მიაჩნია სიმონ კანანელის დასაფლავების ადგილად. მართალია, ამ თხზულებაში აღწერილი ამბები ეხება VI საუკუნემდელ პერიოდს[9], მაგრამ ძნელია იმის თქმაც, რომ ამ დროს აბაზგია ლაზიკის პოლიტიკურ ერთეულში არ შედიოდა. თუმცა ჩვენთვის ცნობილია, რომ VI საუკუნის პირველ მეოთხედში აბაზგია მართლაც ლაზთა მეფეს არ ემორჩილებოდა.

გაცილებით მეტი ცნობებია დასავლეთ საქართველოს შესახებ ჯუანშერის თხზულებაში „ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასლისა". ამ თხზულებაში შედარებით დაწვრილებით აღწერილია ქართლში არაბების ბატონობა, ეგრისში მათი ლაშქრობა, ბიზანტიასთან ურთიერთობა, არაბების უკუ-

---

9 ლეონტი მროველს აღწერილი აქვს ახ. წ. V საუკუნემდე. რამდენადაც ჩვენ შევეხებით VI საუკუნეს და მის მომდევნო ხანას, ამდენად საჭიროდ ვცანით ხაზი გაგვესვა ამ ქრონოლოგიური საზღვრისათვის.

ქცევა, აფხაზი ერისთავების დამოკიდებულება ქართლის მეფეებთან.

ქართული წყაროებიდან ცნობილია ანონიმური თხზულება „მატიანე ქართლისა". ამ თხზულებაში მოცემულია ერთი მნიშვნელოვანი ცნობა, რომელიც ეხება აფხაზეთის სამეფოს წარმოქმნას. აფხაზეთზე ბიზანტიის გავლენის გაუქმების შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ სწორედ ამ ცნობის მიხედვით. ამ ცნობის დაზუსტებაში დიდი მნიშვნელობა აქვს VIII საუკუნის მწერლის ~~ეთანე საბანისძის~~ თხზულებას „აბოს წამებას". აქ აღწერილია VIII საუკუნის „აფხაზეთი" (დასავლეთ საქართველო), მისი პოლიტიკური მდგომარეობა და საზღვრები. ამ ორი ცნობის შედარებით შესაძლებელი ხდება აფხაზეთის მთავრის ლეონის მიერ მეფის ტიტულის მიღების დათარიღება.

ბერძნული და ქართული წყაროების გამოქვეყნებაში დიდი დამსახურება მიუძღვის ს. ყაუხჩიშვილს. ის ბერძნული და ლათინური წყაროებიც საუკეთესო მცოდნეა. ერთ-ერთი მისი დამსახურება ის არის, რომ მან ეს წყაროები გამოსცა ქართულ ენაზე და ამავე დროს, ამასთან დაკავშირებით განიხილა მრავალი საკითხი, რომლებიც ეხება დასავლეთ საქართველოს ტომების ისტორიას და ადგილსამყოფელს. მანვე დაამუშავა და გამოსცა ქართული წყაროებიც.

ბერძნული და ქართული წყაროების შედარება შესაძლებლობას გვაძლევს დავადგინოთ. ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან.

2. ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა.

დასავლეთ საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურაც შედარებით ნაკლებია და არსებულ ლიტერატურაშიაც ბევრი საკითხი არაა საკმაოდ გაშუქებული; ზოგ შემთხვევაში საკითხები განხილულია არასწორად.

ჩვენთვის საინტერესო ბევრი საკითხი განხილული აქვს ვახუშტი ბატონიშვილს. მის შრომებში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" და „საქართველოს ისტორია" მოცემულია დასავლეთ საქართველოს გეოგრაფიული აღწერილობა და პოლიტიკური ვითარება. ეს შრომები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის ზოგიერთი, ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი, საკითხების დადგენაში, რომლებიც ეხება VI-VIII საუკუნეების დასავლეთ საქართველოს.

დიმიტრი ბაქრაძე თავის შრომაში „ისტორია საქართველოსი" შეეხო ზოგიერთ საკითხს, რომლებიც ეხებოდა და-

სავლეთ საქართველოს. იგი აღიარებს იმ აზრს, რომ ლეონ აფხაზთა ერისთავმა მეფის წოდება მიიღო 786 წელს. ამ შემთხვევაში ის იზიარებს ქართულ წყაროში მოცემულ ცნობას. მისი აზრით VI საუკუნეში აფხაზეთის დედაქალაქი იყო სევასტოპოლი. დ. ბაქრაძე ამტკიცებს, რომ ზღვის სანაპიროს აბაზგები შოქცეულიყვნენ ბერძნული კულტურის ქვეშ, ხოლო მოშორებით მდებარე წებელდა კი — ქართველების კულტურის ქვეშ, თუმცა ის ამ ორგვარი გავლენის არსებობას ვერ ხსნის. აფხაზეთში მცხოვრები მაშინდელი ტომების ვინაობის შესახებ აღნიშნავს შემდეგს: „ახლანდელის გამოკვლევით იგინი უბიხებითურთ შეადგენენ დასავლეთის კავკაზის ერთს მოხათესავე გრუპპასა“[10]. ის აგრეთვე, ამტკიცებს, რომ აფხაზეთს ძველითგანვე ერისთავები მართავდნენ.

დ. ბაქრაძის ერთ-ერთ ნაშრომში — „Кавказ в древних памятниках христианства“ განხილულია აფხაზეთის რელიგიური ცენტრები. მისი გაგებით აბაზგიის უძლიერესი ციხე-სიმაგრე „ტრაქეა“ მდებარეობდა მერმინდელ ანაკოფიაში.

დ. ბაქრაძე VI საუკუნის ლაზიკის შემადგენლობის შესახებ წერს: „ამ ლაზიკას შეადგენდნენ: აწინდელი იმერეთი, სამეგრელო და გურია ჭანეთით ანუ ლაზისტანით“[11]. ის აღიარებს, აგრეთვე, რომ იუსტინიანემ აბაზგებს ტაძარი აუგო ბიქვინთაში.

დ. ბაქრაძე აიგივებს მურვან ყრუს და აბულ-კასიმს, რაც არაა სწორი. ჩვენთვის კი ცნობილია, რომ მურვანის ლაშქრობა მოეწყო 736-738 წლებში, ხოლო აბულ-კასიმისა — 914 წელს.

ქართული ისტორიოგრაფიიდან რიგი მეცნიერებისა შეეხო დასავლეთ საქართველოს ხალხების ისტორიის ცალკეულ საკითხებს, მაგრამ მათ მიზნად არ დაუსახავთ ამ მხარის ისტორიის თანმიმდევრობით აღწერა. ამ რიგს ეკუთვნიან ნ. მარი, ვ. ლატიშევი, ე. თაყაიშვილი, გ. გოზალიშვილი, მ. კახაძე, დ. ხახუტაიშვილი და სხვ. მოკლედ შევეხოთ თითოეულ მათგანს.

დასავლეთ საქართველოს ტომების ისტორიას ეხება ნ. მარი თავის ერთ-ერთ შრომაში, რომელსაც ეწოდება „Крещение армян, грузин, абхазов и аланов святым Григорием“. ის აქ განმარტავს „ლაზიკის“ წარმოშობას და

---

10 დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი (უძველესის დროდამ მე-X საუკ. დასასრულამდე), თბილისი. 1889 წ., გვ. 271.
11 იქვე, გვ. 178.

ამ ტერმინის შესატყვის ტერიტორიას და მას უდარებს „აფხაზეთის“ წარმოშობას და, აგრეთვე, მის შესატყვის ტერიტორიას. ასევე ის განსაზღვრავს სხვა ტომების ადგილსამყოფელს.

ნ. მარი ეხება დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებას. ის მიუთითებს იმაზე, რომ ბერძნული საეკლესიო მიმართულება ქართულ ნაციონალურ ლიტერატურაში შეჰქონდათ სწორედ იბერიელებსა და ლაზებს. ბერძნული ენა იმ დროს გაბატონებული იყო მთელს დასავლეთ საქართველოში. ნ. მარი წერს, რომ ბერძნული ენის გავლენა დასავლეთ საქართველოში ძლიერი იყო, რომლის შედეგია ლაზების სამეტყველო ენაში ბერძნული სიტყვების მნიშვნელოვანი რაოდენობით შენარჩუნება. ასევე ის გამოთქვამს აზრს იმის შესახებ, რომ ნოქალაქევის ეკლესია ეკუთვნის იუსტინიანეს ეპოქას.

ამიერკავკასიაში ქრისტიანობის საკითხი განხილული აქვს ვ. ლატიშევს. ის ერთ-ერთ შრომაში („К истории христианства на Кавказе“) იხილავს არქიმანდრიტ ლეონიდის შრომას და მიუთითებს, რომ ნიკოფსიის გაიგივება ანაკოპიასთან ისევე არ შეიძლება, როგორც მდინარე აფსარისა ფსირძხასთან. ეხება რა აფსილეთის ისტორიას, ის ამტკიცებს, რომ აფხაზებს არ გააჩნდათ ისტორია, ანდა ველურ ცხოვრებას ეწეოდნენ (მხედველობაში აქვს ა. წ. II საუკუნე). ამ შემთხვევაში ვ. ლატიშევი ვერ ითვალისწინებს იმ მდგომარეობას, რომ აბაზგებს ჰქონდათ მმართველობის სახელმწიფოებრივი ფორმა, რაც კლასობრივი საზოგადოების განვითარების შედეგი იყო. არ შეიძლება ასეთ ხალხს არ გააჩნდეს ისტორია. სხვა საკითხია, თუ ამ ისტორიის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. ვ. ლატიშევი ეხება, აგრეთვე, ლაზიკაში მაქსიმე აღმსარებლის გადასახლების შესახებ ცნობებს.

ვ. ლატიშევი ეთანხმება ი. კულაკოვსკის, კერძოდ იმაში, რომ იუსტინიანე პირველმა აბაზგებს ტაძარი აუშენა არა ბიჭვინთაში, არამედ სევასტოპოლში. ის ამტკიცებს, რომ 787 წლიდან აფხაზეთი წარმოადგენდა ცალკე სამეფოს, რომლის სათავეში იდგნენ ბაგრატიდების დინასტიის წარმომადგენლები. იმავე აზრს გამოსთქვამს ლეონ პირველის შესახებ, როგორსაც ა. ფაღავა, რომ ირაკლი კეისარმა აფხაზეთის ერისთავს მისცა ამ მხარის (აფხაზეთის) მემკვიდრეობით მფლობელობის ინვესტიტურა.

მეტად საყურადღებოა საკითხი აფხაზთა მმართველების

დინასტიის შესახებ, რომელიც ე. თაყაიშვილმა დაამუშავა[12]. ქუთაისის საჭურჭლეში აღმოჩენილ იქნა საეკლესიო ხასიათის წერილი. ე. თაყაიშვილმა ამ კრებულში მოცემული ცნობები შეადარა ბაგრატ III „აფხაზეთის ისტორიას", რომლითაც უსარგებლია იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოსს. ამ შედარების შედეგად ე. თაყაიშვილმა დაადგინა აფხაზეთის მთავრების მმართველობის წლები, რომლის მიხედვით ლეონ აფხაზთა მეფის მოღვაწეობა დათარიღებულია 746-791 წლებით. მას აფხაზთა მმართველების ქართული ნუსხა სწორად მიაჩნია. ლეონის წინაპრების მოღვაწეობის დათარიღება შეუძლებელია, რამდენადაც ამის შესახებ ნუსხებში არ არის აღნიშნული; იქ მხოლოდ მათი სახელებია ჩამოთვლილი. სულ ათი პიროვნებაა დასახელებული.

მეტად მნიშვნელოვანია საკითხი დასავლეთ საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ, რომელიც ეხება ირან-ბიზანტიის ომს იუსტინიანე კეისრის დროს და განხილული აქვს. გ. გოზალიშვილს შრომაში „ბიზანტიასა და ირანს შორის ბრძოლა იბერია-ლაზიკისათვის VI საუკუნეში". ამ შრომაში მოცემულია ირანისა და ბიზანტიის მეტოქეობა და ლაზების პოლიტიკური ორიენტაცია, რომელმაც ძალთა თანაფარდობა ამ ორ მოქიშპე სახელმწიფოს შორის შესცვალა. განსაზღვრულია ლაზების პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლის მიზეზები და ამავე დროს ის, რაც იწვევდა ზემოხსენებული სახელმწიფოების დაინტერესებას ლაზიკით. აგრეთვე, აღნიშნულია იუსტინიანეს მიერ იმპერიაში სავაჭრო მონოპოლიის შემოღების მიზეზები, რომ ეს იყო იმპერიის გაღატაკება, გამოწვეული ხანგრძლივი ომებით, რომელმაც დასცა იმპერიაში სახალხო მეურნეობა. მისი აზრით, იმპერიის რომელიმე პროვინციაში არსებული ბიზანტიური პოლიტიკა დამახასიათებული იყო საერთოდ იმპერიისათვის, რამდენადაც ეს პროვინცია იმპერიის ნაწილს შეადგენდა. გარდა ამისა, ხაზგასმულია ისიც, რომ ირანის მისწრაფებამ ლაზიკის დაპყრობისაკენ შესცვალა თვით ბიზანტიის დამოკიდებულება ლაზებთან. ძირითადად ბიზანტიის პოლიტიკა ლაზების მიმართ არ შეცვლილა, ვინაიდან ირანის მოქმედებამ დააჩქარა მხოლოდ ლაზიკის დაპყრობა და ამ ქვეყნის ხალხების ექსპლოატაციის გაძლიერება. ამის შესახებ გ. გოზალიშვილი წერს: „ყველა

---

12 ე. თაყაიშვილი, ეგრეთწოდებული „აფხაზეთის ისტორია" ბაგრატ მეფისა. ძველი საქართველო. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. II, გან. III, თბილისი, 1919 წ.

ამის გამო ბიზანტია იძულებული გახდა ლაზიკაში ამიერიდან ისეთი პოლიტიკა ეწარმოებინა, რომელიც ამ ქვეყნის მის ხელთაგან სრულ დამოკიდებულებას უზრუნველყოფდა. მას ლაზიკაში უნდა შეექმნა ისეთი პირობები, რომ ზემოაღნიშნული საფრთხე თავიდან აეცილებინა. ამიტომ იგი ძველი (პასიური) პოლიტიკის ნაცვლად აქტიური (აგრესიული) პოლიტიკის წარმოებას შეუდგა"[13]. ბიზანტიამ ლაზიკაში ააგო ციხე-სიმაგრე პეტრა, რომელიც აქ ბიზანტიელთა სამხედრო ბაზას წარმოადგენდა.

გ. გოზალიშვილის შრომაში აღნიშნულია, რომ ბიზანტიურმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო „საუკუნო ზავის" პირობების დარღვევას. შემდეგში ბრძოლების აღწერისას მითითებულია აბაზგებისა და აფსილების დამოკიდებულებაზე ირანთან და მათ აჯანყებაზე. აგრეთვე, აღნიშნულია, რომ 562 წლის ზავის მთავარი საკითხი იყო ლაზიკის საკითხი, რომელიც ბიზანტიის სასარგებლოდ გადაწყდა.

ბიზანტია-ლაზიკის ურთიერთობასთან დაკავშირებით ზოგიერთი საკითხი განხილული აქვს მ. კახაძეს. განსაკუთრებით ეს ეხება VI საუკუნის ამბებს. მისი აზრით 527 წლამდე „ლაზები ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან რომაელებთან ფორმალურად"[14]. ის მიუთითებს, რომ ლაზები რომაელების ვასალები იყვნენ და იცავდნენ იმპერიის ჩრდილოეთ საზღვრებს და ამავე დროს ლაზიკა წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რომელსაც ჰყავდა საკუთარი ჯარი და მეფე. მას განხილული აქვს იოანე ციბეს მოღვაწეობა ეგრისში და მის მიერ გატარებულ პოლიტიკას სთელის კეისრის მთავრობის ნაკარნახევ პოლიტიკად.

მეტად კონკრეტული და ამავე დროს საყურადღებო დასკვნები აქვს გაკეთებული დ. ხახუტაიშვილს ეგრისის ბიზანტიისადმი დამოკიდებულებასთან დაკავშირებით. ის თავის შრომაში „Картвельские племена Причерноморья по данным греко-латынских писателей (VI в. до н. э.—VI в. н. э.)"[14] მიუთითებს, რომ V-VI საუკუნეები არის პერიოდი ლაზების პოლიტიკური ძლიერებისა. ის სწორად აფასებს ლაზიკაში ქრისტიანული სარწმუნოების სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას, რომ ეს იყო პოლიტიკური ორიენტაციის განმსაზღ-

---

13 გ. გოზალიშვილი, ბიზანტიასა და ირანს შორის ბრძოლა იბერია-ლაზიკისათვის VI საუკუნეში. თ. ს. უ. ბროშეები, ტ. XXVI в თბილისი, 1944 წ. გვ.

14 მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, [illegible] ს. ტ. თბილისი, გვ. 203.

ვრელი. ლაზიკის ბიზანტიის გავლენის ქვეშ მოქცევა, მისი შეფასებით, იყო უმცირესი ბოროტება. ასევე მითითებულია ლაზიკაში ფეოდალური ურთიერთობის განვითარებაზე და დიდებულთა როლზე, რომელიც შეასრულეს ლაზიკაში ბიზანტიელთა განმტკიცების საქმეში. მოკლედ მიუთითებს VII საუკუნეში ლაზიკის მმართველის ხელისუფლების დასუსტებაზე.

დ. გულია თავის შრომაში „История Абхазии" იხილავს მთელ რიგ საკითხებს, მაგრამ იშვიათად აკეთებს დასკვნებს ამ განხილვიდან. ხშირად არასწორ მოსაზრებებსაც გამოსთქვამს. მისი აზრით, არიანეს მიერ აღწერილი აბაზგები ცხოვრობდნენ სოხუმის სამხრეთით კოდორის მხარეში. ის წერს: „По сказанию Арриана, путешествовавшего по восточному берегу Понта в начале II века, абасги жили между апсилами с восточной стороны и санигами с с. — з. стороны, ниже Севастополя, т. е. приблизительно в нынешнем Кодорском у., если присоединить к нему часть нынешней Самурзакани"[15].

დ. გულიას ამ დასკვნიდან გამოდის, რომ აფსილები, რომლებიც აბაზგების სამხრეთით ცხოვრობდნენ, უნდა ვეძიოთ კოდორის სამხრეთით.

დ. გულიას მიხედვით იუსტინიანემ აბაზგებს ტაძარი აუშენა ბიჭვინთაში. VI საუკუნის ახფაზეთის აღწერისას, ავტორმა, პირდაპირ გადმოწერა პროკოპის ცნობები და არავითარი ანალიზი ამ ცნობებისა არ გააკეთა. მას დაწვრილებით აქვს განხილული აფხაზეთის მეფეთა ნუსხები, მაგრამ ეს ჩვენთვის ამჟამად უმნიშვნელოა.

აფხაზეთის ისტორიას ეხება ა. ფადეევი თავის შრომაში „Краткий очерк истории Абхазии". მის ამ შრომაში მოცემულია აფხაზების დამოკიდებულება ლაზებთან და ამ ურთიერთობაში ბიზანტიელების როლი.

ა. ფადეევი, ეხება რა ბიზანტიურ კონოლიზაციას, აღნიშნავს, რომ შავი ზღვის სანაპიროზე მათ ხვდებოდათ დიდი წინააღმდეგობა ადგილობრივი ხალხებისაგან. ამ სანაპირო ზოლზე ვაჭრობის უზრუნველყოფისათვის ბიზანტიელებს დასჭირდათ სიმაგრეებში გარნიზონების ჩაყენება. ის აღნიშნავს, თუ როგორი ხერხებით და საშუალებებით ამტკიცებდნენ ბიზანტიელები თავის პროტექტორატს ადგილობრივ ხალხებზე. მიუთითებს იმ როლზე, რომელსაც ასრულებდნენ ბიზანტიელი მისიონერები ქრისტიანული რელიგიის პროპა-

---

15 Д. Гулиа. История Абхазии, 1925 г., стр. 181.

განდისათვის შავი ზღვის სანაპიროზე და კავკასიაში და მის მნიშვნელობაზე ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის განმტკიცების საქმეში. მისი აზრით ეს რელიგია ძირითადად ვრცელდებოდა მმართველი წრეების ზედაფენაზე. ქრისტიანული პროპაგანდა უმაღლეს დონეზე ავიდა VI საუკუნეში, როდესაც იუსტინიანემ აბაზგიაში დააარსა საეპისკოპოსო კათედრა.

ა. ფადეევი მიუთითებს, რომ ლაზიკა წარმოადგენდა პლაცდარმს სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ის ეხება, აგრეთვე, აფხაზეთის სამეფოს წარმოშობას და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ აფხაზეთის სამეფოს წარმოშობისას საქართველოს სხვა ტომების კავშირი უფრო სუსტი იყო, ვიდრე აფხაზთა ტომების კავშირი. ამავე დროს მიუთითებს აფხაზეთის მთავრის ხაზარებთან ურთიერთობაზე.

ა. ფადეევის ზოგი დებულება ჩვენთვის არაა მისაღები იმდენად, რამდენადაც ისინი დაუსაბუთებელია და ზოგ შემთხვევაში განუსაზღვრელიცაა. ასე მაგალითად, მისი აზრით იუსტინიანემ აბაზგიაში ორი საეპისკოპოსო კათედრა დააარსა — ერთი პიტიუნტში და მეორე ანაკოფიაში. ამავე დროს ის ათარიღებს ამ კათედრების დაარსებას: პიტიუნტისას 536 წლით, ხოლო ანაკოფიისას კი 541 წლით[16].

არაა დამაჯერებელი მისი აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოსათვის ბრძოლა ირანსა და ბიზანტიას შორის გამოწვეული იყო მხოლოდ იმით, რომ ამ მხარეზე გადიოდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი სავაჭრო გზა.

ჩვენთვის არაა მისაღები ა. ფადეევის შეხედულება IV—V საუკუნეების დასავლეთ საქართველოს სამეფოს წარმოშობის შესახებ, სადაც ამტკიცებს, რომ ეს გაერთიანება იყო შემთხვევითი მოვლენა, რომ ეს იყო არამყარი ტომობრივი კავშირი[17]. ამ აზრს ავრცელებს შემდეგში აფხაზეთის საერისთავოს წარმოშობაზეც. მისი აზრით არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში კეისარმა საჭიროდ მიიჩნია აბაზგიისათვის მიეცა ავტონომია და გამოეყენა როგორც ძოკავშირე[18].

ა. ფადეევის აზრით ხოსრო პირველად 550 წელს შეიჭრა ეგრისში. ეს აზრიც სინამდვილეს ეწინააღმდეგება.

დასავლეთ საქართველოს გაერთიანებასთან დაკავშირებით ამბობს, რომ ემიგრირებულ ქართლელებსა და ლაზებს

---

16 იხილეთ ა. ფადეევის დასახელებული შრომა, გვ. 69.
17 იქვე, გვ. 70.
18 იქვე, გვ. 76.

შორის მიმდინარეობდა ბრძოლა, რამაც ეს უკანასკნელნი დაასუსტაო, ხოლო თვით ქართველების გადმოსახლებას რიონის მიდამოებში ათარიღებს VIII საუკუნეში არაბების ლაშქრობით.

ირანისა და ბიზანტიის დასავლეთ საქართველოსთან ურთიერთობის შესახებ აღნიშნულია პროფ. ს. ყაუხჩიშვილის შრომებში („ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან"[19], „მისიმიანთა ტომი"[20], „სვანეთის ხელმეორე აღება ბიზანტიელების მიერ"[21]), სადაც მითითებულია, რომ ეს ორი სახელმწიფო დაინტერესებული იყო დასავლეთ საქართველოთი მისი ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობის გამო, რამაც გამოიწვია ხანგრძლივი გამანადგურებელი ომი, რომელიც საბოლოოდ ბიზანტიის სასარგებლოდ გადაწყდა. ამ ომის შედეგად დასავლეთ საქართველოს თავისუფლება არ მოუპოვებია, არამედ მისი ხალხი ბიზანტიელების ბატონობის ქვეშ მოექცა. ხაზგასმულია ისიც, თუ რა მიზეზებმა გამოიწვიეს 562 წლის ზავი.

ს. ყაუხჩიშვილის შრომებში გარკვეულია ბიზანტიელების მიერ სვანეთის ხელმეორე აღების საკითხი, რომლის მიხედვით ეს აქტი უნდა მომხდარიყო დაახლოებით 575 წელს.

ასევე განხილულია ირაკლი კეისრის ეპოქაც და მისი ურთიერთობა დასავლეთ საქართველოს ტომებთან.

მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი თემური ორგანიზაციის საკითხის განხილვას, მისი წარმოშობის მიზეზებს და აწყოში მნიშვნელობას. სწორედ ანალოგიური ფორმები მმართველობისა ლაზიკაშიც იყო, სადაც იუსტინიანეს უნდოდა სამოქალაქო და სამხედრო საქმეების სტრატეგოსების ხელში გაერთიანება მიუხედავად იმისა, რომ აქ მეფის ხელისუფლება ჯერ კიდევ გაუქმებული არ იყო. თემური ორგანიზაციის შექმნა დაკავშირებული იყო თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებასთან და ნაწილობრივ არაბების მხრივ თავდასხმების ასაცილებლად. ასევე მას განხილული აქვს არაბების ვინაობა და მათი ურთიერთობა ბიზანტიასთან.

საკითხი დასავლეთ საქართველოს ბიზანტიასთან ურთიერთობის შესახებ განხილული აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილს მის შრომაში „ქართველი ერის ისტორია" ტ. I. ეს ურთი-

---

19 ს. ყაუხჩიშვილი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, წიგნი I, 1948 წ.
20 თ. ს. უ. შრომები, ტ. I, I სერია, საზოგადოებათმეცნიერებანი, 1919 წ.
21 ს. ყაუხჩიშვილი, ი. ბერაძე, სვანეთის ხელმეორე აღება ბიზანტიელების მიერ. თ. ს. უ. შრომები, ტ. VII, თბილისი 1938 წ.

ერთობა გაშუქებულია ძირითადად პროკოპი კესარიელის ცნობებზე დაყრდნობით და ატარებს აღწერილობით ხასიათს. საკითხის განხილვა იწყება წათეს სპარსეთთან ურთიერთობით. მითითებულია იმ პირობებზე, რომლებმაც გამოიწვია წათეს გაქრისტიანება და ბიზანტიელებთან ურთიერთობა. ივ. ჯავახიშვილის დასახელებულ შრომაში განმარტებულია ირანისა და იბერიის ურთიერთობა, რომელმაც შემდეგში, ე. ი. მეფობის გაუქმების შემდეგ, გარკვეული გავლენა მოახდინა ბიზანტია-ლაზიკის ურთიერთობაზე. აღწერილია „საუკუნო ზავის" შინაარსი და მისი გავლენა დასავლეთ საქართველოზე, რომ ამ ზავის შემდეგ იწყება რომაული გარნიზონების ჩაყენება ლაზიკაში, რომ ზავის შედეგად ირანი მკვიდრდება იბერიაში და ბიზანტიას საფრთხეს უქმნის ლაზიკაში. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს ბიზანტიასა და ლაზიკას შორის პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობაზე, რომელიც ლაზებისათვის აუტანელი ხდება. და ეს უკანასკნელნი მიმართავენ ირანს დახმარებისათვის. აღწერილია ლაზების კავშირი ირანთან და ირანის მიზანი, ლაზიკის სტრატეგიული მნიშვნელობა, ხოსროსა და ლაზების ინტერესების წინააღმდეგობა და ამ უკანასკნელთა ისევ ბიზანტიის მხარეზე გადასვლა. ასევე აღწერილია ლაზებისა და ბიზანტიელების ბრძოლა ირანის წინააღმდეგ თვით ლაზიკაში.

ივ. ჯავახიშვილის მიერ აღწერილ ისტორიაში დაცულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობა მთელ იმ ეპოქის მანძილზე, რომელიც ამჟამად ჩვენი განსახილველია. სწორად არის შეფასებული გუბაზის მკვლელობასთან დაკავშირებული სახალხო კრება ლაზიკაში, სადაც ფარტაძის აზრი აღიარებულია როგორც გამართლებული პოლიტიკური ორიენტაცია. აქ ფარტაძის აზრის სისწორე ჩანს თვით ლაზების მოქმედებითაც.

აღწერილია არაბების შემოსევა და მათი დამოკიდებულება ადგილობრივ ხალხთან, აფხაზეთიდან არაბების განდევნა და მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანება. აკად. ივ. ჯავახიშვილი აფხაზეთის გაძლიერების და ბიზანტიის გავლენისაგან განთავისუფლების ერთ-ერთ მთავარ პირობად აღიარებს ხატმებრძოლეობას, რომელიც VIII საუკუნეში ძლიერი იყო ბიზანტიაში.

დასავლეთ საქართველოს ტომების და მათი ბიზანტიასთან ურთიერთობის საკითხები განხილული აქვს აკად. ს. ჯანაშიას. მან განიხილა აღმოსავლეთ რომის იმპერიის წარმოშობა და მისი არსი, რომ „მომხდარი ცვლილება არსები-

თად ნიშნავდა: სოციალურად — ფეოდალიზმის საბოლოოდ გამარჯვებას მონათმფლობელობაზე, ეთნიკურად—ბერძნული ელემენტის უპირატესობის დადგინებას რომაულთან შედარებით, კულტურულად — ლათინური ენისა და იტალიური კულტურის უკან დახევას ბერძნულ-ლათინური ენისა და კულტურის წინაშე"[22].

აკად. ს. ჯანაშიას შრომებში (ძირითადად I და II ტომი და ნაწილობრივ III ტომიც) მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს VI საუკუნის აფხაზეთში სოციალურ ურთიერთობას და საერთოდ აფხაზეთის სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას. ეს საკითხები დაწვრილებით არის განხილული და სწორი დასკვნებიცაა გაკეთებული, რომ ის ცვლილება, რომელიც მოხდა აბაზგიაში VI საუკუნეში წარჩინებულების მიერ, იყო გადატრიალება, რომ ეს წარჩინებულები იყვნენ ფეოდალები. ასევე განხილულია აბაგზების ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა ბიზანტიასთან. აგრეთვე მას განხილული აქვს დასავლეთ საქართველოს სხვა ტომების ურთიერთობა ბიზანტიასთან, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი შინაარსისა იყო.

ხაზგასმულია ტყვეებით ვაჭრობის მნიშვნელობაც. აკად. ს. ჯანაშიას შრომებში გაშუქებულია დასავლეთ საქართველოს შინაპოლიტიკური ვითარებაც. ამ საკითხში საყურადღებოა ის, რომ მისი აზრი ეწინააღმდეგება ზოგ სხვა მეცნიერის აზრს და ამავე დროს მაშინდელი ვითარების სწორი ანალიზის შედეგია. ასევე განხილულია არაბების ვინაობის საკითხი და მათი დაპყრობითი ომები, რომელმაც საკმაო ზეგავლენა მოახდინა დასავლეთ საქართველოს ტომების ცხოვრებაზე და ამ ტომების და ბიზანტიის ურთიერთობაზე.

აკად. ს. ჯანაშიამ განიხილა საკითხი „აფხაზეთის სამეფოს წარმოქმნის დროისა და პირობების შესახებ", სადაც მისი აზრით აფხაზეთის სამეფოს ბიზანტიის გავლენისაგან განთავისუფლებისათვის ყველაზე ხელსაყრელ პირობად დასახელებულია 792 წელი და მომდევნო პერიოდი, რაშიც ვერ ვეთანხმებით[23]. ვერ ვეთანხმებით, აგრეთვე, ტრაქეას ადგილმდებარეობის განსაზღვრაშიც. ვინაიდან პროკოპი კესარიელის მიერ ამ ადგილის აღწერილობა ეწინააღმდეგება მის მოსაზრებას. იმ ცნობას, რომელსაც იგი ეყრდნობა, თუ შევადარებთ მეორე ცნობას, რომელიც ეხება ბიზანტიელების ჯარის

22 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, თბილისი, 1949 წ., გვ. 22.
23 დაწვრილებით იხილეთ წინამდებარე შრომის V თავი.

ლაშქრობას ტრაქეას აღებისათვის, დავრწმუნდებით, რომ ეს ციხე მდებარეობდა აფსილიის საზღვართან აბაზგიის შესავალში ანუ დღევანდელი ახალი ათონის ტერიტორიაზე[24].

მეტად მნიშვნელოვანი საკითხები აქვს განხილული პ. ინგოროყვას თავის შრომაში „გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა". ის იწყებს ტერმინ „აფხაზეთის" ახსნით, განსაზღვრავს აფხაზეთის ტერიტორიას VI—VIII საუკუნეებში, სადაც იმეორებს აკად. კ. კეკელიძის აზრს VIII საუკუნის აფხაზეთის სამხრეთი საზღვრების შესახებ. პ. ინგოროყვას აზრით „აფხაზეთი" იყო სინონიმი დასავლეთ საქართველოსი და აგრეთვე მთელი საქართველოსიც. იგი უარყოფს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ შეხედულებას VIII საუკუნის აფხაზეთის საერისთავოში მცხოვრები ხალხების აფსილების, მისიმიელების, აბაზგების და სანიგების შესახებ. ამ ხალხებს სთვლის ქართველებად და ქართულ ენაზე მოსაუბრედ. მათ აიგივებს ქართებთან ან ეგრისელებთან. ასეთი მდგომარეობა მისი აზრით გრძელდებოდა უძველესი დროიდან მთელი შუა საუკუნეების მანძილზე.

პ. ინგოროყვა ეხება აგრეთვე აფხაზეთის სამეფოს წარმოქმნის საკითხს. მისი აზრით აფხაზეთისა და ეგრისის გაერთიანება მოხდა ბრძოლის გარეშე, ხოლო ბიზანტიის გავლენისაგან განთავისუფლებას კი დასჭირდა ბრძოლა, ვინაიდან დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ პუნქტში ბიზანტიის ჯარი იდგა. ამავე დროს ის არ მიუთითებს იმ პირობებზე, რომლებმაც ხელი შეუწყვეს დასავლეთ საქართველოს ამ გაერთიანებას და ბიზანტიის გავლენისაგან განთავისუფლებას.

აფხაზეთში პოლიტიკური წყობის განსაზღვრისას ამტკიცებს, რომ იგი იყოფოდა ორ ნაწილად — მთიან აფხაზეთად და ზღვისპირა აფხაზეთად. აგრეთვე ცდილობს აფსილებისა და მისიმიელების ტერიტორიების განსაზღვრას.

პ .ინგოროყვა გეოგრაფიულ სახელწოდებებს, რომლებიც ეხება აფხაზეთის ტერიტორიას, უკავშირებს ქართულ ენობრივ სამყაროს. კვლევის ამ მეთოდით სინამდვილის დადგენა შეუძლებელია. ის სწორად ხსნის ლაზეთში მეფობის გაუქმების საკითხს, მაგრამ სამაგიეროდ არასწორად ხსნის აფხაზეთის საერისთავოს წარმოშობის და მისი გაძლიერების საკითხს.

პ. ინგოროყვა ეხება ბიზანტიის როლს დასავლეთ საქართველოდან არაბების განდევნისა და ამ მხარის გაერთიანების საქმეში.

---

24 ამის შესახებ იხილეთ ამ შრომის II თავი.

ჩვენთვის საინტერესო საკითხებიდან ნაწილი განხილული აქვს ზ. ანჩაბაძეს თავის წიგნში „Из истории средневековой Абхазии (VI—XVII вв.). ავტორმა ამ შრომაში ძირითადად მიზნად დაისახა აფხაზი ხალხის ეთნიკური განვითარების და ქართველ ხალხთან ურთიერთდამოკიდებულების გაშუქება. ამავე დროს დასავლეთ საქართველოს ტომების ისტორიის ბევრი საკითხი, რომლებიც ძირითად საკითხთან იყო დაკავშირებული, განხილული აქვს. ასეთ საკითხებს ეკუთვნიან აფხაზეთში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება, აფხაზეთის პოლიტიკური ერთეულების ეგრისის სამეფოსთან ურთიერთობა, ირან-ბიზანტიის უთანხმოებანი და ეგრისის სამეფო, დასავლეთ საქართველოს ხალხების ბრძოლა ბიზანტიელი და არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ, ქართველებისა და აფხაზების ურთიერთდამოკიდებულება VII—VIII საუკუნეებში, აფხაზეთის სამეფოს წარმოქმნის და ბევრი სხვა საკითხი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ზ. ანჩაბაძემდე არც ერთი მეცნიერი არ ცდილა მონოგრაფიულად დაემუშავებინა აფხაზი ხალხის საშუალო საუკუნეების ისტორიის საკითხები. დასახელებულმა ავტორმა კი თავის შრომაში მოგვცა აფხაზეთის ისტორიაზე სრული წარმოდგენა და მასთან ერთად სწორად გააშუქა დასავლეთ საქართველოს სხვა ტომების ისტორიის ბევრი საკითხი. ძირითადად ამ შრომას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს მიერ დასახული მიზნის განსახორციელებლად სწორი ორიენტაციისათვის.

ზ. ანჩაბაძის შრომაში განხილული საკითხები ძირითადად სწორი და დამაჯერებელია. მიუხედავად ამისა ჩვენ ზოგ რამეში ვერ ვეთანხმებით მას გარკვეული მოსაზრებების გამო, რომლის შესახებ ნათქვამი იქნება თავის ადგილზე.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია ბიზანტიური ისტორიოგრაფიის ზოგიერთი წარმომადგენლის შრომები, რომლებიც ძირითადად ეხებიან ბიზანტიის იმპერიის ისტორიას, ისინი ამავე დროს აშუქებენ ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხებს ბიზანტიის ისტორიიდან, რომლებიც მნიშვნელოვანია დასავლეთ საქართველოს ხალხების ამ იმპერიასთან დამოკიდებულების ახსნაში და დასავლეთ საქართველოს გაერთიანების ისტორიული ვითარების სწორად გაგებაში. ასეთი ისტორიკოსებიდან მნიშვნელოვანია გ. გელცერი, თ. უსპენსკი, მ. ლევჩენკო და სხვები.

VI—VIII საუკუნეების იმპერიის პოლიტიკური ისტორია მოცემულია ჰ. გელცერის შრომაში „Очерк политической

истории Византии"[25]. ამ შრომაში თანმიმდევრობით აღწერილია იუსტინიანეს და მისი მემკვიდრეების ეპოქა. მითითებულია იუსტინიანეს სახელმწიფოებრივ პოლიტიკაზე და მის გავლენაზე ქვეყნის მომავალ ბედზე. აგრეთვე ხაზგასმულია კლასობრივი ბრძოლა. გელცერი მიუთითებს იმაზე, რომ იუსტინიანეს დროს აბსოლუტიზმმა მიაღწია განუსაზღვრელ ბატონობას, რომლის დროსაც ხალხი და სენატი უკვე პოლიტიკური ცხოვრების ფაქტორებს აღარ წარმოადგენდნენ.

ჰ. გელცერის შრომაში მოკლედ მითითებულია ბიზანტიალაზიკის ურთიერთობაზე და იუსტინიანეს სარწმუნოებრივ პოლიტიკაზე. ასევე აღწერილია ირან-ბიზანტიის ურთიერთობა, თავდასხმები ბიზანტიაზე ბალკანეთის მხრიდან და არაბების შემოსევა. დახასიათებულია თემური ორგანიზაცია. გ. გელცერი ახასიათებს VII საუკუნეში ბიზანტიაში არსებულ იდეოლოგიურ ბრძოლას. ის დიდ შეფასებას აძლევს ისავრიელთა დინასტიის მოღვაწეობას და აღიარებს, რომ VIII საუკუნის მეორე ნახევარი იყო იმპერიისათვის წარუმატებლობის პერიოდი.

უშუალოდ არ ეხება ბიზანტიის ურთიერთობას დასავლეთ საქართველოსთან, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია ჩვენთვის თ. უსპენსკის შრომა „История Византийской империи", სადაც დაწვრილებით მოცემულია ბიზანტიის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობა, მისი ეკონომიური. სამხედრო და ადმინისტრაციული პოლიტიკა. მის შრომებში აღწერილია ბიზანტიის ისტორია მისი წარმოშობიდან განადგურებამდე. ბიზანტიის ისტორიის ეს გაშუქება საშუალებას გვაძლევს სწორად განვსაზღვროთ მისი დამოკიდებულება დასავლეთ საქართველოს ტომებთან VI—VIII საუკუნეებში.

თ. უსპენსკი იხილავს VI საუკუნეში ბიზანტიის ურთიერთობას ირანთან და ამავე დროს მიუთითებს ბიზანტიის საშინაო მდგომარეობაზე, ფედერატების აჯანყებაზე, მის გამომწვევ მიზეზებზე. ასევე ხაზგასმულია ის გარემოებაც, რომ იმ დროს ადგილი ჰქონდა ბარბაროსთა თავდასხმებს მაკედონიაში, თესალიაში და მცირე აზიაში. დაწვრილებით აღწერილია VII საუკუნეში ირანის აგრესია და სლავების ლაშქრობანი საბერძნეთში, რომ VII საუკუნის შუა წლებიდან ბალკანეთის მოსახლეობის უმრავლესობას სლავები წარმოადგენდნენ, რომ იმპერატორები იძულებული გახდნენ სლავებთან შეეკრათ ხელშეკრულება. თ. უსპენსკი იძლევა ბიზანტიის

---

25 ვსარგებლობთ რუსული თარგმანით.

იმპერატორების სლავებთან დამოკიდებულების ანალიზს. აგრეთვე იძლევა VII საუკუნის ზოგად დახასიათებას და თემური ორგანიზაციის განსაზღვრას, რომ ეს იყო სამხედრო და სამოქალაქო რეფორმა.

ასევე თ. უსპენსკის შრომაში მოცემულია არაბთა სახელმწიფოს დაარსება და არაბეთ-ბიზანტიის ურთიერთობის დახასიათება. არაბების და ბიზანტიის ჯარების შეტაკებისას უპირატესობა ძირითადად არაბების მხარეზე რჩებოდა რის მიზეზად თ. უსპენსკი ასახელებს ბიზანტიელი სარდლების გამცემლობას, რომელიც, მისი აზრით, გამოწვეული იყო ბიზანტიური მმართველობის წესით, რელიგიური შევიწროებით და გადასახადების გადიდებით. თ. უსპენსკიმ დაწვრილებით აღწერა ბრძოლები არაბებსა და ბიზანტიელებს შორის. მისი აზრით VII საუკუნის შუა წლები იყო ბიზანტიისათვის მატერიალური დაცემისა და ხელისუფლების დასუსტების პერიოდი. ამ შემთხვევაში თ. უსპენსკის შეხედულება ემთხვევა ჰ. გელცერის შეხედულებას.

თ. უსპენსკის აღწერილი აქვს არაბებსა და ბიზანტიას შორის ურთიერთობა შემდეგ წლებშიაც.

ბიზანტიის ურთიერთობას დასავლეთ საქართველოსთან ნაწილობრივ განხილული აქვს მ. ლევჩენკოს თავის შრომაში „История Византии", მაგრამ მას ეს საკითხი ძალიან მოკლედ აქვს აღწერილი, ვინაიდან ის იხილავს თავის შრომაში არა მარტო დასავლეთ საქართველოსთან ბიზანტიის ურთიერთობას, არამედ ბიზანტიის ისტორიას მისი ჩამოყალიბებიდან 1453 წლამდე. მიუხედავად ამისა ეს შრომა ჩვენთვის მნიშვნელოვანია. ამ შრომაში მარქსისტულად არის გაშუქებული ბიზანტიის ისტორიის მრავალი საკითხი. მასში მოცემულია VI საუკუნეში ბიზანტიის ურთიერთობა ლაზიკასთან. ამასთან ერთად აღნიშნულია ირან-ბიზანტიის ურთიერთობა ამავე პერიოდში და ამასთანავე ამ ურთიერთობასთან დაკავშირებული მოვლენები, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ დასავლეთ საქართველოში.

მას განხილული აქვს ბიზანტიის შინაპოლიტიკური ვითარება VI საუკუნეში და ირან-ბიზანტიის ომი ლაზიკისათვის. მ. ლევჩენკო მიუთითებს ომების გავლენაზე ბიზანტიის ეკონომიური მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებით, რომ იუსტინე იძულებული გახდა ხელი აეღო იუსტინიანეს პოლიტიკაზე, რამაც შემდეგში იმპერიის საშხედრო ძლიერება დასცა. ის მიუთითებს ავართა საფრთხეზე და ტიბერის თავდაცვით პოლიტიკაზე.

მ. ლევჩენკო მიუთითებს VII საუკუნეში ბიზანტიაში გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლაზე, რომელსაც შედეგად მოჰყვა 602 წლის პოლიტიკური გადატრიალება და ხანგრძლივი სამოქალაქო ომი. ეს ბრძოლა დახასიათებულია როგორც ბრძოლა დინასტიური, რელიგიური, სოციალური და ტომობრივი, რომელსაც შედეგად მოჰყვა ცენტრალური ხელისუფლების დასუსტება. ასევე დახასიათებულია ირაკლის ეპოქაც. მითითებულია იმ პირობებზე, რომლებიც ხელს უწყობდნენ ირანის წარმატებას.

მ. ლევჩენკო იხილავს არაბების ბრძოლას ბიზანტიის წინააღმდეგ და ბიზანტიის თავდაცვით ღონისძიებებს. მითითებულია აგრეთვე ბულგარებთან ურთიერთობაზე და ლაზიკის გადასვლაზე არაბების მხარეზე. მ. ლევჩენკოს სწორად აქვს აღწერილი VIII საუკუნის ბიზანტიის საერთაშორისო მდგომარეობა და ისავრიელთა დინასტიის მოღვაწეობა. ასევე ხაზგასმულია არაბთა საფრთხის გაძლიერება და მის წინააღმდეგ მიღებული ღონისძიებები. სწორად აქვს შეფასებული VIII საუკუნის შინაკლასობრივი ბრძოლა, რომელიც ცნობილია ხატმებრძოლეობის სახელწოდებით.

ბევრი სხვა მეცნიერი შეეხო ჩვენს მიერ დაყენებული საკითხის სხვადასხვა მხარეს, მაგრამ მათი განხილვა ამჟამად საჭიროდ არ მიგვაჩნია. მათ შესახებ იქნება საუბარი კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით.

თ ა ვ ი II

დასავლეთ საქართველოს საშინაო ვითარება VI ს.

1. ეთნიკური შემადგენლობა (ლაზები, აფსილები, მისიმიელები, სვანები, აბაზგები, სანიგები)

თანამედროვე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების შესახებ ცნობებს გვაწვდიან ბიზანტიელი მწერლები და ისტორიკოსები, რომლებზე დაყრდნობით შეიძლება ძირითადად გავარკვიოთ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ტომების ვინაობა და მათი დასახლების ადგილების განსაზღვრა.

დასავლეთ საქართველოს ძირითად მოსახლეობას VI საუკუნეში წარმოადგენდნენ ლაზები, აფსილები, მისიმიელები, სვანები, სკვიმნები, აბაზგები და სამხრეთ სანიგები. დასახელებული ტომების ვინაობის და ადგილსამყოფელოს გაგებისათვის უნდა შევადაროთ სხვადასხვა ეპოქის მწერლების ცნობები.

დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ტომების შესახებ ცნობებს გვაძლევს II საუკუნის მწერალი არიანე, რომლის მიხედვით ამ მხარის მცხოვრებლებს შეადგენდნენ ლაზები, აფსილები, აბასკეები და სანიგები. არიანემ თვითონ მოიარა შავი ზღვის ჩრდილოეთი სანაპირო სევასტოპოლამდე და ამდენად მისი ცნობები სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს. მის მიერ დასახელებული ტომები ერთიმეორისაგან დამოკიდებულ პოლიტიკურ ცხოვრობას ეწეოდნენ, ჰყავდათ თავიანთი მეთაურები და იმყოფებოდნენ რომის იმპერიის გავლენის ქვეშ.

არიანეს მიერ დასახელებული ტომებიდან, რომლებიც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, ყველაზე სამხრეთით მდებარეობდნენ ლაზები. ლაზების ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ აფსილები, ხოლო აფსილების ჩრდი-

ლოეთით აბასკები და შემდეგ კი სანიგები. აქ ეტყობა არიანემ შეისწავლა მხოლოდ ზღვისპირა ხალხები. სწორედ ასეთივე თანმიმდევრობით ჩამოთვლიან ამ ტომებს VI საუკუნის და უფრო გვიანდელი მწერლებიც.

არიანეს მიერ დასახელებული ტომების შემდგომმა განვითარებამ შესაძლებელი გახადა მათი გაერთიანება ეგრისის სამეფოს სახელწოდებით, სადაც ჰეგემონობა ლაზებს ეკუთვნოდათ[1].

VI საუკუნეში ეგრისის სამეფოში არ შედიოდნენ ჭანები, რომლებიც ეთნიკურად ლაზების მონათესავენი იყვნენ, მაგრამ მათთან პოლიტიკური ერთიანობა აღარ ჰქონდათ. ისინი ცხოვრობდნენ ლაზების სამხრეთით დაახლოებით მდ. ჭოროხის მიდამოებში და განსაკუთრებით მის სამხრეთ-დასავლეთით. მათი მხარე მთაგორიანი იყო. ამავე დროს ისინი ლაზებისაგან საკმაოდ დაშორებულნი იყვნენ და უშუალოდ ბიზანტიის იმპერიაში შედიოდნენ. ალბათ, ამიტომ, მათი დამორჩილება ლაზებს არ უცდიათ. ჭანების შესახებ პროკოპი კესარიელი შემდეგ ცნობას იძლევა: „აქ მოსახლეობდა ჭანების ტომი, თავიდანვე ბარბაროსები, რომელნიც არავის ქვეშევრდომები არ არიან, წინა ხანებში სანებად წოდებულნი, ირგვლივ მოსახლე რომაელების მძარცველნი, რომელნიც უაღრესად მკაცრ ცხოვრებას ეწეოდენ და მუდამ ქურდობით ირჩენდენ თავს"[2]. შემდეგში ბიზანტიელებმა შესძლეს ჭანთა ტომის დამორჩილება. ამაზე პროკოპი შემდეგს წერს: „სიტტამ, მაინც, ბრძოლაში დაამარცხა ისინი ჯერ კიდევ ამ ომამდე, და იმით, რომ მომხიბვლელად ელაპარაკებოდა და ეპყრობოდა მათ, მან სრულიად შესძლო მათი გადმობირება"[3].

ამრიგად, ჭანები დაახლოებით 528—535 წლებში რომაელებმა საბოლოოდ დაიმორჩილეს. VI საუკუნეში ჭანების ეგრისის შემადგენლობაში შესვლის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება.

ლაზების სამხრეთი საზღვარი რიონს ცოტათი სცილდებოდა სამხრეთით. მათი დასახლების პუნქტები მოთავსებული იყო რიონის მარჯვენა მხარეზე, ხოლო მდინარის მარცხენა მხარე მაშინ დაუსახლებელი იყო. სწორედ ამ დაუსახლებელ ადგილას იუსტინიანემ ციხე-ქალაქი პეტრა ააშენა. ამის შესახებ პროკოპი აღნიშნავს: „ლაზიკის მიწაწყალზე, იმ ადგი-

---

1 ამის შესახებ იხილეთ პარაგრაფი „სოციალური წყობილება".
2 გეორგიკა, ტ. II, გვ. 26.
3 იქვე, გვ. 27.

ლას, სადაც ადამიანებს არასოდეს არ უცხოვრიათ, იუსტინიანე მეფემ ჩემს დროს ქალაქი პეტრა გააშენა"[4].

პეტრას ადგილმდებარეობის შესახებ ისტორიულ მეცნიერებაში სხვადასხვა აზრი იყო გამოთქმული (დიუბუა დე მონპერეს აზრით—ვაშნარი, ვაიდენბაუმის—ციხისძირი, ი. კალფოგლუს—ციხისძირი, ს. ყაუხჩიშვილის—ბათომი). ყველა ამათგან საერთოა ის, რომ პეტრა ეგულებათ შავი ზღვის სანაპიროზე. საბოლოოდ მიღებული აზრი პეტრას ადგილმდებარეობის შესახებ უნდა იყოს სწორი, რომელიც გულისხმობს ციხისძირს. აკად. ს. ჯანაშია ამის შესახებ წერს: „თუ აღნიშნულს ტოპოგრაფიულ ცნობებს ჩავუკვირდებით, იძულებული ვიქნებით დავასკვნათ, რომ ქობულეთ-ჩაქვის სანაპირო ხაზზე მხოლოდ ციხისძირი, და ციხისძირი-კი ზედმიწევნით, უპასუხებს პროკოპის აღწერილობას"[5]. „როგორც რომაული პოლიტიკის გატარებისათვის თვით ლაზიკაში, ისე საგარეო-სამხედრო თავდაცვის საქმისათვის ციხისძირზე უკეთესი პუნქტის მოძებნა გურია-სამეგრელოს სანაპიროზე შეუძლებელი იყო"[6]. ბიზანტიის მთავრობის მოხელემაც სწორად გაითვალისწინა სწორედ ამ მერმინდელი ციხისძირის მნიშვნელობა, როდესაც იუსტინიანეს შესთავაზა აღნიშნულ ადგილზე ციხესიმაგრის აშენება.

პროკოპი ლაზების დასახლების შესახებ ამბობდა: „ლაზთა სოფლები ხომ აქ ყველა მდებარეობს მდინარის აქითა (რიონის მარჯვენა ნაპირი—მ. გ.) ნაპირას და ქალაქებიც მათ ძველითგანვე აქ აუშენებიათ, მათ შორის არის არქეოპოლის, ძალიან გამაგრებული, სევასტოპოლიც არის აქ და პიტიუნტის სიმაგრეც, ხოლო სკანდა და სარაპანი იბერიის საზღვრებისაკენ... მდინარის მარცხნივ, ისეთ მანძილზე, რომელსაც ერთ დღეში გაივლის მსუბუქად დატვირთული კაცი, ლაზიკის საზღვრებია, ხოლო ეს მხარე მოსახლეობას მოკლებული ჩანს"[7].

ლაზების დასახელებული საზღვრის შესახებ პროკოპი მიუთითებს თავის ისტორიის სხვადასხვა ადგილებში. ერთ ადგილას ის წერს: „პონტო რომ თავდება აქ, ქმნის ნახევარმთვარის მსგავს ნაპირს. ამ ნახევარმთვარის გადასავალი უდრის ხუთასორმოცდაათ სტადიონს; ხოლო მის უკან მდე-

---

4 გეორგიკა, ტ. II, გვ. 73.
5 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 33.
6 იქვე, გვ. 36.
7 გეორგიკა, ტ. II, გვ. 72.

ბარე მთელი ქვეყანა არის ლაზური და ასეც იწოდება"[8]. ეს ადგილიც ემთხვევა რიონის მიდამოებს. ამრიგად ლაზების მიერ დასახლებული პუნქტები და ქალაქები მოთავსებული იყო, ვიმეორებთ, შავი ზღვის სანაპიროზე, სახელდობრ, რიონის მარჯვენა მხარეზე.

ლაზების სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი იყო შავი ზღვა.

ლაზებს ეკუთვნოდათ სასაზღვრო ციხე-სიმაგრეები სკანდა და შორაპანი. ეს ორი სიმაგრე მათ ააგეს იბერიის საზღვრებზე. ამ სიმაგრეების შესახებ პროკოპი წერდა: „ლაზთა ორი ციხეა ზედ იბერიის საზღვრებთან, სკანდა და სარაპანისი: ისინი მდებარეობენ მკაცრსა და მეტად ძნელსავალ ადგილებში და ძნელად თუ მიუდგება იმათ კაცი. ეს ციხეები ლაზებს ძველად აუგიათ დიდი გაჭირვებით, რადგან იქ საზრდო სრულიად არაფერი მოდის და მშენებელთ ზურგით უხდებოდათ იქ სურსათის მიტანა"[9]. ამრიგად ლაზებს აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა იბერია. ლაზებსა და იბერიას შორის საზღვარი გადიოდა სკანდასა და შოროპანზე, რომლის შესახებ ზემოთ აღვნიშნეთ. ლაზებს ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა სვანეთი და სკვიმნია, რომელიც მოიცავდა მერმინდელ რაჭასა და ლეჩხუმს. ჩრდილოეთით კი ესაზღვრებოდა აფსილეთი.

ბევრ მკვლევარს აინტერესებდა დასავლეთ საქართველოს ტომების ტერიტორიის და მათი ვინაობის გარკვევა, რის გამოც მათ ამ საკითხს მიუძღვნეს ზოგიერთი ნარკვევი, მაგრამ, ალბათ საჭირო წყაროების უქონლობის გამო, ზოგ შემთხვევაში არასწორ აზრს გამოსთქვამენ დასახელებული ტომების დახასიათებისას.

აკად კ. კეკელიძე ერთ-ერთ ნაშრომში ეხებოდა ლაზების საკითხს, რომელთა მიერ დასახლებული ტერიტორია შემდეგნაირად განსაზღვრა: „В VI веке по Р. Х. южную границу Лазики составлял город Петра, лежавший несколько выше устьев реки Акампсиса или нынешнего Чороха, восточную — Иверия, отделявшаяся от нее крепостями Scanda и Sarapanis, северную и северо-восточную — Свания, которая, будучи тогда более обширною, включала в себя нынешний Лечхуми и значительную часть северной Рачи; северо-западную — Авазгия и

---

8 გეორგიკა, ტ. II, გვ. 96.
9 იქვე, გვ. 155.

Апсилия и западную — понт Евксинский"[10]. აქ ლაზების ჩრდილო-დასავლეთით მოსაზღვრე ტომებად დასახელებული არიან აბაზგები და აფსილები. ეტყობა აქ კ. კეკელიძეს ლაზების ეთნიკური ერთეული ჰქონდა მხედველობაში. მაშინ ლაზების ამავე მხრით მოსაზღვრე იყო აფსილია და არა აბაზგია. ამას ამტკიცებს მისივე სიტყვები: „Апсилы занимали приморский берег между Лазами и Авазгами. От Лазов отделяла их, судя по описанию Плиния (79 г. по Р. Х.), река Астелеф, или Ингур нашего времени, а от Авазгов Коракс или нынешний Кодори"[11]. ჩვენ გვგონია, რომ სწორი არ უნდა იყოს აფსილებისა და ლაზების საზღვრად მდ. კოდორის აღიარება. ამის შესახებ კი ქვემოთ.

მტკიცება იმისა, რომ ლაზები და მეგრელები იყვნენ სხვადასხვა ტომები არაა სწორი. კ. კეკელიძის აზრით ქვეყნის სახელწოდებაც იცვლებოდა გაბატონებული ტომის სახელთან ერთად, ე. ი. ხან ლაზიკად იწოდებოდა და ხან სამეგრელოდ. ამის შესახებ ის წერს: „Мингрельцы и Лазы составляли часто одно политическое целое; в этом союзе руководящую роль играли иногда Мингрельцы, и тогда название Мингрельцев переносилось на Лазов и под Мингрелиею, как напр., при императоре Ираклии, понималась Лазика; иногда же гегемония находилась в руках Лазов, и страной Лазов или Лазикой считалась не только Лазика в собственном смысле, но и Мингрелия"[12]. სად იმყოფებოდა ე. წ. ლაზიკა, რომელიც კ. კეკელიძეს მხედველობაში აქვს?

უნდა აღვნიშნოთ, რომ არა მარტო ხშირად ერთ პოლიტიკურ ერთეულს შეადგენდნენ ლაზები და მეგრელები, არამედ ისინი, განსაკუთრებით კი ეგრისის სამეფოს დაარსებიდან, ერთ მთლიან პოლიტიკურ ერთეულს შეადგენდნენ. ქვეყნის სახელწოდებანი „ლაზიკა" და „ეგრისი" აღნიშნავდნენ ერთსა და იმავე პოლიტიკურ ერთეულს და აქ ლაზების ან მეგრელების ჰეგემონიას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ქართულ წყაროებში სამეგრელო ფიგურირებულია როგორც ეგრისი, ხოლო ბერძნულ წყაროებში კი იწოდება ლაზიკად. ამის შესახებ აკად. ს. ჯანაშია წერდა: „ახალ სახელმწიფოს (მხედველობაშია IV საუ-

---

10 К. Кекелидзе, сведения груз. источн. о пред. Максиме. Исповеднике, оттиск из журн. «Труды киевской духовной Академии», 1912, стр. 19.
11 იქვე, გვ. 26.
12 იქვე, გვ. 19.

კუნეში ლაზების მიერ დასავლეთ საქართველოს გაერთიანება—მ. გ.) ბიზანტიელები „ლაზიკეს“ ეძახიან, ქართული წყაროები — „ეგრისს“, სომხები — „ეგერქს“. „ეგრისიდან“ არის ნაწარმოები ტომური სახელწოდება „მეგრელიც“... რადგანაც ყველაფრიდან ჩანს, რომ სწორედ „ეგრისი“ იყო ადგილობრივი სახელწოდება, ამიტომ ჩვენც ყოველთვის ამ ტერმინს ვიხმართ“[13]. აშკარაა რომ „მეგრელი“ და „ლაზი“ ერთი და იგივე ტომის სახელწოდებაა. ჩვენ როცა ვმსჯელობთ ლაზების შესახებ, ვგულისხმობთ მეგრელებს. ამიტომ მათი საზღვრების დადგენისას მხედველობაში გვაქვს მათი ეთნოპოლიტიკური მთლიანობა.

საისტორიო მწერლობაში დადგენილია, რომ ლაზებს დასავლეთით ესაზღვრებოდნენ აფსილები. ლაზებისა და აფსილების საზღვარი მოდიოდა დაახლოებით მდინარე ენგურზე. პ. ინგოროყვას აზრით კი „შუა სოფელში, ე. ი. ტერიტორიაზე ეგრის-წყლიდან (მხედველობაში აქვს მდ. ღალიძგა—მ. გ.) ვიდრე კელასურამდე—მოსახლეობდნენ ეგრისელნი,—მეგრელ-ლაზნი“[14]. აღნიშნულ ტერიტორიაზე და უფრო სამხრეთითაც მდ. ენგურამდე ცხოვრობდნენ აფსილები და ეს ტერიტორიაც იწოდებოდა აფსილიად. აქ მოსახლე აფსილები მის სამხრეთით მოსაზღვრე მდინარეს „ეგრგს“-ს უწოდებდნენ და ეს სახელწოდება მათ დღემდე შემოინახეს და ამჟამად აფხაზები მას ასევე უწოდებენ. მდინარე ეგრისის ძველი სახელწოდება „ეგრი“ დღემდე აფხაზურ მეტყველებაში იმავე მდინარეს აღნიშნავს. ეს გარემოება საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ აფხაზურ მეტყველებაში ამ მდინარის ძველი სახელწოდების შენარჩუნება დღემდე შეუძლებელი იქნებოდა, რომ აფხაზებს (აფსილებს) არ ეცხოვრათ მის მიდამოებში დიდი ხნით მაინც. როცა ვამბობთ აფხაზებს — ვგულისხმობთ აფსილებსაც, ვინაიდან აფხაზების დღევანდელი სახელწოდება „აფსუა“, ეტყობა, წარმოიშვა „აფსილია“-საგან. ეს ტერმინი პირველად უნდა გამოთქმულიყო „აფსილ-უაა“-დ. შემდეგში ეს სიტყვა ოდნავ შეიცვალა და ამჟამად გამოითქმის „აფსუა“-დ, რაც ნიშნავს აფსილიის ხალხს. შეიძლება მიუთითოთ იმ გარემოებაზე, რომ არსებობს გვარი „აფშილაა“, რაც წარმოშობილი უნდა იყოს „აფშილ“-ისაგან. მსგავს მოვლენას ადგილი აქვს ქართველებისა და მეგრელების სახელწოდებათა აფხაზურ გამოთქმებთან დაკავშირებით. მაგ.: ქართველზე ამ-

---

13 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 255.

14 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, 1954, გვ. 129.

ბობენ „აქგრთუა“-ს წარმოშობილი „ქართლ-უაა“-საგან, რაც ნიშნავს ქართლის ხალხს. ასევე მეგრელზე ამბობენ „აგგრ-უას“-ს, რომელიც წარმოიშვა „ეგრგ-უაა“-საგან და ნიშნავს ეგრისის ხალხს.

მდინარე ეგრისის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები მოეპოვება ვახუშტი ბატონიშვილს. ვახუშტი აფხაზეთის აღწერისას ამბობს: „ხოლო სიგრძე ქვეყნისა ამისი არს ლიხის მთის თხემიდამ შავს ზღვამდე, და მერმე კიდევ ეგრისის მდინარიდამ ვიდრე ზღვამდე“[15]. აქ ეგრისი საკუთრივ აფხაზეთის საზღვარია, ხოლო ლიხის მთა კი—დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთი საზღვარი. შემდეგ ტერმინის „მეგრელის“ წარმოშობას ეხება და წერს: „ხოლო ესე ოდიში ისახელა ორითა სახელითა: პირველად მეეგრელნი, რამეთუ ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა ეგრი. ამას სწერენ ევროპელნი კოლხიდად, სადიდამ იაზონ წარიღო ოქროს რუნი ანუ საწმისი. არამედ ჭალაკი იგი აქა არასადა მოიპოების, არცა მატიანე ჩვენი მოიხსენებს მას, გარნა რამეთუ მას ჟამსა ეგრის-წყალს იქითი—დასავლეთისა—ეპყრათ ბერძენთა, აქ არს ადგილი იგი. ამისთვის უწოდეს მეეგრელნი“[16]. აქ ეგრის-წყალი უდრის იმ მდინარეს, რომელიც ჩამოუდის იმ ადგილს, სადაც „ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა ეგრი“. ვახუშტის მიხედვით „მეგრელის“ წარმოშობა დაკავშირებულია ქალაქ „ეგრის“ სახელთან. ვახუშტის აღწერილობის მიხედვით ქალაქი, ან დაბა ეგრი მდებარეობდა მდ. ენგურის ნაპირზე. ამ მოსაზრებას ადასტურებს ვახუშტის შემდეგი სიტყვები: „ამ ზუგდიდის აღმოსავლით, მთის ძირზედ, არს ჭელენჯიხი, ეკლესია გუნბათიანი, დიდშენობა, მშვენიერი, კეთილს ადგილს. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ჭანის მდინარისა და დადის მდინარის შორისის ადგილთა, კავკასიდამ ზღვამდე. ამის ჩდილოთ დის მდინარე ეგური (ჭელენჯიხის ჩრდილოეთით პირველი—მ. გ.), წოდებული დაბის გამო. გამოსდის მასვე სვანეთსა და ოდიშს შორის კავკასსა, მოდის აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, მიერთვის ზღვას ანაკრიას“[17]. აქაც ვახუშტი მიუთითებს, რომ მდინარე ეგურმა სახელწოდება მიიღო დაბის გამო. თუ „ეგური“ მდინარეს დაბის გამო ეწოდა, მაშინ ეგრი ბედიას არ უდრის, ვინაიდან ქალაქი მდინარე ენგურზე იყო აშენებული.

ვახუშტის ზემოთმოყვანილი ცნობებიდან ირკვევა, რომ მდინარე ეგური უდრის მდინარე ეგრისს. ეს ის მდინარეა,

---

15 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 144.
16 იქვე, გვ. 165.
17 იქვე, გვ. 167.

რომელიც ქალაქ ეგრის ჩამოუდის, ხოლო ეგრის ჩამოუდის მხოლოდ ერთი მდინარე (დასავლეთით).

ვახუშტის ეგულება მეორე მდინარე — ეგრისის წყალი, რომელიც ზღვას ერთვის ილორთან. ამ მდინარის შესახებ შემდეგს წერს: „ხოლო ამ ეგრისის მდინარესა ზედა, მთასა შინა, არს ეგრი, სადაცა მოვიდა პირველად ეგროს, ძე თარგამოსისა, და აქა აღაშენა ქალაქი და დაიპყრა საზღვარი თვისი“[18]. როგორც ჩანს ეს ის მდინარეა, რომლის ნაპირზე ეგროსმა აღაშენა ქალაქი ეგრი. ეგრი თუ ბედიაა, მაშინ ეგრისი ღალიძგას არ უდრის. გარდა ამისა ღალიძგის სათავე იწყება მთა ხოჯალიდან და არა სვანეთიდან. ჩვენ გვგონია, რომ ვახუშტიმ შეცდომით უწოდა ამ მდინარეს „ეგრისის წყალი“. ასეთი შეცდომა დაუშვა მდინარე მოქვის აღწერისას, რომლის შესახებ წერს: „ხოლო ამ ეგრისის მდინარის დასავლით დის მოქვის მდინარე ჩდილოდამ სამხრით. გამოსდის კავკასს და მიერთვის ილორს ზღვას“[19].

სავსებით სამართლიანად აღნიშნავს აკად. ივ. ჯავახიშვილი, როცა ეხება დასავლეთ საქართველოს აღწერას, რომლის შესახებ ბუნდოვან ცნობებს გვაწვდიან ისტორიკოსები და მწერლები, რომ „ეს გარემოება, რასაკვირველია, იმით აიხსნება, რომ ჩვენმა ისტორიკოსებმა საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილის მიწა-წყალი კარგად იციან, დასავლეთის შესახებ – კი მხოლოდ საზოგადო წარმოდგენა აქვთ“[20].

ვახუშტი ხაზს უსვამს, რომ „ეგრის-წყალს იქით—დასავლეთისა — ეპყრათ ბერძენთა“. ისმება კითხვა: როდის იყო, რომ ღალიძგის დასავლეთით (თუ ეგრის წყალი ღალიძგას უდრის) ბერძნებს ეპყრათ? ჩვენ ვიცით, რომ VI საუკუნის პირველ ნახევარში აფსილია ლაზების მეფეს ემორჩილებოდა. ამდენად აფსილიის დასავლეთი საზღვარი შეიძლებოდა ყოფილიყო ბერძენთა საზღვარი თუ ვახუშტი გულისხმობს VI საუკუნეს, ვინაიდან ამ დროს აბაზგია არ ემორჩილებოდა ლაზთა მეფეს; ის ბიზანტიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. არ მოგვეპოვება აგრეთვე ცნობები იმის შესახებ, რომ ამავე საუკუნის მეორე ნახევარში აბაზგია შესულიყოს ლაზიკის პოლიტიკურ ერთეულში. თუ ეგრის-წყალი აფსილიის აღმოსავლეთი საზღვარი იყო და ამავე დროს ბერძენთა სამფლობელოს საზღვარიც, მაშინ გამოდის, რომ აფსილია ლაზიკის პოლიტიკურ ერთეულში აღარ შედიოდა. თუ ვახუშტის აღ-

---

18 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 166.
19 იქვე, გვ. 169.
20 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, გვ. 19.

წერა ეზება VI საუკუნეს, მაშინ ეგრის-წყალი ბერძენთა სამ-ფლობელოს საზღვარი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. მომ-დევნო ხანებშიაც ასეთ მოვლენას არ ჰქონია ადგილი.

ლეონტი მროველისა და ვახუშტის ეგრის-წყალის შესა-ხებ აკად. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ლეონტი მროველი ამ-ტკიცებს, რომ ქ. ეგრისს „აწ... ჰქვიან ბედიაი"-ო (ც-ა მფ-თა 98, გვ. 3). ამიტომ, ალბათ, მას ეგრისის წყალი იქვე ბედიის მახლობლად ეგულებოდა. კლისური ეთანასწორება ახლანდელს მდ. კელასურს, რომელიც სოხუმის სამხრეთით ერთვის შავს ზღვას. მაშინ ეგრისის წყლად უნდა მდ. ოხოჯი ყოფილ-იყო"[21].

რამდენადაც ზოგი წყაროს მიხედვით (ჯუანშერი) ეგრის-წყალი საბერძნეთის საზღვრად არის აღიარებული იმათგანაც, მროველი, ვახუშტი) ჩრდილოეთით, აკად. ივ. ჯავახიშვილი შემდეგ მოსაზრებას გამოსთქვამს: „ეს ორი მსგავსი სახელის მქონე მდინარე ვგონებ გარეგნობითაც მაინც განსხვავდებიან — ჩრდილოეთისა იწოდებოდა „ეგრისის წყლად", სამხ-რეთისა „ეგრის წყლად"[22]. რამდენადაც ეგრის თუ ეგრისის წყალი საბერძნეთის საზღვრად არის აღიარებული იმათგანაც, ვისაც ჩრდილოეთით ეგულებათ, ამდენად ეს უნდა ყოფილი-ყო მართლაც ჩრდილოეთი საზღვარი, რომელიც სინამდვი-ლეში საბერძნეთის საზღვარს წარმოადგენდა.

ვახუშტის ცნობებში ენგურისა და ეგრის თუ ეგრისის წყლის სახელების წარმოშობა დაკავშირებულია ქალაქ ეგრითან. ასე რომ, ეგროსმა ააშენა ქალაქი, ჩანს ერთ ადგი-ლას და ამ ადგილის სახელთანაა დაკავშირებული ლაზების მერმინდელი სახელწოდება — „მეგრელის" წარმოშობა.

ვახუშტის აღწერილობის მიხედვით ეგრის-წყალი (თუ ეს მდ. ღალიძგაა) მიედინება ილორის წმინდა გიორგის ეკლე-სიის აღმოსავლეთით, რაც სინამდვილეს ეწინააღმდეგება. ჩვენ გვგონია, რომ ილორის დღევანდელი ეკლესია აგებუ-ლი უნდა იყოს დაახლოებით ძველი ეკლესიის ადგილზე. თუ ეს ასეა, მაშინ ილორის ეკლესია მდ. ღალიძგას აღმოსავლე-თით დაშორებულია რამდენიმე კილომეტრით. ასე რომ, ვა-ხუშტის მიერ ეგრის-წყლის აღწერილობა ჩვენთვის მიუღე-ბელია როგორც არასწორი.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ქართულ წყაროებ-ში საქართველოს და საბერძნეთის საზღვრად დასახელებუ-ლია ეგრის-წყალი და არა ეგრისის წყალი. ამის შესახებ

---

21 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, გვ. 19.
22 იქვე, გვ. 19.

ცნობები მოეპოვებათ ჯუანშერსა და ვახუშტის. ჯუანშერი ერთ ადგილას წერს: „ეგრის წყლითგან ვიდრე მდინარედმდე მცირისა ხაზარეთისა—ესე საზღვარი არს საბერძნეთისა ალექსანდრობითგან, რომელი აწ შენ მიგიღია მკლავითა ჩუენგან“[23]. მეორე ადგილას წერს: „მასვე ჟამსა გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრის-წყალს ქუემოთი კერძი ყოველი, და დაიპყრეს ეგრის-წყლითგან ვიდრე ციხე-გოჯადმდე“[24]. ვახუშტი კი წერს: „მაშინ კვლავ წარუხვნეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღვისპირნი ეგრის წყალს იქითნი“[25], „...გარნა რამეთუ მას ჟამსა ეგრის-წყალს იქითი — დასავლეთისა — ეპყრა ბერძენთა“[26]. მაშასადამე, საზღვარი ეგრის-წყალი და საერთოდ ეგრის-წყალი, რომლის სახელწოდება დაკავშირებულია ეგროს თარგამოსისძეს სახელთან, უნდა იყოს ენგური, რომლის აღწერილობა სინამდვილეს ემთხვევა.

პ. ინგოროყვა თავის შრომაში „გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა“, ამტკიცებს „ეგურის“ და „ეგრისის“ შორის ეტიმოლოგიური კავშირის არსებობას. ის წერს: „ე-გურ-ისი და ე-გერ-ისი, საიდანაც, ქართული ენისათვის ჩვეულებრივი. ფონეტიკური წესის — რედუქციის (ძირის ხმოვნის ამოღების) გზით, მიღებულია: ე-გრ-ისი“[27]. თუ მართლაც ეგრისი წარმოშობილია ეგურისაგან (რედუქციის შედეგად), მაშინ უეჭველი უნდა იყოს ისიც, რომ მდ. ეგრისი უდრის მდ. ეგურს (ენგურს).

ამრიგად, ეგრის-წყალი უნდა ყოფილიყო ბუნებრივი საზღვარი ორ სახელმწიფოს შორის და ამავე დროს ორ მეზობელ ტომს შორისაც.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ აფსილების სამხრეთი საზღვარი გადიოდა მდინარე ენგურზე და ენგურიდან მდ. გუმისთამდე ტერიტორია დასახლებული იყო აფსილებით. ამ მოსაზრების დასაზუსტებლად შემდეგ დამატებით ცნობებს მოვიყვანთ.

როგორც ცნობილია, აფხაზეთის სამხრეთ საზღვრად აღიარებული იყო ეგრის-წყალი. ეს საზღვარი VIII საუკუნეში იცვლება სხვადასხვა პოლიტიკური მიზეზების გამო (ჯერ მდ. კელასურით, შემდეგ კი მდ. ჭოროხით). დასავლეთ საქართველოს გაერთიანების შედეგად ლაზებს მეტი

---

23 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 177.
24 იქვე, გვ. 146.
25 ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, თბილისი, 1885, გვ. 112.
26 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 165.
27 პ. ინგოროყვა, დასახელებული შრომა, გვ. 138.

შესაძლებლობა მიეცათ გადმოსახლებულიყვნენ დასახელებული მდინარის მარჯვენა მხარეზე და მეტად განმტკიცებულიყვნენ. VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XVII საუკუნემდე საკუთრივ აფხაზეთი საქართველოს ერთ პოლიტიკურ ერთეულში შედიოდა. აფხაზეთის მთავრების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის იწყება XVII საუკუნიდან. ამ ბრძოლის შედეგად სამეგრელოსა და აფხაზეთის პოლიტიკური საზღვარი ხშირად იცვლებოდა და აფხაზეთის საზღვარი სამხრეთით მდ. ენგურს არ გასცილებია. XVII საუკუნიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე ხომ ალარ შეეძლოთ აფხაზებს მდ. ღალიძგიდან ენგურამდე მცხოვრები ხალხი გაერეკათ და მათი ადგილი დაეკავათ, ან მათზე ისეთი ძლიერი გავლენის მოხდენა, რომელიც შესამჩნევი იქნებოდა ასიმილაციის მხრივ. XIX საუკუნის დასაწყისში ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის შესახებ ასეთ ცნობას იძლევა მ. სელეზნიოვი: „С Ингура начинается Самурзакан, теперь область Русская, имеющая жителей совершенно различных нравами от Мингрельцев. Эта страна до ныне спорная меж Абхазиею и Мингрелиею: по положению, языку и поколению жителей неотъемлемая частица Абхазии, по праву силы принадлежала Мингрелии"[28].

სამურზაყანოს მოსახლეობის აფხაზურობაზე აღნიშნულია აგრეთვე ჩვენთვის ცნობილი „Абхазия и в ней Ново-Афонский Симоно-Канонитский монастырь"-ის ავტორსის წერს: „ Нет сомнения, что округ этот (სამურზაყანო — მ. გ.), спорный между владетелями Мингрелии и Абхазии, должен бы принадлежать Абхазии, так как его жители Абхазского племени и ничего общего не имеют с Мингрельским"[29]. ის აღნიშნავს, რომ სამურზაყანოს ტერიტორიაზე მეგრელებიც ცხოვრობდნენ. აქ, როგორც ჩანს, მეგრულის გავლენა შედარებით ძლიერი იყო. აი რას ამბობს იგი: „Наконец Самурзаканский участок идет от р. Гализги до р. Ингура, т. е. до границ Мингрелии... Населен этот участок Самурзаканцами — племенем абхазского происхождения с значительной примесью мингрельского элемента"[30]. აქვე უმატებს: „Безспорно, самурзаканцы аб-

---

28 М. Селезнев. Руководство к познанию Кавказа, СПБ, 1847, кн. 1, стр. 135.

29 И. Н. Абхазия и в ней Ново-Афонский Симоно-Канонитский монастырь, Москва, 1898, стр. 74.

30 იქვე, გვ. 24.

хазского происхождения и среди них мингрельский элемент явился сравнительно очень недавно»[31].

ამ უკანასკნელ ცნობაში (თუ ის სავსებით სარწმუნოა) აღნიშნულია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. სამურზაყანოზე სამეგრელოს გავლენის გავრცელება დაწყებულა შედარებით გვიან, შესაძლებელია სამეგრელოდან აფხაზეთის გამოყოფის პირველი ცდების შემდეგ, რათა ეს მხარე დარჩენილიყო სამეგრელოს მთავრების განკარგულებაში. ამ გავლენის შედეგად ძლიერდებოდა ადგილობრივი ხალხის ასიმილაცია მეგრელების მიერ. ამის შედეგს უნდა წარმოადგენდეს ის ფაქტი, რომ ამჟამადაც, განსაკუთრებით კი გალის რაიონში, აფხაზური გვარების მეგრული დაბოლოებით (ეზუგბაია, ყოლბაია, თარბაია, ჩაჩიბაია და სხვ.) დიდი რაოდენობით არსებობა.

ასეთსავე აზრს გამოსთქვამს ს. ბრონევსკიც. მისი ცნობების მიხედვით XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში აფხაზების სამხრეთ საზღვარს წარმოადგენდა მდ. ენგური. ი რას წერს: „Абхазы живут по берегу Чернаго моря, начиная от реки Енгури, по следующим рекам от Юга на Север“[32]. ასეთნაირადვე აღწერს აფხაზეთს ი. პანტიუკოვი. ის წერს: „Самурзакан искони составляла нераздельную часть Абхазии, это между прочим доказывается тем: что соседний с нею абживский округ Абхазии в переводе на русский язык значит средний, что дворянския и княжеския фамилии, кроме одной (Чхотуа), в Абхазии и Самурзакани теже самыя, и наконец тем, что по словам окумского благочиннаго г. Мачавариани, даже теперь, несмотря на большое влияние грузинскаго элемента, нравы самурзаканцев больше подходят к абхазским, чем мингрельским“[33].

ყველა ამ დასახელებულ ცნობათა შედარების შედეგად ჩვენის აზრით, შეიძლება გავაკეთოთ ერთი დასკვნა, რომ შუა საუკუნეებშიც აფხაზეთის სამხრეთი საზღვარი გადიოდა მდ. ენგურზე.

ამრიგად, ჩვენი აზრით აფსილები ცხოვრობდნენ დღევანდელი სოხუმის, ოჩამჩირის და გალის რაიონებში, და ეს ტერიტორია იწოდებოდა აფსილიად. მხედველობიდან არ უნდა გამოვტოვოთ ის გარემოებაც, რომ აფსილებსა და მეგრე-

31 И. Н., დასახელებული შრომა, გვ. 27.

32 С. Броневский. Новейшие географические и исторические известия о Кавказе, часть 1. Москва. 1823, стр. 326.

33 Газета «Кавказ», № 97, 1865 г. статья И. Пантюхова «Абхазцы».

ლებს შორის არ იყო ისეთი საზღვარი, რომელიც კრძალავდა

აფსილებისა და მეგრელების ერთად ცხოვრებას: ადვილი შესაძლებელი იყო მეგრელების გადმოსვლა აფსილების ტერიტორიაზე და პირიქითაც. ამას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ აფსილია შედიოდა ლაზიკის პოლიტიკურ ერთეულში.

როგორც აღვნიშნეთ, აფსილიის სამხრეთი საზღვარი უნდა ყოფილიყო მდინარე ენგური. ამ საკითხთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს კელასურის ზღუდეს. ამ კედლის მშენებლობის ზუსტი დათარიღება ძნელია, სანამ სათანადოდ არ იქნება შესწავლილი არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია დავუმატოთ, რომ ამ კედლის მშენებლობა უნდა დაწყებულიყო იმ დროს, როცა ბიზანტიის იმპერია ყველაზე მეტად დაინტერესებული იყო დასავლეთ საქართველოთი. ამის შესახებ ვ. დონდუა წერს: „დაახლოებით იმავე დროს (იუსტინიანეს მოღვაწეობისას—მ. გ.) დაწყებულა აფხაზეთში 160 კილომეტრის სიგრძის თავდასაცავი კედლის, „კლისურის (კელასურის) ზღუდის“ მშენებლობა“[34]. ასეთ დიდ სიმაგრეს სჭირდებოდა დამცველი რაზმი საკმაო დიდი რაოდენობით, რომლის შენახვა VI საუკუნისათვის შეეძლო მხოლოდ ორ სახელმწიფოს—ბიზანტიას და ირანს. თვით კედელი მიუთითებს იმაზე, რომ ის იცავდა ბიზანტიის იმპერიის შორეულ საზღვრებს ჩრდილოეთი ტომების თავდასხმებისაგან. ამჟამად კი ჩვენ გვაინტერესებს არა მისი მშენებლობის დათარიღება, არამედ მისი დანიშნულება. ჩვენი აზრით ეს კედელი შემოფარგლავდა გარკვეულ პოლიტიკურ ერთეულს (VI საუკუნეში ყოველი ეთნიკური ერთეული, შემავალი ლაზიკის სამეფოში, შეადგენდა პოლიტიკურ ერთეულსაც). ამ კედლის შესახებ შარდენი წერს: „Она была некогда защищена от абхазов с северной стороны стеною в шестьдесят миль длины, которая давно уже разрушилась“[35].

თუმცა შარდენის ცნობა არ წარმოადგენს მეცნიერულ ანალიზს, არამედ ის ატარებს აღწერილობით ხასიათს. მიუხედავად ამისა უნდა აღვნიშნოთ, რომ, თუ აფსილია შედიოდა ლაზიკის პოლიტიკურ ერთეულში, მაშინ სავარაუდოა, რომ შარდენის აფხაზებში იგულისხმებიან აბაზგები.

უვაროვას, დიუბუას, ჩერნიავსკის და კუდრიავცევის აღწერის მიხედვით ეს კედელი გადიოდა შემდეგ ადგილებზე:

---

34 საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 100.

35 Путешествие Шардена по Закавказью в 1672—1673 гг., 1902 г. Тифлис, стр. 21.

მოქვი, ბედია, ოქუმი და აღწევდა მდ. ენგურამდე. შემდეგ კი მდინარის გაყოლებით ზღვამდე საზვერავი კოშკები იყო აშენებული. კედელი იწყებოდა მდ. კელასურის შესართავთან. ეს კედელი იცავდა ლაზიკას, როგორც ბიზანტიის იმპერიის უკიდურეს აღმოსავლეთ პროვინციას, ჩრდილოეთი მეზობლების თავდასხმებისაგან. რამდენადაც აფსილია ლაზიკის ჩრდილოეთ საზღვარზე მდებარეობდა, ამდენად ეს კედელი შემოფარგლავდა აფსილიას.

რამდენადაც ყოველი ეთნიკური ერთეული იმავე დროს პოლიტიკურ ერთეულსაც შეადგენდა, ამდენად დასახელებული კედლის მშენებლობისას ლაზიკის მეფე არ დათანხმდებოდა მისი ქვეყნის ნაწილის აფსილიასთან ერთად გამიჯვნას, ე. ი. სპეციალური ძლიერი სათავდაცვო კედლით შემოფარგვლას, ვინაიდან ხელსაყრელ პირობებში აფსილიას შეეძლო ლაზიკისათვის წაერთმია ეს ტერიტორია. ლაზიკის მეფის ეს სურვილი შეიძლებოდა გათვალისწინებული ყოფილიყო ბიზანტიის მთავრობის მიერ. ამდენად შეგვიძლია გამოვსთქვათ მოსაზრება იმის შესახებ, რომ კელასურის ზღუდე არ შემოფარგლავდა საკუთრივ ლაზიკის ტერიტორიის ნაწილს, არამედ ის ეკვროდა მხოლოდ აფსილიის ტერიტორიას. ამ კედლის გარეთ რჩებოდა აფსილიის მცირედი ტერიტორია მდ. კელასურის ჩრდილოეთით. ამ ტერიტორიის შესახებ აკად. ს. ჯანაშია წერს: „შესაძლოა დავუშვათ, რომ ვიწრო ზღვისპირა ზოლი, მდ. კელასურის შესართავიდან თვით ქალ. სოხუმის მიწაწყლითა და ამ უკანასკნელის მიჯნებამდის ასეთუისე დაკავშირებული იყო ამ რთულ სტრატეგიულ-საფორტიფიკაციო სისტემასთან“[36]. ეს კედელი ჰკეტავდა გზას მარუხის და ქლუხორის უღელტეხილებიდან გადმომსვლელთათვის. ამ გზით შემოსულ მტერს უნდა გაეარა აფსილიის ტერიტორია. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ეს კედელი განკუთვნილი იყო ამ ორი გზის ჩასაკეტავად.

მაშასადამე, ლაზების დასავლეთით მოსახლეობდნენ აფსილები, რომელთა სამხრეთი საზღვარი გადიოდა მდ. ენგურზე და გამაგრებული იყო კოშკებით. აფსილიის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი აღწევდა დაახლოებით მდ. გუმსთის ხეობამდე. მათ ეპირათ ზღვის სანაპირო ზოლი მთის ძირამდე. აფსილებს ეკუთვნოდათ ციხე წიბილი. წიბილის შესახებ პროკოპი კესარიელი წერს: „ამ ქვეყანაში (აფსილიაში—მ. გ.)

---

36 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 76.

არის ერთი ციხე, მეტად მტკიცე, ადგილობრივი მცხოვრებ-ლები მას წიბილეს უწოდებენ"[37].

თეოდოს განგრელის ცნობაში მოხსენებულია ქალაქი ფუსტა აფსილიისა და მისიმიანეთის მხარეში. ზოგიერთი მკვლევარის აზრით ეს ქალაქი უნდა იყოს სოხუმის რაიონში. ს. ყაუხჩიშვილის აზრით იგი მდებარეობდა სოფელ ალექსან-დროვსკოეში (სოხუმის რაიონი). ქალაქი ფუსტა მოხსენებუ-ლია ეპიფანე კონსტანტინეპოლელის ცნობებშიც, თუმცა მასზე დაყრდნობით ამ ქალაქის ადგილმდებარეობის განსაზ-ღვრა ძნელია, რამდენადაც ეს ცნობა არაკონკრეტულია. ეპი-ფანეს მიხედვით ეს ქალაქი მდებარეობდა აფსილიაში. თუმ-ცა ის პირდაპირ არ მიუთითებს ამაზე. ეს ირკვევა იქიდან, რომ სვანეთიდან წამოსული სიმონი და ანდრია ჩავიდნენ ფუსტაში, იქ „მრავალი დამოძღვრეს" და აქედან აბაზგიაში წავიდნენ. სვანებსა და აბაზგებს შორის სხვა ქვეყანა არ გა-უვლიათ გარდა აფსილიისა.

თეოდოს განგრელის ცნობაში მეორე საინტერესო ამბავია აღნიშნული. „როდესაც ის იყო თავის უკანასკნელ, ესე იგი მესამე ექსორიაში, იმ ციხეში, რომელსაც თუსუმესი ეწოდე-ბა და რომელიც მდებარეობს სოფელ მოქვის ზემოთ აფსი-ლიის მხარის საზღვარზე, პონტოს ზღვის აღმოსავლეთით, კავკასიის მთების ზედ ძირში, ქრისტესმოყვარე აბაზგებისა და ალანთა ტომის მახლობლად, ხუთი სიმიის მანძილზე სო-ფელ ჯიხახორიდან, ესე იგი იმავე ლაზთა ქვეყნის ჭეშმარი-ტად ქრისტესმოყვარე პატრიკიოსისა და მაგისტროსის გრი-გოლის პირველი სახლიდან"[38]. აკად. კ. კეკელიძის აზრით ეს ქალაქი უნდა ყოფილიყო დიოსკურია, ეხლანდელი სოხუმის მახლობლად. ეს აზრი არ უნდა იყოს სწორი, ვინაიდან ტექ-სტში აღნიშნულია, რომ ის მდებარეობდა სოფელ მოქვის ზემოთ აფსილიის მხარის საზღვარზე და სოფელ ჯიხახორი-დან დაშორებულია ხუთი სიმიით. კ. კეკელიძე კი წერს: „Из приведенных выше слов Феодосия Гангрского видно, что Thusumes была резиденцией магистра и патриция Авазгии, и Диоскурия, действительно, считалась столи-цей и административным центром этой страны"[39].

თეოდოს განგრელის სიტყვებიდან ჩანს, რომ თუსუმესი მდებარეობდა აფსილიის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარზე.

---

37 გეორგიკა, ტ. II, გვ. 131.
38 გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. I, გვ. 50.
39 კ. კეკელიძე, დასახელებული შრომა, გვ. 33.

სწორედ ასეთ საზღვარზე და მოქვის ზემოთ მდებარეობს სოფელი თხინა, სადაც დღესაც მოიპოვება ძველი ციხის ნანგრევები. ამდენად სავარაუდოა, რომ თეოდოს განგრელის თუსუმესი არის დღევანდელი თხინა.

აფსილების ტერიტორია დასახლებული იყო, რასაკვირველია, აფსილებით. როდესაც აფსილების სამხრეთ საზღვრებს ვიხილავდით, აღვნიშნეთ, რომ ისინი აფხაზების წინაპრები იყვნენ და მათი სახელწოდება დაკავშირებულია აფხაზების დღევანდელ სახელწოდება „აფსუა"-სთან. პ. ინგოროყვა კი თავის შრომაში „გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა", ეხება რა აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომების ვინაობის საკითხს, ვარაუდობს, რომ აფსილების ენა იყო მეგრულ-ლაზური, ხოლო მათ კი თვლის მესხ-კოლხთა ნარევ ტომად. აი რას წერს ის: „აგათია სქოლასტიკოსის ცნობის მიხედვით, აფსილები (ე. ი. აფსილეთის მხარეში მოსახლე მესხ-კოლხთა ნარევი ტომი) ენის მიხედვით, საფიქრებელია, არ განსხვავდებოდნენ კოლხებისაგან (მეგრელ-ლაზებისაგან)"[40].

აგათია სქოლასტიკოსის მიხედვით არ შეიძლება ასეთი დასკვნის გაკეთება. აგრეთვე ხელოვნურია დათქმა, ან აფსილების შეცვლა ერთგვარი ნარევი ტომით, რომელიც ცხოვრობდა აფსილეთის ტერიტორიაზე. შესაძლებელია, რომ აფსილების ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ მეგრელებიც, მაგრამ აფსილების შეცვლა მეგრელებით არაა სწორი.

არ უნდა იყოს შემთხვევითი ის ამბავი, რომ აფხაზები ატარებენ ორგვარ სახელს—„აფსუა" და „აფხაზი". ამათგან პირველი წარმოშობილია „აფსილ"-ისაგან, ხოლო მეორე „აბაზგ"-ისაგან. ამრიგად, აფხაზების სახელწოდებანი წარმოშობილია მათი წინაპრების სახელწოდებებისაგან. ხოლო ეს გარემოება კი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ აფსილები აბაზგების მონათესავე ტომი იყო.

აფსილებისა და აბაზგების საზღვარი გადიოდა დაახლოებით მდინარე გუმსთაზე. ამას ადასტურებს პროკოპი კესარიელის ცნობაც. იგი ტრაქეას აღწერისას შემდეგს ამბობს: „აფსილიის საზღვრების შემდეგ აბაზგიის შესავალში ასეთი ადგილია: მაღალი მთაა გადაჭიმული, რომელიც კავკასიის მთებიდან იწყება და თანდათან ეშვება, როგორც კიბე, და ევქსინის პონტოსთან თავდება. ამ მთის ძირში აბაზგებს ძველადვე აუშენებიათ უმტკიცესი სიმაგრე ღირსშესანიშნავი სიდიდის. აქ შეხიზნულები მუდამ იგერიებენ მტრის შემოტე-

---

40 პ. ინგოროყვა, დასახელებული შრომა, გვ. 145.

ვას, რომელსაც არსად არ შეუძლია ამ ძნელი ადგილის გადალახვა. ერთი შესავალი გზა მიდიოდა ამ ციხეშიც და აბაზგების დანარჩენ მიწაწყალზეც და იგი წყვილ-წყვილად მიმავალთათვის ძნელად გასავლელი იყო. არავითარი შესაძლებლობა არ არის იქ გასვლისა, თუ არა კაცად-კაცადად და ისიც ფეხით. ამ გზას ზედ ადგას ნაპრალი მეტად საზარი, რომელიც ციხიდან ზღვამდეა გადაჭიმული. თვით ადგილიც ამ ნაპრალის შესაფერ სახელწოდებასაც ატარებს: იქაური მცხოვრებლები ელლინურად მას „ტრაქეას“ უწოდებენ“[41]. ტრაქეა აფსილიის საზღვრების შემდეგ აბაზგიის შესავალში მდებარეობდა. ამ ადგილის აღწერილობა ზუსტად ემთხვევა ახალი ათონის ადგილმდებარეობას. დასახელებული ციხე-სიმაგრეც იყო მერმინდელი ანაკოფიის ციხე, რომელიც თავისი ადგილმდებარეობით აუღებელი იყო. მისი აღება შემდეგში მურვანმაც ვერ შესძლო.

ა. ფადეევი ტრაქეას შესახებ შემდეგს წერს: „По описанию Прокопия местонахождение ее можно определить или у современных Гагр, или у Псырцхи, или в устье р. Келасури“[42]. მისი აზრით ტრაქეა შეიძლებოდა ყოფილიყო შავი ზღვის სანაპიროს რომელიმე პუნქტზე.

აკადემიკოსი ს. ჯანაშია, იხილავს რა აბაზგიაში სოციალური ურთიერთობის საკითხს, ეხება ტრაქეასთან ბრძოლას. მისი აზრით ტრაქეა მდებარეობდა გაგრაში. ის წერს: „მოთხრობილ ამბებში მშვენივრად გამოჩნდა აბაზგიის სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა: აქ, კერძოდ ტრაქეას ციხესთან ანუ თანამედროვე გაგრასთან იდო ის კარები, რომელიც აუცილებლად უნდა გაევლო ყველას, ვინც ჩრდილოეთ-დასავლეთიდან მოდიოდა დასავლეთ საქართველოში. როგორც უკვე ზემოთ ვამბობდით, ტრაქეა-გაგრა და პეტრა-ციხისძირი ორს მოპირდაპირე კიდეზე მაგრად ჰკეტავდენ ეგრის-აფხაზეთს“[43].

პეტრა ბიზანტიელებმა ააშენეს, ხოლო ტრაქეა კი—აბაზგებმა. ბიზანტიელების მიზანი არ ემთხვეოდა აბაზგების მიზნებს. ამრიგად დასახელებული სიმაგრეების შედარება ბიზანტიისათვის მათი სტრატეგიული მნიშვნელობის მიხედვით არ მიგვაჩნია მისაღებად.

მართალია ჩრდილო-დასავლეთით აბაზგიაში შემომსვლელთათვის გაგრა წარმოადგენდა კარს, რომლის გავლა აუ-

---

41 გეორგიკა, ტ. II, გვ. 127.
42 А. Фадеев. Краткий очерк истории Абхазии., часть I, стр. 75.
43 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 73.

ცილებელი იყო, მაგრამ, როდესაც აბაზგების აჯანყებასთან დაკავშირებით ვიხილავთ ტრაქეას ადგილმდებარეობას და მის მნიშვნელობას, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ბიზანტიელები აბაზგიაში მოდიოდნენ ლაზიკიდან, ე. ი. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და არა ჩრდილო-დასავლეთიდან. აკად. ს. ჯანაშია ტრაქეას გაგრასთან გაიგივებისას ეყრდნობა პროკოპი კესარიელის ცნობას, სადაც პირდაპირ მითითებულია, რომ ეს ციხე-სიმაგრე მდებარეობდა აფსილიის საზღვრების შემდეგ აბაზგიის შესავალში. მართალია ტრაქეა მდებარეობდა აბაზგიის შესავალში, მაგრამ არა ჩრდილო-დასავლეთიდან, არამედ სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. ს. ჯანაშია კი პროკოპის აღწერილობიდან გამომდინარე ასეთ დასკვნას აკეთებს: „ვინც აფხაზეთის ზღვის სანაპიროს იცნობს, ის დაგვეთანხმება, რომ მოცემული აღწერილობა მხოლოდ გაგრას გვაგულისხმინებს—სხვაგან არსად ასეთი ადგილი არ მოიპოვება“[44].

ტრაქეა რომ დღევანდელ ახალ ათონს უდრის შემდეგი გარემოებაც ამტკიცებს. როგორც ცნობილია, 550 წელს აბაზგები ბიზანტიელებს აუჯანყდნენ. ამ დროისათვის აბაზგებს ჰყავდათ ორი თვისტომი მთავარი, ერთი აღმოსავლეთისათვის და მეორე დასავლეთისათვის. აღმოსავლეთ ნაწილში მეფობდა ოფსიტე, ხოლო დასავლეთში კი სკეპარნა. აჯანყებისას სკეპარნა — დასავლეთის მმართველი გაემგზავრა ირანის შაჰ ხოსროსთან, ხოლო აჯანყებას სათავეში ჩაუდგა აღმოსავლეთის მმართველი ოფსიტე. რამდენადაც აღმოსავლეთ ნაწილში იმყოფებოდა ისეთი სიმაგრე, როგორიც მერმინდელი ანაკოფიის სიმაგრე იყო და ამავე დროს აჯანყებას მეთაურობდა იმავე აღმოსავლეთის მმართველი, ამდენად თავდაცვის ადგილად არჩეული იქნებოდა ის ადგილი, რომელიც ოფსიტესათვის უფრო ცნობილი იყო და ამავე დროს. საკმაოდ მტკიცეც. ასევე აბაზგები მტერს დაუხვდებოდნენ მათი ქვეყნის შესავალში და უბრძოლველად მტერს არ ჩააბარებდნენ ასეთ ძლიერ სიმაგრეს. გარდა ამისა, გაგრა აბაზგიის ტერიტორიაზე არ მდებარეობდა. ამ ჩვენ მოსაზრებას ამტკიცებს თვით პროკოპის აღწერილობაც.

ყურადღების გარეშე არც იმის დატოვება შეიძლება, რომელიც ეხება აბაზგების წინააღმდეგ ბიზანტიელების ლაშქრობას. ბიზანტიელებმა სწორედ აფსილიისა და აბაზგიის საზღვარზე გადმოსხეს ჯარი და ისე წამოვიდნენ ტრაქეასაკენ. ჯარი გადმოსხეს მაშინ, როცა ციხესთან ახლოს იყვნენ.

---

44 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 74 (სქოლიოში).

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტრაქეა VI ს. უდრის დღევანდელ ახალ ათონს. ამ შემთხვევაში ჩვენ ვეთანხმებით ზ. ანჩაბაძის აზრს.

მაშასადამე, აბაზგებს სამხრეთ-აღმოსავლეთით ესაზღვრებოდნენ აფსილები.

აბაზგებს ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრებოდნენ სანიგები, ხოლო ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი. სანიგები ცხოვრობდნენ მდ. ბზიფის დასავლეთით. როგორც ცნობილია, აბაზგიას ეკუთვნოდა ზღვისპირა პუნქტი პიტიუნტი. აქვე გადის მდინარე ბზიფიც. სწორედ ეს მდინარე ითვლებოდა აბაზგიის დასავლეთ საზღვრად. სანიგები კი VI საუკუნეში არ ემორჩილებოდნენ არც აბაზგებს და არც ბიზანტიელებს. ისინი ცხოვრობდნენ თანამედროვე გაგრისა და ადლერის რაიონებში.

სანიგების შესახებ ცნობებს გვაწვდიან პროკოპი და არიანე. არიანე II ს. მწერალია და აღწერს იმ დროინდელ ამბებს. მის მიხედვით სანიგები ცხოვრობდნენ აბაზგების ჩრდილოეთით. ამავე დროს ის აღნიშნავს, რომ სანიგებს ჰყავდათ თავიანთი მეფე (სპადაგა). საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ არიანეს სანიგების ქვეყანაში ეგულება სევასტოპოლი. ის წერს: „Рядом с Авасками — Саниги, в земле которых лежит Севастополь"[45].

სანიგების ჩრდილოეთ საზღვრად ასახელებს ახეუნთას, რომელიც გადის ზიხების საზღვარზე. ამის შესახებ ამბობს: „Ахеунта, каковая река отделяет Зилхов от Санигов"[46]. პროკოპის მიხედვით კი აბაზგების შემდეგ ცხოვრობენ ზეხები, ხოლო მათ ჩრდილოეთით საგინები (სანიგები). „ამათ შემდეგ ცხოვრობენ საგინები; ამათი მიწაწყლის ზღვისპირა ნაწილი ძველითგანვე ეპყრათ რომაელებს. რომაელებმა აქ ზღვისპირას ორი სიმაგრე გააშენეს: სევასტოპოლისი და პიტიუნტი"[47], — ამბობს პროკოპი. შესაძლებელია, რომ პროკოპი, როდესაც ეხება სევასტოპოლისა და პიტიუნტის მშენებლობას, გულისხმობდეს სანიგების იმ ტერიტორიას, რომელსაც ფლობდენ ბიზანტიელები. საინტერესოა, აგრეთვე, ს. ჯანაშიას აზრი სანიგების შესახებ. ის წერს: „არიანეს მიერ წარმოდგენილი სურათიდან ჩანს, რომ ქ. ტრაპეზუნტიდან მოყო-

---

45 В. Латышев. Изв. древн. пис. греч. и лат. о Скифии и Кавказе, т. I, вып. I, 1893, Санктпетербург, стр. 222.
46 იქვე, გვ. 224.
47 გეორგიკა, ტ. II, გვ. 105.

ლებული მდ. ბზიფის ხეობამდის (აფხაზეთში), ერთმანეთის მეზობლად, შემდეგი ტომები სახლობდნენ: სანები, მაკრონები და ჰენიოხები, ზუდრეიტები, ლაზები, აფსილები, აბასკები და სანიგები"[48]. მისი აზრით სანიგებიც მდ. ბზიფის აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ. ამ შემთხვევაში ხომ არ გულისხმობს ამ ტერმინში ეთნიკურ ცნებას, მიუხედავად იმისა, რომ სანიგებს განასხვავებს აბაზგებისაგან? არა. მისი აზრით სანიგები ჭანურ-მეგრული ტომის ერთ-ერთ შტოს ეკუთვნიან, რომლებიც ცხოვრობდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზების აქ მოსვლამდე (რაც საეჭვოა). ის წერს: „ამიტომ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ „სანიგი" არის „სანისავე" ფუძიდან ნაყარი ვარიანტული სახელწოდება იმ მეგრული მოდგმის ტომისა, რომლის არსებობა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, აქ აფხაზთა დამკვიდრების უწინარეს, უეჭველობით არის საგულისხმებელი"[49].

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ აფსილები და აბაზგები დღევანდელი აფხაზების წინაპრები იყვნენ. თუ აფხაზების წინაპრები აქ არ ცხოვრობდნენ, რა პირობები უნდა შექმნილიყო, რომ ასეთ მცირე ტომს განედევნა სანიგები — ს. ჯანაშიას მიერ მეგრული მოდგმის ხალხად წოდებული? „სანიგი" იმავე ხალხის სახელწოდება იყო, რომელიც ცხოვრობდა დასახელებულ ტერიტორიაზე არიანეს დროს. იგივე სანიგები ცხოვრობდნენ პროკოპი კესარიელის დროსაც.

ამ შემთხვევაში ერთგვარად ემთხვევა არიანეს და პროკოპის ცნობები ერთიმეორეს. ამავე დროს ამ ორივე ცნობის მიხედვით სანიგების ქვეყანაში მდებარეობდა პიტიუნტი. პროკოპისა და არიანეს ცნობების სისწორეში ეჭვს თუ არ შევიტანთ, მაშინ ტერმინი „სანიგი" (პროკოპის საგინი) ორგვარი შინაარსით გაიგება: ერთი (პირველ შემთხვევაში) როგორც პოლიტიკური ერთეული და მეორე შემთხვევაში, როგორც ეთნიკური ცნება. როდესაც დასახელებული მწერლები სანიგების შესახებ, ან ზეხების შემდეგ მცხოვრებ ხალხზე წერენ, გულისხმობენ პოლიტიკურ ერთეულს, ხოლო როცა ძიუთითებენ მათ ტერიტორიაზე სევასტოპოლისა და პიტიუნტის არსებობაზე, გულისხმობენ ეთნიკურ ცნებას. თუ ამ მოსაზრებას სწორად ჩავთვლით, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აბაზგები და სანიგები მონათესავე ტომები იყვნენ და დასახელებული მწერლები არ ანსხვავებდნენ მათ ეთნიკურად, და ეტყობა, ისინი დასახელებული ტომების ენას ვერ

---

48 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 208.
49 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, გვ. 11.

ანსხვავებდნენ ერთიმეორისაგან. გამომდინარე ყოველივე აქედან, სწორად მიგვაჩნია მ. ივაშჩენკოს შეხედულება სანიგების შესახებ. ის წერდა: „Что касается сагидов, то это или другое наименование тех же авазгов, или одно из племен, на которые они подразделялись“[50].

თუმცა ჩვენ აღვნიშნეთ, რომ აბაზგების ჩრდილოეთი საზღვარი გადიოდა მდ. ბზიფზე, მაგრამ ეს უნდა ყოფილიყო აბაზგიის პოლიტიკური ერთეულის საზღვარი. პოლიტიკური ერთეული სანიგებისა, რომლის შესახებ ცნობებს გვაწვდიან ისტორიკოსები, მდებარეობდა მდ. ბზიფის დასავლეთით, რომლის შესახებ სავსებით სამართლიანად აღნიშნავს ზ. ანჩაბაძე შემდეგს: „Следовательно, саниги обитали в VI веке за р. Бзыбь, на территории современного Гагрского и Адлерского районов, и, может быть, далее к северу, т. е. занимали территорию, которую впоследствии населяло абхазское племя садзов, явившееся затем одним из этнических компонентов абхазской феодальной народности“[51].

აფსილიის ზემოთ კავკასიის მთების ზედ ძირში ცხოვრობდნენ მისიმიელები, მათ ეჭირათ ტერიტორია აფსილებსა და სვანებს შორის. მისიმიელების შესახებ კ. კეკელიძე წერდა: „По всем этим данным можно заключить, что Миссимиания лежала по среднему течению реки Ингури и граничила с юга с Лазикой, с востока с Сваниею, с северо-запада — с Апсилиею и Авазгиею и севера — с Осетией и Аланией“[52].

კ. კეკელიძის ამ აზრს ეთანხმება აგათია სქოლასტიკოსის ცნობა იმავე მისიმიელების შესახებ. ის წერდა: „ისინი (მისიმიელები — მ. გ.) ამ აფსილთა ტომზე უფრო ჩრდილოეთით ცხოვრობენ, ოდნავ აღმოსავლეთისაკენ“[53]. აგათიას მიხედვით მისიმიელები ერთდროულად უნდა ესაზღვრებოდნენ აფსილებს, აბაზგებს და სვანებს.

მისიმიელები ეთნიკურად აფსილების მონათესავე ტომი იყო. აგათია სქოლასტიკოსი პირდაპირ მიუთითებს ამ ნათესაურ ურთიერთობაზე, როდესაც ეხება ბიზანტიელების მიერ აფსილებისაგან შემდგარი ელჩების მისიმიანეთში გაგზავ-

---

50 М. Иващенко, Великая Абхазская стена .Изв. АбНО„ 1926 г. вып. IV, стр. 84.

51 З. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии (VI — XVII вв.). 1959 г.. стр. 16.

52 კ. კეკელიძე, დასახელებული შრომა, გვ. 28.

53 გეორგიკა, ტ. III, გვ. 86.

ნას. ის წერს: ...„სრულიად უკუაგდეს საერთაშორისო კანონები და მაშინვე მოკლეს ეს მოციქულები, თუმცა ისინი მათ მონათესავე და მეზობელ აფსილიელთა ტომს ეკუთვნოდენ და არავითარი წილი არ მიუძღოდათ იმაში, რასაც მისიმიელები აბრალებდნენ რომაელებსა და სოტერიქეს“[54].

მისიმიელების ენა, როგორც ფიქრობს პ. ინგოროყვა, იყო სვანური, ან სვანური და მეგრული ენების შერევის საფუძველზე წარმოშობილი. ამავე დროს ამტკიცებს, რომ მისიმიელების ენა არ იყო კოლხური, ე. ი. მეგრულ-ლაზური. ამ ენის შესახებ წერს: „... ხოლო რაც შეეხება მისიმიანებს (ე. ი. მისიმიანეთის მხარეში მოსახლე სვან-კოლხთა ნარევ ტომს), მათი ენა, როგორც პირდაპირ აღნიშნავს აგათია, არ იყო კოლხური (მეგრულ-ლაზური); ამის მიხედვით მისიმიანეთის მხარის მოსახლეობის ენა ყოფილა ან სვანური, ან ადგილობრივი მისიმიანური დიალექტი, რომელიც სვანური და მეგრული ენის შერევის ნიადაგზე წარმოშობილა“[55]. შერეული ენები არ არსებობს.

მისიმიელების ენა სვანური და მეგრული ენების ნარევი რომ ყოფილიყო, მაშინ აგათია დაინახავდა ერთგვარ მსგავსებას მეგრულ ენასთან და აღნიშნავდა კიდევაც. აგათია პირდაპირ მიუთითებს, რომ მისიმიელთა ენა, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავდებოდა აფსილთა ტომის ენისაგან, „მათ მონათესავე და მეზობელ აფსილთა ტომის“ ენას უფრო ენათესავებოდა, ვიდრე სხვა რომელიმე ტომის ენას. სვანებიც იყვნენ მისიმიელების მეზობლები, მაგრამ მათ ენასთან გაიგივებული არ არის ამ უკანასკნელთა ენა.

საყურადღებოა ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრება მისიმიანთა ტომის შესახებ. ის ამ ტომის შესახებ არსებული ცნობების შედარების შედეგად შემდეგ დასკვნას აკეთებს: „ამ მოსაზრებათა საფუძველზე მისიმიანთა ქვეყნის აღმნიშვნელ სახელად მიგვაჩნია Μισσιανή ხოლო თვით ხალხისა Μισσιανο“[56]. მისიმიანთა ტომის ამ სახელწოდებას ადარებს სვანების სვანურ სახელწოდებას მგშუან“-ს და ასკვნის: „მაშასადამე, მისიმიანთა ტომი უნდა ყოფილიყო სვანთა ერთ-ერთი ტომი, დანარჩენი სვანებისაგან თავისი ყოფაცხოვრებით (შესაძლებელია ენითაც — მ. გ.) იმდენად განსხვავებული, რომ ბიზანტიე-

---

54 გეორგიკა, ტ. III, გვ. 161.

55 პ. ინგოროყვა, დასახელებული შრომა, გვ. 145.

56 ს. ყაუხჩიშვილი, მისიმიანთა ტომი, თბილისის სახ. უნივ. შრომები, ტ. I, პირველი სერია, საზოგადოებათმეცნიერებანი, 1936, გვ. 280.

ლები მათ განსხვავებული სახელწოდებით იხსენიებდენ"[57]. ჩვენ სწორად მიგვაჩნია ს. ყაუხჩიშვილის ის შენიშვნა, რომ VI საუკუნის მისიმიელები საკმაოდ განსხვავდებოდნენ სვანებისაგან და ჩვენ გვგონია, რომ ამ დროისათვის აფსილების მიერ მისიმიელების ასიმილაცია დასასრულს უახლოვდებოდა და, ალბათ, ამ გარემოებამ აიძულა იმდროინდელი ისტორიკოსები დაესახელებინათ მისიმიელები ცალკე, სვანებისაგან განსხვავებულ, ტომებად. ამიტომაც ჩვეხ კაღიარებთ მისიმიანებს დღევანდელი აფხაზების წინაპრების შემადგენლობაში შემავალ ერთ-ერთ ტომად.

მისიმიელების ზემოთ ცხოვრობდნენ სვანები. მათ ეჭირათ დღევანდელი სვანეთი და ლეჩხუმის ნაწილი.

მაშასადამე, დასავლეთ საქართველოში დროის აღებულ მონაკვეთში მრავალი ტომი ცხოვრობდა. ეს ტომები სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ.

აფსილები, აბაზგები, მისიმიელები და სანიგები იყვნენ დღევანდელი აფხაზების წინაპრები, ხოლო ლაზები კი დღევანდელი მეგრელების წინაპრები.

მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქართველო დასახლებული იყო სხვადასხვა ტომებით, რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ და სხვადასხვა ზნე-ჩვეულებისა იყვნენ, ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებდა, რომ ეს მხარე დასახლებული იყო მხოლოდ ქართველური ტომებით, რომლებიც ლაპარაკობდნენ მეგრულ-ჭანურ დიალექტზე ან ქართულ ენაზე. ასეთი მოსაზრება გამოსთქვა პ. ინგოროყვამ.

პ. ინგოროყვა უარყოფს ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულ შეხედულებას აფხაზეთის საერისთავოში მცხოვრები ხალხებისა—მისიმიანების, აფსილების და აბაზგების შესახებ. მისი აზრით დროის აღებულ მონაკვეთში, ადრეც და უფრო გვიანაც დასახლებულ ტერიტორიაზე მოსახლე ტომები იყვნენ ქართველები, რომლებიც ლაპარაკობდნენ ან მეგრულ დიალექტზე, ან ქართულ ენაზე. აი რას წერს ის: „აფხაზეთის ტერიტორია იმ ეპოქაში, როდესაც დაარსდა „აფხაზთა სამეფო", ე. ი. მე-8 საუკუნეში, დასახლებული იყო ქართველი ტომებით, და ეს არა მარტო ამ დროს, მე-8 საუკუნეში, არამედ საერთოდ მთელი ძველი ისტორიის მანძილზე, ანტიკურ ხანაში და საშუალო საუკუნეებში. აფხაზები და აფხაზეთში მოსახლე სხვა ტომები (აბსილები, მისიმიანები, სანიხები) — ეს ისეთივე წმინდა ქართველი ტომები იყვნენ, ქართული

57 ს. ყაუხჩიშვილი, მისიმიანთა ტომი. თბილისის სახ. უნივ. შრომები, ტ. I, პირველი სერია, საზოგადოებათმეცნიერებანი, 1936, გვ. 280.

წარმოშობისა, ქართველის დიალექტზე მოლაპარაკე, როგორც დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ქართველი ტომები — ქართები, მეგრელები და სვანები"[58].

ცნობილია, რომ აფხაზეთის სამეფო დაარსდა VIII საუკუნის მეორე ნახევარში. მისი ტერიტორია მოიცავდა თითქმის დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიას და ამ ტერიტორიაზე მართლაც ქართველური ტომები ცხოვრობდნენ. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ სამეფოში მოსახლე ყველა ტომი ქართველური იყო. პ. ინგოროყვას მიერ დასახელებული ტომები — აფსილები, მისიმიელები, სანიგები და მათთან ერთად აბაზგები არ იყვნენ „წმინდა ქართველი ტომები", და არც „ქართული წარმოშობისა" და „ქართულის დიალექტზე მოლაპარაკე", რომელთა შესახებ ნაწილობრივ ზემოთ იყო აღნიშნული.

აბაზგები, აფსილები და სანიგები იყვნენ დღევანდელი აფხაზების წინაპრები რომელთა ენის შემდგომი განვითარების შედეგად შეიქმნა მერმინდელი აფხაზური ენა. როგორც ცნობილია, აფხაზური ენა ადიღეურ ენასთან ერთად ქმნის ენათა გარკვეულ აფხაზურ-ადიღეურ ჯგუფს. ამ ენის შესახებ აკად. ს. ჯანაშია წერდა: „აფხაზური ენა ეკუთვნის კავკასიური ენების დასავლურ ჯგუფს. ამ ჯგუფს აფხაზურთან ერთად შეადგენენ უბიხური და ადიღეური ანუ ჩერქეზული ენები, რომლებთანაც აფხაზური საკმაოდ ახლოს დგას როგორც ფონეტიკური შედგენილობის, ისე შინაგანი სტრუქტურის, მხრივ"[59].

იგივე პ. ინგოროყვა აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომების ცალცალკე დახასიათების შემდეგ ასკვნის: „როგორც გამოირკვა, აფხაზეთის მხარეები დასახლებული ყოფილა ქართველი ტომებით, სახელდობრ, აქ მოსახლეობდა ქართველ ტომთა სამი შტო: მესხები, კოლხები (მეგრელ-ლაზები) და სვანები"[60]. მისივე აზრით „აფხაზეთის მესხების სალაპარაკო ენა ჩანს იყო არა მეგრულ-ჭანური დიალექტი, არამედ საკუთრივ ქართული, ყოველ შემთხვევაში ადრეულ პერიოდში"[61].

პ. ინგოროყვა ერთ შემთხვევაში ამტკიცებს, რომ აფხაზეთის (VIII საუკუნის აფხაზეთი) ტერიტორიაზე მოსახლე ტომები ლაპარაკობდნენ ქართულ დიალექტზე, მეორე შემთხ-

---

58 პ. ინგოროყვა, დასახელებული შრომა, გვ. 116.
59 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, გვ. 224.
60 პ. ინგოროყვა, დასახელებული შრომა, გვ. 145.
61 იქვე, გვ. 155.

ვევაში კი ამტკიცებს, რომ დასახელებულ ტერიტორიაზე სახლობდნენ მესხები, რომლებიც ლაპარაკობდნენ ქართულ ენაზე. ჯერ ერთი, აფხაზეთში მესხები არ ცხოვრობდნენ და აქ მოსახლე ტომების სამეტყველო ენა არ იყო ქართული. მეორეც, აფხაზების მაშინდელი სახელწოდება „აბაზგი" და „მესხი" შინაარსით განსხვავდებიან და მათ შორის არავითარი ეტიმოლოგიური კავშირი არ არსებობს. ბერძენი მწერლები და ისტორიკოსები იცნობდნენ მესხებს და მათ შესახებ საკმაო ცნობებიც მოეპოვებათ. ამიტომ ცხადია, რომ, თუ, მესხები იქნებოდნენ აბაზგების ადგილას დასახლებულნი, მაშინ ბერძენი ისტორიკოსები ამას აუცილებლად აღნიშნავდნენ. მაგრამ ეს ასე არ იყო და ამიტომაც არც აღნიშნეს. პროკოპი კესარიელისათვის კარგადაა ცნობილი აბაზგების სოციალურ-პოლიტიკური წყობილება და ამიტომ მას არ შეეძლო არ გაერჩია ისინი მესხებისაგან. აკად. ივ. ჯავახიშვილიც აღიარებს „მესხ"-ისა და „აბაზგ"-ს შორის ეტიმოლოგიურ კავშირს, მაგრამ ამავე დროს ამ კავშირს საკმაოდ არ სთვლის ამ ტომთა გასაიგივებლად. ის წერს: „ამგვარად, აფხაზებს და მესხებს ერთი და იგივე ტომობრივი სახელი აქვთ, მაგრამ მარტო ამით, რასაკვირველია, ტომობრივი იგივეობა ვერ დამტკიცდება, მეტადრე სანამ ამ სიტყვის „მას", „მოს", „მეს"-ხის ძირითადი მნიშვნელობა გამორკვეული არ არის. პირიქით, შესაძლებელია იგი საზოგადო სახელი იყოს. მაინცდამაინც საგულისხმოა, რომ ეს სახელი მარტო ამ ორს ტომს აფხაზებს და მესხებს კი არ რქმევიათ, არამედ ლეკები თუშებს ეხლაც „მოსექ"-ებს, ესე იგი „მოსოხ"-ებს ეძახიან"[62].

კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ეწინააღმდეგება პ. ინგოროყვას მტკიცებას. თუ აფსილები, მისიმიელები, აბაზგები და სანიგები შუა საუკუნეების მანძილზე მეტყველებდნენ ქართულ ენაზე, ან ქართული ენის რომელსამე დიალექტზე, მაშინ ისინი ამ სამეტყველო ენას არ დაკარგავდნენ და მოულოდნელად არ შექმნიდნენ ახალ თანამედროვე აფხაზურ ენას, ვინაიდან ეს შეუძლებელი იყო.

ენის წარმოშობა შემთხვევითი მოვლენა არაა. მას სჭირდება ხანგრძლივი პერიოდი. პ. ინგოროყვამ კი აფხაზური ენის შექმხას ერთი თაობაც კი არ ძოანდონა. გარდა ამისა, დასახელებული ტომები ყოველთვის მჭიდრო პოლიტიკურ ურთიერთობაში იყვნენ ერთიმეორესთან, რასაც ხელი უნდა შეეწყო მათი ენების ძერწყმისათვის.

---

62 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, გვ. 393.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე VI—VIII საუკუნეებში ცხოვრობდნენ შემდეგი ტომები: ლაზები, რომელთა სამხრეთი საზღვარი მოდიოდა რიონსა და ჭოროხს შუა. ლაზებს სამხრეთ-აღმოსავლეთით ესაზღვრებოდნენ მესხები, ხოლო აღმოსავლეთით—იბერები, ჩრდილო-აღმოსავლეთით—სვანები და სკვიმნები, ხოლო ჩრდილოეთით აფსილები. სვანებს ეჭირათ მთიანი ადგილი მისიმიელების ზემოთ. მათ აღმოსავლეთით, მერმინდელი რაჭალეჩხუმის ტერიტორია ეჭირათ სკვიმნებს. ხოლო მისიმიელებს ეჭირათ სვანებსა და აფსილებს შორის მდებარე ტერიტორია. აფსილებს ეჭირათ მეტად ვრცელი ტერიტორია მდ. ენგურიდან სევასტოპოლამდე, ე. ი. თანამედროვე სოხუმამდე მის ჩათვლით. აფსილებს დასავლეთით ესაზღვრებოდნენ აბაზგები, რომელთა ტერიტორია ჩრდილო-დასავლეთით აღწევდა მდ. ბზიფამდე, ხოლო სანიგებს კი ეჭირათ დღევანდელი გაგრისა და ადლერის რაიონები.

აღებულ დროისათვის დასახელებული ტომები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვადასხვა დიალექტზე და ენაზე ლაპარაკობდნენ. აქედან სვანები და ლაზები ეთნიკურად უფრო ახლოს იდგნენ ერთიმეორესთან, ვიდრე სხვა ტომები მათთან; ხოლო აფსილები, აბაზგები, სანიგები და მათთან ერთად მისიმიელები იყვნენ მონათესავე ტომები, რომლებმაც უკვე VIII საუკუნის პირველ ნახევარში შესძლეს გაერთიანება, რომლის შედეგად წარმოიშვა აფხაზეთის საერისთავო.

ასეთი იყო VI საუკუნეში დასავლეთ საქართველოს ეთნიკური შემადგენლობა.

2. დასავლეთ საქართველოს სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა

ა) ეკონომიური მდგომარეობა

VI საუკუნეში დასავლეთ საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის შესახებ ცნობები ნაკლებად მოგვეპოვება. მიუხედავად ამისა არსებული მწირი ცნობებიდან შეიძლება ზოგიერთი დასკვნის გაკეთება იმდროინდელი ეკონომიური მდგომარეობის შესახებ.

VI საუკუნეში დასავლეთ საქართველოს ტომების ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა სოფლის მეურნეობა. გამო-

რიცხული არაა, რომ ამ დროს ხელოსნობაც იყოს განვითარებული, ვინაიდან იმ დროისათვის უკვე ხელოსნობა ეთიშება სოფლის მეურნეობას და ძირითადად ხელოსანთა საცხოვრებელ ადგილად ქალაქი ხდებოდა. ასეთ ქალაქებს წარმოადგენდნენ არქეოპოლისი, როდოპოლისი და მოხირისი ლაზიკაში. „ყველაზე შესანიშნავი ქალაქები კი ~~მანც~~ არის აქ როდოპოლის და მოხირისი“[63] — ამბობს პროკოპი კესარიელი. მოგვიანებით აშენებულ იქნა ქალაქი პეტრაც. აფხაზეთშიც იყო ქალაქები სევასტოპოლი და პიტიუნტი. სევასტოპოლი იუსტინიანემ „განაახლა, ზღუდისა და სხვა სასიმაგრო შენობათა წყალობით უძლეველი გახადა ის და გაამშვენიერა ის გზებითა და სხვა ნაგებობებით, რის გამოც ის სილამაზითა და სიდიდით ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავ ქალაქად იქცა“[64].

არქეოპოლისი იყო ეგრისის დედაქალაქი, რომელიც ქართულ წყაროებში ცნობილია ციხე-გოჯის სახელწოდებით. იგი იყო „მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში“[65].

ამ დასახელებულ ქალაქებში, რა თქმა უნდა ხელოსნობა საკმაოდ განვითარებული იქნებოდა. არც ისაა გამორიცხული, რომ ტექნიკური კულტურების, რომელიც ადრევე მოჰყავდათ კოლხეთში, დამუშავება ხდებოდა ქალაქებში, რის შედეგად ნაწილი იყიდებოდა შინაურ ბაზარზე და ნაწილიც გაჰქონდათ საზღვარგარეთ. ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობები ტექნიკური კულტურების არსებობაზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც გვგონია, რომ ამ კულტურების მოშენებას მისდევდნენ. ტანსაცმელი, რაც ადგილობრივ მზადდებოდა, აუცილებლად მოითხოვდა ტექნიკური კულტურების მოშენებას მითუმეტეს მაშინ, როდესაც ადგილობრივი კლიმატური პირობები ამას ხელს უწყობდა.

საქალაქო ცხოვრებისა და ქალაქებში ხელოსნობის განვითარების დონის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია არქეოლოგიური მასალები.

დასავლეთ საქართველოს ბევრ პუნქტში წარმოებული იყო არქეოლოგიური გათხრები, რომლის შედეგად მოპოვებული მასალები ნათლად მიუთითებენ ამ მხარეში ხელოსნობის განვითარებაზე. ვაშნარში (მახარაძის რაიონში) წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალების შესწავლის საფუძველზე გ. გობეჯიშვილი წერს:

---

63 გეორგიკა, ტ. II, გვ. 73.
64 იქვე, გვ. 191.
65 იქვე, გვ. 152.

„საერთოდ ვაშნარის გათხრებმა დაამტკიცა, რომ მშენებლობის საქმე V—VIII სს. ლაზიკაში მტკიცე ნიადაგზე იდგა. ძლიერ მტკიცე კირის დუღაბი, არაჩვეულებრივ კარგად გამომწვარი აგური და კრამიტი, საკმაოდ კარგად ეათლილი ტუფის ქვა, მხატვრულად დამუშავებული ~~მარმარილო და~~ ქვიშაქვა, იატაკის გასამართავად ხმარებული დანაყილი აგურისა და ქვიშის ხსნარი ნაგებობებს სიმტკიცესაც აძლევდა და ლაზათსაც მატებდა“[66]. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მასალების ასეთნაირი დამზადება მოითხოვდა დახელოვნებას და მათ დამამზადებელს ეს საქმე პროფესიად უნდა გაეხადა. გ. გობეჯიშვილი ვაშნარს უდარებს დასავლეთ საქართველოს ისეთ ქალაქებს, როგორიცაა ვარდ-ციხე, ნოქალაქევი, შორაპანი, სკანდა და სხვ. ვაშნარში ნაპოვნი მასალები დასავლეთ საქართველოსათვის გამოხაკლისს არ წარმოადგენს. სხვა მასალებიც ამტკიცებენ, რომ აქ განვითარებული ხელოსნური მეურნეობა იყო. ამაზე მიუთითებს ბ. კუფტინის სიტყვები, რომელიც დაბლაგომის არქეოლოგიური მასალების ანალიზის შედეგად წარმოსთქვა. ის ამბობს: „Указанные обстоятельства заставляют скорее рассматривать знаки, связанными с мастерами, изготовлявшими сосуды. В таком случае, имеющиеся у нас фрагменты двух урн в точности с одним и тем же знаком (типа греческого П), найденные в двух достаточно удаленных друг от друга пунктах на западном и на восточном склонах Нацихвари, могут в свою очередь явиться некоторым свидетельством наличия в это время в Нижнем Гоми профессионально-ремесленного, а не домашнего, гончарства с выходом продукции, во всяком случае, за пределы отдельного усадебного хозяйства“[67].

კერამიკული ნაწარმი ბევრი ჩანს დასავლეთ საქართველოში და განსაკუთრებით აფხაზეთშიც, რომელიც თარიღდება ძველი წელთაღრიცხვით და ამავე დროს ადგილობრივი ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენენ. კერამიკული ნაწარმის მსგავსებას ადგილი აქვს სოხუმის, დაბლაგომის და ეშერის ნამოსახლარებში.

როგორც ზემოთ აღნიშნულია, მწარმოებელი ძალების ძირითადი საქმიანობა იყო სოფლის მეურნეობა მისი სხვადასხვა დარგებით.

---

66 გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, 1952, გვ. 155.

67 Б. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, Тбилиси, 1950 г., стр. 79.

პროკოპი კესარიელი ზოგჯერ ლაზიკას ახასიათებს როგორც ულარიბეს და მწირ მხარეს. ის წერს: „თვით მათ არც მარილი ჰქონდათ, არც ხორბალი, არც სხვა რამე სიკეთე“[68]. აქ ისტორიკოსი უნებლიეთ შეცდომას უშვებს. ეს აზრი პირველად გამოსთქვა ირანის მიერ სიმაგრეების—სკანდასა და შორაპანის ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით, რომ ეს სიმაგრეები მდებარეობდნენ იბერიის საზღვარზე, რომელსაც თვით ლაზები იცავდნენ დიდი გაჭირვებით, ხოლო იუსტინიანემ კი იქ ბიზანტიელი ჯარისკაცები ჩააყენა, რომლებმაც მალე დასტოვეს ეს სიმაგრეები მხარის სიმწირის გამო.

პროკოპი კესარიელის ეს ცნობა სინამდვილეს შეეფერება მხოლოდ ამ ორი სიმაგრის მიმართ და ავტორსაც ამ შემთხვევაში მხედველობაში ჰქონდა მხოლოდ და მხოლოდ ეს მხარე. ის წერს: „იბერიის საზღვრებიდან რომ შედიხარ, იქვეა ლაზების მიწაწყალზე ორი სიმაგრე, რომელთა დაცვა ძველითგანვე ადგილობრივი მცხოვრებლების საზრუნავს შეადგენდა, თუმცა მათ ბევრი ნაკლებობის გადატანა უხდებოდათ, რადგან იქ არ მოდის არც ხორბალი, არც ღვინო, არც სხვა რამ სიკეთე. სხვა ადგილიდან რისამე შემოზიდვა, ვიწრობების წყალობით, შეიძლება მხოლოდ ისე, თუ კაცები თვითონ მოიტანენ. მაინც, რადგან იქ რამოდენადმე ქვრიმა მოდიოდა, ლაზები ახერხებდენ, ჩვეულებისამებრ, თავის გამოკვებას“[69].

მაშასადამე, ეს მხარე ყოფილა მთაგორიანი და ამავე დროს მწირიც. ამდენად იქ, რა თქმა უნდა, ვერ იხარებდა ხორბალი. ეს ტერიტორია არც დასახლებული ყოფილა ალბათ მისი სიმწირის გამო და ამიტომ ღვინოს მომყვანიც აღარ იქნებოდა. აღნიშნული მხარე პროკოპისათვის კარგად იყო ცნობილი და მის შესახებ არაერთხელ მიუთითებს.

აგათია სქოლასტიკოსი საწინააღმდეგო ცნობას იძლევა. იგი წერს: „იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწაწყლის სიჭარბით და მოსავლიანობით ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით“[70].

რა თქმა უნდა აგათიას ცნობა გადაჭარბებულია. ჯერ ერ-

---

68 გეორგიკა, ტ. II, გვ. 46.
69 იქვე, გვ. 24.
70 გეორგიკა, ტ. III, გვ. 50.

თი, მარცვლეული კულტურების მოყვანის მხრივ აღმოსავლეთი საქართველო უფრო მდიდარი იყო (თუმცა მას ეს მხარე მხედველობაში არ ჰქონდა), ვიდრე დასავლეთ საქართველო. მეორეც, ეს ცნობა მეტად ზოგადია და კონკრეტულად არ მიუთითებს არც რომელიმე სამეურნეო რაიონზე და არც რომელსამე კულტურაზე, ან სიმდიდრის რომელსამე წყაროზე.

მართლაც ეგრისში იყო მდიდარი რაიონები, სადაც სოფლის მეურნეობა საკმაოდ განვითარებული იყო. ასეთ რაიონად დასახელებულია მოხირისი. „მოხირისი ერთი დღის სავალ გზაზეა არქეოპოლისს დაშორებული და შეიცავს მრავალს მჭიდროდ დასახლებულ სოფელს. კოლხიდის მიწაწყალზეც ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს: ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფნიც იქ კარგად ხარობენ, თუმცა ლაზიკის სხვა ადგილებზე არ შეიძლება იგივე ითქვას. აქ მხარეს ჩამოუდის ერთი მდინარე, სახელად რეონი“[71]. ეს მხარე საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა, ე. ი. თანამედროვე ქუთაისის, მაიაკოვსკის, ვანის, სამტრედიის, აბაშის, გეგეჭკორის და წულუკიძის მიდამოების ვაკე ნაწილს, სადაც მეურნეობისათვის ხელსაყრელი პირობები იყო. ამ რაიონის შესახებ აკად. კ. კეკელიძე წერს: „Обе границы, Рион и Гиппис, указывают на местность Ваке в нижней Имеретии; так что положение Мухиризиса, как области, может быть указано точно: это приблизительно часть Сенакского и весь Кутаисский уезд Кутаисской губернии“[72].

ეს მხარე მართლაც მდიდარი იყო. აქ განვითარებული იყო მევენახეობა-მეხილეობა. პროკოპი მიუთითებს, რომ ეს მხარე განთქმული იყო ნაყოფით, მაგრამ მარცვლეული კულტურების შესახებ არაფერს ამბობს. ეჭვის გარეშეა, რომ ეგრისში მარცვლეული კულტურების მოყვანას მისდევდნენ მიუხედავად იმისა, რომ VI საუკუნის მწერლები არ იხსენიებენ მას. ეს იმიტომ რომ დასავლეთ საქართველოში მარცვლეული კულტურები მოჰყავდათ მხოლოდ უშუალო მოხმარებისათვის და, ეტყობა, ბაზარზე არ გაჰქონდათ. ირან-ბიზანტიის ომის დროსაც ირანელებს უხდებოდათ სურსათის ქართლიდან შემოზიდვა.

დასავლეთ საქართველოს სამხრეთ რაიონებს ეტყობათ სოფლის მეურნეობის სისუსტე. ამაზე მიუთითებს პეტრას საშველად მოსული ირანელი სარდლის ზრუნვა ეგრისში ჯა-

---

71 გეორგიკა, ტ. II, გვ. 163.
72 კ. კეკელიძე, დასახელებული შრომა, გვ. 29.

რის სურსათით მომარაგებისათვის. იბერიიდან მოტანილი სურსათი მეციხოვნეებს დაუტოვეს და უკან დაბრუნებულ მერმეროეს ჯარი უნდა წაეყვანა ახალი გზით, რათა ძარცვით ერჩინა თავი. ეგრისში სურსათის შოვნის სიძნელემ ირანელები აიძულა თავისი ჯარის უმეტესი ნაწილი გაეყვანათ ეგრისიდან. პროკოპის ცნობით ეგრისის სამხრეთი რაიონები თხლად იყო დასახლებული. ყველაზე მდიდარი მხარე იყო რიონის აუზი მოხირისად წოდებული.

სოფლის მეურნეობაში დიდი ადგილი ეჭირა მესაქონლეობას და მეფუტკრეობას. ამაზე უშუალოდ არც ერთი წყარო არ მიუთითებს, მაგრამ მაინც ირკვევა, რომ საგარეო ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ტყავეულობას. ლაზების მეფეს სვანები ხარკს უხდიდნენ ტყავით და ფუტკრების ნაყოფით. ამის შესახებ ცნობას გვაწვდის მენანდრე პროტიქტორი. მის მიერ აღწერილი, ბიზანტიელი ელჩის, პეტრეს სიტყვაში შემდეგია აღნიშნული: „ლაზებში, ბატონო, ძველი წესი იყო, რომ სვანეთის სარდალი ემორჩილებოდა ლაზს და მასთან ის აღრიცხული იყო სახარკო სიაში, და ლაზი კიდევაც იღებდა მისგან ფუტკრების ნაყოფს და ტყავებს და ზოგ სხვა რამესაც“[73]. აქ ძირითადად სვანეთია მხედველობაში. იმ დროს სვანეთში მართლაც წამყვანი მეურნეობა იყო მესაქონლეობა. მარცვლეული კულტურების მოყვანას ნაკლებად მისდევდნენ, რის გამოც საკუთარ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდნენ. ისინი საჭირო სურსათს ღებულობდნენ ლაზებისაგან. აი რას წერს მენანდრე: „მის შემდეგ, რაც ლაზთა მეფესა და იმ დროს იქ მოსარდლე რომაელ მარტინეს შორის რაღაც მტრობა ჩამოვარდა, ამის გამო კოლხმა აღარ გაუგზავნა სვანებს ჩვეულებრივი სურსათი: ჩვეულებრივ პური მათ კოლხთა მეფისაგან ეგზავნებოდათ. ამიტომ სვანებმა იმაზე გაჯავრებულებმა, რომ მათ მოუსპეს დაწესებული დახმარება, შეუთვალეს სპარსელებს, რომ, თუ ისინი იქ მოვიდოდენ, სვანეთს მათ ჩააბარებდენ“[74].

სვანები ცხოვრობდნენ მთიან ადგილებზე და ეს ხელს უშლიდა საკმაო რაოდენობით მარცვლეულის მოყვანას, ხოლო სამაგიეროდ ხელს უწყობდა მესაქონლეობის განვითარებას. აქ არც ვენახს აშენებდნენ.

წყაროებში არაა მითითებული თუ რა დარგის მეურნეობა იყო განვითარებული, ან წამყვანი აფსილიაში და აბაზგიაში. მიუხედავად წერილობითი ცნობების უქონლობისა, ჩვენ-

---

73 გეორგიკა, ტ. III, გვ. 224.
74 იქვე, გვ. 214.

გვგონია, რომ აფსილეთის და აბაზგიის ზღვის სანაპირო ზოლზე, ე. ი. ვაკე რაიონებში მარცვლეული კულტურების მოყვანა საკმაოდ განვითარებული იყო. მიწათმოქმედებას მისდევდნენ არა მარტო აფსილეთში და აბაზგიაში, არამედ მისიმიანეთშიც მიუხედავად იმისა, რომ ეს მხარე იყო მთაგორიანი. აგათია სქოლასტიკოსი მისიმიელების წინააღმდეგ ბიზანტიელების ბრძოლის აღწერისას აღნიშნავს, რომ იქ მიწათმოქმედებას მისდევდნენ, რომელიც, ეტყობა, მისიმიელებისათვის აუცილებელი იყო. აგათია წერს: „თუ ეს შენ მართლა არ გიდევს გულში, საჩქაროდ გადაბარგდი აქიდან, სხვა ადგილას მოთავსდი და შენ იქ სურსათი არ მოგაკლდება: ჩვენ მოგიტანთ ყველაფერს“[75]. აგათიას ეს ცნობა პირდაპირ მიუთითებს, რომ მისიმიელები მშვიდობიანობის დროს მისდევდნენ მიწათმოქმედებას და თუ მშვიდობიანობა დამყარდებოდა ისინი განაახლებდენ ამ საქმეს. რამდენადაც მთაგორიან ადგილებზე მოსახლე მისიმიელები მისდევდნენ მიწათმოქმედებას, ამდენად უეჭველი უნდა იყოს ის ამბავი, რომ მათ ქვემოთ და მეზობლად მოსახლე აფსილეთში და აბაზგიაში მიწათმოქმედება საკმაოდ განვითარებული იყო და ის უფრო მაღალ დონეზე იდგა ბარის რაიონებში, ვიდრე მთიან მხარეებში. იგივე უნდა ითქვას აგრეთვე სანიგებზედაც. ასევე დასახელებულ ხალხებში განვითარებული უნდა ყოფილიყო მესაქონლეობა. უეჭველი უნდა იყოს ისიც, რომ მიწათმოქმედება აღნიშნული ტომების ძირითადი საქმიანობა იყო.

სოხუმის მთის არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები მიუთითებენ ამ მხარეში მებაღეობა-მეხილეობის განვითარებაზე. ამ იარაღების შესახებ ალ. კალანდაძე წერს შემდეგს: „მრგვალხვრელიანი და ყუაკვერიანი წალდების ფუნქციის შესახებ უნდა ითქვას, რომ ისინი უმთავრესად, ალბათ, ნარ-ეკლის საკაფავად და მაღლარი ვენახის სასხლავად იყო გამოყენებული. არ არის გამორიცხული მათი გამოყენება აგრეთვე ხეროთა მიერ მსუბუქ სადურგლო საქმიანობაში“[76]. შემდეგ აღნიშნავს, რომ ეს „წალდი წარმოშვა კოლხების სამეურნეო საჭიროებამ“[77].

დასავლეთ საქართველოში სოფლის მეურნეობას მისდევდნენ უფრო ადრეც. განსაკუთრებით საყურადღებოა მიწათ-

---

75 გეორგიკა, ტ. III, გვ. 87.
76 ალ. კალანდაძე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 42.
77 იქვე, გვ. 43.

მოქმედების განვითარება. მიწათმოქმედებას დასავლეთ საქართველოში ანტიკურ ხანაშიაც მისდევდნენ. „ანტიკურ ხანაში მაინც სახვნელი იარაღის გამოყენება დასავლეთ საქართველოში ეჭვს გარეშეა არა მარტო იმით, რომ ნაპოვნია ძვ. წ. ა. IV და მომდევნო საუკუნეების რკინის სახნისის ნაშთები, არამედ იმითაც, რომ ამ დროს ბერძნულ-რომაულ სამყაროში, რომელთანაც ბერძნული ახალშენების გზით კოლხეთის მოსახლეობას ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა, მიწათმოქმედებაში ყველგან გუთანი იყო გამოყენებული. გუთანი ფართოდ იყო გამოყენებული მეზობელ ბოსფორის სამეფოშიც. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, სახვნელი იარაღი საქართველოში და, კერძოდ, დასავლეთ საქართველოში ბევრად ადრე უნდა გაჩენილიყო ადგილობრივსავე ნიადაგზე“[78]. თუ ანტიკურ ხანაში დასავლეთ საქართველოში მიწათმოქმედება განვითარებული იყო, მაშინ ცხადია, რომ ის ახ. წ. ა. VI საუკუნეში კიდევ მეტად ინტენსიური იქნებოდა, განსაკუთრებით კი ბარის რაიონებში. ამ მხარეში მიწათმოქმედება წამყვანი იყო. ხოლო მესაქონლეობა, რომელიც მთის და ბარის რაიონებისათვის დამახასიათებელი იყო, წამყვან როლს ასრულებდა მხოლოდ მთის რაიონებში. ამის შესახებ გ. მელიქიშვილი წერს: „მთაშიცა და ბარადაც ფართოდაა გავრცელებული აგრეთვე მესაქონლეობა. თუმცა იგი მეურნეობის უმთავრეს დარგს მხოლოდ მთიანეთის მოსახლეობისათვის წარმოადგენს“[79]. როგორც ჩანს ანტიკურ ხანაშიც ბარის რაიონებში მეტი მნიშვნელობა ჰქონდა მიწათმოქმედებას. შთაში კი მესაქონლეობა ჩვენ მიერ აღებულ დროის მონაკვეთშიაც სოფლის მეურნეობის მთავარი დარგი იყო.

დასავლეთ საქართველო საკმაოდ მდიდარი მხარე იყო. ქვეყნის სიმდიდრეზე მიუთითებს გუბაზ მეფის ელჩის სიტყვები, წარმოთქმული ირანის შაჰის წინაშე იმის შესახებ, რომ ბიზანტიელებმა ლაზიკაში ჯარი ჩააყენეს არა იმიტომ, რომ დაიცვან ლაზთა ქვეყანა, არამედ იმისათვის, რომ ლაზების ქონებას დაჰპატრონებოდნენ. თუ ლაზიკა არ იყო მდიდარი მაშინ იოანეს სავაჭრო მონოპოლიას რა აზრი უნდა ჰქონოდა?

დასავლეთ საქართველოში ვაჭრობაც საკმაოდ იყო განვითარებული. აქ ვაჭრობას ეწეოდნენ ზღვითაც და ხმელეთითაც. ამაზე აგათია სქოლასტიკოსი შემდეგს წერს: „ეხლანდელი მცხოვრებლები დასცურავენ კიდეც, რამდენადაც შე-

78 გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბილისი, 1955, გვ. 104.
79 საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 41.

საძლებელია, და ვაჭრობაშიაც ნახულობენ დიდ სარგებლობას"[80]. ვაჭრობაზე მიუთითებს ცნობები იოანე ციბეს შესახებ. საგარეო ვაჭრობას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ეგრისის ეკონომიკაში. ეგრისს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა სომხეთთან, ჩრდილო კავკასიასთან, რომის იმპერიის სხვადასხვა პროვინციებთან. მარილი ყირიმიდან შემოჰქონდათ. სავაჭრო გზა გადიოდა ტრაპეზუნტიდან ზღვის ნაპირით სევასტოპოლამდე. ამ გზით ეგრისი აწარმოებდა ვაჭრობას პონტოში მცხოვრებ რომაელებთან. ამაზე პროკოპი წერს: „...და მუდამ აწარმოებდენ პონტოში მცხოვრებ რომაელებთან საზღვაო ვაჭრობას"[81].

ეგრისში გადიოდა ის სავაჭრო გზა, რომელიც ბიზანტიას უკავშირებდა ინდოეთს კასპიის ზღვით. ინდოეთიდან და შუა აღმოსავლეთიდან შემოტანილი საქონელი მდ. რიონით ფაზისამდე მოჰქონდათ.

ამრიგად, ლაზიკაში და საერთოდ დასავლეთ საქართველოში გადიოდა სავაჭრო გზები, რომელიც ხელს უწყობდა ამ მხარეში ვაჭრობის განვითარებას. ვაჭრობის საგანს ძირითადად სოფლის მეურნეობის და ამავე დროს ხელოვნების ნაწარმი წარმოადგენდა. თუმცა დასავლეთ საქართველოში ვაჭრობის საგნად გადაქცეული იყო მონებიც (ტყვეებიც), მაგრამ ეს არ იყო დაკავშირებული არც სოფლის მეურნეობასთან და არც ხელოსნობასთან, არამედ ეს იყო მონათმფლობელური წყობილების გადმონაშთი, რომლის შენარჩუნებას ხელს უწყობდა მონათმფლობელურ რომის იმპერიასთან უშუალო კავშირი.

გამომდინარე ყველა ზემოთქმულიდან ირკვევა, რომ დასავლეთ საქართველოს ბარის რაიონებში განვითარებული იყო სოფლის მეურნეობა, რომლის მთავარ დარგს წარმოადგენდა მიწათმოქმედება და მასთან ერთად განვითარებული იყო ხელოსნობა და ვაჭრობა, ხოლო მთიან რაიონებში ძირითადი საქმიანობა იყო მესაქონლეობა და მეფუტკრეობა.

ბ) სოციალური წყობილება (ფეოდალიზმის გამარჯვება)

დასავლეთ საქართველოს ტომების ბიზანტიასთან ურთიერთობის სწორად ახსნისათვის აუცილებელია ამ ტომების სოციალური წყობილების შესწავლა, მათი განვითარების დონის გაგება.

ამ საკითხის გაგება არც ისე ადვილია შესატყვისი წყაროების უქონლობის გამო. მიუხედავად ამისა შეიძლება ზო-

---

80 გეორგიკა, ტ. III, გვ. 51.
81 გეორგიკა, ტ. II, გვ. 46.

ში დამაჯერებელი დასკვნის გაკეთება, რომელიც ,ნათელ-ჰყოფს წარმოდგენას იმდროინდელი სოციალური წყობილების შესახებ.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ დასავლეთ საქართველოში ცხოვრობდნენ ლაზები, აფსილები, მისიმიელები, სვანები, აბაზგები და სანიგები. VI—VIII საუკუნეების წყაროებში არ გვაქვს ცნობები, რომლებიც მიუთითებდნენ სვანებისა და სანიგების სოციალურ წყობილებაზე. შედარებით მეტი ცნობები გვაქვს ლაზებისა და აბაზგების სოციალური წყობილების გამოსარკვევად და ნაწილობრივ აფსილებისა და მისიმიელებისაც.

სანამ შევუდგებოდეთ ცალცალკე ტომების სოციალური წყობილების განხილვას, საჭიროა მოკლედ შევეხოთ საერთოდ საქართველოში საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებას.

დროის აღებულ მონაკვეთში საქართველოში იყო კლასობრივი საზოგადოება, რომელიც იმ დროისათვის საკმაოდ განვითარებული იყო. რომელი კლასობრივი საზოგადოება იყო დასავლეთ საქართველოში VI საუკუნეში?

როგორც ცნობილია, საქართველოში უძველესი დროიდან საზოგადოება კლასებად იყო დაყოფილი. ამრიგად პირველი კლასობრივი საზოგადოება — მონათმფლობელობა საქართველოში საკმაოდ განვითარებული იყო, მაგრამ „მიუხედავად მონობის განსაკუთრებულ მნიშვნელობისა ქართველ ტომთა უძველეს ისტორიაში, არ ჩანს, რომ იგი აქ მთლიან ფორმაციად ჩამოყალიბებულიყოს. გვაროვნულ წყობილებას აქ ფეოდალიზმი სცვლის“[82].

დასავლეთ საქართველოში კლასობრივი საზოგადოების არსებობის შესახებ გ. მელიქიშვილი წერს: „ჩვენს ხელთ არსებული, ძირითადად არქეოლოგიური, მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ამ ეპოქაში (ძვ. წ. ა. VI ს. და მომდევნო საუკუნეებში) დასავლეთ საქართველოში ჩვენ წინაშეა ვითარება, რომელიც თამამად შეიძლება აქ კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს არსებობას გულისხმობდეს“[83]. ამავე დროს მონეტის მოჭრის და საზოგადოების განვითარების დონის გარკვევაში მისი მნიშვნელობის განმარტებისას იგივე გ. მელიქიშვილი წერს: „მონეტის მოჭრის ფაქტს, მის ინტენსიურ ტრიალს, როგორც ცნობილია, დიდი როლი ენიჭება იმ საზოგადოების ხასიათის განსასაზღვრავად, რომლისთვისაც ეს მოვლენაა დამახასიათებელი. იგი გვიჩვენებს, რომ

82 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, გვ. 131.
83 გ. მელიქიშვილი, დასახელებული შრომა, გვ. 103.

აქ კლასობრივ საზოგადოებასა და სახელმწიფოსთან უნდა გვქონდეს საქმე"[84]. კოლხური თეთრი კი იჭრებოდა ჯერ კიდევ ძვ. წ. ა. VI—V საუკუნეებში. ამრიგად ახ. წ. ა. VI საუკუნეში დასავლეთ საქართველოში ჩვენ ვხედავთ განვითარებულ კლასობრივ საზოგადოებას.

მონათმფლობელური მეურნეობის არსებული ფორმები უკვე VI საუკუნეში საქართველოში შეცვლილია ფეოდალური სისტემით. ამჟამად ქართულ ისტორიოგრაფიაში დადგენილია, რომ სწორედ VI საუკუნეში საქართველოში მოხდა ფეოდალური რევოლუცია. ასეთი გადატრიალება შესაძლებელი იყო საქართველოს იმ ტომებში, სადაც კლასობრივი საზოგადოება საკმაოდ განვითარებული იყო. და ამავე დროს მეურნეობაც იმდენად განვითარებული უნდა ყოფილიყო, რომ წარმოების მისი ძველი ფორმა არარენტაბელური ხდებოდა. ხოლო იმ ტომებში, რომლებშიაც გვაროვნული წყობილება შედარებით მტკიცე იყო, იქ გვაროვნულ-თემური წყობილების შეცვლა ფეოდალურით ხდებოდა მეურნეობის ფეოდალურ წესზე თანდათანობით გადასვლით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთოდ სოციალური დიფერენციაციის დაჩქარებას და გაღრმავებას ხელს უწყობდა ვაჭრობა. ამ მხრივ კი დასავლეთ საქართველოში არსებობდა ხელსაყრელი პირობები. ჩვენთვის ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოში ზღვის სანაპირო ზოლზე უძველესი დროიდან არსებობდნენ ბერძნული ახალშენები, სადაც ბერძნებს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ ადგილობრივ ხალხთან. ამის შესახებ გ. მელიქიშვილი წერს: „კოლხეთის სამეფოს გავლენის სფეროში მყოფ ტერიტორიაზე მდებარე ახალშენები ამ დიდი პოლიტიკური ერთეულის სავაჭრო ცენტრებს წარმოადგენდნენ. ამ მხრივ კი მათ დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ კოლხეთის სოციალ-ეკონომიურ განვითარებაში — დიდად შეუწყვეს ხელი აღებ-მიცემის გაცხოველებასა და ამასთან დაკავშირებული სოციალური მოვლენების გაღრმავებას (ქონებრივი უთანასწორობის შემდგომი გაღრმავება, სასოფლო თემის რღვევა და სხვ.)"[85].

განვიხილოთ საზოგადოებრივი წყობილება დასავლეთ საქართველოს ტომებში და გავიგოთ ამ წყობილების განვითარების დონე VI საუკუნეში და რა პირობებში მიმდინარეობ-

---

84 გ. მელიქიშვილი, დასახელებული შრომა, გვ. 118.
85 საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 43.

და სოციალური ურთიერთობის განვითარება დასახელებულ ხალხებში.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ არიანეს მიერ დასახელებული დასავლეთ საქართველოს ტომების შემდგომმა განვითარებამ შესაძლებელი გახადა მათი გაერთიანება ეგრისის სამეფოს სახელწოდებით, სადაც ჰეგემონობა ლაზებს ეკუთვნოდათ. ეს მოვლენა შემთხვევითი არ იყო. ლაზები იყვნენ ერთ-ერთი გაბატონებულ ტომთაგანი დასავლეთ საქართველოში, რომელთა მეთაურობით ხდებოდა ამ ძხარის გაერთიანება. ასეთ ხალხში კი შეუძლებელია საზოგადოებრივი განვითარების დონე დაბალი იყოს მათ მიერ დამორჩილებული ტომების განვითარების დონეზე.

დასავლეთ საქართველოში ლაზების ბატონობაზე და მათ მიერ სხვა ტომების გაერთიანების საფუძველის შესახებ აკად. ს. ჯანაშია წერს: „იმ (ამ შემთხვევაში — ლაზების) სამთავრომ, რომელშიაც ფეოდალურ წესს განვითარების უფრო ფართო გასაქანი ჰქონდა და ამის გამო, სხვებთან შედარებით, უფრო ადრე დაჭაბუკდა, თანდათან მოახერხა დანარჩენ ტომთა სამთავროების დამორჩილება“[86]. „აღებულ ხანაში, ყველა უწყებული ტომური სამთავროდან სწორედ ლაზების სამთავროს ჰქონდა საუკეთესო პირობები აღნიშნული საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობის განვითარებისათვის“[87].

უნდა აღვნიშნოთ, რომ დასავლეთ საქართველოს ტომებში — ლაზებში, აფსილებში, აბაზგებში და სანიგებში დიდი ხანია რაც გვაროვნულ-თემური წყობილება შეცვლილი იყო კლასობრივი საზოგადოებით. უკვე II საუკუნეში აქ ვხედავთ წვრილ-წვრილ სამეფოებს. ამის შესახებ ცნობებს გვაწვდის არიანე. მის მიერ დასახელებული მეფეები არ არიან ტომის ბელადები. არიანეს ცნობას აკად. ს. ჯანაშია ასეთ ანალიზს უკეთებს: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ცნობის ნიადაგზე შესაძლებელია გარკვეული დებულების წამოყენება აღწერილ პოლიტიკურ წარმონაქმების შესახებ. რაკი ლაზების, აფსილების, აბასკების და სანიგების „მეთაურებს“ თავიანთი უფლებები რომის კეისრებისაგან ჰქონიათ მიღებული, და არა საკუთარი საზოგადოებისაგან, ცხადია, რომ ისინი ტომურ-გვაროვნულ საზოგადოების ბელადებად ვერ ჩაითვლებიან და ვერც მათი საგამგეო მიიჩნევა ტომურ-გვაროვნულ ორგანიზაციად.

---

86 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, გვ. 313.
87 იქვე, გვ. 319.

შემდეგ: თუ ეს „მეფეები“ გვაროვნულ საზოგადოების მსახურნი-კი არ არიან, არამედ უკვე პატარა „ბატონების“ როლში გვევლინებიან, აშკარაა რომ მათი ხელისუფლების დასაყრდენად საკმარისი არ იყო ის რომაული გარნიზონები, რომლებიც მხოლოდ ფაზისსა (ფოთი) და სევასტოპოლში (სოხუმი) მდგარან. ეს წვრილი მფლობელნი... ხომ რომელიღაც ადგილობრივს საზოგადოებრივ ძალებსაც უნდა დაჰყრდნობოდნენ. ყოველივე ეს უკვე გარკვეულს სოციალურ დიფერენციაციას გულისხმობს“[88]. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ წინაკლასობრივი საზოგადოების ნაშთები მთლიანად გამქრალი იყო. აქ ჯერ კიდევ შემონახული იყო პატრიარქალური წყობილების ნაშთები, ეტყობა, მთის რაიონებში, ხოლო მეტად განვითარებულ რაიონებში კი საზოგადოება კლასებად იყო დაყოფილი და სწორედ არიანეს მიერ დასახელებულ „მეფეებს“ ჰყავდათ საყრდენი ძალა საზოგადოების პრივილეგირებული ფენის სახით, რომელიც მშრომელი მასების ექსპლოატაციით იქნებოდა დაინტერესებული.

სხვა მდგომარეობა გვაქვს სვანებში. მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი.

ეხლა განვიხილოთ დასავლეთ საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის ხასიათი და მისი განვითარების დონე.

ლაზებში საზოგადოებრივი ურთიერთობის გაგებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას ბერძენი ისტორიკოსებისა და მწერლების ცნობები, რომლებიც შეეხებიან ბიზანტიასა და ირანს შორის საომარ ურთიერთობას.

წარჩინებულები გახდნენ დიდი მიწის მფლობელები და იმისათვის იბრძოდნენ, რომ ხელსაყრელი პირობები შეექმნათ შემდგომი გაძლიერებისათვის. ისინი იტაცებდნენ სათემო მიწებს, ეუფლებოდნენ ქვეყნის დოვლათის მწარმოებელ საზოგადოებას. ამრიგად მიწის საკუთრების ნიადაგზე იქმნებოდა ორი კლასი, რომელთაგან ერთისათვის მიწა სიმდიდრისა და სოციალური ძლიერების წყაროდ გადაიქცა, ხოლო მეორისათვის კი — სიღარიბის წყაროდ.

ესე იგი, სამიწო ნიადაგზე წარმოშობილ ფეოდალურ ურთიერთობას შეეძლო გაეჩინა ისეთი ადამიანები, რომლებიც მოკლებულნი იქნებოდნენ საწარმოო საშუალებებს. ამის შედეგი იყო მაწანწალებისა და ქურდ-ბაცაცების არსებობა. ამ მხრივ საყურადღებოა აგათიას ცნობა გუბაზის მკვლელთა გასამართლებასთან დაკავშირებით. რუსტიკის სიტყვაში, რო-

---

88 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 208, განტვირთვა ჩვენია.

მელიც წარმოსთქვა სასამართლო პროცესზე, აღსანიშნავია ის ადგილი, სადაც მიუთითებს სწორედ მაწანწალებზე, რომლებიც ქალაქებში ცხოვრობდნენ და მათ დასჯაზე არავის დებდენ ბრალს. ეს კი მიუთითებს სოციალურ ურთიერთობაში არსებულ დიფერენციაციაზე, რომ ახალმა ურთიერთობამ ცხოვრებიდან გამორიყა ყოფილი მწარმოებლების ნაწილი. აი რას ამბობს რუსტიკე: „ქალაქებში ხშირად ვპოულობთ ხოლმე მაწანწალებსა და ქურდ-ბაცაცებს ან სხვა ამგვარი უკეთური საქმის ჩამდენთ, რომლებისთვისაც ან თავი წაუგდებინებიათ ან ფეხები მოუჭრიათ, მაგრამ ამ საქციელისათვის არავის ვდებთ ბრალს, თუმცა ესეც ძალიან უწყალო საქციელად ჩანს"[89]. აქვე სასამართლოზე კოლხმა დარბაისლებმა განაცხადეს გუბაზის შესახებ შემდეგი: „მოკლული ხომ მეფე იყო, მსაჯულო, არა დაბალი გვარისა, და ვაჟკაცობით განთქმული"[90]. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ლაზებში საზოგადოება სხვადასხვა ფენისაგან შედგებოდა, რომ აქ ფეოდალურ იერარქიასთან გვაქვს საქმე, რომ არიან მაღალი გვარის წარმომადგენლები, დაბალი გვარის წარმომადგენლები და უგვარონიც. სამეფო საგვარეულო განსხვავდებოდა თავისი ღირსებით და ადგილით სოციალურ ურთიერთობაში სხვა გვარებისაგან. წარჩინებულებისათვის მოუთმენელი იყო მაღალი გვარის წარმომადგენლის მოკვლა, თორემ ის რომ დაბალი გვარისა იყოს, მაშინ მის მოკვლას ალბათ ადვილად შეურიგდებოდენ.

აგათიას ცნობაში მოხსენებულია „...დარბაისელი კოლხები, რომელთაც უკვე კარგა ხანია შეესწავლათ ელლინთა ენა"[91]. ეს დარბაისელი კოლხები იყვნენ იგივე წარჩინებულები, რომელთა ხელთ ეპყრათ, გუბაზის დალუპვის შემდეგ, ქვეყნის მართვის სადავეები. თუ არა ყველა წარჩინებულს, მათ ნაწილს მაინც უნდა სცოდნოდა ელლინთა ენა, ვინაიდან მწარმოებელ ხალხს ამ ენის შესწავლის საშუალება არ ექნებოდა.

გუბაზ მეფის ვერაგულად მოკვლის შემდეგ ქვეყნის ბედი წარჩინებულებს უნდა გადაეწყვიტათ. ამ მიზნით ერთ-ერთ ხეობაში მოწვეულ იქნა სახალხო კრება, სადაც გაიმართა მსჯელობა ლაზების პოლიტიკური ორიენტაციის საკითხთან დაკავშირებით. რომაელების მიერ შეურაცხყოფით აღშფოთებული ლაზების დაწყნარება ამ კრებაზე ძნელი გახდა.

---

89 გეორგიკა, ტ. III, გვ. 144.
90 იქვე, გვ. 130.
91 იქვე, გვ. 127..

„მაშინ დიდებულებმა მოუწოდეს ხალხს სიწყნარე დაეცვათ, ყოველი მსურველი, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის, წყნარად გამოსულიყო და ეთქვა თავისი წინადადება, როგორც შეეძლო. იყო წარჩინებულთა შორის ერთი, სახელად აიეტი“[92]. ლაზებმა მოიწვიეს „სახალხო კრება“, რაც გვაროვნული წყობილების დამახასიათებელია, მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის, რომ ამ დროისათვის და უფრო გვიანაც გვაროვნული წყობილების ნაშთები შემონახული იყო როგორც ლაზებში, ისე მათ მეზობელ ტომებში და აუცილებელმა საჭიროებამ ამ შემთხვევაში გამოავლინა იგი. ამრიგად აქ გვაროვნული წყობილების არსებობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. შეიძლება ამ კრებას ესწრებოდნენ მხოლოდ წარჩინებულები, მაგრამ მაინც ის ატარებდა გვაროვნული წყობილების მსგავს ხასიათს. და თუ მხოლოდ წარჩინებულთა კრება იყო, მაშინაც აშკარად ჩანს, რომ მათშიც იყო წოდებრივი სხვაობა — იყვნენ დიდებულები წარჩინებულთაგან.

წარჩინებულები, როგორც წესი, მეტი გავლენით სარგებლობდნენ ხალხში და ამიტომაც ისინი ითვლებოდნენ ხალხის წინამძღოლებად. კრებაზე „დიდებულებმა მოუწოდეს ხალხს სიწყნარე დაეცვათ“. აგათიას მიხედვით ყოველ მსურველს, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის, შეეძლო წყნარად გამოსულიყო და ეთქვა თავისი წინადადება. როცა ამბობს „ვინც არ უნდა ყოფილიყო ის“, გულისხმობს წარჩინებულებსაც და უგვაროებსაც, დაბალი გვარის და სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლებსაც.

VI საუკუნეში ლაზებში კლასობრივი დიფერენციაციის შესახებ კიდევ მეტი ცნობები მოგვეპოვება, რომლებიც ადასტურებენ ლაზებში ფეოდალური ურთიერთობის არსებობას. ასე მაგალითად, სახალხო კრებაზე გამოსულმა აიეტმა განაცხადა: „საკმარისია გაიხსენოთ სახელოვანი გუბაზი, რომელიც ასე საცოდავად იქმნა მოსპობილი, თითქოს ის ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილიყოს“[93]. მაშასადამე, არიან ჩვეულებრივი ადამიანები, არაჩვეულებრივი, მაწანწალები და ქურდ-ბაცაცები, რომლებიც საზოგადოების სხვადასხვა ფენებს ეკუთვნიან.

როგორც აღნიშნულია, როცა განვითარებულია წარმოების ფეოდალური წესი და ამ ნიადაგზე საკმაოდ მოღონიერებული არიან ფეოდალები, წინააღმდეგობა ახალ შინაარსსა და ძველ ფორმას შორის მწვავდება, ფეოდალები მიისწრაფ-

---

92 გეორგიკა, ტ. III, გვ. 63.
93 იქვე, გვ. 65.

ვიან საკუთარი პოლიტიკური უფლებების მეტად გაფართოებისაკენ, რისთვისაც ისინი იყენებენ ყოველგვარ შესაძლებლობას. ერთ-ერთ ამ შესაძლებლობათაგანს წარმოადგენდა მეფის ღალატი, რის შედეგად, მათი აზრით, მეფის ხელისუფლება უნდა დაცემულიყო და მათი კი გაძლიერებულიყო. ასეთ ფაქტებს VI საუკუნეში ადგილი ჰქონდა არა ერთხელ. ასეთი მდგომარეობის გამოყენებას ითვალისწინებდენ, როდესაც ირანელები გუბაზ მეფის მოღალატურად მოკვლას ავალებდენ ერთ-ერთ წარჩინებულ ლაზს ფარსანსს, რომელსაც გუბაზისათვის შეურაცხყოფა მიუყენებია, რის გამოც მასთან შუღლში იყო ჩავარდნილი. თუმცა ამ შემთხვევაში ირანელების იმედი არ გამართლდა. ძნელი მისახვედრია თუ რა მოსაზრებით, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ფარსანსმა გუბაზ მეფეს არ უღალატა. პროკოპი კესარიელი გვაცნობებს არქეოპოლისთან ბრძოლის აღწერასთან დაკავშირებით, რომ „წინა დღით ერთი ლაზი, — ლაზებს შორის წარჩინებული, — რომელიც არქეოპოლისში ცხოვრობდა, მოღალატურად შეუთანხმდა მერმეროეს, რომ ის თავის სამშობლო ქვეყანას გასცემდა“[94]. სამშობლოს ღალატობს ისევ წარჩინებული გარკვეული მიზნებისათვის. ეს რომ წარჩინებული არ ყოფილიყო, მაშინ მას არ ექნებოდა შესაძლებლობა ასეთი მნიშვნელოვანი ღალატისათვის. მის წარჩინებულებაზე მიუთითებს ავტორიც. აგრეთვე „იყო ლაზთა შორის ერთი კაცი, არა უგვაროთაგან, სახელად თეოფობი, რომელსაც მერმეროესთან საიდუმლოდ მოლაპარაკება გაემართა და შეჰპირებოდა უქიმერიონის ციხეს ხელში ჩაგაგდებინებო“[95]. თეოფობი იყო მაღალი გვარის წარმომადგენელი. სწორედ ეს ღალატი დამახასიათებელია ფეოდალური ურთიერთობისათვის, რომელიც არაერთხელ გამოვლინდა საქართველოს მერმინდელ ისტორიაშიც.

ეგრისში VI საუკუნეში სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობები ეჭირათ წარჩინებულებს. ეს ხელს უწყობდა მათ ბრძოლას მათივე პოლიტიკური უფლებების და სამხედრო ძალების შემდგომი გაძლიერებისათვის. ამ მიზნით ისინი ხშირად გაბედულად გამოდიან მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ და ზოგ შემთხვევაშიც მიესწრაფვიან დამოუკიდებლობისაკენ. ასეთი ფაქტის შესახებ პროკოპი შემდეგს წერს: „ლაზთა შორის ერთმა წარჩინებულთაგანმა, სახელად ტერდეტმა, რომელსაც ეგრეთწოდებული მაგისტროსის ძალაუფ-

---

94 გეორგიკა, ტ. II, გვ. 160.
95 იქვე, გვ. 169.

ლება ეპყრა ამ ხალხში და რომელიც ლაზთა მეფე გუბაზთან წაჩხუბებული იყო და მასთან უკმაყოფილება ჰქონდა ფარულად აღუთქვა სპარსელებს, რომ ამ ციხეს (წიბილს — მ. გ.) გადასცემდა; ის კიდეც წამოუძღვა სპარსთა ჯარს და აფსილიაში გაემართა ამ საქმის შესასრულებლად"[96]. ეს იყო აფსილიის მაგისტრი, წარჩინებული, რომელსაც უთანხმოება ჰქონია წინათ მეფესთან, რომლის გამოც განუდგა მას.

ბიზანტიელი სტრატეგოსი იოანე ციბეც იყო წარჩინებული ლაზი. თუმცა მ. კახაძე ცდილობდა დაემტკიცებინა ციბეს არაქართველობა. ის წერდა: „1) პროკოპი კესარიელის ცნობაში აშკარადაა აღნიშნული, რომ იგი „არაწარჩინებულთა და არასახელოვანთა" შთამომავალია. 2) რომ ჯიბო ქართველი ყოფილიყო, ბერძენი ისტორიკოსი ამას აუცილებლად ხაზგასმით აღნიშნავდა, როგორც მას სჩვევია. 3) თუკი იოანე ჯიბო იმიტომ შეარჩია იუსტინიანემ, რომ მან (ე. ი. ჯიბომ) კარგად იცოდა „ადგილობრივ მცხოვრებთა ხასიათი და ზნე" და ამიტომ შესძლებდა მეფის ნაკარნახევი ვაჭრობის მონოპოლიის გატარებას, რატომ ვერ მოახერხა ამ ვაჭრობის სისტემის უმტკივნეულოდ გატარება და რატომ გადაიმტერა მთელი ქვეყანა? გამოვდივართ რა აქედან, ჩვენ ვფიქრობთ, რომ იოანე არაა ქართველი. ის ტომით ბერძენია"[97]. მ. კახაძე დასკვნებს აკეთებს პროკოპის ცნობებიდან, რომ ჯიბოსი იყო არაწარჩინებულთა და არასახელოვანთა შთამომავალი. ჩვენი აზრით კი პროკოპის იოანეს დახასიათებისას გარკვეული პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანების შესრულება ჰქონდა მიზნად დასახული.

როგორც ცნობილია, იოანეს სავაჭრო პოლიტიკამ ლაზთა უკმაყოფილება გამოიწვია, რასაც შედეგად მოჰყვა ხანგრძლივი ომი ირანელებსა და ბიზანტიელებს შორის. იოანე იყო იმპერიის მოხელე, რომელსაც ევალებოდა ბიზანტიის მთავრობის პოლიტიკის გატარება ლაზიკაში. ამდენად ისტორიკოსს ევალებოდა მთავრობის პოლიტიკის გამართლება და იოანეს გამტყუნება. პროკოპი ლაზების ბიზანტიელებისაგან განდგომისა და მის შედეგად დაწყებული ომის მიზეზად ასახელებს იოანეს.

აღნიშნულ ეპოქაში ლაზებს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ ბიზანტიასთან, რომელიც ძირითადად ატარებდა ნატურალურ ხასიათს. სავაჭრო საგნებიდან დასახელებულია მა-

---

96 გეორგიკა, ტ. II, გვ. 131.

97 მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 204.

რილი, ხორბლეული, ღვინო, ტყავეულობა და თაფლი. მარილი ეგრისში არ მოიპოვებოდა, ამიტომ შემოჰქონდათ საზღვარგარეთიდან. მას ხმარობდა როგორც წარჩინებულები და მეფე, ისე დაბალი ფენის წარმომადგენლებიც. ხორბალი და ღვინო იყო მაღალი წრის სახმარი საგანი, ვინაიდან ღარიბებს არ შეეძლოთ ძვირფასი საგნების შეძენა და ისინი კმაყოფილდებოდნენ ადგილობრივი ხორბლით და ღვინოთი. შემოტანილი ძვირფასეულობის შეძენა შეეძლოთ წარჩინებულებს. სავაჭრო საგნებიდან დასახელებულია ტყავეულობაც. ტყავით ვაჭრობაც შეეძლო ისევ წარჩინებულებს. გლეხობას სად ჰქონდა ამდენი ტყავი, რომ ვაჭრობა დაეწყო. ეჭვის გარეშეა ისიც, რომ გასაყიდი ტყავი გროვდებოდა გადასახადების სახით. ხოლო გადასახადს უხდიდნენ მეფეს, მაგისტროსს ან ფეოდალს. გლეხს კი არავინ უხდიდა გადასახადს და ამის საფუძველიც არ არსებობდა.

ამრიგად, ლაზებში ფეოდალური ურთიერთობის არსებობის დამტკიცებისათვის საკმარისია მოყვანილი ფაქტებიც. არის კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც დამახასიათებელია ლაზიკაში ფეოდალების გაძლიერებისათვის. ეს არის ტყვეებით ვაჭრობა. ლაზიკაში ტყვეებით ვაჭრობამ და მისთვის სამხედრო რაზმების შექმნამ ხელი შეუწყო ამ რაზმების ხელმძღვანელების ეკონომიურ ძლიერებას და სოციალურ დაწინაურებას. ამიტომაც ტყვეებით ვაჭრობამ ლაზიკაში ისეთივე როლი შეასრულა, როგორიც აბაზგიაში, ე. ი. ერთგვარად ხელს უწყობდა ფეოდალური ფენის გაძლიერებას[98].

საყურადღებოა ბიზანტიელი მწერლების ცნობები ლაზების რომაელებისაგან განდგომის საკითხთან დაკავშირებით. ამ ცნობებში აშკარად ჩანს, რომ მეფის ელჩები არიან წარჩინებულები და მათ უნდათ რომაელთა ბატონობისაგან თავის დაღწევა, ვინაიდან სტრატეგოსმა იოანემ შეზღუდა მათი ვაჭრობა. მართალია პირველად ელჩები მიუთითებენ პოლიტიკური უფლებების შეზღუდვაზე, მაგრამ პოლიტიკური უფლებები მათ ესაჭიროებოდათ ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. აქ ლაზები პირდაპირ მიუთითებენ, რომ რომაელებმა მათი ქონება წაიღეს, იოანემ შეზღუდა მათი ვაჭრობა, რის შემდეგ ლაზ წარჩინებულებს მოესპოთ გამდიდრების ერთ-ერთი წყარო.

---

98 აქ მხედველობაში გვაქვს ქვეყნის შიგნით ძალთა თანაფარდობა. საერთოდ კი ეს ვაჭრობა, რამდენადაც სპობდა საწარმოო ძალებს, ასუსტებდა ქვეყნის ეკონომიურ ძლიერებას და გავლენას ახდენდა მასზე დაკავშირებულ მოვლენებზე.

ამრიგად საგარეო ვაჭრობა, იოანეს მიერ სავაჭრო მონოპოლიის შემოღებამდე, წარჩინებულების ხელში იყო. ვაჭრობის მონოპოლიის შემოღებამ ლაზ წარჩინებულთა უკმაყოფილება გამოიწვია. მათ გადასწყვიტეს მიმხრობოდნენ ირანს. ეს გადაწყვეტილება სისრულეში იქნა მოყვანილი.

როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში, ლაზ წარჩინებულების და მეფის ინტერესები ერთიმეორეს ემთხვეოდნენ, მაგრამ შემდეგში ამ ინტერესებს შორის წინააღმდეგობას ჰქონდა ადგილი. წარჩინებულები მუდამ მზად იყვნენ წინააღმდეგობა გაეწიათ მეფისათვის, ან ეღალატნათ მისთვის, თუ ამას საჭიროდ ნახავდნენ. ამავე დროს მეფე დაინტერესებული იყო მორჩილებაში ჰყოლოდა ფეოდალები. უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ ზოგიერთი ფეოდალი ეკონომიურად ძლიერი იყო, ჰქონდა მეტი მამული და მეტი გავლენითაც სარგებლობდა ქვეყნის მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში. სწორედ ასეთი ფეოდალი მიისწრაფოდა მეფისაგან დამოუკიდებლობისაკენ და მეფესაც ასეთი ფეოდალისაგან მოელოდა საფრთხე, რისთვისაც ცდილობდა ფეოდალის შემდგომი ძლიერების შეზღუდვას. ამდენად ფეოდალი მეფეს ემტერებოდა. თუ წინააღმდეგობა მეფესა და ფეოდალს შორის არ იყო მწვავე, მაშინ ფეოდალი საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში მეფის მხარეზე გამოდიოდა, მაგრამ თუ მეფესთან მტრობა ფეოდალს საფრთხეს უქადიდა, მაშინ ეს უკანასკნელი მტრის მხარეზე გადადიოდა. ფეოდალების ის ნაწილი, რომელიც მეფეს ვერ უწევდა მეტოქეობას და ამავე დროს იჩაგრებოდა უფრო ძლიერი ფეოდალებისაგან, ყოველთვის მხარს უჭერდა მეფეს, მხედველობაში ჰქონდა რა, რომ მეფის მფარველობის გარეშე მას არსებობა არ შეეძლო.

ამრიგად ფეოდალების ღალატს საფუძვლად ედო მეფესთან მტრული ურთიერთობა, რომლის დამადასტურებელ ფაქტებს ვხედავთ VI საუკუნეში დასავლეთ საქართველოს ცხოვრებაში. იყო შემთხვევა, როცა წარჩინებულთა კლასი ორ ჯგუფად იყოფოდა საგარეო ორიენტაციის საკითხის გადაწყვეტისას. ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდათ უქიმერიონთან ბრძოლისას და გუბაზ მეფის მკვლელობასთან დაკავშირებულ სახალხო კრების დროს. ასეთი ფაქტის შესახებ პროკოპი წერს: „დანარჩენი ლაზები კი, რომლებიც რომაელ ჯარისკაცთაგან საშინლად იყვნენ შეწუხებულნი, — განსაკუთრებით კი ჯარის სარდლებისაგან იყვნენ შევიწროვებულნი, — მეტწილად სპარსელების მომხრეობას იჩენდენ, არა იმი-

ტომ, რომ სპარსელობა მოსწონდათ, არამედ, რადგან რომაელთა ბატონობისაგან თავის დაღწევა სურდათ, აირჩიეს ის უბედურება, რომელიც მანამდე არ ენახათ"[99].

ეს ლაზები, რომლებიც პოლიტიკური ორიენტაციის საკითხს წყვეტდნენ, იყვნენ წარჩინებულები. იგივე წარჩინებულებმა საგარეო ორიენტაციის საკითხი გადასწყვიტეს გუბაზის სიკვდილის შემდეგ. აქაც ორი დაჯგუფება იყო. ერთი ჯგუფის წარმომადგენელი იყო აიეტი, ხოლო მეორისა — ფარტაძი. ის ჯგუფი, რომლის წარმომადგენელი იყო აიეტი, მოითხოვდა ირანის მიმხრობას, ხოლო მეორე ჯგუფი ფარტაძის მეთაურობით მოითხოვდა ბიზანტიის მიმხრობას. საბოლოოდ ბიზანტიის მომხრეებმა გაიმარჯვეს. მათ მოითხოვეს გუბაზის მკვლელთა დასჯა და მის მაგიერ წათეს გამეფება. კეისარმაც წარჩინებულთა ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა. წათე გაამეფეს. ახლად გამეფებული წათე, ეტყობა, ისეთი უფლებებით ვეღარ სარგებლობდა, როგორითაც გუბაზი სარგებლობდა. ალბათ ამაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ გუბაზ მეფის მკვლელების გასამართლებაზე ბრალმდებლად გამოდიან ლაზიკის დარბაისლები და არა წათე. ამიერიდან მეფის ხელისუფლება ლაზიკაში არ გაძლიერებულა ისე, როგორც გუბაზის დროს იყო. VII საუკუნეში კი ლაზიკის მმართველი უკვე მეფედ აღარ იწოდება, არამედ პატრიკიოზად. მაშასადამე, ლაზიკაში წათეს მეფედ დანიშვნა იყო ფაქტიურად ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების გამომხატველი აქტი მიუხედავად იმისა, რომ გუბაზის მოკვლაში ლაზ წარჩინებულებს არ მიუღიათ მონაწილეობა. ეს იყო ახალი სოციალური ურთიერთობის გამომხატველი აქტი. ეს იყო პოლიტიკური გადატრიალება რევოლუციის გარეშე, რომლის დროსაც მეფის ხელისუფლება შეიზღუდა და წარჩინებულთა უფლებები საკმაოდ გაიზარდა.

ამავე დროს მხედველობიდან არაა გამოსატოვებელი ის გარემოება, რომ ეგრისში და საერთოდ დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კი მთიანეთში ფეოდალურ ურთიერთობასთან ერთად შემონახული იყო გვაროვნული წყობილებაც, რომელსაც თუმცა რღვევის ნიშნები ეტყობოდა, მაგრამ ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა ქვეყნის ცხოვრებაში. წამყვან როლს ასრულებდა წარმოების ფეოდალური წესი.

ამრიგად, VI საუკუნეში ლაზიკაში ასეთი ვითარება იყო:

---

99 გეორგიკა, ტ. II, გვ. 168.

გამარჯვებული ფეოდალური ურთიერთობა და რღვევის პროცესში მყოფი გვაროვნული წყობილება. ამავე დროს შემონახული იყო მონათმფლობელური წყობილების გადმონაშთებიც.

ასევე აბაზგებშიც VI საუკუნეში კლასობრივი დიფერენციაცია საკმაოდ განვითარებული იყო. აქ უკვე სახელმწიფოებრივი წყობილება იყო და ისიც დიდი ხნიდან. პროკოპი წერს: „აბაზგები ძველითგანვე ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ, ხოლო მუდამ ჰყავდათ ორი თვისტომი მთავარი. ამათგან ერთი დაწესებული იყო დასავლეთის ნაწილში, ხოლო მეორე აღმოსავლეთისაში“[100]. აქ დასახელებულია „თვისტომი მთავარი“. ეს მთავრები არ იყვნენ ტომის ბელადები, რომლებიც დამახასიათებელი იყვნენ გვაროვნული წყობილებისათვის, სადაც მთავრებს (წინამძღოლებს) ირჩევდნენ, არამედ ესენი იყვნენ მემკვიდრეობითი დინასტები, კლასობრივი საზოგადოების ნაყოფი. აბაზგებს „თავიანთი მთავრებისაგან საშინელი ჩაგვრა აქვთ მათ გამოცდილი იმათი ვერცხლის-მოყვარეობის წყალობით“[101]. თემური წყობილებისას კი ხალხს არ ახსოვს ასეთი ჩაგვრა თავიანთი მთავრებისაგან.

პროკოპი კესარიელი აღნიშნავს, რომ აბაზგებს გარკვეული დროიდან დამოუკიდებლად უჭირავთ თავი. აქ იგულისხმება ის დრო, როდესაც ისინი განუდგნენ ლაზებს. ამ დროს აბაზგებს ჰყავდათ თვისტომი მთავრები ან მფლობელები, რომლებიც სწორედ ვერცხლის-მოყვარეობით იყვნენ განთქმულნი და საშინლად სჩაგრავდნენ თავიანთ ხალხს. ეს მთავრები ჩვეულებრივი მჩაგვრელები კი არ იყვნენ, არამედ დესპოტებიც. ამ მთავრების თვითნებობა უსაზღვრო იყო. ისინი „როგორც კი დაინახავდენ ამ ტომში კარგი გარეგნობისა და ლამაზი ტანის ბავშვებს, დაუყოვნებლივ დააშორებდენ მათ მშობლებს, ევნუქებად გადაიქცევდენ და გზავნიდენ რომაელთა ქვეყანაში, რათა იქ მიეყიდათ მსურველთათვის დიდძალ ფულზე. მათ მამებს კი მაშინვე კლავდენ, რათა ზოგიერთი მათგანი არ ცდილიყო ოდესმე ეზღო მეფისათვის მათი შვილების მიმართ ჩადენილი უსამართლობისათვის, ხოლო ზოგიერთი ქვეშევრდომთაგანი კიდევ მათთვის საეჭვო არ ყოფილიყო, და ამრიგად შვილების სილამაზე მათთვის დაღუპვის მომასწავებელი იყო, ვინაიდან ისინი იღუპებოდენ

---

100 გეორგიკა, ტ. II, გვ. 103.
101 იქვე, გვ. 103.

საცოდავნი, შვილების საბედისწერო სილამაზით გაუბედურებულნი"[102].

ვისი შვილების გაყიდვა შეეძლოთ აბაზგიის მთავრებს? რა თქმა უნდა საზოგადოების დაბალი ფენის შვილების. მაშასადამე, ყოფილა საზოგადოების ისეთი ფენა, რომლის შვილების დასაჭურისება და გაყიდვა შეიძლებოდა. აღებულ დროს აბაზგიის მთავრები არ ეყრდნობოდნენ გარეშე ძალას, ვინაიდან ისინი დამოუკიდებლად ცხოვრობდნენ. თუ ეს ასეა, ძაშინ ცხადია, რომ ამ მთავრებს უნდა ჰყოლოდათ საზოგადოების ისეთი ფენა, რომელზედაც დაყრდნობა შეეძლოთ მათ. „მეექვსე საუკუნის დამდეგისათვის, როდესაც, ჩანს, ეს ამბები ხდება (ბავშვების გასაჭურისება და გაყიდვა—მ. გ.), აბაზგებს განვითარების საკმაოდ გრძელი გზა ჰქონიათ განვლილი"[103].

მაშასადამე, აბაზგიაში შედარებით განვითარებული კლასობრივი საზოგადოებაა: მთავარი, გაბატონებული კლასი, რომელსაც ეყრდნობა მთავარი, საზოგადოების დაბალი ფენა ანუ მწარმოებელი კლასი, რომლის ექსპლოატაცია შეუძლიათ მეფეს და წარჩინებულებს. დასახელებულ ქვეყანაში მეფე იყო მონათმფლობელი, რომლის უფლებები განუსაზღვრელი და შეუზღუდველი იყო ადგილობრივი ხალხის მიმართ, ხოლო მისმა საყრდენმა ფენამ საზოგადოებისა, რომელიც ოდესღაც მონათმფლობელთა კლასს წარმოადგენდა, შესცვალა თავისი მეურნეობის სახე, შეეგუა ცხოვრების ახალ წესებს და გადაიზარდა ახალ კლასში; ის გახდა ახალი ფეოდალური საზოგადოების წარმომადეგნელი, რომლის ინტერესები უკვე ეწინააღმდეგებოდა მეფის ინტერესებს. მათი კავშირის საფუძველი ის იყო, რომ მეფე და აზნაურობა ერთი კლასის — ექსპლოატატორული კლასის წარმომადგენლები იყვნენ. მიუხედავად ამისა მეფეს ეს საყრდენი ძალა გამოეცალა.

ფეოდალური ურთიერთობის განვითარება ხელს უწყობს ფეოდალების ეკონომიურად და პოლიტიკურად გაძლიერებას, რომლის დროსაც მათი მოთხოვნილებები იმდენად იზრდება, რომ მათთვის უკვე აუტანელი ხდება მონათმფლობელური მეფის რეჟიმი, ისინი მიისწრაფვიან მეტი თავისუფლებისაკენ. ამის აშკარა გამოხატულებაა რომ „მალე ორივე მეფე მოსპეს აბაზგებმა და გადაწყვიტეს თავისუფლად ეცხოვრათ"[104]. „ამ აქტს წინ უსწრებს რომაული მთავრობის გარ-

---

102 გეორგიკა, ტ. II, გვ. 103.
103 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 67.
104 გეორგიკა, ტ. II, გვ. 105.

კვეული ღონისძიებები"[105]. ერთი შეხედვით გამოდის, რომ აბაზგების მთავრების დესპოტიზმი ვრცელდებოდა საზოგადოების გაბატონებულ ფენაზედაც, რომელიც ოდესღაც მეფის საყრდენს წარმოადგენდა. ეჭვს გარეშეა, რომ მთავრები ამ ახალგაზრდა ფეოდალური კლასის წარმომადგენლების შვილების დასაჭურისებას და გაყიდვას არ ახდენდნენ. საქმე იმაშია, რომ ფეოდალებმა, რომლებიც მიისწრაფოდნენ ხელისუფლების გაფართოებისაკენ, გამოიყენეს არსებული წინააღმდეგობა საზოგადოების მწარმოებელ ფენასა და მთავრებს შორის, რომლის დროსაც მთავრებს გამოეცალათ ეს ოდესღაც სანდო საყრდენი, რის შედეგად ისინი მოსპობილ იქნენ. რა თქმა უნდა ამ გადატრიალებაში ბიზანტიასაც ედო თავისი წილი და ისიც მნიშვნელოვანი. ამის შესახებ ქვემოთ იქნება აღნიშნული.

»რამ შეუწყო ხელი ფეოდალური ურთიერთობის განვითარებას და ფეოდალთა ხელისუფლების გაძლიერებას?

ძველი დროიდან დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი იყო ტყვეებით ვაჭრობა. ტყვეებით ვაჭრობა მონათმფლობელური წყობილების ნაყოფია. ის იყო გამდიდრების ერთ-ერთი საშუალება. მონების სიმცირის გამო ტყვეებს იძენდნენ, აქცევდნენ მონებად და შემდეგ ჰყიდდენ. ტყვეების შეძენა მოითხოვდა სპეციალური სამხედრო ექსპედიციების შექმნის აუცილებლობას. ეს გარემოება კი თავისთავად იწვევდა სამხედრო რაზმების მნიშვნელობის ზრდას. ამრიგად, ტყვეებით მოვაჭრეს ჰყავდა ძლიერი რაზმი, რაც მის შემდგომ გაძლიერებასაც უწყობდა ხელს. აკად. ს. ჯანაშიას აზრით ტყვეებით ვაჭრობა ზრდიდა სამხედრო რაზმების მნიშვნელობას. ს. ჯანაშიას ეს შეხედულება სინამდვილეს ასახავს. ის წერს: „თუ ეს მთავრები საკუთარ ქვეშევრდომებსაც არ ინდობდენ, რა ხელს დააკლებდენ სხვისას, ან, საერთოდ, მეზობელ ტომთა მოსახლეობას! ამიტომ, უეჭველია, რომ აბაზგთა მთავრებს ტყვის მოტაცება, სათანადო სამხედრო ექსპედიციები მონების საშოვრად და მოსარბევად, ჩვეულებრივ ხელობად ექნებოდათ გადაქცეული. ამ გარემოებას განსაკუთრებით უნდა გაეზარდა მთავართა სამხედრო რაზმების მნიშვნელობა"[106].

ტყვეებით ვაჭრობდნენ არა მარტო მთავრები, არამედ ყოფილი მონათმფლობელებიც, რომლებიც, ისევე როგორც მთავრები, ადგენდნენ, შესაძლებლობისადაგვარად, სამხედ-

---

105 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 70.
106 იქვე, გვ. 67.

·რო რაზმებს, რათა ტყვეებით ვაჭრობა ეწარმოებინათ უწყვეტად. ეს ვაჭრობა იმდენად ძლიერი იყო, რომ იგი გამდიდრების მნიშვნელოვან წყაროდ გადაიქცა.

როგორც აღვნიშნეთ, ტყვეებით ვაჭრობა მონათმფლობელური წყობილების ნაყოფი იყო, მაგრამ ეს წყობილება არ უნდა განვითარებულიყო აბაზგიაში. ამ პროცესის განვითარებას ან შენარჩუნებას ხელს უწყობდა მონათმფლობელურ ქვეყნებთან ურთიერთობაც. ასე რომ მონათმფლობელური მეურნეობა შეიძლება არც კი განვითარებულიყო აბაზგიაში. ს. ჯანაშია ამბობს: „რა თქმა უნდა, იმდროინდელ აბაზგიაში ეს მონათმფლობელური მეურნეობა მეტად სუსტი იყო და, შესაძლებელია, რომ იგი უპირატესად მხოლოდ მონების, როგორც საბაზრო საქონლის, „წარმოებაში" გამოიხატებოდა, მაგრამ იგი მაინც საფუძვლად იქცა აბაზგთა მთავრების ზემოთ აღწერილ დესპოტიისათვის"[107].

აბაზგიაში ფეოდალურმა კლასმა VI საუკუნეში შესძლო მონათმფლობელური მეფის ხელისუფლების გაუქმება, რომლის მსგავს მოვლენას ადგილი ჰქონდა იმავე ხანებში ქართლში. იქ ფეოდალურმა კლასმა მეფის ხელისუფლების გაუქმებაში გაძოიყენა ირანი და შემდეგ კი, როცა ძალაუფლება ხელში ჩაიგდო, დაიწყო ბრძოლა მის წინააღმდეგ. აქ აბაზგიაშიც ფეოდალებმა მეფის ხელისუფლების გაუქმებისას გამოიყენეს ბიზანტიის იმპერიის ძალები. პროკოპის ცნობაში არაა მითითებული, რომ ეს გადატრიალება მოახდინეს წარჩინებულებმა, არამედ მოხსენებული არიან „აბაზგები". აბაზგების მიზანი იყო თავისუფლად ცხოვრება, რასაც პირველ ხანებში მიაღწიეს საზოგადოების დაბალმა ფენებმა, რომლებიც გაუბედურებულნი იყვნენ შვილების სილამაზით, ან კიდევ ზოგიც საეჭვო იყო და ამიტომ იდევნებოდა; ამიერიდან თავიდან იცილებენ ასეთ უბედურებას. ამ დროიდან წყდება ლამაზი ბავშვების დასაჭურისება-გაყიდვა და მათი მშობლების დასჯა. საზოგადოების მეორე ფენაც — ფეოდალთა კლასიც პოულობს თავისუფლებას, რომლის შედეგად მისი პოლიტიკური უფლებები ამიერიდან აღარ იზღუდება მეფის მიერ. ამრიგად აბაზგიაში ამ გადატრიალებამ საზოგადოების ორივე ფენის მოთხოვნილება დააკმაყოფილა. რა თქმა უნდა ყველაზე მეტად აზნაურთა მოთხოვნილება იქნა დაკმაყოფილებული.

ამიერიდან ქვეყნის მართვა-გამგეობის სადავეები, რომე-

---

107 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 71.

ლიც წინათ მონათმფლობელი მეფის ხელში იყო, გადადის წარჩინებულთა ხელში, წარჩინებულები ეუფლებიან ხელისუფლებას. აკად. ს. ჯანაშია აბაზგიაში მომხდარ გადატრიალებას მიაწერს აბაზგიის წარჩინებულებს. აი რას წერს: „...გადატრიალება სწორედ წარჩინებულებმა, ჩვენი გაგებით, ე. ი. ახალგაზრდა ფეოდალურმა კლასმა, მოახდინეს, ეს ჩანს, აგრეთვე აღნიშნულ ფაქტიდან რომ აბაზგიის პირველ დაპერისთანავე ირანელებმა მძევლები სწორედ ამ წარჩინებულებს გამოართვეს: ქვეყნის ბატონი ეს წოდება იყო და პასუხისმგებლობასაც მას აკისრებდენ“[108].

აბაზგიის წარჩინებულებს აღარ შეეძლოთ დამოუკიდებლად ქვეყნის მართვა და ამიტომ მათი მეფეების მოსპობის პირველ ხანებში კავშირი ჰქონდათ ბიზანტიელებთან. აბაზგიაში ბიზანტიელთა ჯარისკაცები იდგნენ. როდესაც აბაზგები განუდგნენ ბიზანტიელებს და მოიწვიეს ირანელები, ირანის სარდალმა ნაბედმა ნდობის ნიშნად „ხელთ იგდო მათგან (აბაზგებისაგან — მ. გ.) მძევლებად სამოცი ბავშვი, წარჩინებულთა გვარებიდან“[109]. ქვეყნის მართვა-გამგეობა წარჩინებულთა ხელში რომ არ ყოფილიყო, მაშინ ნაბედი არ წაიყვანდა აბაზგიის წარჩინებულთა სამოც ბავშვს. ამ სამოცი ბავშვით ნაბედს აბაზგია დამორჩილებული ეყოლებოდა სხვა მოვლენას ხელი რომ არ შეეშალა მისთვის.

აბაზგიის წარჩინებულებმა VI საუკუნეში დაასრულეს ფეოდალური რევოლუცია. თუ ერთ დროს ისინი მთავრის ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოდნენ, შემდეგ კი საჭიროდ სცნეს ისევ მთავრების არჩევა და კიდევაც აირჩიეს. ამის შესახებ პროკოპი წერს: „როდესაც მათ თავიანთი მეფეები მოსპეს, როგორც ეს ჩემ მიერ ახლახან იყო მოთხრობილი, რომაელთა ჯარისკაცები, კეისრის მიერ წარგზავნილები, მათ ქვეყანაში იდგენ ხოლმე ძალიან ხშირად და მათ უნდოდათ ეს ქვეყანა დაემორჩილებიათ რომაელთა ძალაუფლებისათვის, მათ ახალ-ახალ რაღაც წესებს უმყარებდენ. ამ ძალადობის გამო აბაზგები პირდაპირ აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდნენ. იმის შიშით, რომ ამიერიდან რომაელთა მონებად არ გამხდარიყვნენ, მათ კვლავ დაიყენეს თავისთვის მთავრები, აღმოსავლეთის ნაწილისათვის ოფსიტე სახელად, ხოლო დასავლეთისათვის სკეპარნა“[110].

ეს ახალი მთავრები ისეთი უფლებებით ვერ სარგებლობ-

---

108 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 71.
109 გეორგიკა, ტ. II, გვ. 125.
110 იქვე, გვ. 126.

დნენ, როგორც მათი წინაპრები. მათ წინაპრებს ამტკიცებდა ლაზების მეფე ან ბიზანტიის იმპერატორი, რომელთა უფლებები შეუზღუდველი იყო ადგილობრივი ხალხის მიმართ. ახალი მთავრები კი უკვე თვით წარჩინებულების არჩეულები იყვნენ და ამავე დროს მათი უფლებები საკმაოდ შეზღუდული იყო. ამ გარემოების სწორ განმარტებას იძლევა ს. ჯანაშია. ის ამბობს: „ცხადია, ეს ხელისუფლება განსხვავდებოდა ძველისაგან, რომელიც განადგურებულ იქნა აბაზგების მიერ. იქნებ შემთხვევითი არ იყოს რომ უზენაეს ხელისუფლების ახალ მატარებლებს აბაზგიის თანამედროვე უცხოელი მემატიანე „მთავრებს", „არქონტებს", ან „წინამძღოლებს", „ჰეგუმენებს", ეძახის, ძველს-კი — უფრო ჩვეულებრივ, „მეფეებს", ბაზილევსებს. ეს მთავრები მართლაც მხოლოდ წინამძღოლნი იყვნენ აბაზგის ახალგაზრდა ფეოდალური კლასისა, წარჩინებულთა წოდებისა, რომელიც ეხლა თავისი, საკუთარი, პოლიტიკური ორგანიზაციის გაჩენას ლამობდა"[111]. აბაზგიაში ისეთივე მდგომარეობა იყო, როგორც ქართლში, სადაც ერისმთავრად „გააჩინეს" გვარამი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აბაზგებმა მოსპეს თავიანთი მთავრები და დაიწყეს თავისუფლად ცხოვრება. ამ გადატრიალების ინიციატორები იყვნენ აბაზგები, მაგრამ აბაზგიაში იმ დროს საზოგადოება ხომ კლასებად იყო დაყოფილი და თითოეული მათგანი ამ გადატრიალებით სხვადასხვანაირად იყო დაინტერესებული. ამის შესახებ ს. ჯანაშია წერს: „გასაგებია, რომ როცა კეისრის ადგილობრივი წარმომადგენელი სასტიკად უკრძალავს აბაზგთა მეფეებს ამიერიდან ვისმე გასაჭურისებას და როცა „ამას აბაზგები სიხარულით ხვდებიან", ან როცა შემდეგში, „რომაელთა მეფის ბრძანებით გამხნევებულნი, ისინი მთელი თავისი ძალღონით ეწინააღმდეგებიან ამ საქმის ჩადენას", გასაგებია, ვიმეორებთ, რომ ამ შემთხვევაში კეისრის მთავრობას კურსი ადგილობრივ წარჩინებულთა წრეების გადმობირებაზე აქვს აღებული. მათი მეფეების წინააღმდეგ"[112]. გამოდის, რომ კეისრის მთავრობას კურსი ჰქონდა აღებული იმათზე, ვინც გასაჭურისების აკრძალვას „სიხარულით ხვდება", ან რომელიც „რომაელთა მეფის ბრძანებით გამხნევებულნი, ისინი მთელი თავის ძალღონით ეწინააღმდეგებიან ამ საქმის ჩადენას". ჩვენი აზრით, კეისარი იმიტომ კი არ იღებდა კურსს ადგილობრივ წარჩინებულთა წრეების გადმობირებაზე, რომ ისინი განიც-

111 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 72.
112 იქვე, გვ. 70.

დიდნენ ტანჯვას და წამებას მეფეების მიერ მათი შვილების გასაჭურისებით და მათი დასჯით. ესენი არ იყვნენ შვილების სილამაზით გაუბედურებულნი. აქ სულ სხვა ვითარებაა.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, აბაზგების მთავრები მონათმფლობელურ პოლიტიკას ატარებდნენ იმ დროს, როცა აქ ფეოდალური მეურნეობა საკმაოდ განვითარებული იყო და სწორედ ეს წარჩინებულები იყვნენ ფეოდალური ფენის წარმომადგენლები, რომელთა ინტერესები ეწინააღმდეგებოდა მეფის პოლიტიკას. კეისრის მთავრობამ კი გამოიჯინა ეს წინააღმდეგობა და ამავე დროს მშრომელი ხალხის ფართო მასების უკმაყოფილებაც, რის შედეგად მიაღწია აბაზგების მთავრების მოსპობას.

აბაზგიაში VI საუკუნეში მომხდარი რევოლუციის შედეგად მონათმფლობელური მეფის ხელისუფლება უქმდება და ძალა-უფლება გადადის წარჩინებულთა ხელში. ამიერიდან აქ მონათმფლობელურ წყობილებას ბოლო ეღება.

აფსილია მდებარეობდა აბაზგებსა და ლაზებს შორის. აფსილების სოციალური ურთიერთობის შესახებ ცხობები არ მოგვეპოვება. მაგრამ მიუხედავად ამისა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დროის აღებულ მონაკვეთში უკვე საკმაოდ განვითარებული ფეოდალური ურთიერთობა იყო აქ. სხვანაირად წარმოუდგენელია, რომ აფსილიაში, რომლის სამხრეთ და ჩრდილოეთ მეზობლებში ფეოდალურმა ურთიერთობამ გაიმარჯვა, გვაროვნული ან მონათმფლობელური წყობილება იყოს. აქ ადგილი არ ჰქონდა ფეოდალურ გადატრიალებას ისე, როგორც აბაზგიაში ან ლაზიკაში, მაგრამ ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო თავისებური პირობებით. იმ დროს აფსილია შეიდიოდა ლაზიკის სამეფოში და აფსილებს არ ჰყავდათ თავიანთი მეფეები. აქ იყვნენ წარჩინებულები, რომელთა შესახებ უკვე თქმული იყო. შეიძლება დავასკვნათ, რომ ლაზიკაში მომხდარი ფეოდალური გადატრიალება ეხებოდა აფსილებსაც.

აფსილების ზემოთ ცხოვრობდნენ მისიმიელები. ისინი ცხოვრობდნენ მთაგორიან მხარეებში და შესაძლებელია, რომ აქ ფეოდალური ურთიერთობის განვითარება ისეთ სიმაღლეზე არ იდგა, როგორც ლაზებში ან აბაზგებში, მაგრამ ბაინც ადგილი ჰქონდა საზოგადოების კლასებად დაყოფას. ამაზე მიუთითებს აგათიას ცნობა მისიმიელების აჯანყებასთან დაკავშირებით. ამ ცნობაში აღნიშნულია, რომ „მისიმიელებმა რომ ეს გაიგეს, თუ გაიფიქრეს, მიუგზავნეს (სოტერიქეს — მ. გ.) ორი, მათ შორის წარჩინებული, კაცი, სახელად ხადე

და თიანე"[113]. ასევე ბიზანტიელებთან დაზავებისას იოანესთან წარგზავნილი ელჩები იყვნენ წარჩინებულები. საყურადღებოა ამავე დროს ის გარემოება, რომ წყაროებში არაა მითითებული მისიმიელთა მთავრების შესახებ. შესაძლებელია ეს ხალხი უშუალოდ ემორჩილებოდეს ლაზთა მეფეს და სწორედ ამიტომ არ ასახელებდნენ მათ მთავრებს. ხოლო როცა ასახელებენ მისიმიელებს, ალბათ, მხედველობაში აქვთ მათი ეთნიკური განსხვავება ლაზებისაგან. ცხადია ერთი, რომ VI საუკუნის მისიმიანეთში კლასობრივი საზოგადოება იყო.

რამდენადაც დასავლეთ საქართველოში მონათმფლობელური წყობილება ისე არ განვითარებულა, რომ ის გადაქცეულიყო დასრულებულ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციად, ამდენად საფიქრებელია, რომ ეს ურთიერთობა განსაკუთრებით არ განვითარებულა მთის რაიონებში, როგორიცაა მისიმიანეთი. აქ, საფიქრებელია, გვაროვნული წყობილება იცვლებოდა ფეოდალურით. სწორედ მისიმიანეთში შემჩნეული წარჩინებულები უნდა ყოფილიყვნენ ახალი ფეოდალური ურთიერთობის ნაყოფი. მისიმიელების მეზობელ ტომებს — სვანებსაც არ გაუვლიათ მონათმფლობელური წყობილება. დროის აღებულ მონაკვეთში სვანეთში მტკიცედ შემონახული იყო გვაროვნული წყობილება. სვანები ირჩევდნენ მთავრებს, რომელთა უფლებამოსილებას ამტკიცებდა ლაზების მეფე. უნდა აღვნიშნოთ, რომ სვანების ეს მთავარი თავისი უფლებამოსილების მხრივ დიდად განსხვავდებოდა მეფისაგან. მას ირჩევდა ხალხი და მხოლოდ შემდეგ მის მთავრობას ადასტურებდა ლაზების მეფე. ასე რომ სვანების მთავრის საყრდენ პოლიტიკურ ძალას მთელი ხალხი წარმოადგენდა[114]. ამ შემთხვევაში ლაზთა მეფის დასტური გამოხატავდა მხოლოდ ლაზებისადმი სვანების მორჩილებას. კლასობრივი საზოგადოების დროს მეფობა გადადის მემკვიდრეობით მამიდან შვილზე ან გვარში უფროსზე. გვაროვნული წყობილების დროს კი ხალხი ირჩევს მთავარს ან ბელადს, მაგრამ არა ერთი გვარიდან, არამედ ტომიდან. ბელადის არჩევისას მხედველობაში ჰქონდათ მისი პირადი თვისებები და ღირსება. ალბათ, ასეთ მდგომარეობაზე მიუთითებს მენანდრეს ცნობა, სადაც აღნიშნულია შემდეგი: „ხოლო როდესაც სვანების მთავარი გარდაიცვლებოდა, ლაზების მეთაური ახელისუფლებდა მას, ვისაც უნდა ბიეღო და დაეცვა გარდაცვლილის ძალაუფლება"[115].

113 გეორგიკა, ტ. III, გვ. 87.
114 მხედველობაშია ზემო სვანეთი, სადაც გვაროვნული წყობილება ძალაში იყო.
115 გეორგიკა, ტ. III, გვ. 224.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზემო სვანეთში იყო გვაროვნული წყობილება, ხოლო ქვემო სვანეთში, სადაც მეტი იყო ბარის გავლენა, იშლება ეს გვაროვნული წყობილება და იქმნება კლასობრივი საზოგადოება.

სვანებში გვაროვნული წყობილება შემონახული იყო XIX საუკუნემდე. იხილავს რა 1875 წლის სვანების აჯანყებას რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ, აკად. ს. ჯანაშია წერს: „ის (მახვში — მ. გ.) უვადოდ იყო არჩეული ხალხის მიერ და, თუ ღირსეული აღმოჩნდებოდა, ღრმა მოხუცებამდე უძღვებოდა თავის თანამდებობას, და თუ არა — ის შეეძლოთ ყოველ წამს გადაეყენებინათ"[116]. დასახელებული აჯანყების დროს სვანებმა სახალხო ყრილობაზე აირჩიეს მახვში. თუ ამ დროისათვის სვანეთში გვაროვნული წყობილების გადმონაშთები ამდენად ძლიერი იყო, მაშინ ცხადია, რომ VI საუკუნეში ეს ურთიერთობა განსაკუთრებით ძლიერი იქნებოდა.

ამრიგად VI საუკუნეში დასავლეთ საქართველოს ბარის რაიონებში გაიმარჯვა ფეოდალურმა ურთიერთობამ, ხოლო მთიან რაიონების ზოგ ნაწილში კი შემორჩენილი იყო გვაროვნული წყობილება; ზოგ ტომებში მალე დაირღვა ეს უკანასკნელი და ზოგმაც გვიანამდე შეინარჩუნა.

გ) შინაპოლიტიკური ვითარება

კლასობრივი საზოგადოების შექმნასთანაა დაკავშირებული სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნა. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უძველეს დროშიც არსებობდა ძლიერი სახელმწიფო, რა თქმა უნდა მონათმფლობელური. სწორედ დასავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა ე. წ. კოლხას გაერთიანება. „ბერძნები ამ ადგილებს (შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებს — მ. გ.) პირველად სწორედ II-I ათასწლეულის მიჯნაზე, აქ კოლხური ტომების ამ დიდ გაერთიანების ძლიერების ხანაში გაეცნენ. ამიტომ მოხდა, რომ მათ ამ დროს აქ არსებული ყველაზე ძლიერი პოლიტიკური ერთეულის სახელი გავრცელეს სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ვრცელ ტერიტორიაზე. ასე შეიქმნა ამ დიდი ტერიტორიის კრებითი სახელწოდება „კოლხიდა" („კოლხეთი")"[117]. ეს სამეფო დაიშალა, მაგრამ ძველი წელთაღრიცხვით VI საუკუნეში ვხედავთ დასავლეთ საქართ-

116 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, გვ. 121.
117 საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 31.

ველოს ტერიტორიაზე ახალ სამეფოს. „ძვ. წ. VI საუკუნეში და მომდევნო ხანებში ჩვენ სწორედ აქ ვხედავთ ძველი კოლხას მემკვიდრე პოლიტიკურ ერთეულს — კოლხეთის სამეფოს, რომელიც თანამედროვე დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავდა“[118].

ახალი წელთაღრიცხვით VI საუკუნეში დასავლეთ საქართველოში მმართველობის სახელმწიფოებრივი ფორმა საკმაოდ განვითარებული იყო.

VI საუკუნეში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფოს ლაზიკა ეწოდებოდა. ქართულ და სომხურ წყაროებში კი იგი მოხსენებულია ეგრისის და ეგერის სახელწოდებით. დასახლებული ტერიტორიის მეტი ნაწილი დასახლებული იყო ლაზ-მეგრელებით. უკვე აღნიშნული იყო, რომ ლაზები ცხოვრობდნენ დაახლოებით ორ მდინარის ჭოროხსა და ეგრისს შორის. ეს იყო საკუთრივ ეგრისი, ანუ ლაზიკა. მაგრამ ჟამთა ვითარებაში ლაზებმა შესძლეს სხვა მეზობელი ტომების გაერთიანება ერთ პოლიტიკურ ერთეულში, განსაკუთრებით კი ჩრდილოეთი ტომების: სვანების, აფსილების, მისიმიელების და აბაზგების. ამ გაერთიანებული სამეფოს სათავეში მეფე იდგა.

ლაზიკაში მეფეთა მემკვიდრეობა მხოლოდ სამეფო საგვარეულოს ეკუთვნოდა, და ამავე დროს მეფობა მამიდან შვილზე გადადიოდა. ადრინდელი პერიოდის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ VI საუკუნის ლაზთა მეფეების შესახებ არსებული ცნობები პირდაპირ მიუთითებენ, რომ სამეფო ტახტი ეკუთვნოდა სამეფო საგვარეულოს. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ წათე I-ის შემდეგ გამეფდა მისი ძმა ოფსიტე. ოფსიტეს შემდეგ — წათე I-ის პირველი შვილი გუბაზი, ხოლო მისი მოკვლის შემდეგ — წათე I-ის მეორე შვილი, გუბაზის უმცროსი ძმა წათე II.

VI საუკუნის დასაწყისში ლაზების მეფეს ემორჩილებოდნენ აფსილები, აბაზგები, მისიმიანები და სვანები. ამათგან აბაზგებს ჰყავდათ თავიანთი მთავრები. VI საუკუნის პირველ მეოთხედში აბაზგებს უკვე მოპოვებული ჰქონდათ ლაზებისაგან დამოუკიდებლობა, ხოლო სხვა ტომები ისევ ლაზების მეფის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ.

აკად. ივ. ჯავახიშვილი, ეხება რა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას, წერს შემდეგს: „V-VI ს-ში კი დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა კვლავ შეცვლილი არის. მთლიანობის აღდგენისადმი მიდრეკილება, ეტ-

---

118 საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 40.

ყობა, ისევ განახლებულა და ნაწილობრივ ეს სულისკვეთება გამარჯვებით დამთავრებულა კიდეც. ამ დროს მხოლოდ აფშილებსა და აფხაზებს-ღა ჰყოლიათ თავთავიანთი, ბიზანტიისაგან დამოკიდებული მეფეები"[119].

VI საუკუნეში აფსილების ბიზანტიელებისადმი უშუალო დამოკიდებულების შესახებ არც ერთი წყარო არ მიუთითებს. პირიქით, არსებული წყაროები მიუთითებენ იმაზე, რომ VI საუკუნეში აფსილები ლაზებს ემორჩილებოდნენ. პროკოპი წერს: „აფსილები ლაზების ქვეშემრდომნი არიან და ისინი ძველითგანვე ქრისტიანები იყვნენ, როგორც სხვა დანარჩენი ტომებიც"[120]. რაც შეეხება აბაზგებს, ისინი V საუკუნეში ლაზების ქვეშევრდომნი იყვნენ, ხოლო VI საუკუნის დასაწყისში უკვე გამოეყვნენ მათ და რომაელების გავლენის ქვეშ მოექცნენ. პროკოპის მიხედვით „აბაზგები ძველითგანვე ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ, ხოლო მუდამ ჰყავდათ ორი თვისტომი მთავარი"[121]. ამ წინადადებაში ხაზი გაუსვა იმას, რომ აბაზგები ლაზების ქვეშევრდომები „იყვნენ". აფსილების შესახებ კი ამბობს, რომ ისინი ლაზების ქვეშევრდომები „არიან". აფსილების შესახებ ამ აზრს პროკოპი არაერთხელ იმეორებს.

ჩვენ ზემოთ ნაწილობრივ აღვნიშნეთ მეფეთა მემკვიდრეობის მდგომარეობა აბაზგიაში. ამის შესახებ ცნობები მოგვეპოვება. ამ ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ აბაზგიაშიც მეფეთა მემკვიდრეობის საკითხში ისეთივე წესი არსებობდა, როგორიც ლაზებში. ზემოთ აღნიშნულს უნდა დავუმატოთ კიდევ ერთი გარემოება. თუმცა უფრო გვიანდელ პერიოდს ეხება, მაგრამ მაინც შეიძლება დამატებითი დასკვნის გაკეთება VIII საუკუნის ერთი ცნობიდან. „მატიანე ქართლისაი" მიუთითებს აფხაზეთის სამეფოს წარმოშობაზე, სადაც სწერია: „ხოლო რაჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომლისად მიეცა სამკვიდროდ აფხაზეთი"[122]. ლეონ აფხაზთა ერისთავმა ერისთავობა მიიღო ბიძასაგან (მამის ძმისაგან). ამის დამადასტურებელი ცნობები მოცემულია აფხაზთა მეფეების ნუსხაში. ამ ნუსხაში აფხაზთა მეფეების ჩამოთვლა იწყება ანოსიდან და შემდეგ გრძელდება ასე: „მეორე შვილი მისი ღოზარ: მესამე შვილი მისი ისტვინე:

---

119 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, გვ. 274.
120 გეორგიკა, ტ. II, გვ. 98.
121 იქვე, გვ. 103.
122 ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 251.

მეოთხე შვილი მისი ფინიკტიოს"[123]. მეათე მეფემდე ტახტი მამიდან შვილზე გადადის. მეათე მეფე იყო კონსტანტინე. ეტყობა მას შვილი არ ჰყოლია და ამიტომ მის შემდეგ გამეფებულა მისი ძმა ლეონი. ნუსხაში აღნიშნულია „მეათერთმეტე ძმა მისი ლეონ"[124]. ამ ნუსხის მიხედვით ჩანს, რომ შემდეგშიაც სამეფო ტახტი მამიდან შვილზე გადადიოდა; უკიდურეს შემთხვევაში კი ძმაზე ან ძმისშვილზე. VIII საუკუნეში ერისთავობა მამიდან შვილზე კი არ გადასულა, არამედ მეფის უახლოეს მემკვიდრეზე. მხოლოდ მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ VI საუკუნეში აბაზგიაში ხდება ფეოდალური გადატრიალება, რომლის დროსაც ადგილი ჰქონდა საკუთარი მთავრების დასჯას და „თავისუფლად" ცხოვრებას, შემდეგ კი ისევ ახალი მთავრების არჩევას. ბიზანტიის წინააღმდეგ აბაზგების აჯანყების შემდეგ არ ვიცით როგორი მმართველობა იყო იქ, გარდა იმისა, რომ ისინი უშუალოდ ბიზანტიას ემორჩილებოდნენ.

სვანების შესახებაც მოგვეპოვება ცნობები, სადაც მითითებულია ლაზებისადმი მათი დამოკიდებულების შესახებ. ამ ურთიერთობაზე პროკოპისა და მენანდრეს აქვთ ცნობები. პროკოპი წერს: „ამათ შემდეგ (ლაზების — მ. გ.) შიდა ხმელეთში მოდის სკვიმია და სვანია, ეს ტომები ლაზთა ქვეშევრდომები არიან"[125]. შემდეგშიაც პროკოპი აღნიშნავს, რომ მერმეროემ დაიპყრო კოლხიდის საუკეთესო ნაწილი და ამით ლაზებსა და ბიზანტიელებს დაბრკოლებას უქმნიდა, რომ უქიმერიონის ციხეში სურსათი მიეწოდებინათ ან სვანიასა და სკვიმნიაში ევლოთ, რომლებიც ლაზებისა და ბიზანტიელების ქვეშევრდომები იყვნენ.

სვანები VI საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ. ხოლო მას შემდეგ, რაც დიდი ომიანობა დაიწყო, სვანები მიემხრობიან ირანელებს და იქ საკმაო ხანს გრძელდებოდა ირანის გავლენა, რომლის შესახებ დაწვრილებით იქნება აღნიშნული შემდეგ თავში.

სვანების შესახებ ნათქვამია, რომ ისინი აღრიცხული იყვნენ სახარკო სიაში და ლაზების მეფეს უხდიდნენ ხარკს ნატურით. ამის შესახებ მენანდრე წერს: „ლაზებში, ბატონო, ძველი წესი იყო, რომ სვანეთის სარდალი ემორჩილებოდა

---

123 ძველი საქართველო. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო-საზოგადოების კრებული, ტ. II, განყოფილება III, გვ. 46.
124 იქვე, გვ. 46.
125 გეორგიკა, ტ. II, გვ. 96.

ლაზს და მასთან ერთად ის აღრიცხული იყო სახარკო სიაში, და ლაზი კიდევაც იღებდა მისგან ფუტკრების ნაყოფს და ტყავებს და ზოგ სხვა რამესაც. ხოლო როდესაც სვანების მთავარი გარდაიცვლებოდა, ლაზების მეთაური ახელისუფლებდა მას, ვისაც უნდა მიეღო და დაეცვა გარდაცვლილის ძალაუფლება"[126]. აქ აღნიშნულია, რომ ლაზი სვანებისაგან ხარკს იღებდა და როცა მთავარი მოკვდებოდა, ახალს ამტკიცებდა. ერთი შეხედვით მკითხველს ჰგონია, რომ სვანეთი წარმოადგენდა ლაზების მიერ დაპყრობილ მხარეს, რომელიც სარგებლობს ერთგვარი ავტონომიით. სვანები მართლაც იხდიდნენ ფუტკრების ნაყოფს და ტყავებს. ამას სვანები რა პირობებში აძლევდნენ ლაზებს არაა აღნიშნული გარდა იმისა, რომ ავტორი სვანებს ვალდებულად სთვლის. მაგრამ სინამდვილეში ეს ურთიერთობა არ ჰგავდა დამორჩილებულ და დამმორჩილებელ ქვეყნების ურთიერთობას. მიუხედავად იმისა, რომ სვანები ხარკს იხდიდნენ, თვითონაც ლაზებისაგან ღებულობდნენ, ეტყობა, გადახდილის სანაცვლოდ. სვანეთში მესაქონლეობა და მეფუტკრეობა განვითარებული იყო. ხოლო ლაზეთში, პირიქით, მარცვლეული კულტურების მოყვანა. სვანები ლაზებს აძლევდნენ რაც მათთვის ზედმეტი იყო, ხოლო ლაზები კი სურსათით ამარაგებდნენ სვანებს. იგივე მენანდრე ამ ურთიერთობაზე შემდეგს წერს: „მის შემდეგ, რაც ლაზთა მეფისა და იმ დროს იქ მოსარდლე რომაელ მარტინეს შორის რაღაც მტრობა ჩამოვარდა, ამის გამო კოლხმა აღარ გაუგზავნა სვანებს ჩვეულებრივი სურსათი: ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ პური მათ კოლხთა მეფისაგან ეგზავნებოდათ. ამიტომ სვანებმა იმაზე გაჯავრებულებმა, რომ მათ მოუსპეს დაწესებული დახმარება, შეუთვალეს სპარსელებს, რომ, თუ ისინი იქ მოვიდოდენ, სვანეთს მათ ჩააბარებდენ"[127]. აქედან ცხადია, რომ სვანებსაც ჰქონიათ პრეტენზიები და მათი ურთიერთობა ლაზებთან დაფუძნებული იყო გარკვეულ ხელშეკრულებაზე, რომლის პირობების შესრულება სავალდებულო იყო ორივე მხარისათვის. ეს ურთიერთობა ჰგავს სავაჭრო ხელშეკრულებას, რომლის დროსაც, ეტყობა ლაზებმა მიღებული თაფლისა და ტყავების ნაცვლად გადასახდელი არ გადაიხადეს. სვანეთის სურსათით მომარაგება შემთხვევითი არ იყო. ეს იყო დაწესებული დახმარება და იმავე დროს სავალდებულოც. ამიტომაც იყო, რომ სვანები განუდგნენ ლაზებს და სპარსელებს ჩაბარდნენ.

---

126 გეორგიკა, ტ. III, გვ. 224.
127 იქვე, გვ. 214.

ვინაიდან სვანები ასეთ ურთიერთობაში იყვნენ ლაზებთან, სხვა ტომების ურთიერთობაც ლაზებთან უნდა ყოფილიყო ასევე, ხელშეკრულებაზე დამყარებული, რომლის პირობების შესრულება ორივე მხარეს ევალებოდა. ის, რომ სვანების მთავარს ან სხვა ტომის ბელადს ამტკიცებდა ლაზების მეფე, უნდა ყოფილიყო გარკვეული ხელშეკრულების საფუძველი, რამდენადაც ეს მეზობელი ტომები ეკონომიურად ისედაც დაკავშირებული იყვნენ და გარეშე მტრის წინააღმდეგ საერთო ძალებით იბრძოდნენ.

მისიმიელებიც ასეთსავე დამოკიდებულებაში უნდა ყოფილიყვნენ ლაზებთან, როგორც აფსილები და სვანები. მისიმიელების სრული დამორჩილება მოხდა მას შემდეგ, რაც მათ ბოსპეს სოტერიქე და მისი რაზმი. მაგრამ ეს იყო ბიზანტიელების მიერ მათი დამორჩილება. შესაძლებელია, ამიერიდან ისინი უშუალოდ ბიზანტიელებს ემორჩილებოდნენ.

იმ დროს, როცა დასავლეთ საქართველოს ტომებს უხდებოდათ ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის დამყარება ბიზანტიასთან, მათ ჰქონდათ მმართველობის სახელმწიფოებრივი ფორმა და გაერთიანებული იყვნენ, გარდა აბაზგებისა და სანიგებისა, ლაზების ჰეგემონობის ქვეშ. ამ დროს, ე. ი. VI საუკუნის დასაწყისში აბაზგები გამოეყვნენ ეგრისის პოლიტიკურ ერთეულს და მოგვიანებით ბიზანტიელების გავლენის ქვეშ მოექცნენ.

თავი III

დასავლეთ საქართველოს ურთიერთობა ბიზანტიასთან VI საუკუნეში

1. ურთიერთობა VI საუკუნის პირველ მესამედში

დასავლეთ საქართველოს ბიზანტიასთან ურთიერთობის განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ უკანასკნელთან ირანის ურთიერთობასაც. სწორედ ბიზანტიისა და ირანის ურთიერთობამ ნაწილობრივ განსაზღვრა დასავლეთ საქართველოს მათდამი დამოკიდებულება. ამდენად, საჭიროა მოკლე მიმოხილვა იმისა, თუ რას წარმოადგენდნენ ეს ორი სახელმწიფო VI საუკუნის დასაწყისისათვის.

როგორც ცნობილია, მონათმფლობელური რომის იმპერია გარკვეული მიზეზების გამო დაშლის გზას დაადგა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯერ კიდევ ფორმალურად ერთიანად ითვლებოდა, ფაქტიურად ეს იმპერია 395 წლიდან ორ ნაწილად დაიყო. მალე (476 წელს ოდოვაკრის მიერ რომულ ავგუსტულის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ) იმპერიის დასავლეთ ნაწილს ბოლო მოეღო. აღმოსავლეთმა ნაწილმა, რომლის დედაქალაქი იყო ბიზანტიონი, განაგრძო არსებობა და ამავე დროს განმტკიცებაც. აღმოსავლეთი ნაწილის, მერმინდელში ბიზანტიის იმპერიად წოდებულის, სოციალური განვითარების გზები განსხვავდებოდა დასავლეთი ნაწილისაგან. აქ ადრეფეოდალური ურთიერთობა ვითარდებოდა, მაგრამ მის სათავეში მონათმფლობელი მეფე იდგა. ქვეყნის შიგნით მიმდინარეობდა ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, რომლის დროსაც ახალი, თუმცა ძნელად, მაგრამ მაინც გზას იკაფავდა წინ. ამის შესახებ აკად. ს. ჯანაშია წერს: „მაგრამ აქ აღებულ მომენტში ამ სამყაროს სახე ჯერ საბოლოოდ გამორკვეული არ არის— ეს ტიპიური გარდამავალი ხანაა, თავის დამახასიათებელ ნიშნების მატარებელი, შინაგან დუღილითა და ჭიდილით აღ-

სავსე, ძველის კვდომისა და ახლის დაბადების გამძაფრებულ ტკივილებით გაძსკვალული"[1]. მონათმფლობელი მეფე წინ ეღობება ახალ აღმავალ ფეოდალთა კლასს, მაგრამ ამავე დროს საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონები მას აიძულებენ, რომ ნაწილობრივ დათმობაზე წავიდეს. ამის შესახებ ზ. უდალცოვა აღნიშნავს შემდეგს: „Правительство Юстиниана пыталось законодательными мерами помешать росту власти феодализирующейся знати, запрещая ей содержать дружины, строить частные тюрьмы в имениях и т. д. В то же время правительство Юстиниана иногда шло на уступки этой знати. Поскольку экономически рабство становилось всё более невыгодным, правительство разрешало земледельцам в ряде случаев перевод рабов на положение колонов»[2].

მიუხედავად ზ. უდალცოვას მტკიცებისა, ჩვენ ვხედავთ იმპერიაში ისეთ მხედართმთავრებს, რომლებსაც ჰყავდათ შეიარაღებული მცველი რაზმები და ჰქონდათ დიდი მამულები, რომლის მოსახლეობიდან გადასახადს კრეფდნენ.

ქვეყნის შიგნით არსებულ ამ შინაგან ბრძოლას არ შეუნელებია იმპერიის მმართველი წრეების მისწრაფება ქვეყნის საზღვრების გაფართოებისაკენ, სავაჭრო გზების დაუფლებისათვის და სურვილი მსოფლიო ბატონობაზე. „VI საუკუნეში აღმოსავლეთ რომის იმპერია გარეგნულად ძლიერების მწვერვალს აღწევს"[3]. ერთი მხრიდან ასეთ იმპერიასთან ურთიერთობა ჰქონდა დასავლეთ საქართველოს. მეორე მეზობელი აღმოსავლეთით იყო ირანი.

ირანის მეფეები ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან მიისწრაფოდნენ მსოფლიო ბატონობისაკენ. მათი გავლენა დასავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა ძვ. წ. VI-V საუკუნეების მიჯნაზე. შემდეგშიაც არაერთხელ ცდილან დასავლეთ საქართველოს დაპყრობას, მაგრამ ვერ შესძლეს. მათ გავლენას ვხედავთ ახ. წ. VI საუკუნის დასაწყისშიც.

ირანი VI საუკუნისათვის წარმოადგენდა ადრეფეოდალურ სახელმწიფოს. მასში ამ დროისათვის სოფლის თემიდან გამოეყო ჯგუფი მიწის მესაკუთრეებისა. გლეხთა ნაწილმა კი დაჰკარგა მიწა და იგი გადაიქცა მუდმივ მოიჯარადრედ. ირანში სოციალური ურთიერთობის შესახებ ა. იაკუბოვსკი წერს: „В V—VII вв. в Иране продолжался процесс разложе-

1 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 23.
2 Всемирная история, т. III, 1957, стр. 87.
3 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 23.

ния рабовладельческих отношений. Возникало и развивалось раннефеодальное общество"[4].

ირანის საზოგადოება იყოფა ორ ერთიმეორის დაპირისპირებულ ჯგუფებად: ერთ მხარეზე დგას მწარმოებელი ნაწილი საზოგადოებისა — თავისუფალი გლეხი — მეთემეწვრილი მიწათმფლობელები, რომლებიც გამოეყენენ თემს, ფეოდალებზე დამოკიდებული გლეხები. იყო, აგრეთვე, მონების მნიშვნელოვანი რაოდენობა. მეორე ჯგუფი საზოგადოებისა იყო ფეოდალიზაციის გზაზე მდგარი მსხვილი მიწათმფლობელები. იგივე ა. იაკუბოვსკი წერს: „В VI в. в Иране окончательно сложилось раннефеодальное государство с развитым бюрократическим аппаратом, унаследованным от античной эпохи, и единой налоговой системой, при слабо выраженных еще элементах феодальной раздробленности"[5].

ფეოდალური ურთიერთობის განვითარებასთან ერთად იზრდება და ვითარდება მიწათმოქმედებაც. ირანის ოაზისებში გამოყენებული იყო სარწყავი სისტემა. ფეოდალთა საკუთრებას წარმოადგენდა სწორედ მიწა და წყალი. გარდა ამისა, ირანში განვითარებული იყო ხელოსნობა და ვაჭრობა. ვაჭრობის მთავარ საგნებს წარმოადგენდნენ აბრეშუმის ნედლეული და ქსოვილები. ირანს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან, მცირე აზიასთან, ჩინეთთან და ინდოეთთან. ვაჭრობა ირანს აძლევდა დიდ შემოსავალს და ამიტომაც ირანის მთავრობის ყურადღების ცენტრში იყო სავაჭრო გზების საკითხი.

VI საუკუნის ირანში საქალაქო ცხოვრებაც საკმაოდ განვითარებულია. ცნობილია ისეთი ქალაქები, როგორიცაა: კტესიფონი, გუნდიშაპური, ისტახრი, ჰამადანი, რეი, ნიშაპური, და სხვ.

ასეთ განვითარებულ ქვეყნის სათავეში იდგა შაჰინშაჰი.

VI საუკუნის ირანის მეფეების საგარეო პოლიტიკა ხასიათდებოდა ომებით. მათი მიზანი იყო ხმელთაშუა და შავი ზღვების აუზების დაკავება და ჩინეთთან და იხდოეთთან დაკავშირებული სატრანზიტო სავაჭრო გზების დაუფლება. სწორედ აქ ხვდებოდნენ წინააღმდეგობას ორი უძლიერესი სახელმწიფოს, ბიზანტიისა და ირანის მმართველები თავისი საგარეო პოლიტიკის ცხოვრებაში გატარების დროს.

VI საუკუნეში და ადრეც ეს ორი უძლიერესი სახელმწი-

---

[4] Всемирная история, т. III, стр. 94.
[5] იქვე, გვ. 99.

ფო (ირანი და აღმოსავლეთ რომის იმპერია) ერთიმეორეს მეტოქეობას უწევდნენ და ყოველი მათგანი ცდილობდა თავისი გავლენის სფეროს გავრცელებას რაც შეიძლება მეტ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი მათ შორის მდებარე ქვეყნებზე —. დასავლეთ საქართველოზე და მცირე აზიის ქვეყნებზე. ერთიცა და მეორეც მიისწრაფოდა მსოფლიო ბატონობისაკენ. ამ მიზნით მათ შორის წარმოებდა ომი. დასავლეთ საქართველო, განსაკუთრებით კი ლაზიკა დიდი ხნიდან სადავო ობიექტს წარმოადგენდა ზემოხსენებულ ქვეყნებისათვის. ჯერ კიდევ ძვ. წ. VI საუკუნეში მსოფლიო ბატონობაზე მეოცნებე სპარსეთის მეფეებმა მოინდომეს მცირე აზიის ქვეყნების და ლაზიკის დაპყრობა. მათ შესძლეს საქართველოს სამხრეთი ტერიტორიების დაპყრობა, მაგრამ დასავლეთი საქართველო, რომელიც მაშინ კოლხეთად იწოდებოდა, ვერ დაიპყრეს. „კოლხეთის ეს სამეფო ვერ დაიქვემდებარეს სპარსელებმა იმგვარად, როგორც მათ დაიმორჩილეს სამხრეთის ქართული გაერთიანებანი (სასპერები, მოსხები, ტიბარენები, მაკრონები და სხვ.). სპარსეთის მეფეებმა ვერ შეიყვანეს კოლხეთი თავის სამეფოს შემადგენლობაში, ვერ დანიშნეს აქ თავისი მმართველი და ა. შ. მიუხედავად ამისა, კოლხეთის სამეფო პირველ ხანებში, ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის პირველ ნახევარში, მაინც იძულებული შეიქმნა გარკვეული ვალდებულება ეკისრა სპარსეთის მიმართ: კოლხები დროდადრო, 5 წელიწადში ერთხელ, სპარსეთის სამეფო კარს უგზავნიდნენ მონებს — 100 ბიჭსა და 100 გოგოს, თან მაშველი ჯარიც გამოჰყავდათ ხოლმე სპარსელების მხარეზე“[6]. გ. მელიქიშვილი, იხილავს რა ჰეროდოტეს ცნობებს დასავლეთ საქართველოს ირანთან ურთიერთობის შესახებ, წერს შემდეგს: „ჰეროდოტეს ეს ორი ცნობა შეიძლება ისე შევათანხმოთ, რომ აქემენიდებმა კოლხებს, ეტყობა, ხარკის გადახდის ვალდებულება ვერ დააკისრეს, ვერც თავის იმპერიაში შეიყვანეს და თავისი მმართველი დაუნიშნეს — მაგრამ უკანასკნელები მაინც იძულებულები შეიქმნენ გარკვეული ვალდებულებები ეკისრათ: ლაშქრით დახმარება და ძღვენის მირთმევა დროდადრო ახალგაზრდა მონა ვაჟებისა და ქალების სახით. ამრიგად, აქემენიდების ძლიერების ჟამსაც დასავლეთ საქართველოში, ეტყობა, არსებობდა დიდი და ძლიერი პოლიტიკური წარ მონაქმი, რომლის დამორჩილება და თავის იმპერიაში შეყვანა აქემენიდების ძლიერმა მეფეებმა.

---

6 საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 40.

(დარიოსშა, ქსერქსემ) ვერ შესძლეს"[7]. აქ ჩვენ გვგონია, რომ ე. წ. ძველნი იყო იგივე სავალდებულო გადასახადი, რომელიც გამოხატავდა ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას. კოლხები თავიანთი ნებით ირანს ლაშქრით არ დაეხმარებოდნენ. ეს ყველაფერი იძულების შედეგი იყო. მაგრამ ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ კოლხებძა მაინც შესძლეს ერთგვარი დამოუკიდებლობის შენარჩუნება. თუმცა აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ კოლხები ნებაყოფლობით ხარკს აძლევდნენ აქემენიდებს. ის წერს: „თუმცა კოლხებს დამოუკიდებლობა შეუნარჩუნებიათ, მაგრამ მაინც სპარსეთისათვის ხარკი ნებაყოფლობით უძლევიათ"[8]. ასე იყო ძვ. წ. VI საუკუნეში. იმავე წელთაღრიცხვით V საუკუნის მეორე ნახევარში კოლხებმა ამ ვალდებულებასაც თავი დააღწიეს და „კოლხეთის დიდმა სამეფომ დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის სახით იარსება ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისამდე, როდესაც თითქმის მთელი დასავლეთი საქართველო ახლად წარმოქმნილი იბერიის სამეფოს გავლენის არეში მოექცა"[9].

ძველი წელთაღრიცხვით II და I საუკუნეების მიჯნაზე კოლხეთის სამეფოში იწყება პოლიტიკური კრიზისი, რის შედეგად მეფის ხელისუფლება სუსტდება. შემდეგში კოლხეთს იპყრობს მითრიდატ პონტოელი. ძვ. წ. I საუკუნის მეორე ნახევრიდან (ძვ. წ. 65 წ.) კოლხეთი რომაელების მიერ იქნა დაპყრობილი და იქ აღმოიფხვრა მითრიდატის გავლენა. ახალი წელთაღრიცხვით I და II საუკუნეებშიც კოლხეთი რომაელების გავლენის ქვეშ იმყოფება. კოლხეთის რომაელებთან დამოკიდებულების შესახებ რომის იმპერატორ ადრიანეს მოხელე არიანე გვაწვდის ცნობებს, რომელიც თარიღდება 131 წლით. ასეთი იყო მდგომარეობა III საუკუნეშიც.

ცნობილია, რომ III საუკუნიდან სასანიდთა დინასტიის მეფეებმა დაიწყეს დაპყრობითი ომები. ამის შედეგად IV საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის დასაწყისში ქართლი დაიყო ორ ნაწილად. აღმოსავლეთში ირანელები გაბატონდნენ, ხოლო დასავლეთში ბიზანტიის გავლენა გავრცელდა (ბიზანტიის მფარველობით ფარსმანი მეფობდა დაახლოებით 395-413 წლებში, შემდეგ ბუზმარი 413-437 წლებში). ამ დროს დასავლეთ საქართველო ბიზანტიას ემორჩილებოდა. სწორედ

---

7 გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოების და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისათვის, 1955, გვ. 102.

8 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი, I, გვ. 4.

9 საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 41.

გუბაზ მეფის მეთაურობით მზადდებოდა აჯანყება აღმოსავლეთ რომის იმპერიის წინააღმდეგ V საუკუნის სამოციან წლებში. მართალია გუბაზი სპარსულად იყო შემოსილი კონსტანტინეპოლში ჩასვლისას (465 წ.), მაგრამ გაურკვეველია თუ რით იყო გამოწვეული ეს გარემოება.

მომდევნო ხანებში ვიდრე VIII საუკუნის მეორე ნახევრამდე დასავლეთ საქართველო ისევ რჩება აღმოსავლეთ რომის იმპერიის გავლენის ქვეშ. აღმოსავლეთ რომის ანუ ბიზანტიის იმპერიის მთავრობას არ უნდა ლაზიკის ხელიდან გაშვება. მას კარგად ესმოდა ამ მხარის სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობა. ამავე დროს სასანიანთა ირანის მმართველები ცდილობენ ამ მხარის ამავე მნიშვნელობის გამო დამორჩილებას. დასავლეთ საქართველოს დაპყრობით ირანი ჰქმნიდა მისთვის ხელსაყრელ პოზიციებს ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამავე დროს აღმოსავლეთ საქართველოში ირანის წინააღმდეგ აჯანყების სურვილი ჩახშობილი იქნებოდა. დასავლეთ საქართველოს გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ვინაიდან სანამ ირანს ქართლში ზურგი არ ექნებოდა მტკიცე, ვერ შესძლებდა წარმატებით ბრძოლას მთავარი მეტოქის წინააღმდეგ., ირანი ცდილობდა, როგორც აღვნიშნეთ, ლაზიკის ხელში ჩაგდებას, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა, დიპლომატიური გზით. გამართულ მოლაპარაკების დროს ირანის ელჩი სეოსი ამტკიცებდა, „რომ კოლხიდა, რომელსაც ეხლა ლაზიკი ეწოდება, ძველითგანვე რომ სპარსელთა ქვეშევრდომი იყო, რომაელებს ძალით უჭირავთ, უსამართლოდ“[10]. რა თქმა უნდა ერთიცა და მეორეც უსამართლოდ ცდილობდა ლაზიკის დამორჩილებას. ლაზებისათვის ორივე უცხო იყო. რაც შეეხება იმას, რომ ლაზიკა ძველითგანვე სპარსელთა ქვეშევრდომი იყო, არ შეეფერება სინამდვილეს. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ირანმა ერთ დროს თავისი გავლენა გაავრცელა კოლხეთზე, მაგრამ მას შემდეგ, რაც კოლხებმა თავი გაინთავისუფლეს ამ გავლენისაგან, გავიდა დაახლოებით ცხრა საუკუნე. ირანის მთავრობა ეძებდა საბაბს ლაზიკის მითვისებისათვის.

ირანის მიზანს კარგად ხედავდნენ ბიზანტიელებიც და მათი ელჩები „აღშფოთებით ისმენდენ ამას, სპარსელები რომ ლაზიკესაც ეცილებოდნენ“...[11] აძჯერად ლაზიკის საკითხი გა-

---

10 გეორგიკა, ტ. II, გვ. 21.
11 იქვე, გვ. 21.

დაუწყვეტელი დარჩა. ერთიცა და მეორეც უცდიდა ხელსაყრელი პირობების შექმნას; ორივე მხარეს გაძოცდილი დიპლომატები ჰყავდათ. ამავე დროს კოლხეთის წარჩინებულები და მეფე ბუნებრივად იყვნენ დიპლომატები. ისინი ხედავდნენ, რომ მათ ამ ორ ძლიერ სახელმწიფოს შორის დამოუკიდებლად არსებობა აღარ შეეძლოთ. და ამიტომ პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრისას არჩევდნენ შედარებით უკეთეს მხარეს. სწორედ ასეთი ორიენტაციის შედეგად იყო, რომ წათემ გადასწყვიტა ბიზანტიის მფარველობის ქვეშ ყოფნა. მართალია, ეს მარტო წათეს სურვილი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ეს იყო ლაზიკის წარჩინებულთა სურვილი, მათი ინტერესებიდან გამომდინარე. გამორიცხული არაა, რომ ლაზთა წარჩინებულების ამ ორიენტაციას მხარს უჭერდნენ მწარმოებელი მასებიც მიუხედავად იმისა, რომ მათ არავინ ეკითხებოდა.

ჩვენ როცა ლაზების პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ იმსჯელობთ, მხედველობაში გვაქვს VI საუკუნის დასაწყისში ლაზების საერთაშორისო მდგომარეობა, რომლის დროსაც ისინი ერთგვარ ნეიტრალურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ V საუკუნის მეორე ნახევარში ლაზები აღმოსავლეთ რომის იმპერიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. V საუკუნეში ირანსა და ბიზანტიას შორის ერთგვარი მშვიდობიანობა იყო დამყარებული. ამის შესახებ მ. ლევჩენკო წერს: „Большим счастьем для Восточной империи было то, что она имела обеспеченный тыл, так как мир с иранской державой Сасанидов, ослабленной внутренними противоречиями, не нарушался в течение почти всего V века, за исключением коротких и малозначительных пограничных столкновений в 420—422 гг.“[12]. ეს შეტაკებანი გამოწვეული იყო ირანში მცხოვრებ ქრისტიანების დევნით, რომელიც დამთავრდა ბიზანტიელთა გამარჯვებით. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლაზიკა ამ დროს ბიზანტიას ემორჩილებოდა, რომ ირანის გავლენა ლაზიკაზე არ ვრცელდებოდა. ამ დროს ლაზიკა ბიზანტიის მხრიდან თუ არა ეკონომიურ, პოლიტიკურ ჩაგვრას მაინც განიცდიდა. სწორედ ასეთი ჩაგვრის შედეგი უნდა ყოფილიყო ლაზების აჯანყება გუბაზ მეფის მეთაურობით. ლაზიკა-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილი ამბობს, რომ „კოლხეთის მეფემ გუბაზმა გადასწყვიტა ამგვარი გარეგნული დამოკიდებულებისაგანაც განეთავისუფლებინა თავისი

---

12 М. Левченко, История Византии, стр. 35.

სახელმწიფო"[13]. ივ. ჯავახიშვილის აზრით გუბაზს აწუხებდა ერთადერთი გარემოება, „რომ ლაზიკის სახელმწიფო ტახტზე ამავალს მეფეს სამეფო უფლების ნიშნებს (გვირგვინსა და სხვ.) ბიზანტიის კეისარი უგზავნიდა ხოლმე"[14]. ჩვენ გვგონია, რომ ამ ფორმალური მხარისათვის (თუ მარტო ეს იყო მიზეზი) ლაზიკის მეფე არ გადაიმტერებდა ბიზანტიას. სავარაუდოა, რომ ლაზიკას ბევრი სხვა რამეც ევალებოდა, რომლის შესრულებას ლაზი წარჩინებულები სავალდებულოდ არ სთვლიდნენ.

ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ ბიზანტიელებმა ლაზების ურჩობის აღკვეთა სცადეს. ამ დროს ლაზები მიმართავენ ირანს დახმარებისათვის. ირანის მეფემ პეროზმა (459-484 წწ.) ლაზებს ბიზანტიის წინააღმდეგ დახმარებაზე უარი განუცხადა. საქმე ლაზებისა და ბიზანტიელების მორიგებით დამთავრდა.

V საუკუნის მთელი მეორე ნახევრის მანძილზე ირანი ებრძოდა ქართლის მეფეებსა და მას დასავლეთ საქართველოზე თავისი გავლენის გავრცელების შესაძლებლობა აღარ ჰქონდა. კავადის გამეფებამდე ირანს არ ეცალა ლაზიკისათვის. შესაძლებელია, რომ სწორედ კავადის დროს გაძლიერდა საფრთხე ირანის მხრიდან. როდესაც წათე მიდიოდა ბიზანტიაში გასაქრისტიანებლად, ეტყობა, ითვალისწინებდა ირანის მხრიდან მოსალოდნელ საფრთხეს. „პასქალური ქრონიკის" ცნობებიდან ირკვევა, რომ ლაზთა მეფეები გაურბოდნენ ირანის მოსალოდნელ გავლენას, რომელიც ლაზებისათვის სახიფათო უნდა ყოფილიყო. ალბათ, წათეც და მისი მამა ზამნაქსეც ხედავდნენ ქართლში ირანელების საქმიანობას, რომ ირანის ბატონობა საერთოდ აუტანელი იყო; და თუ ირანი ლაზიკასაც ჩაიგდებდა ხელში, უეჭველი იყო, რომ ლაზებსაც ისეთსავე დღეს გაუთენებდნენ, როგორსაც ქართლელებს. სწორედ ეს უნდა გამხდარიყო წათესა და ლაზ წარჩინებულთა მიერ ბიზანტიაზე პოლიტიკური ორიენტაციის აღების მიზეზი. ამავე დროს, თუ ჩავუკვირდებით პროკოპი კესარიელის ცნობებს, დავინახავთ, რომ ირანელებს მხედველობაში ჰქონდათ სწორედ კოლხეთის სამეფო, რომელიც ოდესღაც მათ უხდიდა ხარკს და ჯარითაც ეხმარებოდა. ირანის ელჩი სეოსი ამბობს, „რომ კოლხიდა, რომელსაც ეხლა ლაზიკე ეწოდება, ძველითგანვე რომ სპარსელთა ქვეშევრდომი იყო, რომაელებს ძალით უჭირავთ, უსამართლოდ"[15]. აქ ავტორი ხაზს უსვამს იმას,

---

13 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, გვ. 239.
14 იქვე, გვ. 239.
15 გეორგიკა, ტ. II, გვ. 21.

რომ სეოსი მოითხოვს ოდესღაც მათ მორჩილ კოლხეთის ქვეყანას, რომელსაც ამჟამად ლაზიკე ეწოდება. თუ მართლაც სეოსმა ასე განაცხადა, მაშინ ცხადია, რომ ის დიდი ხნის წარსულზე მიუთითებდა.

„პასქალურ ქრონიკაში" წერია: „ამ წელს (523 წ. — მ. გ.) ლაზთა მეფის ზამნაქსეს ძე წათე, როგორც კი მისი მამა ზამნაქსე გარდაიცვალა, მაშინვე ჩავიდა კონსტანტინეპოლში ღმრთეებრ მეფე იუსტინესთან. ამას ჩაბარა მან თავისი თავი და სთხოვა, რათა ის გაქრისტიანებული ყოფილიყო და ლაზთა მეფედ აღიარებული რომაელთა მეფის მიერ იმ მიზნით, რომ ის, ჩვეულებრივ სპარსელთა მეფის მიერ ხელდასმული, იძულებული არ ყოფილიყო, ვითარცა ქვეშევრდომი და მის მიერ ხელდასმული მეფე, მსხვერპლებიც შეეწირა და ყოველგვარი სპარსული წესებიც შეესრულებინა"[16]. აქ ხაზგასმულია, რომ ლაზთა მეფეები „ჩვეულებისამებრ" სპარსელთა მეფეების მიერ ხელდასმულები იყვნენ. უხდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი ჩვეულება ლაზებში არ ყოფილა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში აქემენიდების ეპოქას. ამის შესახებ კი ზემოთ იყო ნათქვამი. ეს არასწორი ცნობა იმის შედეგი უნდა იყოს, რომ „პასქალური ქრონიკის" ავტორმა კარგად არ იცოდა წარსულში ლაზებისა და ირანელების დამოკიდებულება. იგივე აზრი აქვს გამოთქმული თეოფანე ჟამთააღმწერელსაც, სადაც დამატებით აღნიშნულია, რომ წათემ მეფედ კურთხევასთან ერთად შეირთო რომაელი ქალი და ამით ნათესაური ურთიერთობა დაამყარა ბიზანტიის მმართველ წრეებთან. წათეს, ალბათ, ამით უნდოდა პირადი და საკუთარი ქვეყნის მდგომარეობის დაცვა ბიზანტიის მთავრობის მხრიდან მოსალოდნელი შევიწროებისაგან. არ შეიძლება იმის იგნორირება, რომ წათე ბიზანტიასთან ურთიერთობის დამყარებაში ხედავდა ჩაგვრას ამ უკანასკნელის მიერ, მაგრამ ის ამ აქტში ხედავდა ნაკლებ ბოროტებას, ვიდრე ირანის ბატონობის ქვეშ ყოფნისას. ეტყობა, „პასქალური ქრონიკის" ცნობების ანალიზის შედეგს წარმოადგენს როცა მ. ლევჩენკო წერს შემდეგს: „Восточная империя приняла под свою верховную власть Лазику, или Колхиду, которая после правления Льва находилась под суверенитетом Персии"[17]. იმპერატორი ლეონი მოღვაწეობდა 457-474 წლებში. ჩვენი აზრით მ. ლევჩენკოს ეს აზრი არ უნდა შეეფარდებოდეს სინამდვილეს. V საუკუნის მეორე ნახევარში ლაზების ირანთან

---

16 გეორგიკა, ტ. IV, ნაკ. I, გვ. 11.
17 მ. ლევჩენკო, დასახელებული შრომა, გვ. 70.

ურთიერთობაზე აღვნიშნეთ, რომ ამ დროს სპარსელებს არ ეცალათ ლაზიკისათვის.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ VI საუკუნის დასაწყისში (ზამნაქსეს მეფობისას) ლაზიკა ირანს არ ემორჩილებოდა. ზამნაქსეს და წათეს აწუხებდათ მხოლოდ ირანისაგან მოსალოდნელი საშინელება. სწორედ ეს უნდა გამხდარიყო პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლის მიზეზი, რომელიც ერთდროულად აწუხებდათ მეფესაც და ლაზ წარჩინებულებსაც.

ამრიგად, VI საუკუნის პირველ ნახევარში ლაზები, ირანის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, საჭიროდ სცნობენ ერთმორწმუნე და ძლიერი ქვეყნის მფარველობის ქვეშ ყოფნას. ეს მიზანი სისრულეში იქნა მოყვანილი. ამ გარემოებამ კი კიდევ უფრო გაამწვავა ირანსა და ბიზანტიას შორის ურთიერთობა.

წათეს გაქრისტიანება და მეფედ კურთხევა კეისრის მიერ ნიშნავდა ამ უკანასკნელის მიერ დასავლეთ საქართველოში მნიშვნელოვანი მოკავშირის შეძენას, რომ ამ აქტით ბიზანტიას მიეცა საშუალება დასავლეთ საქართველოში შეეყვანა თავისი ჯარები უბრძოლველად და ამით იქ მას საკუთარი მდგომარეობა განმტკიცებინა. ირანისათვის კი ეს ნიშნავდა ბიზანტიის მიმართ მისი პოზიციების გაუარესებას. თუ ირანს წინათ ისედაც უძნელდებოდა ლაზიკის დაპყრობა, ეხლა მითუმეტეს, ეს შეუძლებელი გახდა. ამით ძალთა თანაფარდობა საკმაოდ შეიცვალა და ისიც ბიზანტიის სასარგებლოდ.

ამ ვითარებას ლაზების მდგომარეობა არ გაუუმჯობესებია. პირიქით, ირანსა და ბიზანტიას შორის მტრობა კიდევ უფრო გაძლიერდა. ამ მტრობის საფუძველზე წარმოებული ომის შედეგად ლაზების მდგომარეობა გაუარესდა. სპარსელთა მეფე კავადმა, როგორც კი გაიგო წათეს მეფედ კურთხევა და გაქრისტიანება იუსტინეს მიერ, შეუთვალა უკანასკნელს: „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შორის მეგობრობა და ზავია დადებული, შენ მაინც მტრულად მექცევი; შენ მიიღე ის პირები, რომელნიც იმთავითვე სპარსელების ძალაუფლების ქვეშ არიან“[18]. კავადის მხრივ ეს იყო მუქარა, რის მიხედვითაც იუსტინეს უარი უნდა ეთქვა წათეს მოკავშირეობაზე. მაგრამ კავადის სურვილი არ ასრულდა. იუსტინემ კავადს შეუთვალა შემდეგი: „ჩვენ შენი სახელმწიფოს ქვეშევრდომი არც არავინ მიგვიღია, არც გადმოგვიბირებია“[19]. ამით

18 გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. I, გვ. 78.
19 იქვე, გვ. 79.

იუსტინემ აღნიშნა, რომ ლაზიკას ირანს არ დაუთმობდა ნებით. მისი აზრით ლაზიკა ირანის გავლენისაგან განთავისუფლებული უნდა ყოფილიყო და ის გავლენაც, რომელზედაც მიუთითებენ ირანელები, არ იყო კანონიერი.

ირანმა ლაზიკის საკითხი დიპლომატიური გზით თავის სასარგებლოდ ვერ გადაწყვიტა. ამას ხელს უშლიდა ის გარემოებაც, რომ „ირანელების მიერ ქართლში მეფობის მოსპობა და იქ მტკიცე ფეხით ჩადგომა კონსტანტინოპოლის მთავრობას ბუნებრივად უნდა გაეგო, როგორც რეალური მუქარა ეგრისის მიმართაც“[20]. და კიდევაც გაიგეს ასე, რომლის გამოც საჭიროდ სცნეს ლაზიკის მითვისება.

ბიზანტია დიდ ყურადღებას აქცევდა ლაზიკას. ბიზანტიისათვის ლაზიკას ჰქონდა არა მარტო სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა, არამედ ეკონომიურიც. ამის შესახებ პროფ. გ. გოზალიშვილი წერს: „როგორც ვხედავთ, ბიზანტიას ლაზიკასა და მთელ ამიერკავკასიასთან უდიდესი ეკონომიური ინტერესი აკავშირებდა. რასაკვირველია, ამ დიდ ეკონომიურ ინტერესს თან დიდი პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული ინტერესებიც სდევდა“[21]. ლაზიკაში გადიოდა ის სავაჭრო გზა, რომელიც ბიზანტიას უკავშირებდა ინდოეთს ირანის გვერდის ავლით კასპიის ზღვით. ინდოეთიდან და შუა აღმოსავლეთიდან შემოტანილი საქონელი მტკვრით და რიონით ფაზისამდე მიჰქონდათ.

რამდენადაც დიპლომატიური გზით ირანმა ლაზიკის საკითხი თავის სასარგებლოდ ვერ გადაწყვიტა, ამდენად საჭიროდ სცნო ომის დაწყება. ირანმა წათეს ომი გამოუცხადა, როგორც მოღალატეს. 528 წელს ირანმა გამოილაშქრა წათეს წინააღმდეგ. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ლაზები მარტო ვერ გაუმკლავდებოდნენ სპარსელებს და ამიტომაც წათემ ბიზანტიელებს აცნობა მომხდარი ამბის შესახებ. იუსტინიანე მეფემაც ლაზებს „დახმარება“ გაუწია ჯარით და სარდლებით. რა თქმა უნდა იუსტინიანეს ლაზების ბედი არ აინტერესებდა. მას უნდოდა, რომ ლაზები მის გავლენის ქვეშ ყოფილიყვნენ, ხოლო როცა დადგა საკითხი ირანელების მიერ მათი დაპყრობისა, ბიზანტიის მთავრობა იძულებული შეიქმნა დაეცვა ეს მხარე მისი მთავარი მეტოქის ირანის მიერ დაპყრობისაგან.

---

20 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 25.

21 გ. გოზალიშვილი, ბიზანტიასა და ირანს შორის ბრძოლა იბერია-ლაზიკისათვის VI ს-ში. თბ. სახ. უნივ. შრომები, ტ. 26, 1944, გვ. 133.

ირანის მიერ ლაზიკის დაპყრობას მეორე მიზანიც ჰქონდა. ეს იყო აღმოსავლეთ საქართველოში მდგომარეობის განმტკიცება, რომლის შესახებ ზემოთაა აღნიშნული. აქ აღვნიშნავთ, რომ ქართლში 523 წელს მომხდარი აჯანყების დამარცხების შემდეგ ეს მხარე არა მარტო ირანის გავლენის ქვეშ მოექცა, არამედ ის ირანის მიერ დაპყრობილ მხარეს წარმოადგენდა. სწორედ ამის შემდეგ ირანი იწყებს აგრესიას დასავლეთ საქართველოს მიმართ. ამ მიზნით დაწყებული ომის შედეგად ირანმა ლაზიკის აღმოსავლეთ საზღვრების სიმაგრეები სკანდა და შორაპანი ჩაიგდო ხელში. ეს სიმაგრეები ირანელებს ადვილად ჩაუვარდათ ხელში. მათი დაკარგვა ისევ ბიზანტიელების ბრალი იყო.

პირველ ხანებში ლაზიკასა და ბიზანტიას შორის ურთიერთობაში შედარებით მეტად გამოიხატებოდა თანასწორუფლებიანობა, რომლის შესახებ პროკოპი კესარიელი შემდეგს წერს: „ლაზები თავდაპირველად კოლხიდის ქვეყანაში მოსახლეობდენ და რომაელთა ქვეშევრდომნი იყვნენ, ხოლო არც ხარკს იხდიდენ, არც სხვა რამეში ემორჩილებოდენ მათ გარდა იმისა, რომ როდესაც მათ მეფე მოუკვდებოდა რომაელთა მეფე უგზავნიდა სამეფო ტახტის მემკვიდრეს ძალაუფლების სიმბოლოს“[22]. ლაზებსა და ბიზანტიელებს შორის ეს ურთიერთობა შეიცვალა მას შემდეგ, რაც გურგენის მეთაურობით ქართლში მოხდა აჯანყება. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ საფრთხე აღმოსავლეთიდან გაძლიერდა. ჯერ, როდესაც „მეგობრული“ ურთიერთობა ლაზებსა და ბიზანტიას შორის მეტად ძალაში იყო, აღმოსავლეთის ციხეებს შორაპანსა და სკანდას თვით ლაზები იცავდნენ; მაგრამ ირანის მხრიდან საფრთხის გაძლიერების შედეგად ბიზანტიელებმა საჭიროდ სცნეს იქ საკუთარი მეციხოვნეების ჩაყენება. ბიზანტიელი ჯარისკაცების სურსათით მომარაგება საკმაოდ გაძნელდა, ვინაიდან ისინი არ კადრულობდნენ იმ პროდუქტებით კვებას, რითაც თვით ლაზები იკვებებოდნენ. გარდა ამისა ბიზანტიელი ჯარისკაცების მიერ ლაზები ძალზედ შეწუხებულნი იყვნენ და ამიტომ შეწყვიტეს გარნიზონის სურსათით მომარაგება. ამის გამო სკანდასა და შორაპანის მეციხოვნეები იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ ეს სიმაგრეები. უდამცველოდ დარჩენილი ციხეები სპარსელებმა ადვილად ჩაიგდეს ხელში.

, რომაელმა ჯარისკაცებმა ლაზიკის ციხე-სიმაგრეებში ჩადგომა დაიწყეს მას შემდეგ, რაც ქართლში მეფობა გაუქმე-

---

22 გეორგიკა, ტ. II, გვ. 45.

ბულ იქნა. ამის შესახებ აკად. ს. ჯანაშია აღნიშნავს: „მაგრამ VI ს. ოციან წლებიდან ლაზიკაში პირველად (როგორც ამბობს პროკოპი; ნამდვილად კი — დიდი ხნის აქ არ ყოფნის შემდეგ) გაჩნდენ რომაული გარნიზონები. გამოწვეული იყო ეს იმ გარემოებით, რომ ამ ხნისათვის აღმ. საქართველო (ივერია) საბოლოოდ ხელში ჩაიგდეს ირანელებმა, რომლებმაც 523 წ. მეფობაც მოსპეს ივერიაში და რომელნიც სრულიად არ მალავდენ თავიანთ ზრახვებს დას. საქართველოს (ლაზიკის) მიმართაც“[23]. მანამდე ლაზებსა და ბიზანტიელებს შორის წინააღმდეგობა შედარებით ნაკლები იყო და შედარებით ადვილი ასატანი. მაგრამ 523 წლის ქართლის ამბების შემდეგ ეს ურთიერთობა რთულდება და მასში წინააღმდეგობაც ძლიერდება. ამაზე პროკოპი მიუთითებს, რომ „როდესაც მოხდა გურგენ, იბერთა მეფის წყალობით შემთხვეული ამბავი, ...ლაზებთან დაიწყეს ჩადგომა რომაელთა ჯარისკაცებმა, რომლებითაც ის ბარბაროსები შეწუხებული იყვნენ, და პირველ ყოვლისა შეწუხებული იყვნენ პეტრე სტრატეგოსით, რომელიც ადვილად ექცეოდა ხოლმე მათ უდიერად“[24]. პროკოპის სიტყვებიდან კარგად ჩანს თუ რა მიზნები ჰქონდათ ბიზანტიელებს. ამიერიდან ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა არ გაუმჯობესებულა. ბიზანტიელები თავის მიზნებს აღწევდნენ დიდ წინააღმდეგობათა გადალახვის შედეგად, ხოლო ლაზები კი, პირიქით, ბიზანტიელების ბატონობის ქვეშ ექცეოდნენ, კარგავდნენ პოლიტიკურ უფლებებს და ეკონომიურადაც იჩაგრებოდნენ. წინააღმდეგობა ძლიერდებოდა დღითიდღე.

532 წელს ირანმა და ბიზანტიამ დადეს ხელშეკრულება, რომლის თანახმად ლაზების აღმოსავლეთი ციხე-სიმაგრეები ირანელებმა დაცალეს. ზავის დადება გამოწვეული იყო შემდეგი პირობებით: კავადის სიკვდილის შემდეგ ირანში ხელისუფლება ჩაიგდო ხოსრო პირველმა. ეს მოხდა 531 წელს. ხოსრო მეფობის უფლების განმტკიცებამდე ომს ერიდებოდა, რათა ხელისუფლება არ დაეკარგა. ეს გარემოება კი აიძულებდა მას, რომ მშვიდობიანობა ჩამოეგდო ბიზანტიასთან. ბიზანტიის მდგომარეობაც იმ დროს გართულებული იყო. იუსტინიანეს უნდოდა იმპერიის ყოფილი დასავლეთი ტერიტორიების შემომტკიცება, რისთვისაც აუცილებელი იყო ირანთან ზავის დადება. ამიტომაც ბიზანტიაც დაინტერესებული იყო მშვიდობიანობის დამყარებით იმპერიის აღმოსავ-

---

23 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 35.

24 გეორგიკა, ტ. II, გვ. 46, განტვირთვა ჩვენია.

ლეთ საზღვრებზე. ასეთ ნიადაგზე წარმოებულ საზავო მოლაპარაკების შედეგად ირანმა და ბიზანტიამ გაცვალეს მათ მიერ დაპყრობილი ტერიტორიები, მათ შორის სკანდა და შორაპანი ლაზებს დაუბრუნეს. „ამრიგად ე. წ. „უვადო ზავმა“ (532 წ.) ეგრისის ტერიტორიული მთლიანობა აღადგინა რომაელთა სუვერენიტეტის ქვეშ“[25]. ხელშეკრულებას საუკუნო ზავი უწოდეს, მაგრამ სინამდვილეში ეს იყო დროებითი ზავი. ამ ზავის შემდეგ ლაზების ეკონომიური მდგომარეობა და პოლიტიკური უფლებები იზღუდება. 532 წლის ზავის შედეგად ლაზიკაზე ბიზანტიის გავლენა გაძლიერდა. „საუკუნო ზავის შემდეგ შეშინებულმა ბიზანტიელებმა, ვაი თუ სპარსელებმა იბერიას ლაზიკაც ზედ მიაყოლონ და ხელიდან გამოგვტაცონო, ლაზიკაში ჯარი გაგზავნეს“[26]... მართალია ბიზანტიელმა ჯარისკაცებმა დასტოვეს სკანდა და შორაპანი, მაგრამ ისინი არ წასულან ლაზიკიდან, არამედ გამაგრდნენ ზღვისპირა ქალაქებში და ციხე-სიმაგრეებში. ბიზანტია დასავლეთ საქართველოს დიდ ყურადღებას აქცევდა და აქ თავის გავლენას აძლიერებდა. ეგრეთწოდებული მეგობრული ურთიერთობა ირღვეოდა. ეს აშკარა გახდა მას შემდეგ, როდესაც ლაზეთში ჩააყენეს პირველი სტრატეგოსი პეტრე. რომელიც ლაზებს უდიერად ექცეოდა.

ლაზიკაში ჯარის ჩაყენებას ორი მიზანი ჰქონდა: ერთი მხრივ ირანის წინააღმდეგ თავდაცვას ემსახურებოდა, ვინაიდან იმ დროს ირანელები მოითხოვდნენ ეგრისს, რის უგულებელყოფა შეუძლებელი იყო. მეორე მიზანი იყო ეგრისის მმართველი წრეების მიმართ კონტროლის გაძლიერება, ვინაიდან არც ლაზები იყვნენ ბიზანტიელთა ქვეშევრდომობით დაინტერესებულნი.

პირველ ხანებში ბიზანტიელი ჯარისკაცების (რომლებიც ეგრისში იდგნენ) პირველი და მთავარი მიზანი შეუსრულებელი დარჩა—მათ ვერ დაიცვეს ეგრისის აღმოსავლეთი საზღვრები, დაჰკარგეს სკანდა და შორაპანი. შემდეგში ბიზანტიის მთავრობამ გაითვალისწინა ეს გარემოება და ჯარი ჩააყენა შიდა ეგრისის ზღვის სანაპირო სიმაგრეებში, სადაც ჯარის სურსათით მომარაგება ადვილი იყო, ვიდრე ზემოთ ხსენებულ სიმაგრეებში.

იუსტინიანემ ააშენა ზღვისპირა ციხე-სიმაგრე პეტრა, რომელიც შემდეგში ქალაქად აქცია. ამ სიმაგრის აშენებას ჰქონდა პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა. ალ-

25 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 26.
26 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, გვ. 248.

ბათ ამ მნიშვნელობის გათვალისწინების შედეგი იყო, რომ ქალაქი პეტრა საკმაოდ დიდი იყო: მასში მრავალი საცხოვრებელი შენობა და ჯარის სადგომი იყო. აქედან უნდა განხორციელებული ყოფილიყო ლაზებზე ბიზანტიელთა გავლენის გავრცელება. აქედანვე შეიძლებოდა ზღვაზე კონტროლის გაწევა. ამიტომაც ეს სტრატეგიული პუნქტი მიუვალ ადგილას იქნა აშენებული. ქალაქი გარსშემორტყმული იყო ზღვით და კლდეებით და სამხედრო თვალსაზრისით მიუვალად ითვლებოდა.

ეგრისის ეკონომიური და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა იზიდავდა ორ უძლიერეს სახელმწიფოს. ამ მნიშვნელობამ გამოიწვია დასახელებულ სახელმწიფოებს შორის ბრძოლა. ორთა ბრძოლის სასწორი, თუმცა ჯერ უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გადაიხარა ბიზანტიელების მხარეზე. ამ გადახრას ხელი შეუწყო ლაზების ბიზანტიელებისადმი განწყობილებამ.

ეგრისის ხელში ჩაგდებისას ბიზანტიის მთავრობის მიზანი იყო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ადგილის ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობის გამოყენება. ბიზანტიის იმპერიისათვის უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთ პროვინციებს, რომელთაც შეეძლოთ სურსათისა და ნედლეულის მიწოდება. ასეთი იყო ეგრისიც, განსაკუთრებით კი ისეთი მდიდარი მხარე, როგორიც მოხრისი იყო. ეგრისის ეკონომიურ მნიშვნელობაზე მიუთითებს იქ სავაჭრო მონოპოლიის შემოღებაც.

ეგრისში ბიზანტიის მთავრობის მიზნების განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აქ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ლაზებმა შესცვალეს პოლიტიკური ორიენტაცია, რომ სარწმუნოება პოლიტიკურ ორიენტაციას განსაზღვრავს. ამ მხრივ ირანისა და ბიზანტიის მეფეებს თავთავიანწინ აზრი ჰქონდათ. თითოეული მათგანი ცდილობდა თავისი სარწმუნოება გაევრცელებინა ეგრისში თავისი გავლენის განმტკიცებისათვის. ორივეს მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო. ბიზანტიას ამ მხრივ ერთგვარი უპირატესობა ჰქონდა. ეს იმიტომ, რომ ეგრისში ქრისტიანობა საკმაოდ ხანია გავრცელებული იყო და ისიც საზოგადოების მწარმოებელ ნაწილში. ამას კი ხელს უწყობდა ძველითგანვე ბიზანტიასთან ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობა. ეხლა, როცა ირანი და ბიზანტია ცდილობენ თავისი სარწმუნოების გავრცელებას ეგრისში, რა თქმა უნდა, ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება ადვილი იყო, ვინაიდან თვით

ლაზები შედარებით უფრო სიამოვნებით შეხვდებოდნენ ამ სარწმუნოებას. ირანს კი ამ მხრივ გაცილებით მეტი წინააღმდეგობა ეღობებოდა. სპარსელების სარწმუნოება ლაზებისათვის უჩვეულო იყო და ამავე დროს ლაზების ზნე-ჩვეულებანი შედარებით უფრო ახლოს იყო ბიზანტიელების ზნე-ჩვეულებებთან. გარდა ამისა ლაზ წარჩინებულებში დიდი ხნიდან გავრცელებული იყო ბერძნული კულტურა. ამ წარჩინებულებს შესწავლილი ჰქონდათ ბერძნული ენა, ისინი განათლებას ღებულობდნენ ბერძნულ ენაზე. აი რას წერს აგათია სქოლასტიკოსი გუბაზის მკვლელთა გასამართლების პროცესის აღწერისას: „მეორე მხარეზე დადგნენ ბრალმდებელნი, დარბაისელი კოლხები, რომელთაც უკვე კარგა ხანია შეესწავლათ ელლინთა ენა"[27]. ამით იყო გამოწვეული, რომ წათე გაემგზავრა იუსტინე კეისართან, რათა იმპერატორს გაექრისტიანებინა ის. წათე მიმართავს იუსტინეს შემდეგი სიტყვებით: „მიხსენ საზიზღარი წარმართული სარწმუნოებისაგან, უწმინდური მსხვერპლებისაგან და ეშმაკთა ცდუნებისაგან, მაზიარე ყოვლისა შემქმნელ ღმერთს და გამაქრისტიანე"[28]. ეს კი ნიშნავდა იმას, რომ ქრისტიანობა ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად ცხადდებოდა. წათეს გაქრისტიანებას აკად. ივ. ჯავახიშვილი ასეთ შეფასებას აძლევს: „რაკი დიდი ხანია, რაც ლაზიკაში ქრისტიანობა გავრცელებული იყო, ამიტომ წათეს გაქრისტიანებას პირადული მნიშვნელობა ჰქონდა, და ლაზიკაშიც ამიერიდან ქრისტიანობა, ვითარცა სახელმწიფო სარწმუნოება, საბოლოოდ განმტკიცებული იქნებოდა"[29].

კონსტანტინოპოლში ჩასული წათე ატარებდა ქრისტიანობის ნიშნებს. რამდენადაც წათე ატარებდა ქრისტიანობის ნიშნებს, ამდენად სავარაუდოა, რომ წათე ქრისტიანი იყო. იუსტინეს მიერ წათეს ხელმეორე გაქრისტიანებას ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ამით ირანს დაანახებდნენ მათდამი ლაზების დამოკიდებულებას და ამავე დროს ხაზს გაუსვამდნენ იმასაც, რომ ლაზებს ჰყავთ ისეთი ძლიერი მფარველი, როგორიც აღმოსავლეთ რომის იმპერიაა. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ წათე იუსტინეს არ მიმართავდა თხოვნით გამაქრისტიანეო, ან მის ხელმეორე გაქრისტიანებას რა აზრი უნდა ჰქონოდა? ქრისტიანობის ნიშნები, რომლებსაც წათე

---

27 გეორგიკა, ტ. III, გვ. 127.

28 გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. I, გვ. 79.

29 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, გვ. 244.

ატარებდა ბიზანტიონში ჩასვლისას, გამოხატავდნენ იმას, რომ ის ქრისტიანული კულტის თაყვანისმცემელი იყო. ქრისტიანობა ეგრისში გავრცელებული იყო დიდი ხნიდან. ეგრისის მეფე გუბაზიც, რომელიც 465 წელს კონსტანტინოპოლში ჩავიდა, ატარებდა ქრისტიანობის ნიშნებს. ეგრისის მეფეები დიდი ხნიდან ქრისტიანული კულტის თაყვანისმცემელნი იყვნენ. ბოლოს, როცა ირანის აგრესია გაძლიერდა და ლაზიკას მის გავლენის ქვეშ მოქცევა ემუქრებოდა, წათემ გადასწყვიტა შეეცვალა პოლიტიკური ორიენტაცია და სწორედ ამ მიზნით მიმართა იუსტინეს.

წათეს გაქრისტიანება ითვლება ეგრისში ქრისტიანული სარწმუნოების სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების აქტად. მსგავს მოვლენებს ადგილი ჰქონდა ბიზანტიაში და ქართლში. ბიზანტიაში პირველი გაქრისტიანებული მეფე იყო კონსტანტინე. მან 312 წელს მიიღო ეს სარწმუნოება. სულ მოკლე ხანში, ე. ი. 324 წელს ქრისტიანობა გამოცხადებულ იქნა ერთიან სახელმწიფო სარწმუნოებად. ამრიგად ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გადაიქცა. რა თქმა უნდა 312 წელს არ დაწყებულა ქრისტიანობის გავრცელება, არამედ ის უკვე ხალხში საკმაოდ გავრცელებული იყო. ქართლშიაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებულ იქნა მას შემდეგ, რაც ქართლის მეფემ მირიანმა მიიღო ეს სარწმუნოება. ასევე ეგრისშიც წათეს გაქრისტიანებით ქრისტიანობამ მიიღო სახელმწიფოებრივი სანქცია.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ IV საუკუნეში ქრისტიანობა ქართლში და აღმოსავლეთ რომის იმპერიაში სახელმწიფო რელიგიად იქცევა, ხოლო ეგრისში და საერთოდ დასავლეთ საქართველოში იგი სახელმწიფო რელიგიად იქცევა მთელი ორი საუკუნით დაგვიანებით. ეს გარემოება გამოწვეული იყო ლაზების და საერთოდ დასავლეთ საქართველოს ტომების პოლიტიკური ორიენტაციით. ამის შესახებ სწორი აზრი აქვს გამოთქმული დ. ხახუტაიშვილს. ის წერს: „Лазика умело пользовалась ирано-византийскими противоречиями в своих интересах. Пока Иран был далеко, а Византия больше угрожала ей, Лазика воздерживалась от провозглашения христианства государственной религией. Но когда настало время выбора между Ираном и Византией, выбор Лазики, которая видела тяжелые последствия господства Ирана на примере Восточного Закавказья, пал на Византию, господство которой было

наименьшим злом. Этим можно объяснить и тот факт, что здесь христианская религия на два века позже была провозглашена государственной религией, чем в Иберии"[30].

შემდეგშიაც ბიზანტიის იმპერატორები ცდილობდნენ მათდამი დაქვემდებარებულ ხალხებში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებას. ამავე დროს ცდილობდნენ ეს სარწმუნოება გაეხადათ ამ დამორჩილებული ხალხებისათვის ოფიციალურ რელიგიად. ბიზანტიის იმპერატორებმა ქრისტიანული ეკლესია გადააქციეს იდეოლოგიური და საზოგადოებრივი ზემოქმედების უმთავრეს საშუალებად. ამიტომაც იყო, რომ იმპერატორი სახელმწიფოს მეთაურია და ამავე დროს ეკლესიისაც.

ქრისტიანობის გავრცელებას და განმტკიცებას ხელს უწყობდა ფეოდალური ურთიერთობის განვითარება. ქრისტიანული სარწმუნოება იქცევა ახალი აღმავალი კლასის სარწმუნოებად. ამიტომაც დასავლეთ საქართველოს ყველა ნაწილში, სადაც კი ფეოდალური ურთიერთობა ვითარდებოდა, ყველგან ქრისტიანობა ვრცელდებოდა, ხოლო უკვე VI საუკუნისათვის ეს სარწმუნოება მოსახლეობის ფართო მასებში საკმაოდ გავრცელებული იყო და სჭირდებოდა მხოლოდ სახელმწიფოებრივი სანქცია, რაც VI საუკუნის პირველ მეოთხედში დამთავრდა.

ნ. მარი ამტკიცებდა, რომ ქრისტიანობა ლაზიკაში უფრო ადრე გავრცელდა ვიდრე აბაზგიაში. აი რას წერს: „У лазов даже в высший официальный круг христинство получило доступ раньше, чем в Абхазии... Вообще же христианство в Лазику проникло раньше. В начале VI-го века быть может еще в V-ом столетии, у лазов был монастырь около Иерусалима"[31].

ჩვენ ვერ ვიზიარებთ ნ. მარის აზრს. ქრისტიანობის გავრცელებას ხელს უწყობდა სოციალური ურთიერთობანი, რომელიც ლაზიკაში და აფხაზეთში ერთნაირი იყო, მაგრამ ამ მოვლენისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ლაზებისა და აფხაზების ბიზანტიასთან ურთიერთობას. შავი ზღვის სანაპიროზე დიდი ხნიდან არსებობდნენ ბერძნების სავაჭრო

---

30 Д. Хахутайшвили. Картвельские племена причерноморья по данным греко-латинских писателей (VI в. до н. э.—VI н. н. э.). Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, 1955, на правах рукописи, стр. 14.

31 Н. Марр. ЗВОИРАО, т. IV, стр. 165.

ფაქტორიები. დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა ვრცელდებოდა სწორედ ამ სავაჭრო ფაქტორიებიდან. „ეს ახალშენები ჩვეულებრივ ადგილობრივ უკვე არსებულ სამოსახლოთა ადგილას ან მათ მეზობლად ეწყობოდა. ამიტომ კოლხეთის სანაპიროზე არსებული ბევრი ამ ახალშენის მოსახლეობა ძველიდანვე ნარევი იყო: მოსულ უცხოელებს, ბერძნებს გარდა, მასში ძრავლად შედიოდნენ ადგილობრივი ძკვიდრნიც. ამასთანავე, ადგილობრივი მოსახლეობის ხვედრითი წონა დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო მატულობდა“[32]. ამასთან დაკავშირებით მატულობდა ადგილობრივ ქრისტიანთა რიცხვიც. უკვე IV საუკუნეში დასავლეთ საქართველოში ვხედავთ საეკლესიო კათედრებს (ბიჟვინთა, ფაზისი). შესაძლებელია, რომ ეს კათედრები უფრო ადრეც იყოს დაარსებული. ამრიგად, დასავლეთ საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების თაყვანისმცემელთა რიცხვი საკმაოდ დიდი იყო. რაც შეეხება VI საუკუნეს, ცხადია, რომ ქრისტიანობა საკმაოდაც გავრცელებული იყო, მხოლოდ მას სჭირდებოდა, როგორც აღვნიშნეთ, ოფიციალური გაფორმება. მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც ცხადია ის ამბავი, რომ ლაზიკა შედარებით მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდა ბიზანტიასთან და ამ ურთიერთობას არ შეეძლო თავისი დაღი არ დაესვა ქრისტიანობის გავრცელებაზე. მართლაც 523 წელს წათესთან ერთად ლაზ წარჩინებულებში ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად იქნა აღიარებული. აბაზგიაში კი ეს მოვლენა საკმაოდ დაგვიანდა. ნ. მარი თავისი დებულების დასამტკიცებლად მიუთითებს, რომ ლაზებს VI საუკუნის დასაწყისში იერუსალიმში მონასტერი ჰქონდათ. ეს VI საუკუნის მონასტერი მაინცდამაინც არ მოწმობს ლაზიკაში ქრისტიანობის გავრცელების პირველადობას.

ჩვენ არ მოგვეპოვება საბუთი, რომელიც ამტკიცებდეს ქრისტიანობის ლაზეთში ადრე გავრცელებას, ვიდრე აბაზგიაში. ამის შესახებ მხოლოდ მოსაზრების გამოთქმა შეიძლება. აბაზგების მეზობელი აფსილები „ძველითგანვე ქრისტიანები იყვნენ“[33]. თუ ეს ცნობა სწორია, მაშინ აბაზგებიც ამ სარწმუნოებას ალბათ მიიღებდენ. პროკოპი აბაზგების შესახებ წერს: „ეს ბარბაროსები ჩვენს დრომდისაც თაყვანს სცემდენ ჭალებსა და ტყეებს“[34]. აქ პროკოპი აღნიშნავს, რომ აბაზგებში გადმონაშთის სახით შემორჩენილა ხეების და ჭალების

---

32 საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 42.
33 გეორგიკა, ტ. II, გვ. 98.
34 იქვე, გვ. 103.

თაყვანისცემა. სხვათა შორის ბუნების მოვლენების თაყვანისცემა, თუმცა უკვე ნაწილობრივ მნიშვნელობადაკარგული, შემორჩენილია მოხუცების ზოგ ნაწილში. ასე რომ ეს ცნობა არ ამტკიცებს აბაზგების წარმართობას. ხოლო რაც შეეხება იმ ცნობას, რომ „შემდეგ, იუსტინიანეს მეფობისას აბაზგების მდგომარეობა შეიცვალა, უმჯობესი გახდა. იმათ მიიღეს საქრისტიანო რწმენა და იუსტინიანე მეფემ მათ პალატის ერთი ევნუხთაგანი გაუგზავნა, ტომით აბაზგი, სახელად ევფრატა“[35], მიუთითებს იმაზე, რომ ამ დროს ქრისტიანობა აბაზგიაში აღიარებულ იქნა სახელმწიფო რელიგიად, რომ ის იმდენად იყო გავრცელებული, რომ მისი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება შესაძლებელი გახდა.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება ლაზიკაში ნიშნავდა ამავე რელიგიის აღიარებას ლაზებს დაქვემდებარებული ხალხების მიერ. ეს რელიგია აბაზგებისათვის სავალდებულო არ იყო პირველ ხანებში. აბაზგები 523 წლისათვის ლაზიკის პოლიტიკურ ერთეულში აღარ შედიოდნენ და არც ლაზთა მეფეს ემორჩილებოდნენ. აბაზგიაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დაგვიანება გამოწვეული იყო პოლიტიკური მოსაზრებებით. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასთან იყო დაკავშირებული ლაზიკაში და აბაზგიაში ტაძრების აშენებაც.

აბაზგიაში აშენებული ტაძრის შესახებ მეცნიერებაში სხვადასხვა აზრი არსებობს, განსაკუთრებით მისი ადგილმდებარეობის შესახებ. ზოგის აზრით ეს ტაძარი ააშენეს ბიჭვინთაში, ზოგის აზრით — ანაკოპიაში და ზოგის აზრითაც — სევასტოპოლში.

ი. კულაკოვსკი ცდილობს დაამტკიცოს, რომ იუსტინიანემ აბაზგებს ტაძარი აუშენა არა ბიჭვინთაში, არამედ სევასტოპოლში. ის არ ეთანხმება დიუბუა დე მონპერეს და ბრუნოს აზრს იმის შესახებ, რომ იუსტინიანემ აბაზგებს ტაძარი აუგო სახელდობრ ბიჭვინთაში. ის წერს: „Мы со своей стороны решаемся утверждать, что имп. Юстиниан не соорудил храма в Пицунде и что древнейший храм этого города мог возникнуть лишь много позднее эпохи Юстиниана“[36]. ამას ი. კულაკოვსკი შემდეგნაირად ასაბუთებს: იუსტინიანეს რომ აეშენებია ტაძარი ბიჭვინთაში, მაშინ რომაელები ხომ დაანგრევდნენ იმ დროს, როცა ირანელების შიშით დას-

---

35 გეორგიკა, ტ. II, გვ. 104.

39 Ю. Кулаковский. Где был построен имп. Юстинианом храм для Авазгов?, стр. 34.

ტოვეს ბიჭვინთა და სევასტოპოლი. პროკოპის ცნობით შემდეგში იუსტინიანემ აღადგინა სევასტოპოლი. „ახლა კი იუსტინიანე მეფემ მთელი ეს სევასტოპოლი განაახლა, ზღუდისა და სხვა სასიმაგრო შენობათა წყალობით უძლეველი გახადა ის და გაამშვენიერა ის გზებითა და სხვა ნაგებობებით, რის გამოც ის სილამაზითა და სიდიდით ყველაზე უფროღირსშესანიშნავ ქალაქად იქცა“[37]. მართალია იუსტინიანემ განაახლა სევასტოპოლი, მაგრამ ჩვენ მხედველობიდან არ უნდა გამოვტოვოთ, რომ ვიხილავთ VI საუკუნის პირველ ნახევარს. ამ დროს აბაზგები და აფსილები ცალ-ცალკე ეთნიკურ და პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ. ამავე დროს აფსილია შედიოდა ლაზიკის პოლიტიკურ ერთეულში, ხოლო აბაზგია ამ დროს აღარ შედიოდა ამ ერთეულში. სევასტოპოლი კი განსახილველ პერიოდში აფსილიას ეკუთვნოდა. მიუხედავად ამისა ი. კულაკოვსკი წერს: „Когда был построен Питиунт и что было поводом предпочесть его, в смысле кафедры, Севастополю, остается неизвестным; но несомненно, однако, что первоначально, в течение более трех веков Авазги имели свой духовный центр не в Питиунте или Пицунде, как звучало это имя в средние века, а в Севастополе, т. е. нынешнем Сухуми и ныне существующий близ Пицунды храм не мог иметь никакого отношения к правителю Авазгов, им. Юстинпану Великому“[38].

ი. კულაკოვსკის აზრი მცდარია. ჯერ ერთი, რომ აბაზგებს აღარ შეეძლოთ ჰქონოდათ საეკლესიო ცენტრი სხვის ქალაქში. მეორე, არც სევასტოპოლის განახლება ამტკიცებს ი. კულაკოვსკის აზრს. მართალია იუსტინიანემ სევასტოპოლი განაახლა, მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო 555—556 წლების შემდეგ. თუ რომაელებმა სევასტოპოლი და პიტიუნტი დაანგრიეს ირანელების შემოსევასთან დაკავშირებით, რომელიც თარიღდება 542 წლით, მაშინ ამ ქალაქის განახლება შეუძლებელი იქნებოდა ომის მსვლელობის მთელ მანძილზე. გარდა ამისა ქალაქის განახლება და გამშვენიერება მოკლე დროში შეუძლებელი იქნებოდა მაშინდელი ტექნიკით. ქალაქის განახლება შესაძლებელი იყო მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ. თუ დავუშვებთ, რომ იუსტინიანემ სევასტოპოლი გაანახლა ირანთან ომის დამთავრებამდე, მაინც ის ვერ გაამართლებს ი. კულაკოვსკის აზრს. 542 წელს დანგრეული

---

37 გეორგიკა, ტ. II, გვ. 191.

38 ი. კულაკოვსკი, დასახელებული შრომა, გვ. 36.

ქალაქის გამშვენიერება 550 წლამდე მაინც შეუძლებელი იქნებოდა. ამ წელს კი აბაზგიაში იფეთქა ანტიბიზანტიურმა აჯანყებამ, რომელიც გამოწვეული იყო ბიზანტიელთა ძიერ აბაზგების ჩაგვრის გაძლიერებით. ამ დროს აბაზგიაში უკვე ტაძარიც იყო აშენებული და ქრისტიანობაც სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებული. ტაძრის აშენება ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასთან იყო დაკავშირებული, ხოლო ქრისტიანობამ კი სახელმწიფოებრივი სანქცია მიიღო მაშინ, როცა აბაზგები, ლაზებისაგან გამდგარნი, ბიზანტიელების გავლენის ქვეშ მოექცნენ, ე. ი. მაშინ, როცა ევნუხი ევფრატა გამოგზავნეს და აკრძალეს ადამიანთა გასაჭურისება. ამის შესახებ პროკოპი წერს: „შემდეგ იუსტინიანეს მეფობისას (შეიძლება მას მხედველობაში ჰქონდეს იუსტინიანეს მეფობის პირველი წლები—მ. გ.) აბაზგების მდგომარეობა შეიცვალა, უმჯობესი გახდა. იმათ მიიღეს საქრისტიანო რწმენა და იუსტინიანე მეფემ მათ პალატის ერთი ევნუქთაგანი გაუგზავნა, ტომით აბაზგი, სახელად ევფრატა. მან სასტიკად აუკრძალა მათ მეფეებს, რომ მათ ამიერიდან აღარავინ გაესაჭურისებინათ, ბუხებაზე ძალა არ ეხმარათ დანით“[39]. შემდეგ კი აღნიშნავს, რომ „მაშინ იუსტინიანე მეფემ აბაზგების ქვეყანაში ღვთისმშობლის ტაძარიც ააშენა და მათ მღვდელთ-მსახურნი დაუყენა და მიაღწია იმას, რომ მათ შეითვისეს საქრისტიანო წესები“[40]. აქ ხაზგასმულია ის, რომ იუსტინიანემ ტაძარი აუშენა აბაზგებს მათსავე ქვეყანაში და არა სხვაგან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 523 წლისათვის აბაზგია ლაზთა მეფეს არ ემორჩილებოდა. ლაზებისაგან აბაზგების გამოყოფით თვით აბაზგიის მმართველი წრეებიც დაინტერესებული იქნებოდნენ, მაგრამ ამავე დროს ამ საქმით ბიზანტიის მთავრობაც იყო დაინტერესებული. ამით ლაზიკის დამორჩილებაც ადვილი იქნებოდა და არც აბაზგიის დაქვემდებარება გაძნელდებოდა. წყაროებში მითითებული არაა თუ როდის დაიმორჩილეს ბიზანტიელებმა აბაზგია, მაგრამ მიჯნედავად ამისა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აბაზგებმა დიდხანს ვერ შეინარჩუნეს დამოუკიდებლობა. ბიზანტიის მთავრობამ სწორედ აბაზგების დამორჩილების საქმეში გამოიყენეს აქ ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადება. VI საუკუნის დასაწყისში, ეტყობა, აბაზგია ჯერ ბიზანტიელებს არ ემორჩილებოდა. ალბათ ამ პერიოდს გულისხმობს პროკოპი კესარიელი. როცა წერს, რომ „რომაელებმა

---

39 გეორგიკა, ტ. II, გვ. 104.

40 იქვე, გვ. 105.

აქ ზღვისპირას ორი სიმაგრე გააშენეს: სებასტოპოლისი და პიტიუნტი, რომლებიც ერთმანეთს ორი დღის სავალი გზით არიან დაშორებული, და იმთავითკე ჩააყენეს იქ მცველი რაზმი. პირველ ხანებში რომაელ ჯარისკაცთა რაზმებს ეჭირათ მთელი ადგილები ტრაპეზუნტის საზღვრებიდან დაწყებული ვიდრე სანიგების ქვეყნამდე... ამჟამად კი მათ დარჩათ ეს ორი სიმაგრე, სადაც ჩვენ დრომდე ჰქონდათ სადარაჯოები"[41].

თუ VI საუკუნის პირველ მეოთხედში აბაზგია ბიზანტიას არ ემორჩილებოდა, მაშინ სავარაუდოა, რომ აბაზგების გაქრისტიანება და იქ ტაძრის აშენება უნდა მომხდარიყო ამავე საუკუნის ოცდაათიან წლებში. ორმოციან წლებში კი როგორც ცნობილია, იწყება ირანსა და ბიზანტიას შორის ხანგრძლივი ომი. ჩვენი აზრით აბაზგიაში ქრისტიანობისათვის სახელმწიფოებრივი სანქციის მიცემა უნდა მომხდარიყო ამ ომის დაწყებამდე. რამდენადაც აბაზგიაში ტაძრის აგება დაკავშირებული იყო იქ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასთან, ამდენად ეს ტაძარი უნდა აშენებულიყო VI-საუკუნის იმავე ოცდაათიან წლებში.

როგორც აღვნიშნეთ VI საუკუნის ოცდაათიან წლებში ბიჭვინთაში რომაული გარნიზონი იდგა და ეს პუნქტი აბაზგიაში რომაელთა საყრდენს წარმოადგენდა. ბიჭვინთა არა მარტო სამხედრო-სტრატეგიული პუნქტი იყო, არამედ ამავე დროს იყო ამ მხარის კულტურული ცენტრიც. ამდენად შესაძლებელია, რომ იუსტინიანემ სწორედ ბიჭვინთაში აუშენა აბაზგებს ღვთისმშობლის ტაძარი. მართალია აბაზგების სიმაგრეებში განირჩეოდა შემდეგში ანაკოპიად წოდებული ადგილი, მაგრამ როგორც რელიგიურ ცენტრს, ბიჭვინთას მეტი მნიშვნელობა ჰქონდა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბიჭვინთაში საეკლესიო კათედრა იყო ჯერ კიდევ IV საუკუნის დასაწყისში და შესაძლებელია, რომ ეს ძველი მნიშვნელობა ამ ქალაქს არც VI საუკუნის პირველ ნახევარში დაეკარგა. ამ საკითხთან დაკავშირებით სწორ აზრს გამოთქვამს ზ. ანჩაბაძე. მისი აზრით, რამდენადაც ბიჭვინთაში უკვე არსებობდენ ტაძრები, იუსტინიანე არ შეუდგებოდა ისევ აქ ახალი ტაძრის აშენებას. მისი აზრით ღვთისმშობლის ტაძარი აგებულ იქნა ანაკოპიაში. ის წერს: „Юстиниан, надо полагать, повелел воздвигнуть храм там, где его еще не было и где для осуществления поставленной им цели он был наиболее необходим. Таким местом, нам кажется, мог-

---

41 გეორგიკა, ტ. II, გვ. 105.

ла быть в VI в. только Анакопия — „наиболее значительное укрепление абазгов“[42].

იუსტინიანეს მიერ აბაზგებისათვის ტაძრის აშენებას მიზნად ჰქონდა აბაზგებზე იდეოლოგიური ზემოქმედება. ამ მიზნით ტაძარს ააშენებდენ იქ, სადაც მას (ტაძარს) შეეძლო მეტი შედეგის მოტანა. ბიჭვინთა ფაქტიურად ბერძნული ქალაქი იყო და, მიუხედავად იმისა, რომ იგი კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა, მაინც მას არ შეეძლო ადგილობრივ ხალხზე ძლიერი გავლენის მოხდენა. ასეთ ტაძარს ააშენებდენ აბაზგიის ადმინისტრაციულ ცენტრში. ასეთ პუნქტში ტაძრის აშენება მეტად ნაყოფიერი იქნებოდა რამდენადაც ეს ტაძარი სპეციალურად აბაზგებისათვის იქნებოდა აშენებული. სწორედ ასეთ ადგილს იმ დროისათვის წარმოადგენდა ანაკოფია.

შუა საუკუნეებში გავრცელებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ იუსტინიანემ სწორედ ბიჭვინთაში აუგო აბაზგებს ტაძარი. ასეთი აზრი გამოთქმული ჰქონდა XI საუკუნის ქართველ მეცნიერს ეფრემ მცირეს. იგივე აზრი აქვს გამოთქმული ჯუანშერსაც. არც ეფრემ მცირე და არც ჯუანშერი იუსტინიანეს თანამედროვე არ იყო. მათ ასეთი აზრის გამოთქმა შეეძლოთ რომელიღაც წყაროზე დაყრდნობით. ჯუანშერის ცნობა ძირითადად ემთხვევა პროკოპის ცნობას. დამატებით აღნიშნულია, რომ ტაძარი აშენებული იყო აბაზგების ქვეყანაში, სახელდობრ ბიჭვინთაში. ასე გადმოგვცემს ჯუანშერი ამ ამბავს: „მათვე ჟამთა შინა იუსტინიანეს მეფობისათა, აფხაზნიცა შეიცვალნეს ჟამჯობესად, და ქრისტიანობისა შეიწყნარეს ქადაგება. რამეთუ პალატსა შინა იუსტინიანე მეფისასა იყო ვინმე საჭურისი აფხაზი ნათესავით, და ევფრატა სახელისდებით, რომელი წარივლინა მეფისა მიერ ქადაგებად მათდა და აღთქმად, ვითარმედ ამიერითგან არცა ერთიღა-ვინ ნათესავისა მათისაგანი განხუებულ იქმნებოდის მამაკაცობისაგან რკინისა მიერ. რამეთუ მრავალნი იყვნეს მათგანნი მსახურ სამეუფოსა საწოლისა, რომელთა საჭურის იცის წოდება ჩვეულებამან. ვინაცა იუსტინიანე ტაძარი წმინდისა ღმრთისმშობლის აღაშენა აფხაზეთს შინა, ბიჭვინტას, და მღვდელნი დაადგინნა მას შინა, რათა უგანცხადებულესად ასწავებდენ სჯულსა ქრისტეანობისასა“[43]. ძნელია თქმა იმისა, რომ XI საუკუნის მეცნიერებს გააჩნდათ თუ არა შესატყვისი საბუთი, როცა წერდნენ, რომ იუსტინიანემ ბიჭვინთაში ტაძარი ააგო.

42 ზ. ანჩაბაძე, დასახელებული შრომა, გვ. 27.

43 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 215.

ნ. კონდაკოვი კი უარყოფს იუსტინიანეს მიერ ბიჭვინთაში ტაძრის აშენების შესახებ აზრს, მაგრამ ის გამომდინარეობს იმ მოსაზრებიდან, რომ ამჟამად ბიჭვინთაში არსებული ტაძარი არ ეკუთვნის იუსტინიანეს ეპოქას. ის წერს „...Но свидетельство стиля Пицунды опровергает предположение, что сохранившийся храм и есть храм, построенный Юстинианом"[44]. ეს უკანასკნელი ტაძარი მერმინდელი აშენებულია და მართლაც ის არ შეიძლება იუსტინიანეს ეპოქას მივაკუთვნოთ, მაგრამ ეს თავისთავად არ ამტკიცებს, რომ იუსტინიანემ ბიჭვინთაში არ ააშენა ტაძარი.

ამჟამად კი სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია ტაძრის აშენების ადგილად ბიჭვინთა. ამის შესახებ საქართველოს ისტორიის ახალ სახელმძღვანელოში წერია „ბიზანტიურმა ადმინისტრაციამ ჩერქეზეთის მისადგომებზე გააძლიერა ბიჭვინტის საეპისკოპოსო კათედრა, აბაზგები გააქრისტიანეს"[45]. ი. კულაკოვსკი კი დასახელებული ტაძრის აშენებას ათარიღებს 548 წლით. ეს აზრი მცდარი უნდა იყოს. ამ დროს ირანსა და ბიზანტიას შორის ომი მიმდინარეობდა და იუსტინიანეს აბაზგებისათვის არ სცალოდა. აგრეთვე ცნობილია, რომ 550 წელს აბაზგები ბიზანტიელებს აუჯანყდნენ. ასე რომ 550 წელს ახლო ხანებში არ უნდა აშენებულიყო ეს ტაძარი. ის უნდა აშენებულიყო მაშინ, როცა აბაზგებს მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონოდათ ბიზანტიელებთან. აბაზგების გაქრისტიანებისა და მათთვის ტაძრის აშენების შემდეგ დაიწყო მათი ჩაგვრა. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასთან იყო დაკავშირებული ტაძრის აშენება და მასვე უნდა ემთხვეოდეს. ხოლო სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადება დაკავშირებული იყო ფეოდალურ გადატრიალებასთან, რომლის დროსაც „საკუთარი პოლიტიკური აპარატის მოპოვებასთან ერთად აბაზგიის წარჩინებულებმა საკუთარი ოფიციალური რელიგიაც მოიპოვეს"[46]. ჩვენი აზრით აკად. ს. ჯანაშია სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ეს ამბები 541 წლამდის, ე. ი. ირანელების ეგრისში პირველ შეჭრამდის, უნდა მომხდარიყო, დაახლოებით, ალბათ, ოციან და ოცდაათიან წლების მიჯნაზე"[47].

აბაზგებისათვის ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება იყო პოლიტიკური ორიენტაციის გამომხატვე-

---

44 Н. Кондаков. Русские древности в памятниках искусства. вып. IV. 1891. стр. 61.
45 საქართველოს ისტორია, გვ. 100.
46 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 75.
47 იქვე, გვ. 75.

ლი. ჯერ ზომ აბაზგები ლაზთა მეფის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფება (ფეოდალური ურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებით) აბაზგებში ძლიერი იყო. ლაზებისაგან აბაზგების განდგომაში ბიზანტიის მთავრობამ გარკვეული და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ლაზიკიდან გამოყოფილი აბაზგები ბიზანტიის გავლენის ქვეშ ექცევიან. პროკოპი მიუთითებს, რომ მის დროს რომაელი მეციხოვნეები იდგნენ მხოლოდ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე. თუ ეს ცნობა სწორია, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იუსტინიანეს მეფობამდე აბაზგია ბიზანტიის გავლენის ქვეშ მოქცეულა. ამ საკითხთან დაკავშირებით აკად. ს. ჯანაშია წერს: „აღნიშნული ფაქტი ნაწილობრივ ალბათ იმ გარემოებასთანაც არის დაკავშირებული, რომ აღებულ დროისათვის რომაელებს უკვე მოუხერხებიათ აბაზგების რაიონის ერთგვარი გამოთიშვა ეგრისის სამეფოს პოლიტიკური სისტემიდან. ცხადია, რომ კონსტანტინოპოლის მთავრობა იძულებული გამხდარა განსაკუთრებული ღონისძიებანი განეხორციელებინა ამ მხარის შემოსამტკიცებლად"[48]. ბიზანტიელების გავლენის გაძლიერებას ხელს უწყობდა თვით აბაზგების მთავრების დესპოტიზმი და აღმავალი ფეოდალური კლასის მისწრაფება პოლიტიკური უფლებების გაფართოებისაკენ. ბიზანტიის მთავრობამაც ორიენტაცია აიღო სწორედ ამ ფეოდალურ კლასზე, რომლის გამოყენება იმ დროს ძნელი არ იყო. აგრეთვე ქრისტიანობის გავრცელებას და განმტკიცებას ფართო მასებში ხელს უწყობდა აბაზგების მთავრების დესპოტიზმი, რომლის დროსაც აბაზგიაში შემჩნეულ ლამაზ ბავშვებს ევნუქებად აქცევდნენ და ჰყიდდენ, ხოლო მათ მშობლებს სიკვდილით უმასპინძლდებოდნენ. კეისარს შეეძლო ფართო მასებზე დაყრდნობით ჯერ ბავშვთა კასტრაციის აკრძალვა და შემდეგში ქრისტიანობის განმტკიცება.

ბიზანტიის მთავრობის მიზანი იყო აბაზგიის დამორჩილება. როგორც აკად. ს. ჯანაშია ამბობს „უწინარეს ყოვლისა, რომაელები ცდილობენ აბაზგიის უმეშვეო მართვის შესაძლებლობის მოპოვებას"[49]. ამ მიზნით იყო გამოგზავნილი აბაზგიაში ევფრატა. ი. კულაკოვსკის აზრით კი პირიქით — ბიზანტის მთავრების მიზანი იყო ტყვეთა ვაჭრობის აკრძალვა. ის წერს: „Один из абхазских евнухов, по имени Евфронта Εὐφροντᾶς, удостоившийся чести быть до-

---

48 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 68.
49 იქვე, გვ. 70.

веренным лицом императора, отправлен был с специальной миссией в Абхазию содействовать прекращению постыдного торга людьми"[50]. ი. კულაკოვსკის ეს აზრი მცდარია. ბიზანტიის მთავრობა ტყვეებით ვაჭრობას არ უარყოფდა, ვინაიდან აბაზგიიდან გაყიდული ტყვეები იგზავნებოდნენ ისევ ბიზანტიაში. პროკოპი აღნიშნავს, რომ „მათი ორივე მეფე, როგორც კი დაინახავდენ ამ ტომში კარგი გარეგნობისა და ლამაზი ტანის ბავშვებს, დაუყოვნებლივ დაამორებდნენ მათ მშობლებს, ევნუქებად გადააქცევდენ და გზავნიდენ რომაელთა ქვეყანაში, რათა იქ მიეყიდათ მსურველთათვის დიდძალ ფულზე"[51]. გარდა ამისა მეფის სასახლეში ევნუქთა უმრავლესობა აბაზგები იყვნენ. ასე რომ ბიზანტიის მთავრობას ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ ზომების მიღება არ აინტერესებდა და არც მიუღია. აბაზგების მიმხრობის მიზნით გამოგზავნილმა ევფრატამ აკრძალა ბავშვთა დასაჭურისება. ესე იგი კეისრის მთავრობა იბრძვის იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მიიღოს აბაზგებისაგან იქნება ეს ეკონომიური თუ პოლიტიკური თვალსაზრისით. ეტყობა არც თვით აბაზგიის წარჩინებულები იყვნენ მომხრენი ბავშვებით ვაჭრობის აკრძალვისა, ვინაიდან ეს იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო მათი შემოსავლისა. ალბათ ესეც ასრულებდა მნიშვნელოვან როლს აბაზგებისა და ბიზანტიელების ურთიერთობაში.

მაშასადამე, აბაზგების ურთიერთობა ბიზანტიასთან იყო უნებლიე იმდენად, რამდენადაც აბაზგიის ფეოდალური კლასის უფლებების გაფართოებისაკენ მისწრაფება აიძულებდა. შემდეგში კი ფეოდალები ხედავენ, რომ მათი უფლებები იზღუდება და ისიც უცხოელების მიერ. თუმცა ამ შემთხვევაშიაც ისინი თავის სარწმუნოებას აღარ ტოვებენ.

VI საუკუნის პირველ მესამედში ლაზიკა მისდამი დაქვემდებარებული ტომებით და აბაზგია ბიზანტიის გავლენის ქვეშ ექცევიან. ამავე დროს ქრისტიანული სარწმუნოება ამ დაქვემდებარებულ ხალხებისათვის აუცილებელი ხდება. ლაზიკის მეფის ხელისუფლება შეზღუდეს, ხოლო აბაზგები კი მთლიანად დაიმორჩილეს. აბაზგებისა და ბიზანტიელების ამ ურთიერთობის შესახებ ს. ჯანაშია წერს: „აფხაზეთი რომაული გავლენის სფეროში რჩება. სამწუხაროდ, ამ გავლენის პოლიტიკურ და გეოგრაფიულ ფარგლების ზუსტი განსაზღვრა ძნელი ხდება ცნობათა ნაკლოვანების გამო. საერთო შთაბეჭდილება მაინც ისეთია, რომ იუსტინიანეს მთავრობა აბაზ-

---

50 ი. კულაკოვსკი, დასახელებული შრომა, გვ. 34.
51 გეორგიკა, ტ. II, გვ. 103.

გებისა და მისიმიელების ქვეყანაში თავს მკვიდრად ვერ ჰგრძნობდა. ალბათ ამაზე მიუთითებს პირდაპირი ცნობა ლაზიკის შესავალში „კლისურის“, ე. ი. სტრატეგიულად მნიშვნელოვანი „ხეობის“... გამაგრების შესახებ იუსტინიანეს მიერ“[52].

დასავლეთ საქართველოში უკვე ანტიკური ხანიდან ვრცელდებოდა ბერძნული ენა. ხოლო აქ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების შემდეგ ამ ენის გავრცელება უფრო დაჩქარდა. ბერძნული ენის გავრცელება დაკავშირებული იყო საეკლესიო დამწერლობასთან. საეკლესიო ენა იყო ბერძნული. ამის შესახებ ნ. მარი წერდა: „Эти-то иверы с лазами и стали, по всей вероятности, впервые вводить впоследствии греческое церковное направление в национальную грузинскую литературу; они то и явились, естественно протагонистами греческого имперского исповедания, позднее халкидонского у родственных народов. В то отдаленное время греческая церковность, конечно, с имперским греческим языком, захватывала и сванов“[53].

ასეთი იყო დასავლეთ საქართველოს ურთიერთობა ბიზანტიასთან VI საუკუნის პირველ მესამედში. შემდეგში დასავლეთ საქართველოს ტომებსა და ბიზანტიას შორის ურთიერთობა მკაცრი ხდება, რაც შემდეგში უფრო მწვავდება და იწყება ხშირი აჯანყებები.

2. ირან-ბიზანტიის ომი და დასავლეთ საქართველო

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ბიზანტიისა და ირანის მეტოქეობამ განსაზღვრა დასავლეთ საქართველოს მმართველი წრეების პოლიტიკური ორიენტაცია. ბიზანტიასაც და ირანსაც უნდოდათ ამ მხარის დაპყრობა, მაგრამ ძალთა თანაფარდობა და მათდამი დასავლეთ საქართველოს ტომების დამოკიდებულება ხელს უშლიდა ორივე მათგანს ამ ტომების დამორჩილებაში. მიუხედავად ამისა არც ერთ მათგანს არ უნდოდა ამ მხარის დათმობა მეორისათვის.

ბიზანტიას უძველესი დროიდან ურთიერთობა ჰქონდა დასავლეთ საქართველოს ტომებთან. ეს ურთიერთობა სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხასიათის მატარებელი იყო. VI საუკუნის დასაწყისში ლაზებს ირანის მხრიდან საფრთხე მოე-

52 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 76, განტეირთვა ჩვენია.
53 ნ. მარი, დასახელებული შრომა, გვ. 171.

ლოდათ. ირანის მიერ ქართლის დაპყრობის შემდეგ ეს საფრთხე ძლიერდება, რამაც ლაზთა მეფე აიძულა კეისრისათვის ეთხოვა, რომ ის გაექრისტიანებინა და მეფედ ეკურთხა. იუსტინე კეისარმაც ლაზთა მეფეს თხოვნა აუსრულა. პროფ. ს. ყაუხჩიშვილი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ბიზანტია თავის მხრივ, რასაკვირველია, დიდი მოსურნე იყო ლაზეთის მოქცევისა თავის ორბიტში. ჩვენის აზრით, აქ უმთავრესი მნიშვნელობა ჰქონდა ეკონომიურ და სტრატეგიულ მოსაზრებებს“[54]. ყველა პირობის და მდგომარეობის გათვალისწინების შედეგად ბიზანტიის მთავრობამ მიიმხრო ლაზიკა.

აღმოსავლეთში ირანის აგრესიულმა მოქმედებამ, მის მიერ ქართლის დაპყრობამ და ლაზიკის მიმართ შექმნილმა საფრთხემ, აიძულა ბიზანტია შეეცვალა ტაქტიკა ლაზებთან ურთიერთობაში. ამ ურთიერთობის შესახებ პროფ. გ. გოზალიშვილმა აღნიშნა შემდეგი: „ყველა ამის გამო (მხედველობაშია ზემოთ დასახელებული პირობები — მ. გ.) ბიზანტია იძულებული გახდა ლაზიკაში ამიერიდან ისეთი პოლიტიკა ეწარმოებინა, რომელიც ამ ქვეყნის მის ხელთაგან სრულ დამოკიდებულებას უზრუნველყოფდა. მას ლაზიკაში უნდა შეექმნა ისეთი პირობები, რომ ზემოაღნიშნული საფრთხე თავიდან აეცილებინა. ამიტომ იგი ძველი (პასიური) პოლიტიკის ნაცვლად აქტიური (აგრესიული) პოლიტიკის წარმოებას შეუდგა“[55]. მართალია, პირველ ხანებში ეს აგრესიულობა ნაკლებად იგრძნობოდა და ლაზებიც ურიგდებოდნენ მას. ჯერჯერობით ლაზები ბიზანტიელების მხარეზე იყვნენ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ბიზანტიელებმა შეიძინეს მათდამი მეგობრულად განწყობილი ქვეყანა, ხოლო ირანელებმა კი დაჰკარგეს ასეთი ქვეყანა. ირანს არ უნდოდა ლაზიკის დაკარგვა. ირანის მეფემ კავადმა მოინდომა ამ მხარის დიპლომატიური გზით ნეიტრალურ მხარედ გადაქცევა და შემდეგში მისი მითვისება. კავადის სურვილი არ ასრულდა. ამის შემდეგ აშკარა შეტევაზე გადავიდა და აიღო ლაზიკის აღმოსავლეთ საზღვარზე მდებარე ორი ციხე-სიმაგრე სკანდა და შორაპანი

ძნელია იმის თქმა, თუ როგორ წავიდოდა ლაზების საქმე, რომ კავადი არ გარდაცვლილიყო. კავადის შემდეგ ძალაუფლება ხელში ჩაიგდო ხოსრომ. ხოსროსაც უნდოდა ლაზიკის ხელში ჩაგდება, მაგრამ მისი მეფობის პირველ ხანებში საჭირო გახდა ჯერ ხელისუფლების საიმედოდ შემომტკიცება, რის გარეშე ბიზანტიასთან ომის წარმოება შეუძლებლად მი-

---

54 ს. ყაუხჩიშვილი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, 1948, გვ. 102.
55 გ. გოზალიშვილი, დასახელებული შრომა, გვ. 135.

აჩნდა. არც ბიზანტიას ჰქონდა სახარბიელო მდგომარეობა— ორივე მხარემ, გაითვალისწინა რა თავისი მდგომარეობა, საჭიროდ სცნო ზავის დადება. ეს ზავი დაიდო 532 წელს, რის შედეგად ლაზებს დაუბრუნდათ მათი ორივე სიმაგრე— სკანდა და შორაპანი. ამ ზავს უწოდეს „საუკუნო ზავი", მაგრამ იგი ხანმოკლე გამოდგა. ორივე მხარეს უნდოდა ამ ზავის პირობების დარღვევა, რისთვისაც უცდიდნენ ხელსაყრელ პირობებს. ორივე მხარეს გათვალისწინებული ჰქონდა დასავლეთ საქართველოს მნიშვნელობა როგორც სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, ისე ეკონომიური თვალსაზრისითაც. ამ მნიშვნელობაზე მიუთითებენ ლაზების ელჩები: „იმ სარგებლობის შესახებ, რომელიც გექნებათ თქვენ ლაზთაგან, თუ მათ თხოვნას შეიწყნარებთ, ეხლავე მოგახსენებთ. სპარსელთა ძალას თქვენ შეჰმატებთ უძველეს სამეფოს და მისი საშუალებით თქვენი ჰეგემონიის ღირსება გადიდებული იქნება, ხოლო ჩვენი ქვეყნის გზით რომაელთა ზღვას დაუკავშირდებით. აქ თუ ხომალდებს ააგებ, მეფეო, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რომ ბიზანტიონის პალატს მიაღწიო. გზაზე ხომ არავითარი წინააღმდეგობა არ შეგხვდება. უნდა დაუმატოთ ისიც, რომ თქვენზე იქნება დამოკიდებული, რომ მოსაზღვრე ბარბაროსებმა ყოველ წელიწადს არბიონ რომაელთა მიწაწყალი. ყოველ შემთხვევაში თქვენ ალბათ იცით, რომ ლაზთა ქვეყანა დღემდე კავკასიის მთების წინააღმდეგ საფარს წარმოადგენდა"[56].

ირანი ემზადებოდა მომავალი ომისათვის. მისი მთავარი მეტოქე იყო ბიზანტია და ამიტომაც მისი ყურადღება ამ მთავარი მეტოქისაკენ იყო მიპყრობილი. ირანს ქართლში უკვე თითქმის მოწესრიგებული ჰქონდა საქმეები. აქ მეფობა გაუქმებული იყო და უშუალო სპარსული მმართველობა იქნა განხორციელებული. ამავე დროს ხოსროს მდგომარეობა თვით ირანში თანდათან მტკიცდებოდა.

შედარებით რთულ მდგომარეობაში იმყოფებოდა ბიზანტია. 533 წელს დაიწყო აფრიკის დაპყრობა. მაგრამ მარტო აფრიკის დაპყრობა კი არ იყო იუსტინიანეს მიზანი, არამედ ყოფილი რომის იმპერიის ტერიტორიების შემოერთებაც. ამდენად ბიზანტიას აღარ შეეძლო ორ ფრონტზე ერთდროულად ხანგრძლივი ომების წარმოება — აღმოსავლეთში და დასავლეთში. მთავარ ყურადღებას კი იმ დროს აქცევდა დასავლეთის საკითხს. დასავლეთის ფრონტზე ბრძოლა 548 წლისათვის ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო. ამიტომაც იუსტინიანეს არ უნდოდა ირანთან ურთიერთობის გამწვავება.

---

56 გეორგიკა, ტ. II, გვ. 52.

ამრიგად, ირანს ჟეფრო ადრე შეექმნა ხელსაყრელი პირობები საზავო ხელშეკრულების დარღვევისათვის ვიდრე ბიზანტიას. ირანის მიერ საომარი მოქმედების დაწყებას ხელი შეუწყო ლაზებსა და ბიზანტიას შორის პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობათა გაძწვავებამ.

— უკვე აღვნიშნეთ, რომ ირანელების პირველი შემოტევის დღიდან ლაზიკაში რომაული გარნიზონები იდგნენ, რომელთა მიზანი იყო ირანისაგან ამ მხარის დაცვა და თვით ადგილობრივი ხალხის დამორჩილება. ლაზები თავიდანვე უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ ბიზანტიელების მიმართ, ვინაიდან ბიზანტიელების პოლიტიკა მიმართული იყო ლაზების სურვილების წინააღმდეგ. ეს გარემოება ბიზანტიელი სტრატეგოსებისათვის ცნობილი იყო. ამდენად საჭირო გახდა ისეთი სიმაგრის აშენება ლაზების ქვეყანაში, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა ბიზანტიური პოლიტიკის უშიშრად გატარება. ასეთი იყო პეტრა. „ეგრისში განზრახულ პოლიტიკის გასატარებლად საჭირო იყო რომაელთა ფიზიკურ ძალების ისეთი გამაგრება ადგილობრივ, რომ კეისრის წარმომადგენელს თავისუფლად შესძლებოდა თავისი ნებასურვილები ეკარნახებინა ქვეყნის მმართველ წრეებისათვის"[57]. იუსტინიანემ სწორედ ეგრისში ააშენებინა ისეთი სიმაგრე, საიდანაც შეიძლებოდა თავისი ნებასურვილების კარნახი. ლაზები და საერთოდ დასავლეთ საქართველოს ყველა ტომი, ცხადია, რომაული პოლიტიკის წინააღმდეგი იყო. ამის შესახებ აკად. ს. ჯანაშია სამართლიანად აღნიშნავს, რომ „კონსტანტინოპოლის მთავრობის ამოცანების განხორციელებას ეგრისში სწორედ ის შეჯავშნული მუშტი სჭიროდა, რომელსაც მათთვის უმთავრეს სიმაგრეებში, განსაკუთრებით-კი, პეტრაში დაბანაკებული ჯარები წარმოადგენდნენ. ეხლა, რომაელებს თავისუფლად შეეძლოთ ემოქმედნათ, კერძოდ, თავიანთი ნება ეკარნახებინათ ეგრისის მეფისა და მმართველ წრეებისათვის"[58].

ბიზანტიური პოლიტიკის სიმწვავე ყველაზე მეტად საგრძნობი შეიქმნა იოანე სტრატეგოსის დროს. „მანვე დააჯერა მეფე იუსტინიანე ლაზების ქვეყანაში ზღვისპირა ქალაქი აეშენებინა, სახელად პეტრა. იქ იჯდა ის, ვითარცა აკროპოლისში, და სძარცვავდა ლაზთა ქონებას"[59]. „ამ ზღვისპირა სიმაგრეთა შორის პირველი ადგილი იმთავითვე დაიჭირა პეტრამ"[60]. პეტრას აშენება ორ მიზანს ემსახურებოდა. ერთი

---

57 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 29.
58 იქვე. 47.
59 გეორგიკა, ტ. II, გვ. 47.
60 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 36.

მხრით ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში მთავარ საყრდენ პუნქტად გამოადგებოდათ, ხოლო მეორე მხრით, ის უნდა ყოფილიყო ლაზიკის მმართველი წრეებისათვის კონტროლის გასაწევი პუნქტი. ამ ურთიერთობას სწორი შეფასება მისცა აკად. ს. ჯანაშიამ. ის წერს: „რაკი თვით ლაზიკის მმართველ წრეებსაც წინახანებში არა ერთხელ გამოემჟღავნებინათ თავისი ანტირომაული განწყობილება და მიდრეკილება ირანულ ორიენტაციისადმი, ამიტომ ბუნებრივია, რომ იუსტინიანემ განახორციელა რადიკალური ღონისძიებანი, რომლებიც გულისხმობდენ, ერთი მხრით, ქვეყნის თავდაცვას, განსაკუთრებით, ირანელების წინააღმდეგ, ხოლო მეორე მხრით, კონტროლის გაძლიერებას ლაზიკის მმართველ წრეების მიმართ“[61].

იოანემ შეათავსა სამხედრო და სამოქალაქო საქმეები და ფაქტიურად გადაიქცა მთელი ქვეყნის მმართველად. მან შემოიღო ვაჭრობის მონოპოლია. ლაზ წარჩინებულებს, რომლებსაც ერთ დროს საკუთარი მეფეების თვითნებობის ატანა უძნელდებოდათ, უხდებოდათ უცხო მოხელეებისადმი დაქვემდებარება. პროკოპის ცნობის მიხედვით ირკვევა, რომ ლაზებს დაეკარგათ შემოსავლის ერთ-ერთი წყარო, რაც ვაჭრობაში გამოიხატებოდა, გარდა იმისა, რომ ისინი იძარცვებოდნენ. „ვაჭრებს ხომ უკვე ნება აღარ ჰქონდათ კოლხიდაში შეეტანათ მარილი და სხვა საქონელი, რაც ლაზებისთვის აუცილებლად საჭიროა, არც აქედან შეეძლოთ რამე ეყიდინებინათ, არამედ მან შემოიღო ეგრეთწოდებული მონოპოლი და თვით გარდაიქცა მეწვრიმალედ და მთელი, ამ საგნებით ვაჭრობის ზედამდგომად: ყველაფერს ჰყიდულობდა და აწვდიდა კოლხებს არა ისე, როგორც ეს ჩვეულებრივ იყო, არამედ ისე, როგორც ეს მის მიერ დაწესებული იყო“[62]. მაშასადამე, ლაზებს შეეძლოთ ვაჭრობის წარმოება მხოლოდდამხოლოდ იოანეს სურვილების მიხედვით. ლაზებისათვის ეს ყველაფერი აუტანელი შეიქმნა და გადასწყვიტეს მიმხრობოდენ სპარსელებს.

ლაზების მდგომარეობა დაწვრილებით გადმოცემულია მათი ელჩების სიტყვაში, რომლებიც გაგზავნეს სპარსელებთან მოსალაპარაკებლად. ელჩები ამბობენ: „ჩვენს მეფეს ხომ მეფობის მხოლოდ გარეგნული ნიშნები დაუტოვეს, ხოლო ძალაუფლება საქმეებში თვითონ მიითვისეს; მეფეც მოსამსახურის ბედში იმყოფება და განმკარგულებელი სტრატეგოსის ეშინიან. უამრავი ჯარიც ჩაგვიყენეს, მაგრამ არა იმიტომ რომ დაიცვან ქვეყანა შემწუხებელთაგან (მოსაზღვრეებიდან სხვა

61 ს. ჯანაშია. შრომები, ტ. I, გვ. 35.
62 გეორგიკა, ტ. II, გვ. 48.

ხომ არავინ გვაწუხებდა ჩვენ, გარდა რომაელებისა), არამედ რათა დავემწყვდიეთ ჩვენ როგორც სადილეგორში და ჩვენს ქონებას დაჰპატრონებოდენ. იმ აზრით რომ უფრო სწრაფად მოეხდინათ ჩვენი ქონების მითვისება, აი, მეფევ, რანაირ დასკვნამდე მივიდენ: რაც-კი საჭირო საგნებიდან მათთვის ზედმეტი აღმოჩნდება, მის ყიდვას აიძულებენ ლაზებს, მათი ნების წინააღმდეგ; ხოლო, რაც მათთვის საჭირო საგნებიდან ლაზიკეს შეუძლია მისცეს, ისინი ფიქრობენ, რასაკვირველია, მათ შესყიდვას ჩვენგან მხოლოდ სიტყვით, რადგან ფასი თვითეულ შემთხვევაში წესდება მმართველთა აზრისდა მიხედვით. ამრიგად, საჭირო საგნებთან ერთად ისინი გვართმევენ მთელ ოქროსაც, და უწოდებენ ამას ვაჭრობის კეთილშობილ სახელს, საქმით კი ისინი გვმძლავრობენ, რაც შეიძლება უფრო მეტად. ჩვენ გვიყენია მთავარი მეწვრიმალე, რომელიც ჩვენს სიღარიბეს, ძალაუფლების წყალობით, მოგების საშუალებად ხდის"[63]. ელჩების სიტყვებიდან აშკარად ჩანს, რომ ლაზებმა დაჰკარგეს ყოველგვარი უფლება, რომ ისინი ყოველმხრივ შევიწროვებულნი იყვნენ.

პროკოპი კესარიელის გადმოცემით ლაზების განდგომის მიზეზი იოანეს ვერცხლისმოყვარეობა იყო. მართალია იგი ამბობს, რომ იოანემ „რომაელთა და ლაზთა ყველა საქმეები გაამრუდა და არევდარია"[64], მაგრამ სინამდვილეში იოანე ლაზიკაში ატარებდა იმ პოლიტიკას, რომელიც მას ბიზანტიის მთავრობამ დაავალა. მართალია, ის ზოგ რამეში არღვევდა იმ წესებს, რომლებიც დადგენილი იყო ორივე მხარისათვის, მაგრამ ძნელია იმის თქმა, რომ სწორედ ეს გახდა ლაზების განდგომის მიზეზი. ლაზეთში იოანეს მოღვაწეობაზე სხვადასხვა აზრია გამოთქმული. ზოგის აზრით იოანე თვითნებურად მოქმედებდა და ზოგის აზრით კი კეისრის მიერ ნაკარნახევ პოლიტიკას ატარებდა.

ეხება რა იოანეს მოღვაწეობას ლაზიკაში, მ. კახაძე მთლიანად და სავსებით ბიზანტიის მთავრობის ნაკარნახევ პოლიტიკად სთვლის იოანეს მთელ საქმიანობას, განსაკუთრებით კი ვაჭრობის მონოპოლიას. ის წერს: „რომ ლაზეთში შემოღებული წესები ვაჭრობისა იოანე ციბეს მიერ მოგონილი კი არ იყო, არამედ ცენტრალური მთავრობის მიერ დამტკიცებული რეგლამენტიდან გამომდინარეობდა, სჩანს იქიდანაც, რომ, მაგ., ალექსანდრიაში შემოღებულ წესებს პროკოპი ისეთივე გამოთქმებით ახასიათებს, როგორც ლაზეთში შემოღებულს. იქაც, ალექსანდრიის პრეფექტი წოდებულია καπηλος—

---

63 გეორგიკა, ტ. II, გვ. 50.
64 იქვე, გვ. 47.

ად, როგორც იოანე ციბე, რომელიც ჰეფესტეს მსგავსად ფასებს თვითონ აწესებს (ამოღებულია გეორგიკადან, ტ. II, — მ. გ.). მონოპოლიონის რაობის ამ სწორ ინტერპრეტაციას ყველა ისტორიკოსი, რატომღაც, არ იზიარებს"[65].

ძირითადად იმპერიის ყოველ მოხელეს ევალებოდა მთავრობის ნაკარნახევი პოლიტიკის ცხოვრებაში გატარება, რომელიც დამორჩილებულ ხალხებზე გარკვეულ უარყოფით ზეგავლენას ახდენდა. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ეს მოხელეები წარმოვიდგინოთ ისეთ ადამიანებად, რომლებსაც არ სურდეთ ბიზანტიური კანონების დარღვევა. ჩვენ არაერთი ცნობა მოგვეპოვება ბიზანტიელი მოხელეების მოღვაწეობაზე, სადაც მითითებულია იმის შესახებ, რომ ეს მოხელეები ხშირად სახელმწიფო საქმეებს გვერდზე ტოვებენ და საკუთარი საქმეებით არიან დაინტერესებულნი. იოანე ციბეს მოღვაწეობის შესახებ ცნობებს გვაწვდის პროკოპი კესარიელი. პროკოპი მიუთითებს რომაელი სარდლების მოღვაწეობაზე, რომ მათგან შეწუხებული ლაზი წარჩინებულები ირანელების მხარეზე გადადიოდნენ. აი რას წერს პროკოპი უქიმერიონის ბრძოლასთან დაკავშირებით: „დანარჩენი ლაზები კი, რომლებიც რომაელ ჯარისკაცთაგან საშინლად იყვნენ შეწუხებულნი, — განსაკუთრებით კი ჯარის სარდლებისაგან იყვნენ შევიწროვებულნი,—მეტწილად სპარსელების მომხრეობას იჩენდენ, არა იმიტომ, რომ სპარსელობა მოსწონდათ, არამედ, რადგან რომაელთა ბატონობისაგან თავის დაღწევა სურდათ, არჩიეს ის უბედურება, რომელიც მანამდე არ ენახათ"[66]. ამ შემთხვევაში ჩვენ პროკოპის უნდა დავუჯეროთ. ჩვენ პროკოპის სიტყვებიდან ვიცით, რომ სარდალი ბესსაც არ იყო დაინტერესებული იმპერიის საქმეებით, არამედ მას საკუთარი გამდიდრების საკითხი აინტერესებდა. არც იოანე და რუსტიკე განსხვავდებოდნენ ბესსასაგან.

ავათიას ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ იუსტინიანემ ბესსაც, იოანეც და რუსტიკეც დასაჯა.

ბიზანტიის მოხელეების მოღვაწეობა ამ ქვეყნის მთავრობის ინტერესებით არ განისაზღვრებოდა. იოანეც ასეთი უნდა ყოფილიყო. იოანეს მოღვაწეობის შეფასება აკად. ს. ჯანაშიას მიერ მიგვაჩნია სწორად. ის იოანე ციბეს მოღვაწეობაზე წერდა: „გათავხედებული, თავის ნებას გასული, ანგაარი, თაღლითი, ცბიერი და გაუმაძღარი მოხელეები თითქმის დაუსჯელად დათარეშობენ უპატრონო ქვეყანაში, რომელიც

65 მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 206.
66 გეორგიკა, ტ. II, გვ. 168.

ბმინავს აუტანელ უღლის ქვეშ"[67]. „მაგრამ მისი (იოანეს — მ. გ.) ინიციატივის ნაყოფია ისეთი ღონისძიებაც, რომლის მსგავსს მანამდის ადგილი არ ჰქონია ამ ქვეყანაში და რომელმაც ეგრისის მმართველ წრეებს უაღრესად სერიოზული ნაბიჯი გადაადგმევინა"[68]. „ესე იგი, იოანე ციბემ მოსპო დასავლეთ საქართველოში აღებმიცემის თავისუფლება იმისთვის, რათა მთელი სარგებელი მეთვისებინა და რათა თავისთვის სასურველი ფასები თვითნებურად დაეწესებინა"[69].

უნდა აღვნიშნოთ, რომ ბიზანტიის მთავრობის მოხელეები ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი ხარკი აეკრიფათ არსებული კანონების გვერდის ავლით. ამ მხრივ ძალიან დამახასიათებელია აგათიას ცნობა იოანე ლიბიელის მოღვაწეობის შესახებ, რომელიც ხალხის ძარცვით იყო დაინტერესებული. აგათია სქოლასტიკოსი წერს: „როდესაც ის კოლხეთში მივიდა, იგივე მოიმოქმედა; მას რაღაცნაირად შეეძინა სატვირთო ხომალდები და ადგილობრივ ნაყოფებს იძენდა, ბევრი რამე ეყიდა მეტად დაბალ ფასებში,გაჰქონდა უცხოეთში და ჰყიდდა, ამიტომ, რასაკვირველია, პირველ საჭიროების საგანთა ხაკლებობა შეექმნათ ჯარებს, ისე რომ ბალახიც კი საყიდელი იყო"[70]. უკვე აქედანაც ჩანს, რომ ბიზანტიელი მოხელეების მთავარი მიზანი საკუთარი გამდიდრება იყო. მ. კახაძე კი ამ ფაქტს არ აქცევს ყურადღებას და მოხელეების თვითნებობასაც კეისარს მიაწერს. ის ასკვნის, რომ „სადავო და საყოყმანო არ უნდა იყოს ის საკითხი, რომ იუსტინიანე I-ის მიერ რეგლამენტირებული იყო ვაჭრობის მონოპოლია მთელს ბიზანტიის იმპერიაში და ყველა მოხელე (უპირველეს ყოვლისა იოანე ჯიბოც), რომლებიც ჩარჩობას ეწეოდნენ, იმპერატორის სანქციით მოქმედებდნენ და უზარმაზარ სახელმწიფო მანქანას თავიანთი ნაყაჩაღევი ოქროებით ამარაგებდნენ"[71]. მართალია, მოხელეები აგროვებდნენ ოფიციალურ გადასახადებს, რომელიც ხაზინაში მიდიოდა, მაგრამ ამ გადასახადის აკრეფით არ კმაყოფილდებოდნენ ეს მოხელეები. ხაზი უნდა გაუსვათ იმ გარემოებასაც, რომ სწორედ მოხელეების თვითნებობა ხშირად აჯანყების საბაბი ხდებოდა.

ა. გ. გოზალაშვილის აზრით „... თვით ბიზანტიის სავაჭრო-ეკონომიური პოლიტიკა ლაზიკაში უშუალოდ შეთანხმებუ-

---

67 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 24.
68 იქვე, გვ. 27.
69 იქვე, გვ. 28.
70 გეორგიკა, ტ. III, გვ. 178.
71 მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, გვ. 209.

ლი იყო იმპერიის სამხედრო-პოლიტიკურ ინტერესებთან და მასვე ემსახურებოდა"[72]. გ. გოზალიშვილი მონოპოლიის შემოღების ორ მიზეზს ასახელებს: ერთი აღმოსავლეთის ვაჭრობაზე ზეგავლენის მოხდენა და მეორე, სახელმწიფო რესურსების გაძლიერება. პირველის შესახებ წერს: „ერთი მხრით, გაღატაკებული სახელმწიფო ხაზინის შევსებისა და, მეორე მხრით, აღმოსავლეთის ვაჭრობაზე ძლიერი გავლენის მოხდენის მიზნით იუსტინიანე იძულებულია იმპერიაში საგაჭრო მონოპოლია შემოიღოს"[73]. მეორე მიზეზის შესახებ კი წერს: „საქმე ის არის რომ, როგორც ცნობილია, მონოპოლია მიზნად ისახავდა სახელმწიფო რესურსების გაძლიერებას, რასაც დაუსრულებელი ომები დაუზოგველად მოითხოვდა; ამ ომიანობას იუსტინიანეს დროს ტემპი ემატება, რადგან იგი იმპერიის მიერ წინადროინდელი დაკარგული სამფლობელოების დაბრუნებას ისახავდა მიზნად"[74]. ის რასაც იოანე ითვისებდა კანონების ყოველგვარი გათვალისწინების გარეშე, არ შეიძლება მივაწეროთ ბიზანტიის მთავრობის სამხედრო-პოლიტიკურ ინტერესებს. ერთი შეხედვით შეიძლება მცდარი აზრის გამოთქმა, მაგრამ თუ ჩავუკვირდებით საქმის მთელ ვითარებას და პროკოპის და აგათიას ცნობებიდან სწორ ანალიზს გავაკეთებთ, გავიგებთ, რომ იოანეს თვითნებობა არ იყო გადამწყვეტი ბიზანტიელებისაგან ლაზეთის განდგომაში. თუმცა პროკოპი ყველაფერს აბრალებს იოანეს, „რომელმაც სტრატეგოსობამდე მიაღწია სხვა არაფრით, გარდა იმისა, რომ ყველაზე უფრო საზიზღარი იყო და ყველაზე უფრო მოხერხებული ფულის საშოვნელად უსამართლო საშუალებათა გამოგონებაში"[75]. გამოდის რომ იოანეს დაწინაურება მისი უსამართლობის შედეგია. იოანეს პოლიტიკა მხოლოდ მისი თვითნებობის შედეგი რომ ყოფილიყო, მაშინ ლაზები იოანეს ასეთი საქციელის შესახებ აცნობებდნენ იუსტინიანეს და ამით აღმოფხვრიდნენ ამ თვითნებობას, მაგრამ ეს ასე არ მომხდარა. იოანემ ლაზეთში გაატარა ძირითადად ის პოლიტიკა, რომელიც მეფის მიერ იყო ნაკარნახევი, თუმცა იოანემ ვერ შესძლო ამ ნაკარნახევი პოლიტიკის უმტკივნეულოდ ცხოვრებაში გატარება. მან პირიქით, მდგომარეობა გაამწვავა თავისი უდიერობით.

ჩვენ ვიცით, რომ პროკოპი იუსტინიანე კეისრის თანამედროვე იყო და ამავე დროს მისი „ისტორია" იწერებოდა თვით-

---

72 გ. გოზალიშვილი, დასახელებული შრომა, გვ. 123.
73 იქვე, გვ. 125.
74 იქვე, გვ. 136.
75 გეორგიკა, ტ. II, გვ. 47.

იუსტინიანეს სიცოცხლეშივე. პროკოპის, როგორც სამეფოკარის ისტორიკოსს, ევალებოდა იუსტინიანეს პოლიტიკის ქება. სინამდვილეში კი პროკოპი იუსტინიანეს აძაგებს „ანეკდოტაში“ (ე. წ. „საიდუმლო ისტორიაში“). ამნაირად, პროკოპი იძულებული იყო იუსტინიანე კეისრის ლაზებთან ნამდვილი დამოკიდებულება დაემალა და ყველაფერი დაებრალებინა იოანესათვის. ამდენად, იოანეს მოღვაწეობაზე ბიზანტიის მთავრობის დასტურის შესახებ ცნობა პროკოპის „ისტორიაში“ არ შეიძლებოდა ყოფილიყო.

ისედაც დატანჯულ ხალხს იოანემ თავისი სურვილებიც თავზე მოახვია. ბიზანტიელებისადმი სიძულვილი უსაზღვროდ გაიზარდა და ლაზებმა საჭიროდ სცნეს ასეთი მდგომარეობიდან თავის დაღწევა ირანის დახმარებით. ლაზების ეკონომიკაში დიდ როლს ასრულებდა საგარეო ვაჭრობა, ხოლო იოანეს მიერ ამ ვაჭრობის შეზღუდვა აუცილებლად უკმაყოფილებას გამოიწვევდა. ამის შესახებ აკად. ს. ჯანაშია წერდა: „ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ყველაფერს რაც ამათუიმ მხრით ამ საგარეო ეკონომიურ ურთიერთობას შეეხებოდა, მისი გაძლიერების თუ შესუსტების, ან მთლიანი მოსპობის მიზნით, ეგრისში სათანადო რეაქცია უნდა გამოეწვია“[76]. ამდენად მოხელეების მიერ ვაჭრობის შეზღუდვას აუცილებლად ასეთი შედეგი უნდა მოჰყოლოდა. მართალია, იმპერიის ყველა მოხელე მოქმედებდა იმპერატორის სანქციით, მაგრამ ეს მოქმედება არ უნდა ყოფილიყო ისეთი, რომელიც გამოიწვევდა დამორჩილებული ხალხების აჯანყებას. იმპერიის მოხელეებს მთავრობის პოლიტიკა უნდა გაეტარებინათ უმტკივნეულოდ. განსაკუთრებით ლაზეთში იოანეს მოღვაწეობას არ უნდა გამოეწვია აჯანყება. იოანემ ვერ შესძლო თავისი მთავრობის პოლიტიკის უმტკივნეულოდ გატარება ლაზეთში. პირიქით, ლაზები ბიზანტიელებს გადაამტერა. „ბიზანტიელების ბრიყვი და თავხედი მხედართ-მთავარი იმდენად გათამამდა, რომ სამეფოს ყველა საქმეებში ერეოდა. მეფე გუბაზი ისე შეაწუხა, რომ მას მარტოდენ მეფის სახელი-ღა შერჩა, თორემ ნამდვილად საქმეების გამგეობას თვითონ ჩემულობდა“[77]. ჩანს, რომ მართლაც იმპერიის მოხელეების თვითნებობას ადგილი ჰქონდა, მაგრამ ამავე დროს გასაგებია ისიც, რომ რასაც იოანე ახორციელებდა ლაზიკაში ყველაფერი არ იყო მის მიერ გამოგონილი, არამედ იყო ბიზანტიის მთავრობის ნაკარნახევი. საქმე იმაშია, რომ კეისრის მოხელეები ხაზინას ჰმატებდნენ ფულს, მაგრამ ამა-

---

76 ს. ჯანაშია. შრომები, ტ. I, გვ. 47.
77 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, გვ. 248.

ვე დროს საკუთარ ჯიბესაც ისქელებდნენ. დამორჩილებული ხალხის ძარცვის ერთ-ერთი ძიზანი იყო თვით ამ მოხელეების გამდიდრება. იოანეს მოღვაწეობაშიც ამ მიზანს არ დაუკარგავს მნიშვნელობა. მ. ჯახაძე კი თავის აზრს ამტკიცებს იმით, რომ იუსტინიანეს საომარმა მოქმედებამ და საალმშენებლო მუშაობამ მოითხოვა დიდი ხარჯები, რის დაფარვას სჭირდებოდა ზემოთ დასახელებული მეთოდებით ფულის შეძენა. ეს აზრი არ ამტკიცებს მის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ იოანეს მონოპოლია კეისრის ნაკარნახევი იყო, ვინაიდან რომაელების მხარეზე გადასვლის შემდეგ (იგულისხმება წათეს განდგომა სპარსელებისაგან) ლაზებსა და რომაელებს შორის ასეთი უთანხმოება არ ყოფილა. იოანეს მონოპოლია მთლიანად კეისრის ნაკარნახევი რომ ყოფილიყო, მაშინ შემდეგშიაც განაგრძობდა ბიზანტიის მთავრობა ამ პოლიტიკის გატარებას, ვინაიდან ლაზებს აღარ შეეძლოთ ბიზანტიის მთავრობის ისე შეშინება, რომ ვაჭრობის მონოპოლიაზე ამ უკანასკნელს ხელი აეღო. ჩვენთვის ცნობილია, რომ VI საუკუნის მეორე ნახევარში ლაზებში იგრძნობა ერთგვარი თავისუფლება ვაჭრობაში. პროკოპის ისტორიის განმგრძელებელი აგათია წერს: „ეხლანდელი მცხოვრებლები დასცურავენ კიდეც, რამდენადაც შესაძლებელია, და ვაჭრობაშიაც ნახულობენ დიდ სარგებლობას“[78].

აშკარად ჩანს ისიც, რომ იუსტინიანე თავის მოხელეებს არ უკრძალავდა თვითნებობას და ამ თვითნებობას შედეგად მოჰყვა ლაზების განდგომა. „მოქმედებდა ამ შემთხვევაში ციბე სრულიად დამოუკიდებლად, თუ მას თავის მთავრობის ერთგვარი დასტური(ც ჰქონდა, ეხლა ძნელი გასაგებია... ამიტომ ადვილად შესაძლებელია, ბიზანტიონშიაც ჰყოლოდა ლაზების „მთავარ მეწვრილმანეს“, თუ მთავარ ჩარჩს, სარგებლის მონაწილენი და ამ საქმიანობის მფარველნი“[79]. აკად. ს. ჯანაშიას ეს აზრი სინამდვილეს უნდა აღნიშნავდეს.

მარტო იოანე კი არ ეპყრობოდა ლაზებს უდიერად, არამედ სხვა სარდლებიც. მათი აზრით ლაზთა მეფე უკვე არ ითვლებოდა მეფედ, არამედ მათდამი დაქვემდებარებულ მოხელედ მიაჩნდათ. ბიზანტიის მთავრობას ლაზიკაში მეფობა არ გაუუქმებია, მაგრამ მოხელეების თვითნებობა კი ამცირებდა მეფის უფლებებს. ისინი მეფის იგნორირებას ახდენდნენ. ამაზე პირდაპირ მიუთითებს აგათიას ცნობა გუბაზის მკვლელთა (რუსტიკის და იოანეს) გასამართლებასთან დაკავშირებით. ბრალდებულები ამბობენ: „იმან კი (გუბაზმა —

78 გეორგიკა, ტ. III, გვ. 51.
79 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 28, განტვირთვა ჩვენია.

მ. გ.) ისე წარმოადგინა თავი, თითქოს მართლაც მეფე ყოფილიყოს და თითქოს მის ხელთ ყოფილიყოს თავისი ნებისაებრ ემართა, უარი თქვა ჩვენთან ერთად ელაშქრა ციხის წინააღმდეგ და არც კი მოვიდა ჩვენთან"[80]. იმპერიის ეს მოხელეები დასჯილ იქნენ იმიტომ, რომ მათ კეისრის დავალება არ შეასრულეს და თვითნებურად იქცეოდნენ. გამორიცხული არაა, რომ იოანეც ასე იქცეოდა.

ზემოთ მოყვანილი ცნობებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მას განუდგა მოკავშირე, რომელიც მიემხრო მის მთავრების განდგომის საბაბი და ერთ-ერთი მიზეზიც. მეორე მიზეზი იყო ლაზების პოლიტიკური უფლებების შეზღუდვა.

ამრიგად, იოანეს მიერ შეწუხებულნი იყვნენ ლაზთა მეფე გუბაზი და სხვა წარჩინებულებიც. მოთმინებიდან გამოსულმა ლაზებმა საიდუმლოდ ელჩები გაუგზავნეს ირანის მეფე ხოსროს. ელჩები შეეცადნენ ეცნობებიათ ხოსროსათვის ლაზების ბიზანტიელებისაგან განდგომის მიზეზები. ლაზებმა აღნიშნეს ლაზიკის სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა, რათა ირანის მეფეს მათთვის დახმარების გაწევაზე უარი არ ეთქვა. ბიზანტიელებისადმი სიძულვილი იმდენად ძლიერი იყო, რომ ელჩებმა ლაზიკის მნიშვნელობის გაზვიადებით მოინდომეს ხოსროს გადმობირება. აშკარა გახდა, რომ ლაზებმა გადასწყვიტეს ირანელების მოწვევა. ეს ვითარება ყველაზე ხელსაყრელი შეიქმნა ირანისათვის. თუ ერთ დროს იგი ემზადებოდა ლაზიკის ძალით დაპყრობისათვის, ეხლა კი თვით ლაზები, თავისი „სურვილით" ნებდებიან მას.

ამრიგად, ორი სახელმწიფოს, ბიზანტიას და ირანს შორის ძალთა თანაფარდობა ლაზიკაში შეიცვალა. თუ ერთ დროს ლაზები ბიზანტიის „მეგობრებად" ითვლებოდნენ, ეხლა კი ირანის მხარეზე გადავიდნენ. ირანის მდგომარეობა გაცილებით გაუმჯობესდა, ხოლო ბიზანტიისა კი გაუარესდა. ბიზანტიის მდგომარეობის გართულება გამოიხატებოდა იმაშიც, რომ ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული დასავლეთში ომები, რომ მას განუდგა მოკავშირე, რომელიც მიემხრო მის მთავარ მეტოქეს ირანს.

ხოსრომ კარგად გაითვალისწინა შექმნილი ვითარება და დაიწყო ომისათვის მზადება. ხოსრო ომისათვის მზადებას აწარმოებდა საიდუმლოდ ისე, რომ ბიზანტიის მთავრობამ არ იცოდა. 542 წ. ხოსრო დაიძრა ქართლიდან ლაზიკისაკენ. ხოსროს ჯარს წინ მიუძღოდნენ ლაზების მოციქულები. ლაზიკაში ირანის გამოლაშქრების შესახებ ცნობის მიღებისთანავე ბიზანტიელებმა დაანგრიეს სევასტოპოლის და პიტიუნტის ცი-

---

[80] გეორგიკა, ტ. III, გვ. 149.

ხე-სიმაგრეები და გაიქცნენ ბიზანტიაში. ეს გამოწვეული იყო ხოსროს ლაშქრობის მოულოდნელობით. ციხეების დანგრევით მათ ხოსროს ჯარს მოუსპეს თავშესაფარი შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე.

ლაზიკაში ლაშქრობა არც ისე ადვილი იყო. ხოსროს ჯარს ტყის გაკაფვით გზის გადება უხდებოდა. აგრეთვე, ჯარის მოძრაობას ხელს უშლიდა ლაზიკის ხშირი მთაგორიანი ადგილები. ირანელებმა გადალახეს ეს სიძნელეები და შიდა ლაზეთში შევიდნენ. ლაზთა მეფე გუბაზს იმდენად უხარია ხოსროს ჯარის შემოსვლა მის ქვეყანაში, რომ იგი შუა გზაში (ვარდციხეში) მიეგება ხოსრო მეფეს და მორჩილება აღუთქვა. გუბაზის ეს მისწრაფება იმას არ ნიშნავდა, რომ მას ძალიან უყვარდა ხოსრო, ან ირანელები, არამედ ხოსროს დახმარებით მას უნდოდა რომაული ბატონობის მძიმე უღლიდან თავის განთავისუფლება.

ლაზების დახმარებამ და თვით ირანელების ლაზიკაში შემოსვლის მოულოდნელობამ შესაძლებელი გახადეს ციხე პეტრას აღება ირანელების მიერ. სწორედ „პირველი იერიში მათ პეტრაზე მიიტანეს როგორც ბიზანტიელთა სამხედრო და ეკონომიური ბაზის წინააღმდეგ"[81]. ირანს უნდოდა მთელი ლაზიკის ხელში ჩაგდება, მაგრამ მას ხელი შეუშალა ბიზანტიელი ჯარის შეჭრამ თვით ირანში. 545-546 წლებში ირანმა და ბიზანტიამ შეჰკრეს დროებითი ხუთწლიანი ზავი. ეს დროებითი შესვენება ხოსროს უნდოდა გამოეყენებინა ეგრისში მდგომარეობის განმტკიცებისათვის. სწორედ ამ დროს დაიწყო მზადება ლაზების მეფის მოკვლისა და მათი გადასახლებისათვის. ირანს შეექმნა ხელსაყრელი პირობები ლაზიკაში განმტკიცებისათვის, მაგრამ ამ ხელსაყრელი პირობების გამოყენება ვერ შესძლო. ირანელები იმდენად ვერაგები იყვნენ, რომ მათ ლაზიკაში შემოსვლის პირველ დღეებიდანვე გადასწყვიტეს ლაზების გადასახლება და იქ სპარსელების ჩასახლება და ამით ლაზიკის სამუდამოდ შემომტკიცება. არც ლაზების იმედები გამართლდა — ირანელების დახმარებით ბიზანტიელთა ბატონობისაგან თავის დაღწევა და ერთგვარი თავისუფლების მოპოვება. თუ ბიზანტიელები ლაზებს უზღუდავდნენ პოლიტიკურ უფლებებს და უკრძალავდნენ ვაჭრობას, სპარსელებმა კი მოინდომეს მათი ფიზიკური გადაშენება. ირანელებმა თავისი მიზნების მიღწევისათვის გადასწყვიტეს ჯერ გუბაზის მოკვლა ვერაგულად და შემდეგ უმეფოდ დარჩენილი ხალხის გადასახლება. გუბაზის მოკვლა დააკალეს ფაბრიზსა და ისდიგუსნაფს. ხოსროს ამ განზრახ-

81 გ. გოზალიშვილი, დასახელებული შრომა, გვ. 139.

ვის შესახებ პროკოპი შემდეგს წერს: „რადგან მან გადასწყვიტა ქალაქი დარა აეღო მოულოდნელად და ლაზიკიდან კოლხები ყველანი გამოესახლებინა, ხოლო მათ ნაცვლად სპარსელები დაესახლებინა, ეს ორი კაცი აირჩია ამ ორივე საქმის მოსაგვარებლად. მას ხომ ღირსშესანიშნავ მოპოვებად მიაჩნდა კოლხიდის ქვეყანა ჰქონოდა მტკიცე საკუთრებად მითვისებული, რადგან, მისი აზრით, სპარსეთის ძალაუფლებას ეს დიდს სარგებლობას მოუტანდა“[82].

ლაზიკის ხელში ჩაგდებით და იქ თავისი მდგომარეობის განმტკიცებით ხოსროს შეეძლო შეექმნა გაცილებით უკეთესი პოზიციები მისი მთავარი ძეტოქის — ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის და ამავე დროს იბერიაში საფრთხე სამუდამოდ მოსპობილი იქნებოდა. ეს ყველაფერი იყო ხოსროს სურვილი, რომლის განხორციელება შეუძლებელი გახდა.

ხოსრომ გუბაზის მოკვლა დაავალა, როგორც აღნიშნული იყო, ფაბრიზსა და ისდიგუსნაფს. ფაბრიზმა კი, თავის მხრივ, ეს საქმე მიანდო ფარსანსს. ფარსანსი იყო წარჩინებული ლაზი, რომელიც გუბაზ მეფეს გადამტერებული იყო. სწორედ ამიტომაც ენდო ფაბრიზი ფარსანსს. მიუხედავად იმისა, რომ ფარსანსსა და გუბაზს შორის მტრობა იყო, პირველმა არ გაიმეტა მეფე. მან გუბაზს აცნობა იმ ტერორის შესახებ, რომელიც მზადდებოდა მის წინააღმდეგ. გუბაზი სიკვდილს გადაურჩა. ფარსანსის ამ საქციელის შესახებ აკად. ს. ჯანაშია წერს: „მართალია, შემდეგში ამ კაცმა არ გაამართლა ირანელთა იმედები და შეიძლება აზრი დაიბადოს აღნიშნულ უკმაყოფილების პირად ხასიათის შესახებ, მაგრამ ერთგვარი ინტერესი ამ ფაქტს მაინც უნდა შერჩეს“[83]. აქ ჩანს, რომ ფარსანსმა ქვეყნის ინტერესები წინ დააყენა ვიდრე საკუთარი.

რა თქმა უნდა ლაზების ირანელებისაგან განდგომის საბაბი გუბაზის მკვლელობის მზადების გამომჟღავნება იყო, მაგრამ ამ განდგომის მიზეზი მაინც ირანელებსა და ლაზებს შორის პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა იყო. ამ ურთიერთობების შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „მაგრამ სპარსელების მიერ ქრისტიანობის დევნამ და ლაზიკის ბიზანტიაზე მოწყვეტამ, რომელთანაც იგი ეკონომიურად მჭიდროდ დაკავშირებული იყო, ხალხს თვალი აუხილა და დაანახვა, რომ პოლიტიკურმა ცვლილებამ მას აღებ-მიცემობის უმთავრესი წყარო დაუწყვიტა და სარგებლობის მაგიერ ზიანს უქადდა. ცოტა ხანს შემდგომ ლაზები დარწმუნდნენ, რომ

---

82 გეორგიკა, ტ. II, გვ. 64.
83 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 62.

პოლიტიკურადაც სპარსელების მთავრობა ბიზანტიის მთავ-
რობაზე გაცილებით უფრო მკაცრი და მედგარი იყო"[84]. ამაზე
მიუთითებს თვით ფარსანსის მოქმედებაც. მიუხედავად გუ-
ბაზთან მტრული ურთიერთობისა ფარსანსმა მაინც საჭიროდ
სცნო ხოსროს განზრახვის გამომჟღავნება.

მას შემდეგ, რაც ეგრისი გადავიდა ირანის მხარეზე, ეგ-
რისელ წარჩინებულებმა დაჰკარგეს ის უფლებები, რომლე-
ბიც ბიზანტიელების ბატონობისას შელახული იყო. ეგრისე-
ლი წარჩინებულები იბრძოდნენ ვაჭრობის უფლების მოპო-
ვებისათვის, ხოლო ირანელების ბატონობისას კი ბიზანტიას-
თან ვაჭრობა სრულიად შეწყდა. ამ წარჩინებულთა მოთხოვ-
ნილება დაკმაყოფილებული არ იქნა, არამედ გაუარესდა და
იმავე დროს ირანი მათ გადასახლებით ემუქრებოდა. ყოვე-
ლივე ეს ნიადაგს ამზადებდა ლაზების ირანისაგან განდგომი-
სათვის. ამას ზედ დაემატა გუბაზის მკვლელობის მზადებაც.

გუბაზის წინააღმდეგ შეთქმულება მოწყობილი იყო 548
წელს. უკვე 549 წლიდან ლაზები ბიზანტიელების მხარეზე
გადადიან. კეისარს ძალიან ესიამოვნა მის მხარეზე ლაზების
გადასვლა და სასწრაფოდ გამოუგზავნა მათ დამხმარე ჯარი
8 ათასი კაცისაგან შემდგარი. ისევ იცვლება ძალთა თანა-
ფარდობა ბიზანტიის სასარგებლოდ. დაიწყო ბრძოლა სპარ-
სელების წინააღმდეგ. მთავარი ყურადღება პეტრასაკენ იყო
მიპყრობილი.

ამ დროს ირანის სარდალი იყო მერმეროე. მან სცადა
პეტრას ციხის გამაგრება. შიგ ციხეში ჩააყენა სამი ათასი მეო-
მარი და კიდევ ხუთი ათასი მებრძოლი დასტოვა ლაზიკაში.
რადგანაც ლაზები მტრულ განწყობილებაში იყვნენ ირანე-
ლებთან და მათი სურსათით მომარაგება არ აინტერესებდათ,
ამიტომ ირანის ხუთი ათასიანი ჯარი თავს ირჩენდა ძარცვა-
რბევით. რა თქმა უნდა ასეთ პირობებში მყოფ ჯარს აღარ
შეეძლო დახმარება გაეწია პეტრას დამცველებისათვის. 549
წელს ლაზებისა და ბიზანტიის გაერთიანებულმა ჯარმა გაა-
ნადგურა ირანის ეს დამხმარე ჯარი და დიდი დავლაც ჩაიგდო
ხელში.

მიუხედავად ასეთი მარცხისა, ირანს არ უნდოდა დასავ-
ლეთ საქართველოდან წასვლა. 550 წლისათვის ირანი დროე-
ბით ურთიერთობას ამყარებს აბაზგიის მმართველ წრეებთან.
ეს ურთიერთობა გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებით.

საკმაოდ დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც აბაზგები
გამოეყვნენ ლაზებს და ბიზანტიის გავლენის ქვეშ მოექცნენ.

---

84 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, გვ. 251.

ბიზანტიელები აბაზგიაში პირველ ხანებში სიმკაცრეს არ იჩენდნენ და მათ პოლიტიკას უხამებდნენ ადგილობრივი ხალხის სურვილებს, მაგრამ მას შემდეგ, რაც მათ შესძლეს საკუთარი გავლენის საკმაოდ განმტკიცება, დაიწყეს ისეთივე პოლიტიკის განხორციელება, როგორსაც ლაზიკაში ატარებდნენ ამ უკანასკნელთა აჯანყებამდე. ლაზიკაში კი, როგორც აღვნიშნეთ ზემოთ, ბიზანტიურმა პოლიტიკამ ააჯანყა ადგილობრივი ხალხი, რომელსაც შედეგად მოჰყვა ირანელების მოწვევა და შემდეგ კი დიდი ომიანობა. არც აბაზგიის წარჩინებულები აღმოჩნდნენ ბიზანტიელებისადმი მადლიერნი. აქაც ადგილობრივ წარჩინებულებს ეშინოდათ, რომ ისინი რომაელების მონები არ გამხდარიყვნენ. ამის შესახებ პროკოპი შემდეგს წერს: „როდესაც მათ (აბაზგებმა — მ. გ.) თავიანთი მეფეები მოსპეს, როგორც ეს ჩემ მიერ ახლახან იყო მოთხრობილი, რომაელთა ჯარისკაცები, კეისრის მიერ წარგზავნილები, მათ ქვეყანაში იდგენ ხოლმე ძალიან ხშირად და მათ უნდოდათ ეს ქვეყანა დაემორჩილებიათ რომაელთა ძალაუფლებისათვის, და მათ ახალ-ახალ რაღაც წესებს უმყარებდენ. ამ ძალადობის გამო აბაზგები პირდაპირ აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდენ. იმის შიშით, რომ ამიერიდან რომაელთა მონებად არ გამხდარიყვნენ, მათ კვლავ დაიყენეს თავისთვის მთავრები, აღმოსავლეთის ნაწილისათვის ოფსიტე სახელად, ხოლო დასავლეთისათვის სკეპარნა“[85]. აბაზგებმა გადასწყვიტეს ბიზანტიელების ბატონობისაგან თავის დაღწევა. ამავე დროს ისინი ხედავდნენ, რომ ასეთი ძლიერი იმპერიის გავლენისაგან თავის დაღწევა უცხო ძალის დახმარების გარეშე შეუძლებელი იყო. ასეთ ძალად მათ მიაჩნდათ იმ დროისათვის ირანი. სწორედ ირანის დახმარება ითხოვეს აბაზგებმა და ამ საქმის მოგვარება დაავალეს სკეპარნას. ირანს ისედაც არ უნდოდა დასავლეთ საქართველოდან წასვლა, ხოლო როცა სკეპარნამ შესთავაზა თავისი ქვეყანა, ირანის მეფე დიდი სიამოვნებით დათანხმდა. აბაზგიას თუ გადააქცევდნენ სამხედრო პლაცდარმად, მაშინ ბიზანტიის მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში საკმაოდ გართულდებოდა. სწორედ ირანის სარდალმა ნაბედმა, არ ენდობოდა რა აბაზგებს, მათ მძევლებად ჩამოართვა წარჩინებულთა 60 ბავშვი. მიუხედავად ამისა, ირანმა აბაზგებს რეალური დახმარება ვერ გაუწია. აბაზგების აჯანყების შესახებ აცნობეს იუსტინიანეს. მან აბაზგების დამორჩილება დაავალა სარდალ ბესსას. ბესსამ კი აბაზგიაში გაგზავნა ულიგაგე და იოანე. ეს აჯანყება მოხდა 550 წელს. ამ დროს ჯერ კიდევ სკეპარნა არ იყო დაბრუნებული აბაზგია-

---

85 გეორგიკა, ტ. II, გვ. 126

ში. ბიზანტიელების წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა ოფსიტე.

იმ დროს აბაზგების ყველაზე მტკიცე და მიუვალ ციხესიმაგრედ ითვლებოდა ტრაქეა, რომელიც მდებარეობდა „აბაზგიის შესავალში", დღევანდელი ახალი ათონის ტერიტორიაზე. სწორედ ეს ციხე აირჩიეს აბაზგებმა თავდაცვითი ბრძოლის საწარმოებლად. „აქ შეხიზნულები მუდამ იგერიებენ მტრის შემოტევას, რომელსაც არსად არ შეუძლია ამ ძნელი ადგილის გადალახვა"[86].

ბიზანტიელებისათვის კარგად იყო ცნობილი ტრაქეას სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა, ამიტომაც ბესსამ აქ ჯამოგზავნა ულიგაგი და იოანე სპეციალური ჯარით. ბესსამ სწორად შეაფასა ტრაქეას აღების სიძნელე. მიუხედავად ბიზანტიელი ჯარის სიმრავლისა, აბაზგებმა საჭიროდ სცნეს მათთვის წინააღმდეგობის გაწევა. აბაზგების მხრივ ეს იყო თავგანწირული ბრძოლა უცხო მოძალადის წინააღმდეგ, რომლის ბატონობის ატანა შეუძლებელი გახდა.

ულიგაგემ და იოანემ აფსილიისა და აბაზგიის საზღვართან ჯარი გადმოსხეს ნაპირზე და ხმელეთით გაეშურნენ ტრაქეასაკენ. ამ დროს აბაზგები უკვე შეიარაღებულნი ციხეს იცავდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიელი ჯარი მრავალრიცხოვანი იყო, ულიგაგე და იოანე საგონებელში ჩავარდნენ. მათ შესძლეს ორი მხრიდან თავდასხმა აბაზგებზე. აბაზგებმა ვერ შესძლეს მტრის მრავალრიცხოვანი ჯარის შეჩერება, რის გამოც გადასწყვიტეს ციხეში გამაგრება. მაგრამ ბიზანტიელებმაც შესძლეს ციხეში შესვლა. ციხეში ბიზანტიელების ასე ადვილად შესვლა გამოწვეული იყო ოფსიტეს მიერ დაშვებული ტაქტიკური შეცდომით. ულიგაგე და იოანე გახარებულნი იყვნენ ციხეში შესვლით და, აგრეთვე, მათ ეგონათ, რომ აბაზგები უკვე დატყვევებულნი იყვნენ. სინამდვილეში კი ეს ასე არ მომხდარა. ბიზანტიელებისადმი სიძულვილი იმდენად ძლიერი იყო, რომ აბაზგებმა გადაწყვიტეს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლათ მტერთან. ასეც მოხდა. ციხის შიგნით სახლებში გამაგრებული აბაზგები ებრძოდნენ ბიზანტიელებს. ამ ბრძოლაში აბაზგებმა ბიზანტიელებს დიდი ზარალი მიაყენეს. ეს ბრძოლა გამოხატავდა უსაზღვრო სიყვარულს თავისი სამშობლოსადმი, მისწრაფებას დამოუკიდებლობისაკენ, ბრძოლას თავისუფლებისათვის და ამავე დროს უსაზღვრო სიძულვილს ბიზანტიელ დამპყრობლებისადმი. ●სეთ ბრძოლაში აბაზგები ეწირებოდნენ თავის სა-

---

86 გეორგიკა, ტ. II, გვ. 127.

მშობლოს, რომლის დათმობა შეუძლებლად მიაჩნდათ. ბოლოსდაბოლოს ბიზანტიელებმა ცეცხლი წაუკიდეს აბაზგების სახლებს და ამით შესძლეს მათი დამორჩილება. ოფსიტემ კი გაქცევით ძლივსღა უშველა თავს. მან თავი შეაფარა ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ ჰუნებს. მისი მერმინდელი ბედის შესახებ ცნობები არ მოიპოვება. ბრძოლის ეს ეპიზოდი ნათლად გვიჩვენებს აბაზგებისადმი ბიზანტიელების დამოკიდებულებას. ბიზანტიელებმა სწორედ ამ აჯახყების ჩაქრობის შედეგად მიაღწიეს თავის მიზანს. აბაზგებთან ბიზანტიელების დამოკიდებულების შესახებ აკად. ს. ჯანაშია სამართლიანად აღნიშნავს, რომ „უწინარეს ყოვლისა, რომაელები ცდილობენ აბაზგიის უმეშველო მართვის შესაძლებლობის მოპოვებას. თუ ეგრისში მათ შეჰკვეცეს ადგილობრივი სამეფო ხელისუფლება თავისთვის სასურველ ფარგლებამდის, აბაზგიაში მათ სრულიად მოსპეს მთავართა ხელისუფლება“[87].

ბიზანტიელების წინააღმდეგ აბაზგების აჯანყებას პროფ. გ. გოზალიშვილი მიაწერს ირანის დიპლომატიურ ინტრიგებს. ის წერს: „სამხედრო მოქმედებასთან ერთად ირანელები ბიზანტიელების წინააღმდეგ დიპლომატიურ ინტრიგებსაც ძიპმართავდნენ. მათ მოახერხეს აფხაზთა ტომის (Абазгі) გადაბირება; ცოტა ხნის შემდეგ აფსილებიც გადაიბირეს. აფხაზებმა, რომლებიც უწინ ლაზთა ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ, უარი განაცხადეს მორჩილებაზე და თავიანთი აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილებისათვის ორი მეფე (ოფსიტე და სკეპარნა) აირჩიეს. ამასთანავე ეს უკანასკნელი ხოსროსთან გაგზავნეს დახმარების სათხოვნელად, რის შედეგადაც აფხაზეთში ირანელი სარდალი ნაბედი გაიგზავნა“[88]. გამორიცხული არაა ირანელების დიპლომატიური ინტრიგები, მაგრამ მთავარი მიზეზი აბაზგების აჯანყებისა მდგომარეობდა ბიზანტიური მმართველობის სიმკაცრეში. სწოლედ მაშინ, როდესაც ბიზანტიელების ბატონობა აუტანელი გახდა, ირანს მიმართეს დახმარებისათვის. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაბედმა აბაზგებს არავითარი დახმარება არ გაუწია.

550 წლის აჯანყების დამარცხების შედეგად აბაზგები მოექცნენ ბიზანტიელების ბატონობის ქვეშ. შემდეგში ბიზანტიელთა გავლენა არ შეწყვეტილა VIII საუკუნის მეორე ნახევრამდე, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი იყო და ზოგჯერ მხოლოდ ფორმალური ხასიათის მატარებელიც. ხოლო ამ აჯანყების დამარცხების შემდეგ ირანს აბაზგიაში ბატონობის საშუალება მოესპო.

87ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 70.
88 გ. გოზალიშვილი, დასახელებული შრომა, გვ. 144.

დასავლეთ საქართველოს არც ერთი ტომი არ იყო კმაყოფილი ბიზანტიური პოლიტიკით. აჯანყება აჯანყებას მოსდევდა ირანის წინააღმდეგ ბრძოლაც გრძელდებოდა. იმავე 550 წელს მოხდა აჯანყება აფსილიაშიც. როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, აფსილია მაშინ შედიოდა ეგრისის პოლიტიკურ ერთეულში და აფსილიის მმართველი ემორჩილებოდა ლაზიკის მეფეს. ლაზიკა კი თავის მხრივ ბიზანტიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ეტყობა ეს გავლენა საკმაოდ ძლიერი იყო. აჯანყებული აფსილები განუდგნენ ლაზთა მეფეს. პროკოპი აქ არ ამეღავნებს ბიზანტიური პოლიტიკის სიმკაცრეს და აფსილების განდგომას მიაწერს მაგისტროს ტერდეტეს ურთიერთობას ლაზთა მეფე გუბაზთან. იგი წერს: „ლაზთა შორის ერთმა წარჩინებულთაგანმა, სახელად ტერდეტმა, რომელსაც ეგრეთწოდებული მაგისტროსის ძალაუფლება ეპყრა, ამ ხალხში და რომელიც ლაზთა მეფე გუბაზთან წაჩხუბებული იყო და მასთან უკმაყოფილება ჰქონდა, ფარულად აღუთქვა სპარსელებს, რომ ამ ციხეს გადასცემდა; ის კიდეც წამოუძღვა სპარსთა ჯარს და აფსილიაში გაემართა ამ საქმის შესასრულებლად“[89].

აფსილების უმტკიცეს სიმაგრედ ითვლებოდა წიბილი. სწორედ ტერდეტეც იქ იყო გამაგრებული. მან აქედან გამართა მოლაპარაკება სპარსელებთან და პირობა მისცა მათ, რომ ჩააბარებდა ციხე-სიმაგრე წიბილს. ამ მიზნის განსახორციელებლად წამოიყვანა სპარსეთის ჯარი და შეიყვანა იგი ციხეში.

სპარსელების მოწვევა რომ მარტო ტერდეტეს სურვილზე ყოფილიყო დამოკიდებული, და აფსილიის წარჩინებულებს რომ არ განეცადათ ჩაგვრა ბიზანტიელი დამპყრობლებისაგან, მაშინ აუცილებლად ეს წარჩინებულები თავის მაგისტროსს წინააღმდეგობას გაუწევდნენ და შესაძლებელია არც კი შეეშვათ სპარსელები თავიანთ ციხე-სიმაგრეში. შემდეგში ტერდეტე თავის გასამართლების მიზნით ამტყუნებს ლაზთა მეფეს და ბიზანტიელებს. ამის შესახებ პროკოპი წერს: „აფსილები ამიტომ კოლხებს განუდგენ და ამბობენ, რომ კოლხებმა არ ისურვეს დახმარება აღმოეჩინათ მათთვის, როდესაც ისინი სპარსელების მხრით განსაცდელში იყვნენ ჩაყენებული“[90].

თავისი უხეშობით და სიმკაცრით სპარსელები მეტად გამოირჩეოდნენ ბიზანტიელებისაგან. მათ არც აბაზგიაში გამოიჩინეს თავი ლმობიერებით, გარდა იმისა, რომ ნაბედმა

---

89 გეორგიკა, ტ. II, გვ. 131.
90 იქვე, გვ. 133.

ხელთ იგდო მძევლები — სამოცი ბავშვი წარჩინებულთა გვარებიდან. სპარსელები არც აფსილიაში იჭერდნენ თავს წესიერად. აქ სპარსელების ჯარის ბედი გადასწყვიტა ჯარის უფროსის თავხედობამ. მაგისტროსის ცოლი ლამაზი ქალი ყოფილა, რომელიც სპარსელების ჯარის უფროსს მოსწონებია, მაგრამ მისი გულის მოგება ვერ მოუხერხებია და ამიტომ ძალა უხმარია. განრისხებულმა ქმარმა იმავე ღამეს მოკლა ჯარის უფროსი და ამოწყვიტა მთლიანად იქ მდგომი ჯარი და კიხეს თვითონ დაეუფლა.

სპარსელებისადმი აფსილების სიძულვილი იმდენად ძლიერი იყო, რომ ისინი მზად იყვნენ ყოველ წუთში სპარსელების წინააღმდეგ გამოსვლისათვის. არც აფსილებს, ისევე როგორც აბაზგებს, არ უნდოდათ უცხო მოძალადის ხელში ყოფნა და ყოველთვის იბრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის. სპარსელების აფსილიიდან განდევნა მარტო აფსილიის მაგისტროსის წარმატება არ იყო. ეს საკითხი ხალხმა გადასწყვიტა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სპარსელებმა ვერც აბაზგიაში გაიმაგრეს ფეხი, მიუხედავად იმისა, რომ მათ მოსაწვევად სკეპარნა იყო წასული. აფსილიაშიც სპარსელებით უკმაყოფილო ხალხის აჯანყების საბაბად იქცა სპარსელი სარდლის მიერ აფსილიის მაგისტროსის ცოლის შეურაცხყოფა. აფსილებთან სპარსელების ურთიერთობის შესახებ ზ. ანჩაბაძე წერს: „Приведенный факт послужил, надо полагать, лишь поводом к восстанию апсилов против персидских захватчиков. Очевидно, и здесь персы, как и повсюду в захваченных ими областях, быстро восстановили против себя местное население, которое восстало против них и изгнало из своей страны. Таким образом, вследствие сопротивления апсилов, персам и на этот раз не удалось утвердиться в Абхазии"[91].

აფსილიის დამორჩილება ბიზანტიელების მიერ შესაძლებელი გახდა უბრძოლველად. პროკოპი კესარიელის თქმით „იმან (იოანე თომას-ძემ — მ. გ.) თავი მოუქონა მათ და უბრძოლველად შესძლო დამორჩილება. და ისინი ყველა ლაზთა ქვეშევრდომები გახდენ"[92]. გუბაზმა აქ გამოგზავნა ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარით იოანე, რომელმაც ზემოხსენებული გზით შესძლო აფსილების დამორჩილება. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ აფსილების დამორჩილება მარტო ამხანაგური დარიგებებით არ მომხდარა. აქ აუცილებლად ადგილი უნ-

91 ზ. ანჩაბაძე, დასახელებული შრომა, გვ. 58.
92 გეორგიკა, ტ. II გვ. 133.

და ჰქონოდა მუქარასაც. იოანე თავისი ჯარით ტყუილად აბ-ძოსულა აფსილიაში.

ირანის წინააღმდეგ ბრძოლა გრძელდებოდა. ამ დროს ირანის ჯარი პეტრაში იყო გამაგრებული, თუმცა მას უძნელ-დებოდა იქ თავის რჩენა და უკვე ახლოვდებოდა ის დრო, როცა უნდა დაეტოვებინათ ეს სიმაგრე. აფსილების დამორ-ჩილების შემდეგ დაიწყო პეტრას იერიში. 551 წელს მოკავ-შირეებმა პეტრა აიღეს და დაანგრიეს კიდევაც. პეტრას შე-სახებ გ. გოზალიშვილი წერდა: „მაგრამ პეტრა მარტო სავა-ჭრო პოლიტიკის გამტარებელი ცენტრი როდი იყო, იგი ამა-ვე დროს ლაზიკაში ბიზანტიელთა სამხედრო ბაზას წარმოად-გენდა და, როგორც ასეთი, მიმართული იყო, ერთი მხრით, ირანელების, მეორე მხრით კი ლაზების წინააღმდეგ: თუ პირ-ველნი განიზრახავდნენ ბიზანტიელთა პოლიტიკური და ეკო-ნომიური ინტერესების შელახვას, უკანასკნელი კი — ბიზან-ტიელთა ურჩობას"[93]. მართალია მოკავშირეებმა აიღეს ეს ციხე-სიმაგრე, მაგრამ მისი დანგრევის ინიციატორები ლაზე-ბი და ბიზანტიელები იყვნენ. ეს გარემოება იმაზე მიუთი-თებს, რომ ბიზანტიელებს ლაზიკაში დამკვიდრების იმედი არ-ჰქონდათ. ამის მიზეზი კი უნდა ვეძიოთ ლაზების მათდამი დამოკიდებულებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი მნიშვ-ნელობის მქონე სიმაგრეს ბიზანტიელები არ დაანგრევდნენ.

პეტრას აღების შემდეგ ბრძოლები მიმდინარეობს ლაზი-კის სხვადასხვა მხარეში, გარდამავალი წარმატებით.

552 წელს ირანსა და ბიზანტიას შორის დაიდო ზავი ხუ-თი წლის ვადით. მაგრამ ეს დროებითი ზავი არ ეხებოდა დასავლეთ საქართველოს. აქ ომი ისევ გრძელდებოდა. აგა-თია სქოლასტიკოსი ამ ზავის შესახებ წერს: „არც იმიტომ, რომ ყველგან შეეწყვიტათ საომარი მოქმედება, არამედ მხო-ლოდ იმ მიზნით, რომ ერთმანეთს დროებით დაზავებოდენ აღმოსავლეთით და არმენიის საზღვრებზე; კოლხიდის ქვე-ყანაში კი ომს განაგრძობდენ"[94]. ამ ზავით სპარსელები არა-ვის არ უნდა შეეწუხებინა, რომლის დროსაც მათ თავისუფ-ლად ხელში უნდა ჩაეგდოთ ეგრისის საუკეთესო ადგილები.

ამ დროს ბიზანტიის მდგომარეობა ლაზიკაში არც ისე მტკიცე იყო. ზემოხსენებული ზავის პირობის თანახმად ბი-ზანტიელებს დიდი ფულადი გადასახადი უნდა ეძლიათ ირა-ნელებისათვის. 552 წელს დადებული ზავი ირანის სარდლებს შედარებით ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა, ვიდრე ბიზან-ტიელებს. ირანელების ამ მდგომარეობას აკად. ს. ჯანაშია

---

93 გ. გოზალიშვილი, დასახელებული შრომა, გვ. 137.
94 გეორგიკა, ტ. III, გვ. 27.

ასეთ შეფასებას აძლევს: „მიუხედავად ამ დამარცხებისა, საერთო შთაბეჭდილება ისეთი იყო, რომ ირანელების მდგომარეობა ეგრისში სჯობდა რომაელებისას. ამ მდგომარეობას მოუსწრო ახალმა დროებითმა ზავმა, აგრეთვე ხუთი წლით დადებულმა (552 წ.), რომელმაც, ერთი მხრით, ერთგვარი ფინანსური დახმარება აღმოუჩინა ირანელებს (საზავო პირობებით, რომაელებს დიდი ფულადი სუბსიდია უნდა ეძლიათ მათთვის), ხოლო მეორე მხრით, საშუალება მისცა მათ ჩუმ-ჩუმად განეგრძოთ მუშაობა თავიანთი საქმეების განსამტკიცებლად ეგრისში და თვით საომარი მოქმედებაც“[95]. აგრეთვე ირანის მდგომარეობის გაუმჯობესებას ხელს უწყობდნენ ბიზანტიელების ძალმომრეობისაგან თავმობეზრებული ლაზი სარდლები, რომლებიც ხშირად ღალატობდნენ ლაზებისა და ბიზანტიელების საერთო საქმეს. ასეთი ღალატის შედეგად ციხე უქიმერიონი ჩაბარდა სპარსელებს. პროკოპი ასე აღწერს ამ ამბავს: „დანარჩენი ლაზები კი, რომლებიც რომაელ ჯარისკაცთაგან საშინლად იყვნენ შეწუხებულნი, — განსაკუთრებით კი ჯარის სარდლებისაგან იყვნენ შევიწროვებულნი, მეტწილად სპარსელების მომხრეობას იჩენდენ, არა იმიტომ, რომ სპარსელობა მოსწონდათ, არამედ, რადგან რომაელთა ბატონობისაგან თავის დაღწევა სურდათ, არჩიეს ის უბედურება, რომელიც მანამდე არ ენახათ“[96].

მეორე ხუთწლიანი ზავის შემდეგ ირანს ერგო ზოგიერთი წარმატება. მან ხელში ჩაიგდო უქიმერიონთან ერთად სვანიაცა და სკვიმნიაც. ალბათ, ამ მხარეების ხელში ჩაგდებას ხელი შეუწყო ისევ ადგილობრივ წარჩინებულების ღალატმა. სპარსელების წარმატებაზე პროკოპი წერს: „ასე ჩაიგდეს ხელში სპარსელებმა უქიმერიონის ციხე და მტკიცედ დაეპატრონენ ლაზიკეს. მაგრამ მარტო ეს ლაზიკე კი არ ჩაიგდეს ხელთ სპარსელებმა, არამედ სკვიმნიაცა და სვანიაც, და ამრიგად, მოხირისიდან ვიდრე იბერიამდე მთელი მიწა-წყალი გამოეცალათ ხელიდან რომაელებსა და ლაზთა მეფეს“[97].

ამ დროებითმა წარმატებამ გაათამამა ირანის სარდალი მერმეროე. მას უნდოდა მუქარით ზეგავლენა მოეხდინა ლაზთა მეფე გუბაზზე, რის შემდეგ ამ უკანასკნელს მორჩილება უნდა განეცხადა. ამ მიზნით მერმეროემ მოსწერა გუბაზ მეფეს წერილი შემდეგი შინაარსის: „და, აი. ძვირფასო გუბაზ, თუ ფიქრობ. რომ სპარსელებს აჯობებ ომში, ნუღარ აყოვნებ და ნურც რამე დაგიდგება წინ. ლაზიკის რომელსამე ნაწილ-

---

95 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 57.
96 გეორგიკა, ტ. II, გვ. 168.
97 იქვე, გვ. 171.

ში გვიპოვი ჩვენ, თუ გინდა, შენს შემოტევასაც დავუხვდებით და ამ კუთხისათვის საბრძოლველად განვეწყობით რაც ძალა შეგვწევს. ამრიგად, შემთხვევა მოგეცემა შეგვებრძოლო და შენი სივაჟკაცე დაამტკიცო ჩვენ წინაშე. თუ კი თვითონ გრძნობ, რომ უძლური ხარ სპარსელთა ძალას წინაღუდგე, მაშინ, შემო კარგო, აირჩიე მეორე გზა, შეიცან შენი თავი და ეთაყვანე შენს მბრძანებელს ხოსროს, ვითარცა მეფეს, გამარჯვებულსა და ბატონს. შეევედრე გაპატიოს შეცოდებანი, რათა ამიერიდან მაინც შესძლო აირიდო შეცოდებანი, რომლებიც მძიმე ტვირთად გაწვებიან. მეც, ჩემი მხრით, გარწმუნებ, რომ ხოსრო მეფე შეგიწყალებს, ხელს არ გახლებს და მძევლებად მოგგვრის სპარსეთის წარჩინებულ მთავართა შვილებს; შენც ყოველმხრივ იქნები უზრუნველი და შენი სამეფოც გექნება სამუდამოდ დაცული. ხოლო, თუ შენ არც ერთი ეს გზა არ მოგწონს, წადი რომელსამე სხვა ქვეყანაში და ამით საშუალება მიეცი შენი უგუნურობის წყალობით გაწამებულ ლაზებს, ერთხელაც არის, ამოისუნთქონ და განთავისუფლდენ მოწოლილ სიძნელეთაგან, მაგრამ გულში არ გაივლო მათთვის უსაზღვრო უბედურების მინიჭება და მაცთუნებელ იმედს არ მიეცე: ვგულისხმობ რომაელების მოშველებას. ისინი ხომ ვერასდროს ვერ შესძლებენ დაგეხმარონ თქვენ, ისევე როგორც დღემდე ვერ შესძლეს ეს"[98].

ლაზთა მეფე გუბაზი მტკიცედ იდგა თავის პოზიციებზე. მას არ უნდოდა თავისი ქვეყანა ირანელებისათვის დაემორჩილებინა.

მალე მერმეროე გარდაიცვალა და ირან-ბიზანტიას შორის ბრძოლაში გამარჯვების სასწორი ისევ ბიზანტიელებისაკენ გადაიხარა. მერმეროეს ნაცვლად სარდლად დანიშნეს ნახორაგანი. ომი გრძელდებოდა. ბიზანტია იბრძოდა ლაზიკის მხარეზე, მაგრამ მას ნაკლებად აინტერესებდა ლაზების ბედიღბალი. ბიზანტიელი სარდლები გულგრილად ეკიდებოდნენ ბრძოლის საკითხებს. მთავარი მათი მიზანი იყო პირადი გამდიდრება. გუბაზ მეფის არაერთხელ გამოუთქვამს უკმაყოფილება ბიზანტიელი სარდლებისადმი იუსტინიანეს წინაშე. ამის შედეგი იყო დაგისთეს გადაყენება და ბესსას დანიშვნა. დროთა განმავლობაში ბესსაც იქნა გადაყენებული. შემდეგშიაც ბიზანტიელი სარდლები უდარდელობას იჩენდნენ ბრძოლის საქმისადმი და ბევრ შესაძლებელ წარმატებას ხელიდან უშვებდენ. გუბაზს არც ამის შემდეგ შეუწყვეტია ბიზანტიე-

98 გეორგიკა, ტ. II, გვ. 175.

ლი სარდლების უქნარობის და უნიჭობის გამხელა. ომისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის იუსტინიანემ არაერთი სარდალი დასაჯა. ასეთმა ურთიერთობამ გადაამტეერა ბიზანტიელი სარდლები და გუბაზ მეფე. განსაკუთრებით კი მეფის უმაყოფილო იყვნენ რუსტიკე და იოახე, მაგრამ არ იცოდნენ, თუ როგორ უნდა მოეშორებინათ იგი. მათი მიზანი იყო დროს გატარება, ხოლო გუბაზი და ლაზების ჯარი კი დაინტერესებული იყვნენ ირანის ბატონობისაგან სამშობლოს გახთავისუფლებით. ხშირად ლაზები ცდილობდნენ მარტონი შებრძოლებოდნენ სპარსელებს. ასეთ ფაქტს ადგილი ჰქონდა ცხენისწყალთან ბრძოლის დროს. „აქ ლაზები ვერ თვლიდენ შესაძლებლად რომაელებთან ერთად შერაზმულიყვნენ, ისინი აყენებდნენ დებულებას, რომ რომაელები ბრძოლაში წასვლით არც სამშობლოსთვის იგდებენ თავს საფრთხეში, არც ნათესავებისათვის, მათ კი, საფრთხე მოელის შვილებისთვის, ცოლებისთვის და სამშობლოს ქვეყნისთვის"[99]. ამ ბრძოლაში აღფრთოვანებული იყო მეფე გუბაზიც და მთელი ჯარიც. ეს აშკარად ჩანს მეფის ჯარისადმი მიმართვაში: „მე არ ვიცი, ვაუკაცებო, საჭიროა თუ არა კიდევ რჩევა-დარიგებით მიმართვა თქვენდამი თქვენ აღსაფრთოვანებლად. ვინაიდან მე ვფიქრობ, რომ არავითარი მოწოდება აღარ ესაჭიროება იმათ, ვინც გარემოებათა საჭიროებითაა უკვე აღფრთოვანებული, რასაც ჩვენთან ამჟამად აქვს ადგილი"[100].

მიუხედავად ასეთი გმირობისა და ასეთი თავგანწირვით ბრძოლისა ირანელების წინააღმდეგ, ბიზანტიელმა სარდლებმა გადასწყვიტეს გუბაზის მოკვლა. გუბაზის მკვლელობის მიზეზი ის იყო, რომი ის (გუბაზი) მაშინვე აცნობებდა იუსტინიანეს ბიზანტიელი სარდლების უქნარობის შესახებ. ამის შესახებ აგათია სქოლასტიკოსი შემდეგს გადმოგვცემს: „როდესაც რომაელები, როგორც უკვე ზემოთ ვთქვი, სამარცხვინოდ გაიქცენ და თავიანთი ბარგის ერთი ნაწილიც მტერს მიუტოვეს, ლაზთა მეფე გუბაზმა, რომელსაც ასეთი სასირცხვო საქმე შეუფერებლად მიაჩნდა და რომელსაც ეშინოდა ვაი თუ ამის მეტი კიდევ რამე შეუფერებელი მოხდესო, მაშინვე აცნობა იუსტინიანეს ყველაფერი, ბრალს სდებდა სტრატეგოსებს და ყველაფერს რაც მოხდა, მათ უგუნურებას მიაწერდა, განსაკუთრებით ამტყუნებდა ბესსას, მის შემდეგ მარტინეს და რუსტიკეს"[101]. ბესსას მეტად აინტერესებდა

---

99 გეორგიკა, ტ. II, გვ. 117.
100 იქვე, გვ. 117.
101 გეორგიკა, ტ. III. გვ. 42.

მისი პირადი საქმეები. „ბესსას მიმართ კი უკვე წინათაც: წყრებოდა იუსტინიანე; ბესსამ პეტრას ციხე რომ აიღო, სანამ იქ მერმეროე ჩავიდოდა, საჭირო იყო, რომ იბერიიდან გადმოსავალი ადგილები მაგრად ჩაეკეტა—მისთვის ხომ ნაცნობი იყო ამ ადგილების მდებარეობა—და ბარბაროსებისათვის შეუძლებელი გაეხადა აქ ლაზიკის საზღვრებში გადმოსვლა,—მაგრამ მან არ შეასრულა ეს თავისი უგუნურების წყალობით, და ამის ნაცვლად მოიარა თავისი ხელქვეითი ქალაქები და ხარკი მოკრიფა. და, აი, მეფემ მოიგონა ყველაფერი ეს, როდესაც გუბაზის შემოთვლილი გაიგო და მაშინვე ირწმუნა; ამიტომ მან ბესსა გადააყენა თანამდებობიდან, გარდა ამისა ჩამოართვა მას მთელი ქონება და აბაზგიაში გაგზავნა, რომ იქ დარჩენილიყო, სანამ მისთვის სხვა რამეს მოიფიქრებდა“[102].

გუბაზი გადაემტერა მარტინეს და რუსტიკეს. ეს უკანასკნელნი კი ჯერ არ ამჟღავნებდნენ მტრობას, არამედ მალავდნენ. გუბაზსა და ზემოთ დასახელებულ სარდლებს შორის ურთიერთობის შესახებ აგათია დაწვრილებით გადმოგვცემს. ის წერს შემდეგს: „მართალია, წინათაც მუდამ ისე იყო, რომ გუბაზს მარტინესთან და რუსტიკესთან კარგი ურთიერთობა კი არ ჰქონდა, არამედ მტრობა ღვივდებოდა მათ შორის, მძიმე და საშინელი, მაგრამ ის ჯერ დაფარული იყო. ეს მტრული ურთიერთობა ჯერ დაიწყო შურით და ცილისწამებით, ხოლო შემდეგ უფრო-და-უფრო გაიზარდა განუწყვეტელ და უგუნურ იქვნეულობად. თითოეულ მის ჩადენილ საქმეს ისინი უყურებდნენ დაჭრილი გულით და სრულიად მტრულად, აღვივებდნენ ბოღმას და აძლიერებდნენ. როდესაც მან (გუბაზმა) შენიშნა მისდამი მათი სიძულვილი, რასაკვირველია სამაგიეროს მიზღვევის საფუძველი მიეცა, და ის მათ ხშირად აძაგებდა როგორც ლაჩრებსა და გაიძვერებს, რომ მათ ხელიდან არაფერი საქმე არ გამოდის; ნადიმებზე და კრებებზე მუდამ ზიზღით ეპყრობოდა, და როდესაც შემთხვევით მეზობელი ტომების ელჩები მოვიდოდნენ, მაშინაც კი არ ცხრებოდა და არ ეშვებოდა. ისინიც ამას ვერ ითმენდნენ და განსაკუთრებით აბრაზებდა მათ მეფესთან დაბეზღება (გუბაზის მიერ) და, რადგან იცოდნენ, რომ კვლავაც გააგზავნიდა საჩივარს, თუ ისინი კიდევ რამეში შესცდებოდნენ, ამიტომ განიზრახეს თავიდან მოეშორებინათ გუბაზი, რათა ერთი მხრით მისთვის სამაგიერო გადაეხადათ მიყენებული უსიამოვნებისა-

---

102 გეორგიკა, ტ. III, გვ. 44.

თვის, ხოლო ძეორე მხრით აღარ ჰქონოდათ ამიერიდან შიში"[103].

გუბაზის წინააღმდეგ შეთქმულება ეწყობოდა. ამ შეთქმულების მთავარი ინიციატორი იყო რუსტიკე. მან სპეციალური დავალებით იუსტინიანესთან გაგზავნა იოანე (რუსტიკეს ძმა), რომელმაც მოახსენა მეფეს შემდეგი: „გადაგვიდგა და სპარსელებს მოუძღვება და საცაა მთელ ქვეყანას მათ გადასცემს, თუ სასწრაფოდ რაიმე ზომას არ მივიღებთ მის შესაკავებლადო"[104]. იუსტინიანემ არ დაუჯერა იოანეს, მაგრამ მაინც დაეჭვიანდა. მან გუბაზი თავისთან დაიბარა. ანაბრის დროს იოანემ ისეთნაირად წარმართა საქმე, რომ იუსტინიანესაგან მიიღო გუბაზის მოკვლის ნებართვა, თუ კი ეს უკანასკნელი წინააღმდეგობას გაუწევდა მათ. უკან დაბრუნებულმა იოანემ ეს ამბავი მოახსენა რუსტიკეს და მარტინეს. ეხლა საჭირო გახდა მხოლოდ საბაბი გუბაზის მოკვლისათვის. საბაბიც მალე გამონახეს. აქ უნდა აღვნიშნოთ ის, რომ ლაზების და რომაელი სარდლების მიზნები ერთიმეორისაგან განსხვავდებიან. ლაზებს უნდათ მათი ქვეყნის განთავისუფლება ირანელებისაგან და ომისათვის ბოლოს მოღება. რომაელ სარდლებს კი ეს სრულებით არ აინტერესებდათ. ისინი საკუთარი საქმეებით არიან დაკავებულნი და ლაზებისათვის თავს არ იწუხებენ და შესაძლოა ისინი თავს არც იმპერიისათვის იგდებდნენ საფრთხეში.

554 წელს ონოგურისში სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლა უნდა დაწყებულიყო. ამ ბრძოლაში რუსტიკემ და მარტინემ მიიწვიეს გუბაზი, მაგრამ მან უარი განაცხადა მათთან ერთად ომში მონაწილეობაზე. მან ბიზანტიის სარდლებს განუცხადა: „ეს ლაშქრობა, შე კაი კაცო, ხომ მარტო თქვენ გეხებათ — მიუგო გუბაზმა, — რადგან მხოლოდ თქვენ მიგიძღვით ბრალი იმაში, რაც მოხდა. რომ თქვენ ასე უგუნურად და დაუდევრად არ მოპყრობოდით საქმეს, არც ეს ცეხე იქნებოდა ჩვენ წინააღმდეგ გამაგრებული, არც ასე უსირცხვილოდ და ქუდმოგლეჯილი გაიქცევოდით და არც სხვა რამე მოხდებოდა ამ შეუფერებელი ამბებიდან. ეხლა კი, ძვირფასნო, თუ თქვენ ამბობთ, რომ დიდება გიყვართ და სარდლის ღირსების სიმაღლეზე დგახართ, თქვენი შეცდომა უნდა გამოასწოროთ. რაც შემეხება მე, არ გამოგყვებით და არც ომში ჩავებმები, სანამ თქვენ მიერ ჩადენილ ყველა შეცდომას არ უწამლებთ"[105]. როგორც კი გუბაზმა უარი განაცხადა

---

103 გეორგიკა, ტ. III, გვ. 45.
104 იქვე, გვ. 46.
105 იქვე, გვ. 49.

ომში მონაწილეობის მიღებაზე, მოულოდნელად იოანემ ხანჯალი ჩასცა მას მკერდში. ცხენიდან ჩამოვარდნილ მეფეს მახვილით თავი გაუპო რუსტიკეს მეშუბემ.

გუბაზის მოკვლამ მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა. ლაზიკაში შეიქმნა საყოველთაო უკმაყოფილება. განსაკუთრებით უკმაყოფილო იყო ჯარი. „ლაზთა მთელი ლაშქარი აღელდა ამ ამბის გამო და ისეთმა უკმაყოფილებამ შეიპყრო ისინი, რომ გადაწყვიტეს ამიერიდან აღარ შერეოდენ რომაელებს და არც მათთან ერთად ელაშქრათ. როდესაც გუბაზის გვამი, თანახმად მათი წესისა, დაკრძალეს, ბრძოლაში მონაწილეობა აღარ მიიღეს, როგორც უაღრესად შეურაცხყოფილებმა და სამშობლოს დიდების დამკარგველებმა“[106]. მართალია, აგათიას მიხედვით ჯარის უკმაყოფილება უსაზღვრო იყო, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა ისევ ლაზ წარჩინებულებს ჰქონდათ. ისინი უკვე განაგებენ ქვეყანას და მათივე ინიციატივით იქნა მოწვეული სახალხო კრება, რომელზედაც უნდა განეხილათ ლაზების საგარეო ორიენტაციის საკითხი.

გუბაზის მკვლელობასთან დაკავშირებით მოწვეული სახალხო კრება ჩატარდა ბიზანტიელებისაგან ფარულად. კრების მთავარი ამოცანა იყო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი. ამ საკითხთან დაკავშირებით ორი აზრი, ერთიმეორის საწინააღმდეგო, წამოიჭრა. ერთის ავტორი იყო აიეტი, რომელსაც ჰყავდა მომხრეები. აიეტი მოითხოვდა სპარსეთის მხარეზე გადასვლას და მის დებულებას ამტკიცებდა იმით, რომ გუბაზის მოკვლა, მისი აზრით, იუსტინიანეს ნაკარნახევი იყო. მან დააჯერა ხალხი მისი დებულების სისწორეში და ხალხმაც მას მხარი დაუჭირა.

კრებაზე იყვნენ ბიზანტიური ორიენტაციის წარჩინებულებიც, რომელთა წარმომადგენელი იყო ფარტაძი. ფარტაძს სპარსეთის მეგობრობა შეუძლებლად მიაჩნდა. ის ამბობდა „აბა, სხვა რას დაემსგავსება ჩვენი საქციელი, თუ მივემხრობით უზენაესი არსების სასტიკ მტრებს? თუ ისინი აგვიკრძალავენ ჩვენი საღმრთო წესების შესრულებას და თავიანთ წესებზე გადაგვიყვანენ, ამაზე უფრო სამძიმო რა უნდა განვიცადოთ ჩვენ, რომლებიც ცოცხლები ვიქნებით და ამავე დროს მკვდრებიც? რას მოვიგებთ იმით, რომ, ვთქვათ, მთელი სპარსეთი შევიერთოთ და სულები კი წავიწყმიდოთ? რომ კიდევაც ნება დაგვრთონ და ჩვენ ნებაზე მიგვიშვან, სულ ერთია — მაინც არ ექნებათ ჩვენ მიმართ კეთილი განწყობილება და ნდობა: მათი მოპყრობა ჩვენდამი ვერაგული და

---

106 გეორგიკა, ტ. III, გვ. 50.

არასაიმედო იქნება და მარტოოდენ სარგებლიანობის თვალსაზრისით გამოახგარიშებული"[107]. ფარტაძი მოითხოვდა, რომ ბიზანტიასთან კავშირი არ შეწყვეტილიყო, თუ ამისათვის ოდნავ ხელსაყრელი პირობები შეიქმნებოდა. სხვა სარწმუნოების ხალხთან კავშირზე უარს ამბობდა. ის მოითხოვდა, რომ მომხდარი ამბის შესახებ ეცნობებიათ კეისრისათვის და დასძენდა: „მე იმ აზრისა ვარ, რომ საჭიროა როძაელთა მეფეს ვაცნობოთ მომხდარი ამბავი, რათა იგი სათანადოდ მოეპყრას იმათ, ვისაც ამ მკვლელობაში მთავარი დანაშაული მიუძღვის, და თუ ის ამას იზამს, ამიერიდან მოისპობა ჩვენი უთანხმოება რომაელებთან: კვლავ ერთად ვილაშქრებთ, ძველებურად ერთად გავწევთ ცხოვრების ჭაპანს. თუ კი ის უარყოფს ჩვენს თხოვნას, მაშინ უნდა მოვითათბიროთ, მიზანშეწონილი იქნება თუ არა მეორე გზას დავადგეთ. თუ ასე მოვიქცევით, იმასაც დავამტკიცებთ, რომ ცხონებული გუბაზი არ დაგვივიწყნია, და იმასაც, რომ საქმეებს მოფიქრებით ვაგვარებთ და არა წინდაუხედავად"[108].

კრებაზე ფარტაძის აზრმა გაიმარჯვა. ამ აზრის გამარჯვება გამოწვეული იყო მხოლოდ იმით, რომ სპარსელების ბატონობის შედეგები ლაზებისათვის ცნობილი იყო. მართალია ლაზებს არც ბიზანტიელების ბატონობა მოსწონდათ, მაგრამ დროებით მასთან შერიგება შეიძლებოდა. ის აგრეთვე სარწმუნოებრივ დევნას არ ეწეოდა. ლაზებს სხვა გზა არ ჰქონდათ. მათ იუსტინიანეს მიმართეს, რათა მეფედ წათე გამოეგზავნა. იუსტინიანეც დათანხმდა, ეტყობა გარკვეული მოსაზრებით. ალბათ მას საჭიროდ მიაჩნდა ლაზიკაში მეფის ხელისუფლების დროებით მაინც შენარჩუნება. ლაზ წარჩინებულთა ამ ცდის შესახებ აკად. ს. ჯანაშია წერს: „ადგილობრივი მეფე ვასალი რომაელებს ჯერ კიდევ აუცილებლად სჭიროდათ. ლაზურ არისტოკრატიას მხოლოდ ის უნდა ემეცადინა, რომ მისთვის მაქსიმალურად სასურველი კაცის კანდიდატურისათვის მოეპოვებინა კონსტანტინოპოლის მთავრობის დასტური"[109]. ფარტაძის მომხრეებმა სწორად შეაფასეს შექმნილი მდგომარეობა და სწორი გადაწყვეტილება მიიღეს. კეისარს სთხოვეს გუბაზის ნაცვლად წათე დაენიშნა მეფედ და გუბაზის მკვლელები კი დაესაჯა. ამ შემთხვევაში არც იუსტინიანეს დაუშვია შეცდომა. მან სწორად შეაფასა არსებული ვითარება და საჭიროდ მიიჩნია ლაზთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება. წინააღმდეგ შემთხვევაში ლაზებს

---

107 გეორგიკა, ტ. III, გვ. 76.
108 იქვე, გვ. 81.
109 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 65.

შეეძლოთ ირანის მხარეზე გადასვლა და ამით ლაზიკაში ბიზანტიის მდგომარეობის გაუარესება. ამიტომ იუსტინიანემ ლაზიკაში გამოგზავნა ათანასი, რომელმაც რუსტიკე და იოანე ქალაქ აფსარუნტის ციხეში დაამწყვდევინა, ვიდრე დაწყებული გამოძიება დამთავრდებოდა. ამავე დროს, მეფედ დამტკიცებული წათე, რომელიც ბიზანტიონში ცხოვრობდა, სტრატეგოს სოტერიქესთან ერთად დაბრუნდა სამშობლოში. „და როდესაც წათემ, სამეფო სამოსელში გამოწყობილმა, ფეხი შემოდგა თავის ქვეყანაში, მას მიესალმნენ სტრატეგოსები და რომაელთა მთელი ჯარი და სათანადო პატივით წინ წამოუძღვენ, საუკეთესოდ შეიარაღებულნი და მეტწილად ცხენებზე მჯდომარენი. ლაზები კი გახარებულნი იმით, რომ როგორც იქნა გადარჩენ უბედურებას, მიაკილებდენ მას ჩამწკრივებულნი... ამრიგად, წათე ჩაუდგა სამეფოს სათავეში, შეუდგა ამიერიდან საქმეების მოწესრიგებას და უვლიდა თვისტომთ, როგორც მას სურდა და როგორც მას მამა-პაპური წესი უკარნახებდა“[110].

აგათია სქოლასტიკოსის სიტყვების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დავინახავთ, რომ წათე II აბსოლუტური დამოუკიდებლობა მოიპოვა. სინამდვილეში ასე არ იყო. წათეს ხელისუფლების მოცულობის სწორი განსაზღვრა მოგვცა აკად. ს. ჯანაშიამ. აი რას წერს ის: „ჩვენ ძალიან გვეეჭვება, რომ წათე ისე მართავდა „როგორც მას სურდა“. პირიქით, აშკარა გვგონია: წათეს ხელისუფლება ისეთ პირობებში დაიბადა, რომ იგი ბევრად უფრო ვიწრო მოცულობისა უნდა ყოფილიყო, ვიდრე გუბაზის ძალაუფლება — ერთი მხრით, იგი ბევრად უფრო დამოკიდებული უნდა ყოფილიყო რომაელებზე, ხოლო, მეორე მხრით, — ბევრად უფრო შეზღუდული ეგრისის წარჩინებულთაგან“[111].

555 წელს ნახორაჯანი ომისათვის ემზადებოდა და ამიტომაც გუბაზის მკვლელთა საქმის გამოძიება გადაიდო.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 554 წელს სტრატეგოსი სოტერიქე ჩავიდა ლაზიკაში. აქედან ის გაემართა მისიმიანთა ქვეყანაში. როდესაც სოტერიქე მისიმიანეთში ჩავიდა, გავრცელდა ხმა იმის შესახებ, რომ მათი ერთ-ერთი ციხე, რომელსაც ბუქლოოსი ეწოდება, უნდა გადაეცა ალანებისათვის. მისიმიელებმა მაშინვე ელჩები, სახელად ხადე და თიანე, გაგზავნეს სოტერიქესთან, რომლებმაც ამ უკანასკნელს განუცხადეს: „უსამართლობის მოყენება განგიზრახავს ჩვენთ-

110 გეორგიკა, ტ. III, გვ. 85, განტვირთვა ჩვენია.
111 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 65.

ვის, სტრატეგოსო. არც სხვას უნდა მისცე ნება ჩვენი ქონება წაგვართვას, არც თვითონ უნდა მოინდომო ამის ჩადენა. თუ ეს შენ მართლა არ გიდევს გულში, საჩქაროდ გადაბარგდი აქიდან, სხვა ადგილას მოთავსდი და შენ იქ სურსათი არ მოგაკლდება: ჩვენ მოგიტანთ ყველაფერს. აქ კი შენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დარჩე; ჩვენ ვერ შეგიწყნარებთ, რომ შენ აქ დაგაყოვნო და დაიცადო"[112]. სოტერიქემ ელჩების ასეთი მოთხოვნა შეურაცხყოფად მიიჩნია და აკვიმინა ისინი. იმავე ღამეს მისიმიელები თავს დაესხნენ სოტერიქეს ბანაკს და ამოწყვიტეს მრავალი ჯარისკაცი და სოტერიქე თავისი ორი ვაჟით. მათ გაძარცვეს ბანაკი—წაიღეს მთელი ის ფული, რომელიც სოტერიქემ ჩამოიტანა ბარბაროსებისათვის დასარიგებლად.

ამიერიდან მისიმიელები ბიზანტიელებს განუდგნენ და სპარსელებს მიემხრნენ. ეს მოხდა 555 წელს. ამავე წელს ნახორაგანის ლაშქრობა არქეოპოლისთან მარცხით დამთავრდა. ასევე დამარცხდა ნახორაგანი ფოთთან ბრძოლაში, სადაც დაჭკარგა მოკლულთა და დაჭრილთა სახით ათ ათასზე მეტი მეომარი. შემდეგ ნახორაგანი იხევს ქუთაისსა და მოხირისაკენ.

მისიმიელები ურთიერთობას ამყარებენ ნახორაგანთან, რომელთა ელჩებმა შემდეგი მოახსენეს ამ უკანასკნელს: „ნუ დაგავიწყდება, რომ საფრთხეშია ჩავარდნილი და იღუპება ტომი არა მცირედი და არა უმნიშვნელო, არამედ ისეთი, რომელსაც შეუძლია უდიდესი სარგებლობა მოუტანოს სპარსელთა სახელმწიფოს. თქვენ შეიძენთ ჩვენი სახით ომში საკმაოდ გამოცდილებს, რომლებიც ძალიან მამაცად იბრძოლებენ თქვენთან ერთად; ჩვენი ქვეყანა მდებარეობს კოლხეთის ზემოთ, ის თქვენ სანდო საყრდენ ადგილად გამოგადგებათ და მტრის წინააღმდეგ სასიმაგრო საფარად"[113].

555 წელს მისიმიელების ქვეყანაში მოდის ირანის ჯარი. აჯანყებული მისიმიელების დამორჩილება მოხდა მას შემდეგ, რაც ირანის ჯარი გავიდა იქიდან. აგრეთვე ნახორაგანი ლაზიკიდან წასული იყო და ერთგვარი შესვენება იგრძნობოდა. ამიტომ იმავე 555 წელს განახლდა რუსტიკისა და იოანეს საქმის გამოძიება. კეისარმა ლაზიკაში გამოგზავნა მოსამართლეები და დამსჯელები. გამოძიებას დაესწრნენ დარბაისელი კოლხები, რომლებმაც მოითხოვეს დამნაშავეთა საქმის სახალხოდ გარჩევა და იუსტინიანეს წერილის საჯაროდ წაკითხვა, რათა გამოერკვიათ მისი აზრი გუბაზის მოკვლის შესახებ.

---

112 გეორგიკა, ტ. III, გვ. 87.
113 იქვე, გვ. 155.

იუსტინიანეს არ სჯეროდა ის, რაც მოახსენა იოანემ გუ-ბაზის შესახებ. ამას ამტკიცებდა იუსტინიანეს წერილი, რომელშიაც აღნიშნულია შემდეგი: „დაუჯერებელი და უცნაური ის, რაც თქვენ მაცნობეთ, სახელდობრ, თითქოს გუბაზს სურდეს გადაუდგეს მამა-პაპის ადათს და თავის ძველ, ყველაფერში ერთაზროვნე წინამძღოლებს, ესე იგი რომაელებს, და გადავიდეს მისდამი მტრულად განწყობილ, სრულიად უცხო და სხვა სარწმუნოების მიმდევარ სპარსელთა მხარეზე, და ეს ჩაედინოს იმ დროს, როდესაც მას ჩვენგან უსიამოვნო არაფერი შეხვედრია"[114]. წერილის შემდეგ ნაწილშიაც ჩანს, რომ კეისარს უნდოდა გუბაზთან უშუალო მოლაპარაკება.

სასამართლო პროცესზე ლაზ წარჩინებულებმა თქვეს საბრალდებულო სიტყვა, რომელშიაც აღნიშნული იყო გუბაზის ურთიერთობა რომაელებთან. მათ აღნიშნეს, რომ გუბაზი ბიზანტიელების მეგობარი იყო ომიანობისა და მშვიდობიანი ცხოვრების დროს, ის იყო უზენაესის შესახებ ისეთივე მოაზროვნე, როგორც ბიზანტიელები. ამ დიდებულებმა აღნიშნეს აგრეთვე, რომ გუბაზის მოკვლით ბიზანტიელმა სარდლებმა უღალატეს საკუთარ მთავრობას და სამსახური გაუწიეს ბიზანტიელების მტრებს.

სასამართლო პროცესზე მოიტანეს რკინის ჯაჭვები, ბადესაკრავები, ბორკილები და სხვა იარაღები. ამით ბიზანტიელებს უნდოდათ ეჩვენებინათ ადგილობრივი ხალხისათვის მათი მრისხანება დამნაშავეების მიმართ. ამით აფრთხილებდნენ ლაზებს, რომ თუ დამტკიცდებოდა, რომ გუბაზი სამართლიანად იქნა მოკლული, როგორც სპარსელების მომხრე, ლაზებს თავისი მწუხარებისათვის თავი უნდა დაენებებიათ, ხოლო თუ მკვლელები გამტყუნდებოდნენ, მაშინ ძათ საჯაროდ სიკვდილით დასჯიდნენ. ასეთ პირობებში ლაზი წარჩინებულები სასამართლო პროცესზე გამოდიოდნენ ბრალმდებლებად და დაჟინებით მოითხოვდნენ მკვლელთა დასჯას. აქ ბრალმდებლებად გამოდიან ლაზი წარჩინებულები, მაგრამ მეფე წათე II არსად ჩანს. ასე რომ წათე II უფლებები შეზღუდულია დიდებულების მიერ. ესეც მოწმობს აკადს. ჯანაშიას მოსაზრებას, რომლის შესახებ უკვე აღნიშნული იყო. აგრეთვე, სასამართლო პროცესის ფორმები მიუთითებენ იმაზეც, რომ ლაზებს მართებს სიფრთხილე და მორჩილება, წინააღმდეგ შემთხვევაში მათაც მოელით დასჯა. ბიზანტიელები სასტიკად დასჯიდენ ყოველ „დამნაშავეს". სა-

114 გეორგიკა. ტ. III, გვ. 127.

სამართლო პროცესზე როგორც ბრალმდებლებს, ისე ბრალდებულებსაც შეეძლოთ გამოსვლა და თავისი აზრის გამოთქმა. რუსტიკეს და მარტინეს თავის მართლების უფლება მისცეს, მაგრამ ისინი იძულებული გახდნენ აშკარად ეცრუათ. ისინი თავს იმართლებდნენ იმით, რომ გუბაზმა უარი თქვა ონოგურისის ციხის წინააღმდეგ რომაელებთან ერთად ბრძოლაზე, მაგრამ ვერ დაასახელეს თუ რით იმართლებდა გუბაზი თავს, როცა უარს ამბობდა ონოგურისის წინააღმდეგ ბრძოლაზე.

ბრალდებულებს მოყავთ ბევრი დაუსაბუთებელი არგუმენტი გუბაზის მოღალატეობის დასამტკიცებლად. ვინც ონოგურისამდე არ იკადრა მისვლა, ის როგორ წავიდოდა ბიზანტიონშიო. და ვითომც ამიტომ არ აჩვენეს გუბაზს იუსტინიანეს წერილი. აგრეთვე, განაცხადეს, რომ მათ ჰქონდათ მარტინეს თანხმობა გუბაზის მოკვლაზე. იუსტინიანემ მარტინე გადააყენა თანამდებობიდან, მაგრამ არ დაუსჯია სიკვდილით.

საბოლოოდ რუსტიკემ და იოანემ აღიარეს გუბაზის მოკვლა. ათანასემ ეს ორი სარდალი ჯორებზე შესხა და ჩაატარა ქუჩებში, ხოლო შემდეგ სიკვდილით დასაჯა.

ამიერიდან ძველი, გუბაზის დროინდელი, ბიზანტიასთან ურთიერთობის ფორმა აღდგენილ იქნა, მაგრამ შინაარსით ახალი. განახლდა ბრძოლა მისიმიელების დამორჩილებისათვის, რაც 555 წლისათვის ვერ დასრულდა. მისიმიელთა წინააღმდეგ ლაშქრობა დაიწყო მას შემდეგ, რაც ვარდციხე აღებულ იქნა. 555 წლის ზამთარი რომ დადგა, მისიმიელებს მოციქულები გაუგზავნეს აფსილებიდან. ბიზანტიელებს მხედველობაში ჰქონდათ მისიმიელებისა და აფსილების ნათესაობა, როდესაც მოციქულებს გზავნიდნენ აფსილებიდან. სამწუხაროდ ეს მოციქულები მისიმიელებმა მოკლეს. ამის შესახებ აგათია წერდა: „სრულიად უკუაგდეს საერთაშორისო კანონები და მაშინვე მოკლეს ეს მოციქულები, თუმცა ისინი მათ მონათესავე და მეზობელ აფსილიელთა ტომს ეკუთვნოდნენ და არავითარი წილი არ მიუძღოდათ იმაში, რასაც მისიმიელები აბრალებდნენ რომაელებსა და სოტერიქეს; პირიქით, ისინი აშკარად უმტკიცებდნენ მათ თავიანთ მეგობრობას იმ რჩევა-დარიგებით, რომელიც მუდამ მათ სასარგებლოდ იყო მიმართული“[115].

ბიზანტიელებს მოუხდათ მისიმიელების ძალით დამორჩილება. ირანელებმა მისიმიელებს რეალური დახმარება არ აღმოუჩინეს. პირიქით, მათ, ეტყობა, დახმარებაზე არც კი

---

115 გეორგიკა, ტ. III, გვ. 161.

უფიქრიათ. თუ ერთი წლის წინ ირანელებს უნდოდათ მისიმიელებისათვის დახმარების გაწევა, ეხლა ამაზე თავს იკავებენ. მეტიც, მათ დასტოვეს მისიმიელთა ქვეყანა. ჩვენ სწორად მიგვაჩნია ზ. ანჩაბაძის აზრი იმის შესახებ, სადაც აღნიშნულია შემდეგი: „Уход персов из Мисиминии Агафий объясняет тем, что они, мол, не любили воевать в зимних условиях. Но, по-видимому, между мисимиянами и персами произошла какая-то размолвка, которая и вынудила персидские войска уйти. Возможно, и в данном случае персидские захватчики проявили свое агрессивное лицо. Поэтому на последнем этапе борьбы с византийцами мисимияне уже не рассчитывали на какую-либо поддержку со стороны персов"[116].

ბიზანტიელებმა აიღეს მისიმიელების მთავარი ციხე-სიმაგრე ძახარი და სასტიკად დასაჯეს ისინი. მისიმიელების მიერ გაწეული მსხვერპლის შესახებ აგათია შემდეგს ათქმევინებს მათ ელჩებს: „ამდენი უბედურება გამოვცადეთ, უდიდესი სასჯელები მოვიხადეთ იმით, რომ ციხის გარშემო მდებარე მიდამო მთლად გადაგვებუგა და მოწიფული ვაჟკაცები დაგვეღუპა არა ნაკლებ ხუთი ათასისა, ქალები უფრო მეტი, ბავშვები კიდევ უფრო მეტი, ისე რომ ლამის მთელი ჩვენი მოდგმა აღიგავოს"[117]. ასე მკაცრად მოეპყრნენ ბიზანტიელები მისიმიელებს. გარდა ამისა, მათ გადაახდევინეს ის ფული, რომელიც სოტერიქეს წაართვეს და სხვა ხარჯებიც გადაახდეინეს. ასე დამთავრდა მისიმიელების განდგომის ცდა.

მას შემდეგ, რაც ნახორაგანი ფოთთან დამარცხდა და იძულებული შეიქმნა სხვა ადგილებიც დაეთმო ბიზანტიელებისათვის, ეს ამბავი გაიგო ხოსრომ, უკან გაიწვია ნახორაგანი და სასტიკად დასაჯა. ამ დროს ძალთა თანაფარდობა ბიზანტიელების სასარგებლოდ იყო შეცვლილი. ხოსრომ გაითვალისწინა ის, რომ რომაელებს ჯარის მომარაგება უფრო უადვილდებოდათ, ვიდრე ირანელებს, ამიტომ დააპირა დროებითი ზავის დადება ბიზანტიელებთან. ირანელი ელჩი ზიქი ჩავიდა ბიზანტიონში და იუსტინიანესთან გამართა მოლაპარაკება. აქ ორივე მხარე შეთანხმდა იმ პირობით, რომ ორივეს უნდა დარჩენოდა მათ მიერ დაპყრობილი ადგილები. ეს იყო დროებითი ზავი. ამ ზავის შესახებ მენანდრე პროტიქტორი შემდეგს გადმოგვცემს: „ბოლოს, რომაელებმა და სპარსელებმა გადასწყვიტეს არაფერი იმიდან, რაც მათ ეპყრათ, არც სიმაგრეები, არც სხვა რამ, არ გადაეცვალათ, არა-

116 ზ. ანჩაბაძე, დასახელებული შრომა, გვ. 60.
117 გეორგიკა, ტ. III, გვ. 174.

მედ დარჩენილიყო მათ ხელში, ვიდრე საბოლოოდ არ გაარ-
ჩევდნენ სადავო საკითხებს. ასეც გადაწყვიტეს, და დადებულ
იქმნა დროებითი ზავი, რომელიც იმ იმედის შემცველი იყო,
რომ მალე სრულყოფილი ზავი იქნებოდა შეკრული, და ეს
უდიდესი სახელმწიფოებიც მშვიდ ცხოვრებას მიეცნენ"[118].

562 წელს დაიწყო მოლაპარაკება მტკიცე ზავისათვის. მო-
ლაპარაკება მიმდინარეობდა დარაში. ბიზანტიის მხრით საზა-
ვო ხელშეკრულების დასადებად გაიგზავნა პეტრე პატრიკიო-
ზი, ხოლო ირანის მხრივ — იესდეგუსნაფი, რომელიც ზიქის
ატივს ატარებდა (უდიდესი პატივი ირანში). ხანგრძლივი და-
ვის შემდეგ გადაწყვიტეს შეეკრათ ზავი 50 წლის ვადით.
რომლის თანახმად ბიზანტიელებს უნდა მისცემოდა ლაზიკა.
ამავე დროს ხელშეკრულების თანახმად ბიზანტიელებს უნდა
ეხადათ ირანელებისათვის ყოველწლიურად 30 ათასი ოქრო
გარკვეულ პირობებში.

ამრიგად, შეიკრა ზავი 50 წლის ვადით, მაგრამ სვანეთის სა-
კითხი აქ ვერ იქნა გადაწყვეტილი. იგი ისევ ირანის ხელში დარ
ჩა. ირან-ბიზანტიის ხანგრძლივი ომი დამთავრდა, რომელმაც,
დიდი ზიანი მიაყენა დასავლეთ საქართველოს ტომების ეთნი-
კურ განვითარებას. „ომიანობა ეგრისში არსებითად იყო, რა
თქმა უნდა, ერთი ეპიზოდთაგანი იმ გაუთავებელი ბრძოლისა,
რომელიც საუკუნეთა განმავლობაში წარმოებდა რომსა და
ირანს შორის, და საბოლოო ანგარიშით, ამ საერთო ბრძოლის
მიზეზებით განისაზღვრებოდა"[119].

როგორც ვხედავთ, ირანის ხანგრძლივი ბრძოლა დასავ-
ლეთ საქართველოს ტომების დამორჩილებისათვის დამთავრ-
და უშედეგოდ. ირანის წინააღმდეგ იბრძოდა ბიზანტიის ჯარი,
მაგრამ ირანელების დასავლეთ საქართველოდან განდევნაში
მთავარი როლი შეასრულეს ადგილობრივმა ხალხებმა. ეხება
რა აფხაზეთიდან ირანელების განდევნის საკითხს, ზ. ანჩა-
ბაძე სავსებით სამართლიანად აღნიშნავს შემდეგს: „Конечное поражение персидских захватчиков в борьбе за Абазгию, Апсилию и Мисиминию объясняется, как уже отмечалось, не только действиями византийских войск, но и в значительной степени борьбой местных народов против них, в первую очередь лазов. Борьба лазов против иноземных захватчиков значительно способствовала успехам борьбы предков абхазского народа. С другой стороны, и абхазы своим немалым вкладом в эту борьбу

---

118 გეორგიკა, ტ. III, გვ. 209.
119 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 51.

объективно способствовали достижению победы над персидскими захватчиками. Историческая дружба между предками грузинского и абхазского народов в этой совместной борьбе еще более окрепла и получила свое дальнейшее развитие"[120].

როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოსათვის იბრძოდა ორი ძლიერი სახელმწიფო. ორივეს უნდოდა ამ მხარის დაპყრობა. არც ერთს არ აინტერესებდა ადგილობრივი ტომების ბედი. ამჟამად, როდესაც დასავლეთ საქართველოში დამთავრდა დიდი ომიანობა, ეს მხარე ბიზანტიელების გავლენის ქვეშ მოექცა. დასავლეთ საქართველოს ტომები კარგად იცნობდნენ ბიზანტიელებსაც და ირანელებსაც. მათი დამოკიდებულება ქართველებისადმი სხვადასხვანაირი იყო: ამის შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილი შემდეგს წერდა: „თუმცა ბიზანტიას მეტად საზიზღარი და ანგაარი მოხელეები ჰყავდა, მაგრამ მაინცდამაინც თვით კეისრების მთავრობა სასანელთა გვარის მეფეებს სჯობდა და იმდენად სასტიკი და გულქვა არ იყო. ამიტომ ქართველობისათვის ბიზანტიელების მფარველობა იმდენად დამღუპველი არ ყოფილა, როგორადაც სპარსელების მფარველობა. აკი აღმოსავლეთმა საქართველომ დაკარგა თავისუფლებაცა და მეფობაც, ხოლო დასავლეთმა საქართველომ საკუთარი სამეფოს არსებობა შეინარჩუნა და კვლავინდებურად ბიზანტიელების მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა"[121]. ივ. ჯავახიშვილმა სწორად შეაფასა იმდროინდელი ურთიერთობა დასავლეთ საქართველოს ტომებისა დამპყრობელებისადმი. სპარსელებმა, როგორც კი შემოდგეს ფეხი ეგრისში, მაშინვე დააპირეს მეფის მოკვლა და შემდეგში ადგილობრივი ხალხის გადასახლება და იქ სპარსელების ჩასახლება. სპარსელების მიზანი იყო ქართველების გადაშენება. ბიზანტიელების სიმკაცრე კი ისე შორს არ მიდიოდა. მართალია, არც კეისრის მთავრობა იყო წინააღმდეგი ლაზიკაში მეფობის გაუქმებისა (ამის მაგალითს ვხედავთ VII საუკუნეში, თუმცა მეფის თანამდებობის გაუქმების შესახებ კონკრეტული ცნობები არ მოგვეპოვება), მაგრამ მეფობის გაუქმება იმდენად საშიში არ იყო, როგორც ადგილობრივი ხალხის გადასახლება, რასაც სპარსელები აპირებდნენ. ამასთანავე ბიზანტიელების აქტიურობა (აგრესიულობა) ლაზიკის მიმართ დამოკიდებული იყო ისევ ირანელების აღმოსავლეთიდან მოწოლაზე. წინა ხანებში ლაზებსა და ბიზანტიელებს შორის ურთიერთობა შედარებით ლმობიერი იყო.

---

120 ზ. ანჩაბაძე, დასახელებული შრომა, გვ. 61.
121 ივ. ჯავახიშვილი, დასახელებული შრომა, გვ. 271

ამრიგად, დასავლეთ საქართველოს ტომების ბიზანტიის ვასალენის ქვეშ ყოფნა იყო შედარებით ნაკლები ბოროტება, ვიდრე მათი ყოფნა სპარსელების ბატონობის ქვეშ.

3. ბიზანტია და დასავლეთ საქართველო VI ს. მეორე ნახევარში

როგორც უკვე აღნიშნული იყო, 562 წლის საზავო მოლაპარაკების დროს სვანეთის საკითხი ვერ იქნა გადაწყვეტილი, იგი კვლავ ირანის ხელში იყო და სადავო საკითხად რჩებოდა. ირანის წარმომადგენლები ამტკიცებდენ, რომ სვანეთი ძველითგანვე მათ ეკუთვნოდათ. ბიზანტიელები კი, თავის მხრივ, ამტკიცებდენ, რომ სვანეთი მათ ეკუთვნოდათ, რომ ირანმა შემთხვევით ჩაიგდო იგი ხელში. ბიზანტიელმა ელჩმა პეტრამ განაცხადა, რომ „სვანეთი რომაელებისა იყო და რომაელები სვანებს ბრძანებლობდენ. და აი, როდესაც სვანებს წათი წინამძღოლობდა, ერთი რომაელი, დეიტატე, იქ მყოფ რომაულ ჯარებს მეთაურობდა; სვანების ქვეყანაში სხვა რომაელებიც ცხოვრობდენ. მის შემდეგ, რაც ლაზთა მეფესა და იმ დროს იქ მოსარდლე რომაელ მარტინეს შორის რაღაც მტრობა ჩამოვარდა, ამის გამო კოლხმა აღარ გაუგზავნა სვანებს ჩვეულებრივი სურსათი: ჩვეულებრივ პური მათ კოლხთა მეფისაგან ეგზავნებოდათ. ამიტომ სვანებმა იმაზე გაჯავრებულებმა, რომ მათ მოუსპეს დაწესებული დახმარება, შეუთვალეს სპარსელებს, რომ, თუ ისინი იქ მოვიდოდენ, სვანეთს მათ ჩააბარებდენ“[122]. მაშასადამე, სვანები მართლაც ლაზთა მეფეს ემორჩილებოდნენ და მხოლოდ წათეს დროს განუდგნენ მას და ჩაბარდენ ირანელებს. ამჟამად კი ირანელებს არ უნდოდათ სვანეთის ხელიდან გაშვება, ჰქონდათ რა მხედველობაში მისი სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობა. არც იუსტინიანეს უნდოდა მისი ხელიდან გაშვება იმავე მიზეზების გამო. პეტრე ელჩი კი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ სვანეთი ლაზებს ემორჩილებოდა. მან ირანის ელჩს განუცხადა: „თუ არ გსურს, ზიქ, რომ საზავო ხელშეკრულებაში სვანეთის სახელი აღბეჭდო, აღნიშნე, რომ მიბრუნებ ლაზიკის მისდამი დაქვემდებარებულ ტომებითურთ“[123]. კიდევ ერთი ადგილი ამტკიცებს იმას, რომ სვანეთი მართლაც დიდი ხნიდან ლაზიკის მეფეს ემორჩილებოდა.

---

122 გეორგიკა, ტ. III, გვ. 213.

123 იქვე, გვ. 215.

ი, რას ამბობს პეტრე: „მე სრულიადაც არ დავაყოვნებ და აგიხსნი ნამდვილ ვითარებას. ლაზებში, ბატონო, ძველი წესი იყო, რომ სვანეთის სარდალი ემორჩილებოდა ლაზს და მასთან ის აღრიცხული იყო სახარკო სიაში, და ლაზი კიდევაც იღებდა მისგან ფუტკრების ნაყოფს და ტყავებს და ზოგ სხვა რამესაც. ხოლო როდესაც სვანების მთავარი გარდაიცვლებოდა, ლაზების მეთაური ახელისუფლებდა იმას, ვისაც უნდა მიეღო და დაეცვა გარდაცვლილის ძალაუფლება. ამავე დროს ის წერილობით აცნობებდა რომაელთა თვითმპყრობელს მომხდარი ამბების შესახებ და ესეც სამაგიერო წერილით უბრძანებდა მას გაეგზავნა სვანთა მთავრობის ნიშნები, ვისთვისაც უნდოდა, მხოლოდ სვანი კი ყოფილიყო. ეს იყო ძალაში ჩვენი მეფის თეოდოსის დროიდან ვიდრე თქვენი პაპის პეროზისა და ჩვენი მეფის ლეონის დრომდე"[124].

მიუხედავად ასეთი მტკიცებისა, სპარსეთმა არ დაუთმო ბიზანტიას სვანეთი. ზავი შეიკრა. იუსტინიანემ 565 წელს ისევ აღძრა სვანეთის საკითხი, მაგრამ მას შედეგი არ მოჰყოლია.

იუსტინე მეფეც დაინტერესებული იყო სვანეთის საკითხით და სწორედ ამ საკითხის მოსაგვარებლად და მისი ტახტზე ასვლის შესატყობინებლად სპარსეთში გაგზავნა იოანე კომენტიოლი. „იუსტინე მეფემ მიანდო იოანეს, რომ თუ სპარსელები მოისურვებდენ სასყიდლით გადაეცათ ეს ქვეყანა, ეთქვა, რომ ის თანახმა არის, ვინაიდან სვანეთი, მართალია ღირსშესანიშნავი არ იყო, მაგრამ ის მაინც, თავისი მოხერხებული მდებარეობით მეტად სასარგებლო იყო რომაელთა ხელისუფლებისათვის, რათა ამ გზით მოზღვავებულ სპარსელებს კოლხეთის საზღვრები არ აეოხრებინათ"[125].

როდესაც გაიმართა საუბარი იეზდეგუსნაფთან და სხვა ზოგიერთ სპარსელთა სარდლებთან, გამოირკვა, რომ ისინი მზად იყვნენ დაეთმოთ სვანეთი სასყიდლით. იოანემ ამჟამად სვანეთის დაბრუნების შესაძლებლობა დაჰკარგა. შემდეგშიაც სვანეთის საკითხის მოგვარების რამდენიმე ცდა იყო ირანის მხრივ. ერთხელ ზიქი გაემართა ბიზანტიონში იუსტინესთან მოსალაპარაკებლად, მაგრამ გზაში (ნიზიბინში) გარდაიცვალა. ზიქი შესცვალა მებოდმა. მებოდის ცდაც უშედეგოდ დამთავრდა. ამის შემდეგ სვანეთის საკითხის მოგვარების პირობების შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ 576-577 წლების საზავო მოლაპარაკების დროს სვანეთზე არაფერია თქმული.

---

124 გეორგიკა, ტ. III, გვ. 224.
125 იქვე, გვ. 228.

მოლაპარაკების საკითხი იყო პერსარმენია და იბერია. 579 წელს ტიბერიმ კვლავ გაგზავნა ელჩები ხოსროსთან და იმავე დროს გაუგზავნა ტყვედ ჩავარდნილი დიდგვარიანი სპარსელები. ტიბერიმ ელჩების ხელით ხოსროს გაუგზავნა წერილი, რომელშიაც ეწერა შემდეგი: „მე მსურს ზავი და ვესწრაფი მას, როგორც ღმრთის ნიჭს, თითქოს თვით ბუნება თქვენს მეგობრობას მოითხოვს ჩემგან. ამიტომ მზადა ვარ უარი ვთქვა მთელს პერსარმენიაზე და იბერიაზე და იმათ გარდა, ვინც სპარსელთა არმენიიდან და იბერთაგან ჩვენს ქვეშევრდომობას მოისურვებს. დაგიბრუნებ, აგრეთვე, აფუმონის ციხეს, არზენენესაც თქვენ დაგითმობთ, თუ ამათ ნაცვლად დარას მივიღებ თქვენგან“[126]. როგორც ჩანს 576-577 წლების და 579 წლის საზავო მოლაპარაკებისას სვანეთის საკითხი არ მდგარა. ამ დროისათვის სვანეთი უკვე ბიზანტიელების ხელში იყო. ამაზე მიუთითებს შემდეგი გარემოება.

579 წელს პერსარმენიისა და იბერიის საკითხი არ გადაწყდა. ამავე წელს ხოსრო გარდაიცვალა. არც ჰორმიზდამ ისურვა ზავის დადება. აღმოსავლეთში ომი გრძელდებოდა და ბიზანტიის მთავრობაც ამ საკითხით იყო დაინტერესებული. მიუხედავად იმისა, რომ სვანეთი და ლაზიკა კეისარს ემორჩილებოდა, ეს მხარე უსარდლოდ იყო მიტოვებული. ამის შესახებ VII საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი თეოფილაქტე სიმოკატტა შემდეგს გადმოგვცემს: „მერვე წელს მავრიკის ავტოკრატორობისა (589-590 წწ. — მ. გ.) სპარსელთა მეფის ჰორმიზდას მიერ სვანეთის წინააღმდეგ იგზავნება სპარსელთა სტრატეგოსი ბარამი ბარბაროსთა ლაშქრითურთ. და რადგან სპარსელები მოულოდნელად თავს წამოადგნენ, ხალხი გამოფხიზლდა დაუდეგარი ძილისაგან. სვანეთი ხომ საშინლად იძარცვებოდა, უბედურება აუტანელი იყო: ყურისმგდებელ სტრატეგოსს მოკლებული იყო, ვინაიდან კოლხიკე უსარდლო იყო და მომვლელისაგან ობლად შთენილი, რადგან იმ დროს აღმოსავლეთში იყო ომი გაჩაღებული“[127]. სვანები არ მოელოდნენ ბარამის თავდასხმას. ისინი გამოფხიზლდენ დაუდეგარი ძილისაგან. დაუდეგრობის მიზეზი იყო ხანგრძლივი მშვიდობიანობა. სვანეთი იმ დროს ირანის გავლენის ქვეშ რომ ყოფილიყო, მაშინ ბარამი არ შეეხეოდა მას. ამრიგად, სვანეთის შეერთება ლაზიკასთან უნდა მომხდარიყო 576 წლამდე. სწორედ ამ დროიდან ბარამის შესევამდე სვანეთში მშვიდობიანობა იყო დამყარებული. ს. ყაუხჩიშვი-

---

126 გეორგიკა, ტ. III, გვ. 249.

127 გეორგიკა, ტ. IV, ნაკ. I, გვ. 21.

ლი და ირ. ბერაძე ბიზანტიელების მიერ სვანეთის ხელმეორე აღების შესახებ გამოთქვამენ მოსაზრებას, რომლის მიხედვით ეს აქტი მოხდა 575 წელს. აი რას წერენ ისინი: „მაშასადამე, იოანეს „ქრონიკაში“ მოხსენებული თარიღი („იუსტინეს იმპერატორობის მეათე წელს“), ე. ი. 575 წელი სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს და სვანეთის უკან დაბრუნება ბიზანტიელების მიერ უნდა ვივარაუდოთ 575 წელს“[128].

ამიერიდან მთელი დასავლეთ საქართველო ბიზანტიის გავლენის ქვეშ ექცევა. ამავე დროს ეს გავლენა VII საუკუნეში ძლიერი იყო, ვიდრე იუსტინიანეს დროს მიუხედავად იმისა, რომ იმპერიის მდგომარეობა თანდათანობით უარესდებოდა. ბიზანტიის გავლენის გაძლიერების შედეგი იყო ლაზიკაში მეფის ხელისუფლების დაქვეითება, ჩვენ გვგონია, რომ აკად. ს. ჯანაშიამ სწორი აზრი გამოსთქვა, როდესაც ის ამბობდა: „თუნდაც მოტანილი ტექსტი ასეთ საბუთად არ ვარგოდეს (რაც არა გვგონია), ჩვენ სხვა მოსაზრებებითაც იძულებული ვართ ვიფიქროთ, რომ რომელიღაც მომენტში VI-VII სს. სიგრძეზე უნდა მოსპობილიყო, ცხადია, ბიზანტიელების წყალობით, მეფობა ეგრისში. ეს უნდა მომხდარიყო VI ს. დამლევს, ან VII ს. ოცდაათიან წლებში, ჰერაკლე კეისრის ლაშქრობათა შემდეგ და შედეგად“[129]. ლაზთა მეფის ხელისუფლების დაქვეითება იწყება წათე II გამეფებიდან.

როგორც ცნობილია, იუსტინიანეს ჰქონდა ომები აღმოსავლეთში და დასავლეთში. ერთდროულად ორ ფრონტზე ომების წარმოება ძნელი იყო და ამიტომ იუსტინიანე ხშირად ზავს ყიდულობდა დიდძალი თანხით. იუსტინიანე დაინტერესებული იყო იმპერიის ტერიტორიების გაფართოებით. მას, აგრეთვე, ლაზიკის შეძენაც მოუხდა დიდი თანხის გაღებით. ამის შესახებ მ. ლევჩენკო წერს: „В конце концов Хазров понял бесполезность этой борьбы и то, что по географическим условиям Лазика не может быть удержана персами, и по мирному договору 562 г. согласился очистить эту страну за крупный денежный выкуп“[130].

ხანგრძლივმა ომებმა გამოიწვიეს ქვეყნის ეკონომიური დაცემა. ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობაზე ომების ზეგავლენის შესახებ ზ. უდალცოვა სამართლიანად აღნიშნავს შემდეგს: „Бесконечные и изнурительные войны при преемниках Юстиниана, Юстине II (565—578), Тиберии I (578—582) и Маврикии (582—602), истощили силы империи и

---

128 თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. VII, 1938, გვ. 96.
129 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 88.
130 მ. ლევჩენკო, დასახელებული შრომა, გვ. 83.

привели к её ослаблению[131].

ცნობილია აგრეთვე, რომ იუსტინე II დროსაც ბიზანტია-ირანის ურთიერთობაში უპირატესობა ირანის მხარეზე იყო; ირანელებთან ხშირ შეტაკებებში უმრავლეს შემთხვევაში უპირატესობა ამ უკანასკნელის მხარეზე იყო. მიუხედავად ამისა, ლაზიკაში მშვიდობიანობა იყო დამყარებული და ეს მშვიდობიანობა გამოიხატებოდა ბიზანტიელთა ბატონობაში.

ომები წარმოებდა მავრიკის დროსაც. VI საუკუნის ოთხმოციან წლებში ბიზანტიასა და ირანს შორის ომი განახლდა. „გაზაფხული რომ დადგა (588 წ. — მ. გ.) და დედამიწას საამო და სამხიარულო ელფერი დაედვა, თვითმპყრობელმა (მავრიკიმ) ჩვეულებისამებრ, ოქრო გაგზავნა ჯარისათვის დასარიგებლად; ომიც რომაელებსა და სპარსელებს შორის გაცხოველდა“[132]. 588 წელს ომი მიმდინარეობდა, მაგრამ ის არ ეხებოდა ლაზიკას. ამავე წელს მშვიდობიანობა დამყარებულა ქვეყნის სხვადასხვა მხარეებში, და აგრეთვე, კოლხეთშიაც გრძელდებოდა მშვიდობა. „ფაზისის წყალსაც აღარ ამღვრევდა სისხლი; მისი მშვიდობიანი მდინარება სიწყნარის ბრწყინვალებით რწყავდა კოლხეთს და მიდიელ მოსახლეს არსად არ აშაქანებდა. აი ასეთ წესრიგში იყო მოყვანილი რომაელთა საქმეები“[133].

ეტყობა 562 წლის ზავის შემდეგ ლაზიკის შესახებ დავა შეწყვეტილა და მშვიდობიანობა დამყარებულა. ამავე ზავის დადებიდან გაძლიერდა ლაზიკაზე ბიზანტიის გავლენა. სწორედ ამავე დროს უნდა მომხდარიყო მეფის თანამდებობის შეცვლა პატრიკიოზის თანამდებობით. პ. ინგოროყვა აღნიშნავს ბიზანტია-ლაზიკის ურთიერთობის შესახებ შემდეგს: „მაგრამ მას შემდეგ, რაც დასრულდა ომი ბიზანტიასა და სპარსეთს შორის და 562 წლის ზავის შედეგად ბიზანტია საბოლოოდ გაბატონდა ლაზეთში, ბიზანტია, როგორც მოვიხსენეთ, თანდათანობით ზღუდავს ლაზეთის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და აუქმებს ლაზეთში „მეფობას“. მეფობის ინსტიტუტის გაუქმება, როგორც ირკვევა, მე-6 საუკუნის მეორე ნახევარში მომხდარა; ამ დროიდან მოკიდებული ლაზეთის ქვეყნის მეთაურნი აღარ ატარებენ „მეფის“ წოდებულებას“[134]. ლაზეთში მეფობის გაუქმება შეიძლება არ იყოს დაკავშირებული 562 წლის ზავთან. ამის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. მაგრამ ამ აქტის შესრულება შეგვიძლია მივა-

---

131 Всемирная история, т. III, стр. 89.
132 გეორგიკა, ტ. IV, ნაკ. I, გვ. 19.
133 იქვე, გვ. 20.
134 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 191.

წეროთ იუსტინიანეს და მის მემკვიდრეების მოღვაწეობის დროს.

მავრიკის მოღვაწეობისას დასავლეთ საქართველოზე ბიზანტიის ბატონობა ფორმალურ ხასიათს ატარებდა. იმ დროს კეისრის მთავრობა, პირველ რიგში, დაინტერესებული იყო იმით, რომ დასავლეთ საქართველო არ მიმხრობოდა ირანს. ეს მიზანი მიღწეული იყო და სხვა მიზანი იმ დროს იმ პირობებში ბიზანტიას დასავლეთ საქართველოს მიმართ აღარ ჰქონია. ამ დროს ბიზანტია დაკავებული იყო აღმოსავლეთის საკითხებით. ამაზე მიუთითებს თეოფილაქტე სიმოკატტა. „ყურისმგდებელ სტრატეგოსს მოკლებული იყო (სვანეთი — მ. გ.), ვინაიდან კოლხიკე უსარდლო იყო და მომვლელისაგან ობლად შთენილი, რადგან იმ დროს აღმოსავლეთში იყო ომი გაჩაღებული“[135]. VI საუკუნის ოთხმოციან წლებში ბიზანტიას ლაზიკაში ჯარიც აღარ ჰყოლია და, ალბათ, პირველთაგან ჩაგვრასაც არ განიცდიდნენ. ამიტომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ლაზიკაში მეფის თანამდებობის გაუქმება შეიძლებოდა მხოლოდ 562 წლის ხელშეკრულების დადებიდან მავრიკის მეფობამდე. რაც შეეხება იმას, რომ ლაზიკა ბიზანტიელთა ბატონობის ქვეშ რჩებოდა, უნდა აიხსნებოდეს იმ გარემოებით, რომ ლაზებს ამ პერიოდში აღარ შესწევდათ ძალა დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად. არც ბიზანტიის იმპერიის სისუსტის გამოყენება შეეძლო. ალბათ, ლაზები არც კი ცდილან დამოუკიდებლობის მოპოვებას.

მართალია, მავრიკის მეფობისას იმპერიის მდგომარეობა ცოტათი გაუმჯობესდა, მაგრამ ეს გამოწვეული იყო ირანში 591 წლის პოლიტიკური გადატრიალებით, რომლის დროსაც მავრიკიმ მხარი დაუჭირა ჰორმიზდას შვილს ხოსრო მეორეს. ხოსრომ ძალაუფლება ხელში ჩაიგდო და ბიზანტიასთან ურთიერთობა გააუმჯობესა. ამით ისარგებლა მავრიკიმ და განთავისუფლებული ჯარი გადაიყვანა ევროპაში დუნაის საზღვრებზე, სადაც იმ დროს ხშირად იქმნებოდა საფრთხე ავარების მხრიდან.

ამრიგად, დასავლეთ საქართველო VI საუკუნის მეორე ნახევარში მთლიანად ექცევა ბიზანტიის გავლენის ქვეშ, ხოლო ირანის გავლენა აქ მთლიანად ისპობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დასავლეთ საქართველოზე ბიზანტიის გავლენა VI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში სუსტდება.

---

135 გეორგიკა, ტ. IV, ნაკ. I გვ. 21.

თავი IV

დასავლეთ საქართველო VII-VIII სს.

1. სოციალურ-ეკონომიური ვითარება

როგორც VI საუკუნეში, ისე VII-VIII საუკუნეებშიაც. დასავლეთ საქართველოს ტომების მთავარი საქმიანობა იყო სოფლის მეურნეობა. იმდროინდელი სოფლის მეურნეობის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ ცხადია, რომ VII საუკუნისათვის დასავლეთ საქართველოში მაინცდამაინც დიდი ცვლილებები არ მომხდარა გაუმჯობესების მხრივ. ისევ სოფლის მეურნეობის ძველი დარგები ვითარდებოდნენ. VII საუკუნეში სოფლის მეურნეობას ემჩნეოდა იმ გამანადგურებელი ომების კვალი, რომელსაც აწარმოებდნენ ბიზანტია და ირანი VI საუკუნეში თითქმის თხუთმეტი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ და ნაწილობრივ VII საუკუნეშიც. ეს ომები თავისი მთელი სიმძიმით დააწვა ეგრისს. ამის შესახებ ზ. ანჩაბაძე სამართლიანად აღნიშნავს შემდეგს: „...Лазика взяла на себя основную тяжесть борьбы против персидских, византийских и арабских захватчиков, а кроме того, именно на территории Лазики происходили разорительные ирано-византийские и византийско-арабские войны“[1]. ომმა განსაკუთრებით დასცა სოფლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობაში ლაზიკის მთავარ და მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენდა მოხირისი, რომლის შესახებ დაწვრილებით ზემოთაა აღნიშნული. სწორედ ეს მოხირისი გახდა ბრძოლის ველი, რამაც გაანადგურა ამ მხარის მეურნეობა. ბევრი განვითარებული ქალაქი VI საუკუნის ხანგრძლივი ომების დროს დაინგრა, ბევრმა კი დაკარგა თავისი ეკონომიური მნიშვნელობა. ქალაქების გაქრობასთან და დაცე-

[1] ზ. ანჩაბაძე, დასახელებული შრომა, გვ. 97.

მასთან ერთად ეკიმოდა ხელოსნობაც. სწორედ ქალაქებში იყრიდნენ ხელოსნები თავს, მაგრამ ომის შედეგად ქალაქების დანგრევამ თავისი ბეჭედი დაასვა ხელოსნობის განვითარებასაც. VII საუკუნეში კი უკვე აღარ იყო ისეთი გამანადგურებელი ომები, როგორიც VI საუკუნეში. მიუხედავად ამისა, ეგრისის ტერიტორიაზე სახალხო მეურნეობის განვითარებას ხელს უშლიდა ბიზანტიელთა ბატონობა. მშრომელთა ექსპლოატაციის გაძლიერება ბიზანტიელების მხრივ თანდათან ძლიერდებოდა. VII საუკუნის მეორე ნახევარში ეგრისი ფაქტიურად იძარცვებოდა ბიზანტიელებისაგან. ლაზებსა და ბიზანტიელებს შორის ურთიერთობა სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა და ბოლოს ლაზებმა თავისი ქვეყანა არაბებს ჩააბარეს. ცხადი უნდა იყოს, რომ ასეთ პირობებში მყოფ მხარეში სოფლის მეურნეობის განვითარება ძნელი იქნებოდა. ამ საქმისადმი დაინტერესებას ადგილი არ ექნებოდა როგორც მშრომელ მასებში, ისე ლაზ წარჩინებულთა შორისაც.

ამრიგად, VII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში ერთგვარ შესვენებას ჰქონდა ადგილი, მაგრამ სოფლის მეურნეობის და ხელოსნობის სწრაფ განვითარებას ხელს უშლიდა, ჯერ ერთი, რომ ამ მხარის გარკვეული ნაწილი (ეგრისი), ბიზანტიის გავლენის ქვეშ რჩებოდა, განსაკუთრებით VII საუკუნის პირველ ნახევარში, ხოლო ამავე საუკუნის მეორე ნახევარში ბიზანტიელების მიერ ჩაგვრა აუტანელიც კი ხდება, რომელიც მშრომელ მასებს უკარგავს მეურნეობის გაუმჯობესების ყოველგვარ სტიმულს. მეორე, სოფლის მეურნეობის სწრაფი ტემპით განვითარება, განსაკუთრებით კი მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოყვანის განვითარება, იმდროინდელი ტექნიკით შეუძლებელი იყო. ამავე დროს სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა საზოგადოების შიგნით ქონებრივი უთანასწორობა; წარჩინებულთა ფენა ეკონომიურად ძლიერდებოდა. ხოლო ამასთან ერთად, იქმნებოდა ფენა, რომელიც მიწაზე საკუთრებას კარგავდა, მაგრამ სამაგიეროდ შით სარგებლობის უფლებას იძენდა. ესენი იყვნენ თემის ყოფილი წევრები. მათი მდგომარეობა უარესდებოდა, რამდენადაც ისინი ვალდებული იყვნენ მიწის მფლობელისათვის გადაეხადათ გადასახადი ნატურით. ამავე დროს ეს ფენა დამოკიდებული ხდებოდა წარჩინებულებზე. ერთი სიტყვით, ფეოდალური ურთიერთობა ვითარდებოდა და მშრომელი მასების ექსპლოატაცია ძლიერდებოდა.

ძლიერდებოდა ბრძოლა საწარმოო საშუალებების დაუფლებისათვის. ამ ბრძოლაში საზოგადოების გაბატონებული ფენა იმარჯვებდა და ეს საწარმოო საშუალებებიც მის ხელში

გადადიოდა. იმ დროს საწარმოო საშუალებას მიწა წარმოადგენდა და რამდენადაც მიწა გადადიოდა ფეოდალების საკუთრებაში, იქმნებოდა საკუთრების ახალი ფორმა.

მიწის ფეოდალური საკუთრება ერთგვარ სტიმულს ქმნიდა მისი უკეთესი დამუშავებისათვის და მისგან მეტი ნაყოფის მიღებისათვის. მაგრამ VII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში ფეოდალური ურთიერთობა, მიუხედავად მისი სწრაფი განვითარებისა, ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა იყო. ამასთანავე, მეურნეობის პროდუქტების სწრაფ ზრდას ხელს უშლიდა იმდროინდელი ტექნიკის დაბალი დონე. ეს კი გამოწვეული იყო იმით, რომ სამეურნეო იარაღები მზადდებოდა ხელოსნების მიერ, რომლებიც, როგორც აღვნიშნეთ, ქალაქებში იყრიდნენ თავს. ომიანობის შედეგად ქალაქების დაცემას და ხელოსნობის განუვითარებლობას აუცილებლად გავლენა უნდა მოეხდინა სოფლის მეურნეობის წარმატებაზე. ახალგაზრდა ფეოდალური კლასი კი დაინტერესებული იყო სწორედ სოფლის მეურნეობის პროდუქტებით.

სოფლის მეურნეობაში აღსანიშნავი იყო მიწათმოქმედება და მეცხოველეობა. მისდევდნენ მარცვლეული კულტურების მოყვანას; მათგან ჩვენთვის ცნობილია ღომი და ქვრიმა, რომელიც ბერძნულ წყაროებში მოხსენებულია ელიმოსის სახელწოდებით. ამ კულტურის შესახებ ცნობას იძლევა პროკოპი კესარიელი. ის მერე ასახელებს სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებს, რომლებიც ძირითადად წარმოადგენენ მეხილეობის ან მებაღეობის ნაყოფს. ის არ მიუთითებს სოფლის მეურნეობის ისეთ კულტურებზე, რომლების შესახებ ცნობები მოეპოვება სტრაბონს. ასე მაგალითად, სელი და კანაფი. ეს გარემოება, ჩვენი აზრით, გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმით, რომ პროკოპი დაინტერესებული იყო იმპერიის მესაზღვრე ჯარის სურსათით მომარაგების საკითხის აღწერით (ალბათ მან მხოლოდ ასეთი ცნობა მიიღო მხედართმთავრებისაგან), და რამდენადაც ჯარის მომარაგების საკითხთან იყო დაკავშირებული ქვეყნის აღწერაც, ამდენად ტექნიკური კულტურების შესახებ საუბარი ზედმეტად მიაჩნდა.

სტრაბონის ცნობებიდან ირკვევა, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში უკვე საკმაოდ განვითარებული ყოფილა ისეთი ტექნიკური კულტურების დამუშავება, როგორიცაა სელი და კანაფი. მისივე ცნობით სელი საზღვარგარეთაც გაჰქონდათ. სტრაბონი წერდა. „Страна эта богата и плодами, кроме меда (который по большей части горьковат на вкус), и всем нужным для кораблестроения: лес она и сама производит в большом количестве и получает по

рекам, производит также в изобилии лен, пеньку, воск и смолу. Производство льна приобрело даже известность: его вывозили даже в чужие земли...“[2]

სელის მეურნეობის არსებობაზე მიუთითებს აკად. ივ. ჯავახიშვილი. ის წერს, რომ „ტანისამოსად სელის, ბამბისა და მატყლის ქსოვილები ჰქონიათ, რომელთაგან მეორე და მესამე გვარის ქსოვილები ზევითი ტანისამოსისათვის უნდა ყოფილიყო“[3]. ივ. ჯავახიშვილის ეს აზრი კონკრეტულად VII-VIII საუკუნეებისათვის არაა ნათქვამი, მაგრამ, საგულისხმოა, რომ დაახლოებით მსგავს მოვლენას ექნებოდა იმ დროს ადგილი.

ძნელია იმის თქმა, რომ დასავლეთ საქართველოში მოჰყავდათ მხოლოდ დასახელებული კულტურები. უნდა ვივარაუდოთ, რომ VII-VIII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში მოჰყავდათ პარკოვანი კულტურებიც. იგივე ივ. ჯავახიშვილი ამის შესახებ წერს: „ცხადია, რომ რაკი ოსპის, ცერცვის, ხნდურის და სხვათა თესვა-მოყვანას ქართველი მიწათმოქმედი უძველეს დროითგან მისდევდა, იმ დაკვირვება-გამოცდილებას, რომელიც მას საუკუნეთა განმავლობაში მოპოვებული ჰქონდა, შემდეგში შემოსული ლობიოს კულტურის დროსაც გამოიყენებოდა“[4]. რამდენადაც ეს დასახელებული კულტურები „დაბადების“ ქართულ თარგმანში გვხვდება, ამდენად ივ. ჯავახიშვილს ისინი უძველეს კულტურებად მიაჩნია.

ლაზიკაში განვითარებული იყო მეხილეობაც. განსაკუთრებით ამ მხრივ განთქმული უნდა ყოფილიყო მოხირისი.

დასავლეთ საქართველოში ადგილი ჰქონდა ვენახის მოშენებასაც. ამ მხარეში ვენახი კარგად ხარობდა. თუმცა დასავლეთ საქართველოს ყველა მხარეში ვერ ხარობდა ის და იყო შემთხვევა, რომ ადგილობრივი ღვინო ვერ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნილებას და ამიტომ იგი შემოჰქონდათ საზღვარგარეთიდან. ასე იყო VI საუკუნეში. VII საუკუნეში კი ეს დარგიც მეურნეობისა არ უნდა ყოფილიყო განვითარებული.

როგორც აღვნიშნეთ, VII საუკუნის მეორე ნახევარში ლაზიკა ბიზანტიელთა ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ ეს არ შეიძლება დავასახელოთ მევენახეობა-მეღვინეობის დაცემის მთავარ მიზეზად. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმ გა-

---

2 В. В. Латышев. Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе, том I, Греческие писатели, выпуск 1. 1893 г., стр. 137.

3 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, გვ. 12.

4 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი II, 1935, გვ. 7.

მანადგურებელ ომებში, რომლებსაც აწარმოებდნენ ირანი და ბიზანტია. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ გარკვეული მიზეზების გამო ლაზი მეომრები ირაკლის მოკავშირეები იყვნენ და ირანის წინააღმდეგ ომში მონაწილეობას იღებდნენ. ამასაც თავის მხრივ უარყოფითი გავლენა უნდა მოეხდინა მეურნეობის ამ დარგის განვითარებაზე, ვინაიდან ვენახის დამუშავება ძირითადად მამაკაცების საქმე იყო.

თუმცა შესატყვისი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ მაინც უეჭველი უნდა იყოს, რომ დასავლეთ საქართველოში მისდევდნენ მესაქონლეობას და ეს მესაქონლეობა საკმაოდ განვითარებული უნდა ყოფილიყო. უნდა ვივარაუდოთ, რომ მაშინ განვითარებული იყო ცხენების, ძროხების, ღორების მოშენება, რომელთა პროდუქტები წარმოადგენდა უშუალო მოხმარების საგნებს. ხშირად მეცხოველეობის პროდუქტებით იხდიდნენ გადასახადებს. ასევე უნდა განვითარებულიყო მეცხვარეობა, რომელსაც ჰქონდა ორმაგი მნიშვნელობა. მის, როგორც ხორცისა და რძის პროდუქტებს, ისე მატყლსაც იყენებდნენ.

VII საუკუნეში დასავლეთ საქართველოს ყველა კუთხე თანაბარ მდგომარეობაში არ იმყოფებოდა. ეს გამოწვეული იყო ამ მხარის წარსულით და აწმყოთი. ირან-ბიზანტიის ომის მთელი სიმძიმე გადაიტანა საკუთრივ ლაზიკამ. ამიტომაც ამ ომმა ლაზიკის მომავალზე იქონია დიდი და უარყოფითი გავლენა. მართალია, ირან-ბიზანტიის ომები შეეხო აფსილიას, აბაზგიას, სვანეთსა და მისიმიანეთს. მაგრამ ამ მხარეებზე (მისიმიანეთის გამოკლებით) და მის მეურნეობაზე ნაკლები გავლენა მოახდინა. აფხაზეთს არ განუცდია იმდენი ნგრევა, რამდენიც ლაზიკამ განიცადა. იქ მალე მშვიდობიანობა დამყარდა და მთელი VII საუკუნის მანძილზე შედარებით უკეთეს პირობებში იმყოფებოდა ეს მხარე. ამ ხნის განმავლობაში აფხაზეთში ადგილი არ ჰქონია ხანგრძლივ ომს. აქ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ყოველგვარი პირობა იყო შექმნილი და ეს მეურნეობა აღმავალი გზით მიდიოდა. აფხაზეთის ამ მდგომარეობის შესახებ ზ. ანჩაბაძე წერს: „Что же касается Абхазии, то она пострадала от этих войн значительно меньше и поэтому ее внутренние силы не только не слабели, а, наоборот, росли. Как мы знаем, после изгнания арабских захватчиков отдельные абхазские области объединились в одно крупное княжество, чему немало способствовало слияние нескольких небольших родственных этнических групп в единую абхазскую народность“[5]. ამრიგად, იმ მხარეში, სადაც ქვეყნის შინაგანი

[5] ზ. ანჩაბაძე, დასახელებული შრომა, გვ. 97.

ძალები იზრდებიან, არ შეიძლება არ ვითარდებოდეს სახალ-ხო მეურნეობა მისი სხვადასხვა დარგებით.

ამ მხარეში განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა მისიმიანეთი. 555 წლის აჯანყების შედეგად ბიზანტიელებმა მოსახლეობის უმრავლესობა ამოწყვიტეს და დაცარიელებულ მიწა-წყალზე მოკლე ხნის განმავლობაში რაიმე წარმატების მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა.

არც სვანეთი დარჩა ირან-ბიზანტიის ომის სუსხის გარეშე, მაგრამ იქაც ეს იყო ხანმოკლე და ამ მხარისათვის ნაკლები ზიანის მომტანი.

დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა მხარის ეკონომიურ-მა მდგომარეობამ გავლენა მოახდინა მის სოციალურ წყობილებაზე. თუ შედარებით ეკონომიურად დაცემულ ლაზიკაში მეფის ხელისუფლება გაუქმებული იყო (თუმცა მეფის ხელისუფლების გაუქმება არ იყო დაკავშირებული ამ მხარის ეკონომიურ დაცემაზე) და ფეოდალური ურთიერთობის ზრდა იმ ეტაპზე იყო, როცა პოლიტიკურად გაძლიერებული ფეოდალები დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისას აღწევენ ისეთ მდგომარეობას, რომ მათი ძალაუფლება სჭარბობს პატრიკიოზის ძალაუფლებას, აფხაზეთში კი პირიქით ხდება. აქ ფეოდალური ურთიერთობის განვითარების და ქვეყნის შემდგომი ეკონომიური გაძლიერების შედეგად ამ მხარის მმართველის უფლებები ძლიერდებოდა და მტკიცდებოდა. ამ მხარის ეკონომიურ ძლიერებაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ამ დროისათვის ხდება მისიმიანებისა და აფსილების კიდევ უფრო დაახლოვება ეთნიკურად და პოლიტიკურად, ასევე მათი ორივეს დაახლოვება აბაზგებთან. VII საუკუნის ბოლოსათვის ეკონომიური განვითარების საფუძველზე ამ მხარეების გაერთიანების აუცილებლობა ცხადი გახდა.

აფხაზეთი და ლაზიკა სხვადასხვა მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა ზეგავლენას ახდენდა მის ეკონომიურ მდგომარეობაზე. ლაზიკაზე ბიზანტიის გავლენა VII საუკუნის მეორე ნახევარში საკმაოდ გაძლიერდა. შესაძლებელია, რომ ეს ბატონობა აუტანელი გახდა და ამიტომაც ლაზიკის პატრიკიოზი სერგი თავის ქვეყანას არაბებს აბარებს. ეტყობა ბიზანტიელების ბატონობისას ლაზების ჩაგვრა ძლიერი იყო და ამდენად ქვეყნის ეკონომიური გაძლიერება შეუძლებელი გახდა. ამის შემდეგაც ლაზიკის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, ვინაიდან ის აღმოჩნდა არაბების ბატონობის ქვეშ, რომელიც გაგრძელდა VIII საუკუნის ორმოციან წლებამდე. არც არაბებმა განაცხა-

დეს უარი ხარკზე. სწორედ ამ დროს არაბები ამიერკავკასიაში ყველაზე ძლიერად გრძნობდნენ თავს და, ეტყობა, მათი მხრიდან ჩაგვრაც ძლიერი უნდა ყოფილიყო. აფხაზეთში კი არაბები ვერ დამკვიდრდნენ. აფხაზეთში არაბების შემოსევა დაიწყო მხოლოდ VIII საუკუნეში. მათ ვერ შესძლეს აფხაზეთის მთლიანად დალაშქვრა, მხოლოდ აფსილია დალაშქრეს და იქ დიდხანს ვერ დაჰყვეს. აბაზგიაში კი ვერ შესძლეს თარეში. ანაკოფიის ციხე ვერ აიღეს და უკან დაიხიეს.

ამრიგად, არაბებს აღარ შეეძლოთ აფხაზეთის მეურნეობისათვის დიდი ზიანის მიყენება და მათზე ხანგრძლივი ბატონობა. ისინი აფხაზებისაგან, ეტყობა, ვერც ხარკს ეღირსნენ. მაშასადამე, მთელ VII-VIII საუკუნეებში აფხაზეთში შედარებით მშვიდობიანობა იყო და ამ მშვიდობიანობამ მწარმოებელ ძალებს საშუალება მისცა ეზრუნათ ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის. სწორედ ასეთი განვითარების შედეგი იყო ის, რომ საკუთრივ აფხაზეთიდან შესაძლებელი გახდა არაბების განდევნის დაწყება.

ქვეყნის ეკონომიური გაძლიერება და მისი ფეოდალიზაციის პროცესი სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, რომელსაც შედეგად მოჰყვა არა მარტო ქვეყნის შინაური ძალების გაერთიანება, არამედ ტომობრივი კავშირის შემდგომი განმტკიცებაც.

აფხაზეთიდან არაბების განდევნის შემდეგ დაახლოებით ნახევარი საუკუნის განმავლობაში მშვიდობიანობა სუფევდა. ამან კი შესაძლებელი გახადა ამ ქვეყნის შემდგომი ეკონომიური გაძლიერება. ამ დროს მწარმოებელი მასა მშვიდობიანად შრომობდა და მას არ უხდებოდა უცხო მოძალადის წინააღმდეგ იარაღით ხელში ბრძოლა. იმ დროს აფხაზეთში საკმაოდ ვითარდებოდა. სოფლის მეურნეობის ყველა დარგი — მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მეხილეობა, მეევენახეობა-მეღვინეობა. ამავე დროს განვითარებული იყო ხელოსნობაც.

VII-VIII საუკუნეების აფხაზეთის ეკონომიურ მდგომარეობაზე მეტყველებს არქეოლოგიური მასალები, მოპოვებული მ. თრაფშის მიერ 1957-1958 წლებში ანაკოფიაში წარმოებული გათხრების დროს. იქ მოპოვებული მასალები მიუთითებენ მეურნეობის სხვადასხვა დარგის არსებობაზე და ხელოსნობის განვითარებაზე.

საერთოდ საეჭვო არ უნდა იყოს, რომ აფხაზეთში მარცვლეული კულტურების მოყვანა საკმაოდ განვითარებული იყო. კვების დარგში მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სავარაუდოა, რომ იმ დროს (VII-VIII სს.) მარცვლეულის გარკვეულ

მარაგს ინახავდნენ ომიანობის დროს ჯარისა და მოსახლეობის გამოსაკვებად. ამაზე უნდა მიუთითებდეს ანაკოფიაში მ. თრაფშის მიერ აღმოჩენილი ხელით საფქვავი ქვედა და ზედა დოლაბები. კოშკი № 6 გათხრისას აღმოჩენილი მასალის აღწერისას აღნიშნავს: „обнаружены... половина верхнего жернова ручной мельницы"[6]. ამ დოლაბის იქ აღმოჩენა შემთხვევითი მოვლენა არაა. იქვე აღმოჩენილ იქნა მეორე დოლაბიც, რომელიც წარმოადგენს ქვედა ნაწილს იმავე საფქვავი წისქვილისა. ეს ნაწილი მოთავსებული იყო იმავე კოშკში მხოლოდ მომდევნო ფენაში. ამის შესახებ მ. თრაფში წერს: „В слое „б" вместе с перечисленными находками обнаружены: фрагменты нижнего жернова ручной мельницы"[7]. ხელით საფქვავი ხელსაწყოების არსებობა მეტყველებს იმაზე, რომ ანაკოფიის სიმაგრეში დაგროვილი იყო საკმაო რაოდენობით მარცვალი, რომელიც განკუთვნილი იყო იქ დაბანაკებული გარნიზონის გამოსაკვებად. მაშასადამე, თუ შესაძლებელი იყო ჯარისათვის მარცვლის დაგროვება ასეთი რაოდენობით, მაშინ ეჭვის გარეშეა ისიც, რომ ამ მხარის მოსახლეობა მარცვლეული კულტურების ნაყოფით იკვებებოდა და ის საკმაოდაც განვითარებული იყო.

უნდა აღვნიშნოთ, რომ აბაზგიაში განვითარებული იყო მესაქონლეობაც. ამაზე უნდა მიუთითებდეს იმავე სიმაგრის ყველა კოშკში აღმოჩენილი სხვადასხვა საქონლის ძვლები. ძვლები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი. ეს კი ცხადჰყოფს იმას, რომ ანაკოფიის ციხეში გამაგრებული ჯარის ნაწილი იკვებებოდა ხორციითაც. თუ მესაქონლეობა არ იქნებოდა განვითარებული, მაშინ მეომრების საკვებად დიდი რაოდენობით ხორცის დამზადებაც ძნელი იქნებოდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ VII—VIII საუკუნეებში აბაზგიაში მესაქონლეობა საკმაოდ განვითარებული იყო.

მესამე კოშკის გათხრისას მეოთხე ფენაში აღმოჩენილ იქნა საწაფი, გაკეთებული ზღვის ქვისაგან. ამის შესახებ მ. თრაფში წერს: „В этом слое вместе с фрагментами посуды обнаружены три грузила из морской гальки"[8]. ანაკოფიაში აღმოჩენილი სამი საწაფი უნდა მიუთითებდეს მეთევზეობის არსებობაზე, რომლის განვითარების დონეზე

---

6 М. М. Трапш, Археологические раскопки в Анакопии в 1957—1958 гг. Труды Абхазского института языка, литературы и истории им. Д. И. Гулия АН Грузинской ССР, выпуск, XXX, Сухуми, 1960. стр. 134.

7 იქვე.

8 მ. თრაფში, დასახელებული შრომა, გვ. 130.

წარმოდგენის შექმნა და მისი ხვედრითი წონის განსაზღვრა სახალხო მეურნეობაში ძნელია.

საინტერესოა იმავე სიმაგრეში გათხრებისას აღმოჩენილი ხერხი, რომელსაც აქვს ნამგლისებური ფორმა. მ. თრაფში სხვა რკინის საგნებთან ერთად ასახელებს „серповидная пилка с боковой разрезной втулкой"[9]. თავისი ფორმის მიხედვით ხერხს უნდა ჰქონოდა ხის, ეტყობა, გრძელი ტარი. ასეთი სახის ხერხის გამოყენება შეიძლებოდა ხილისა და ვენახის სხლვისათვის. მისი გამოყენება სადურგლო საქმეში არ იქნებოდა მოხერხებული. ამას ხელს უშლიდა მისივე ფორმა. გრძელი ხის ტარი მას სჭირდებოდა სწორედ მაღალი ხეებისა და მაღლარი ვენახის სასხლავად. აღნიშნული ხერხის მსგავსი სასოფლო-სამეურნეო იარაღი მიუთითებს აბაზგიაში მეურნეობის დასახელებული სახეების (მეხილეობა, მევენახეობა) განვითარებაზე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ აბაზგიაში განვითარებული იყო სამეთუნეო წარმოება. ანაკოფიაში წარმოებულ გათხრებისას აღმოჩენილ იქნა სხვადასხვა სახის თიხის ჭურჭელი დიდი რაოდენობით. მართალია იყო საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი თიხის ჭურჭლის ფარგმენტები, მაგრამ ამავე დროს აღმოჩენილ იქნა ადგილობრივი მეთუნეების მიერ დამზადებული ჭურჭელიც. ერთ-ერთი გათხრისას აღმოჩენილ საგანზე მ. თრაფში წერს: «Весь разрез слоя «а» в целом пройден тремя штыками. В каждом штыке были выделены группы фрагментов разновременной посуды, охватывающей приблизительно VII—XII вв. н. э., IV—II вв. до н. э. и эпоху бронзы"[10]. არის ისეთი ფენებიც, რომლებიც მოიცავს დაახლოებით VIII—IX საუკუნეებს. ასეთ ფენას წარმოადგენს მეორე გათხრის „б" ფენა. ავტორი შემდგომ ამის შესახებ წერს: „В слое „б" найдены: обломки черепицы, черепки пифосов, горшков, кувшинов, фрагменты желобчатой амфорной посуды"[11]... ამ ფენას მ. თრაფში ათარიღებს VIII—IX საუკუნეებით. ადგილობრივი სამეთუნეო ნაწარმი დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ანაკოფიაში. ეს კი მიუთითებს მეურნეობის ამ დარგის განვითარებაზე.

როგორც ცნობილია, ანაკოფია აბაზგების მთავრობის რეზიდენციად ითვლებოდა. ის საკმაოდ მჭიდროდ დასახ-

---

9 მ. თრაფში, დასახელებული შრომა, გვ. 132.
10 იქვე, გვ. 132.
11 იქვე, გვ. 138.

ლებულ ჰუნქტს წარმოადგენდა და შესაძლებელია, რომ იქვე მზადდებოდა დასახელებული ჭურჭლები. მათ გარდა გათხრებისას აღმოჩენილ იქნა კრამიტის ნამსხვრევების დიდი რაოდენობა. ცხადია, რომ კრამიტი გამოიყენებოდა საცხოვრებელი და სხვა ნაგებობების დასახურავად. საფიქრებელია, რომ VII—VIII საუკუნეებში აბაზგიაში კრამიტი ფართოდ იყო გამოყენებული როგორც სახურავი მასალა[12].

საკმაოდ წინ წაიწია საამშენებლო საქმემ. მიმდინარეობდა ძლიერი ციხე-სიმაგრეების და სხვა სასიმაგრო კედლების მშენებლობა. VII-VIII საუკუნეებში მშენებლობაში ფართოდ გამოიყენებოდა კარგად გამომწვარი კირი. კირის გამოსაწვავი ღუმელი აღმოჩენილ იქნა იმავე ანაკოფიაში. როგორც ჩანს ანაკოფიის ციხისა და სასიმაგრო კედლის მშენებლობისას კირის გამოწვა ადგილობრივ წარმოებდა და ამ ღუმელის მიზანი იყო დასახელებული მშენებლობის კირით მომარაგება. ამის შესახებ მ. თრაფში აღნიშნავს: „Печь, по-видимому, была построена в период строительства или восстановления некоторых основных сооружений второй анакопийской оборонительной линии. Этому выводу не противоречат как материалы раскопок, так и величина печи, продукция ее могла быть рассчитана на строительные работы крупного масштаба“[13]. მშენებლობა კი მ. თრაფშის მიერ დათარიღებულია VII საუკუნით. როგორც ჩანს აქ გამომწვარი კირი საუკეთესო ხარისხისა ყოფილა. მისგან დამზადებული დუღაბი სწორედ ციხის კედლების ასაშენებლად იყო გამოყენებული.

აბაზგიაში არსებული მეურნეობის დარგები არ უნდა იყოს დამახასიათებელი მარტო აბაზგიისათვის. ჩვენ გვგონია, რომ ასეთსავე დონეზე იყო სახალხო მეურნეობა აფსილიაში და სანიგეთში. ამას ხელს უწყობდა მჭიდრო ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობა დასახელებულ მხარეებს შორის.

ამ მხარეებში მისდევდნენ მეხილეობა-მებაღეობასაც. უეჭველია ის, რომ მოხირისს არ დაუკარგავს უწინდელი მნიშვნელობა. აქ აგრეთვე მისდევდნენ მევენახეობა-მეღვინეობასაც.

---

12 საზოგადოების დაბალ ფენებს საშუალება არ ექნებოდათ სახლების კრამიტით დახურვისა, რამდენადაც მისი დამზადება საკმაოდ ძვირი ჯდებოდა. კრამიტი უფრო მეტად უნდა ყოფილიყო გამოყენებული მაღალი წრის წარმომადგენლების საცხოვრებელი სახლების და სხვა საერთო-სახალხო მნიშვნელობის მქონე ნაგებობათა დასახურავად.

13 მ. თრაფში, დასახელებული შრომა, გვ. 143.

განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ დასავლეთ საქართველოს მთაგორიანი რაიონები. ეს მხარეები განთქმული იყვნენ მესაქონლეობით. მეურნეობის ამ დარგის განვითარებისათვის აქ შესაფერისი პირობები იყო შექმნილი. სამაგიეროდ ამ მხარეში არ ხარობდნენ ის კულტურები, რომლებიც ხარობდნენ ბარის რაიონებში, როგორიცაა ხორბალი. მაგალითად, სვანეთში ძირითადი და წამყვანი მეურნეობა იყო მესაქონლეობა და მეფუტკრეობა.

მესაქონლეობა განვითარებული იყო დასავლეთ საქართველოს სხვა მხარეებშიც. მაგრამ იქ, სადაც მარცვლეული კულტურების მოყვანას მისდევდნენ, მესაქონლეობას ეჭირა მეორეხარისხოვანი ადგილი და წამყვანი იყო მარცვლეული და ტექნიკური კულტურები, მეხილეობა-მებაღეობა და მეევნახეობა-მეღვინეობა.

დასავლეთ საქართველოში სოციალური წყობილების შესახებ ცნობები, რომლებიც ეხება VII-VIII საუკუნეებს, არ მოგვეპოვება. ამიტომ ძნელია საზოგადოებრივი განვითარების დონის ზუსტად განსაზღვრა. მიუხედავად ამისა, შეიძლება ზოგი რამ დასკვნის გაკეთება იმ ცნობებიდან, რომლებიც ეხება წინა საუკუნეს და ამასთანავე, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ფეოდალური ურთიერთობის განვითარების საერთო კანონზომიერება და იმ ქვეყნების სოციალური წყობილების ზეგავლენა, რომლის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა ეს მხარე გარკვეულ დროის მანძილზე.

როგორც ცნობილია, VI საუკუნეში დასავლეთ საქართველოში ფეოდალური ურთიერთობა საკმაოდ განვითარებული იყო, რომლის დროსაც ფეოდალთა ბრძოლა პოლიტიკური ბატონობისათვის დაგვირგვინდა ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვებით. ფეოდალურმა რევოლუციამ გაიმარჯვა ლაზიკაში და აბაზგიაში. ამასობაში ეს ურთიერთობა იმარჯვებდა აფსილიაშიც. VI საუკუნეში გამარჯვებული ფეოდალური ურთიერთობა შემდგომ საუკუნეებში ვითარდებოდა. ამ ურთიერთობის ხელშემშლელი პირობები დასავლეთ საქართველოში არ იქმნება და არც შეიძლებოდა შექმნილიყო. VII-VIII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა ბიზანტიის გავლენა, მაგრამ ეს იმპერიაც იყო ფეოდალური. მართალია, იქ ეს ურთიერთობა სხვა პირობებში ვითარდებოდა, მაგრამ ამ პირობებს აღარ შეეძლოთ უარყოფითი ზეგავლენა მოეხდინათ დასავლეთ საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის განვითარებაზე ამრიგად, ბიზანტიის გავლენას შეეძლო მხოლოდ ფეოდალური ექსპლოატაციის გაძლიერება.

ბიზანტიის გავლენა ლაზიკაზე გაგრძელდა VII საუკუნის მიწურულამდე. ამის შემდეგ იწყება არაბების ბატონობა, მაგრამ არც ეს ბატონობა იყო მაინცდამაინც ისეთი ძლიერი, რომ მას შესძლებოდა უკვე გამარჯვებული ფეოდალური ურთიერთობის შემდგომი განვითარების შეფერხება. მან შეაფერხა მხოლოდ მიწათმოქმედების შემდგომი განვითარება. მართალია არაბებს ლაზიკა იარაღით არ დაუპყრიათ და არ ჰქონია ადგილი ისეთ ხანგრძლივ და უწყვეტ ომებს, როგორც ეს ხდებოდა VI საუკუნეში ბიზანტიასა და ირანს შორის ომების დროს, მაგრამ მაინც არაბებმა უარყოფითი გავლენა მოახდინეს სოფლის მეურნეობის ინტენსიურობაზე. ეს გამოწვეული იყო მიწის მფლობელობის სხვადასხვა ფორმებით, რომელიც იმ დროისათვის დამახასიათებელი იყო ამ ორი ქვეყნისათვის. დასავლეთ საქართველოში მიწაზე კერძო ფეოდალური საკუთრება იყო, ხოლო არაბებში მიწის მესაკუთრე იყო სახელმწიფო (განსაკუთრებით კი ეს ეხებოდა დაპყრობილ ქვეყნებს). მიწის საკუთრების ამ ფორმაზე ე. ბელიაევი და ა. იაკუბოვსკი სამართლიანად აღნიშნავენ, რომ „При Аббасидах в большинстве стран Халифата по-прежнему преобладала феодальная государственная собственность на землю и воду“[14]. ეს იყო არა მარტო დაპყრობილ ქვეყნებში, არამედ თვით სახალიფოშიც. იგივე ავტორები მიწის საკუთრების ასეთ ფორმაზე აღნიშნავენ შემდეგს: „Наибольшая часть земельного фонда и оросительных сооружений в основных областях Халифата являлась собственностью государства. Меньшую часть земельного фонда составляли земли халифской фамилии (санафи) и земли, находящиеся в частной собственности“[15].

მიწის საკუთრების არაბული წესის შესახებ ზ. ანჩაბაძე წერს: „По арабским законам, частные владельцы могли получить землю лишь на началах условного феодального держания („икта“), которое давалось лишь во временное или пожизненное пользование служилым людям мусульманам по вероисповеданию“[16]. მიწის საკუთრების ეს ფორმა დასავლეთ საქართველოს ტომებისათვის უცხო იყო.

მიწის მფლობელობის ქართული წესი იმ დროისათვის შედარებით პროგრესული იყო, ვიდრე არაბული წესი. მიწის ფეოდალური საკუთრების დროს მისი მფლობელი ფეოდალი

---

14 Всемирная история, т. III, 1957, стр. 115.

15 იქვე, გვ. 113.

16 ზ. ანჩაბაძე, დასაბეჭდებული შრომა, გვ. 90.

მეტად დაინტერესებულია საკუთარი მამულის უკეთესად დამუშავებაში, ვიდრე მიწის სახელმწიფოებრივი საკუთრების დროს, როცა მიწის მფლობელი ჰკარგავდა ყოველგვარ სტიმულს. სწორედ ამაში გამოიხატებოდა მიწის საკუთრების ქართული წესი. როდესაც მიწა ფეოდალის საკუთრებას წარმოადგენს, მაშინ ის დაინტერესებულია მისი უკეთ დამუშავებით. მაგრამ, როცა ფეოდალმა, თუნდაც გლეხმა, იცის, რომ მას ოდესმე ჩამოართმევენ მიწას, ის ნაკლებად დაინტერესდება მისი დამუშავებით. გარდა ამისა, არაბები მიწას ართმევდნენ ქართველ ფეოდალებს, რამდენადაც ამ საკუთრებას საფუძვლად ედებოდა მაჰმადიანური სარწმუნოების აღიარებაც. ასე რომ ქართველ ფეოდალს (ძირითადად) უხდებოდა არაბთა სამსახურში შესვლა და ამავე დროს სარწმუნოების შეცვლაც. რა თქმა უნდა, ქართველ ფეოდალებს ერთიცა და მეორეც არ მოსწონდათ და ემზადებოდნენ არაბთა ამ ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არც არაბთა ბატონობას შეეძლო ფეოდალური ურთიერთობის, როგორც სოციალური ურთიერთობის, განვითარების შეჩერება. ეს ურთიერთობა უნდა ვითარდებოდეს და კიდეევაც ვითარდებოდა. სწორედ ფეოდალური ურთიერთობის განვითარების შედეგი უნდა ყოფილიყო ის მისწრაფება დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისაკენ, რომელსაც ვხედავთ VIII საუკუნის დასაწყისიდანვე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ფეოდალური ურთიერთობის განვითარების შედეგად იქმნება მსხვილი ფეოდალური ერთეულები, რომლებიც შემდეგში მიისწრაფვიან ქვეყნის გაერთიანებისაკენ. თუმცა არის შემთხვევებიც, როცა ეს მსხვილი ფეოდალები ქვეყნის გაერთიანების მაგიერ მის დაშლა-დაქუცმაცებას უწყობდნენ ხელს. ფეოდალური ურთიერთობის შესახებ აკად. ს. ჯანაშია წერდა: „ფეოდალური ურთიერთობის ზრდა იქ (დასავლეთ საქართველოში — მ. გ.) გამოიხატა თვით ფეოდალური ურთიერთობის გამსხვილებაში... გასაგებია, რომ უპირატესობა სწორედ ლაზთა სამთავროს ხვდა წილად — მას ეჭირა ყველაზე ნაყოფიერი დაბლობი რიონის ხეობისა, სადაც ყველაზე უფრო შესაფერისი პირობები იყო მსხვილი მიწისმფლობელობის განვითარებისათვის. თვით ასეთი გამსხვილება ფეოდალური ერთეულებისა აქ შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ პოლიტიკური ხელისუფლება აქ თავისი წარმოშობით იმთავითვე ფეოდალური ხასიათისა იყო და ახლად წარმოშობილი პოლიტიკური წარმონაქმი —

ლაზთა სამეფოც — სტრუქტურულად ასევე ფეოდალურ ხასიათს ატარებდა"[17].

ამჟამადაც ვამჩნევთ ფეოდალური ერთიულების გამსხვილებას. VIII საუკუნის პირველ ნახევარში უკვე მთელი აფხაზეთი გაერთიანებულია და აფხაზი ერისთავები (ესენიც არიან მსხვილი ფეოდალები) მიისწრაფვიან დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისაკენ. ე. ი. თუ ერთ დროს, ფეოდალური ურთიერთობის განვითარების საფუძველზე ეგრისმა შესძლო დასავლეთ საქართველოს გაერთიანება, ეხლა კი ჯერ აბაზგიის მთავრებმა და შემდეგში გაერთიანებული აფხაზეთის ერისთავებმა, შესძლეს დასავლეთ საქართველოს გაერთიანება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფეოდალური ურთიერთობა აბაზგიაში სწრაფად ვითარდებოდა. აქ გაბატონდა მეურნეობის ფეოდალური სისტემა და მმართველობაშიაც აღიბეჭდა ამ სისტემის გამარჯვება. ამიერიდან ფეოდალური ურთიერთობა აქ თანდათან ვითარდება ყოველგვარი შეფერხების გარეშე. სახალხო მეურნეობაც VII—VIII საუკუნეებში ვითარდებოდა შეუფერხებლად. აქ მიწის საკუთრების ადგილობრივ სისტემას წინააღმდეგობა არ შეხვედრია უცხო მოძალადის მხრივ, როგორც ლაზიკაში, ვინაიდან იქ არაბებმა სულ მცირე ხანი დაჰყვეს და მათ ვერ შესძლეს თავიანთი წესების გავრცელება.

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა იყო აფსილიაშიც. არაბებმა ვერც აქ იბატონეს დიდხანს. სწორედ მიწის საკუთრების ის ფორმა, რომელიც დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი იყო, შენარჩუნებულ იქნა აფსილიაშიც. ეს კი ხელს უწყობდა მიწის ინტენსიურ დამუშავებას. აფსილია არაბების ბატონობისაგან თავისუფალი იყო. ის დალაშქრა მურვანმა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ხანმოკლე ლაშქრობა.

მაშასადამე, არაბები VIII საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთ საქართველოდან განდევნილ იქნენ და მათი გავლენა სოციალური ურთიერთობის განვითარებაზე უმნიშვნელო იყო.

როგორც აღვნიშნეთ, დასავლეთ საქართველოში ძირითადად ფეოდალური ურთიერთობა იყო გამარჯვებული, მაგრამ ამავე დროს ამ ქვეყნის მთიან რაიონებში ისევ გვაროვნული წყობილება მნიშვნელოვნად შემონახული იყო. თუმცა იქაც იჭრება ფეოდალური ურთიერთობის ჩანასახები, მაგრამ წამყვანს მაინც თემური წყობილება წარმოადგენდა.

---

17 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, გვ. 234, (განტვირთვა ჩვენია).

ასეთი მხარეების მეურნეობის ძირითადი სახე მესაქონლეობა იყო.

თუ ლაზიკაში VII საუკუნეში და VIII საუკუნის პირველ ნახევარში ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო სახალხო მეურნეობა ნელი ტემპით ვითარდებოდა, VIII საუკუნის მეორე ნახევარში აქ იქმნება სავსებით ხელსაყრელი პირობები სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისათვის. იქიდან არაბების განდევნის დღიდან მშვიდობიანობა მყარდება და ქართველ ფეოდალებს შესაძლებლობა ეძლევათ განაახლონ თავისი მეურნეობა. ამიერიდან ეს მხარე ეკონომიურად ძლიერდება და ამ ძლიერების შედეგი უნდა იყოს ამ მხარის მესვეურების მისწრაფება მთელი საქართველოს გაერთიანებისაკენ.

ამრიგად, VIII საუკუნის ბოლოსათვის დასავლეთ საქართველოში გვაქვს გამარჯვებული და მზარდი ფეოდალური ურთიერთობა განვითარებული სახალხო მეურნეობით. ამ მხარის ეკონომიური და სოციალური გახვითარების შედეგი იყო შემდეგში მისი გაერთიანება და ბრძოლა პირველობისათვის საქართველოს სამთავროთა შორის.

2. პოლიტიკური ვითარება.

VI საუკუნეში დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ვითარება ასეთი იყო: ლაზებს ჰყავდათ მეფე, რომელიც კეისარს ემორჩილებოდა ვასალური დამოკიდებულების საფუძველზე. ლაზების მეფეს ემორჩილებოდა სვანების მთავარი, რომლის თანამდებობა უახლოვდებოდა ტომის ბელადის თანამდებობას. ასევე ლაზების მეფეს ემორჩილებოდა აფსილების სარდალი, რომელიც მაგისტროსის წოდებას ატარებდა. აბაზგებს კი 550 წლამდე ჰყავდათ თავიანთი „მეფეები" (მთავრები), რომლებიც კეისარს ემორჩილებოდნენ. ხოლო ამ წლის ბიზანტიის წინააღმდეგ აჯანყების დამარცხების შემდეგ მეფის თანამდებობა გაუქმებული იყო. VII საუკუნიდან აბაზგების მმართველები მთავრებად იწოდებიან. აბაზგების მთავრები ლაზიკის პატრიკიოზებს არ ემორჩილებიან. ეს გამოწვეული იყო იმითაც, რომ თვით ეგრისის მმართველის ხელისუფლებაც ჩამოქვეითებული იყო.

VII საუკუნეში ვითარება იცვლება. ვითარების ამ შეცვლას ხელი შეუწყო ბიზანტიასთან ურთიერთობამაც.

შემდგომი განვითარების ძირითადი პირობა იყო ფეოდალური საზოგადოების განვითარების თავისებურება და და-

სავლეთ საქართველოს ტომებში ეთნიკური ცვლილებების გზები.

VII ს. ეგრისში პოლიტიკური ვითარება იცვლება. აქ ერთ დროს მართავდა მეფე, მაგრამ VII საუკუნეში მეფის ხელისუფლება დაცემულია. ამაზე პირდაპირ მიუთითებს VII საუკუნის მეორე ნახევრის საბუთი ანასტასის ლაზიკაში გადასახლებასთან დაკავშირებით. ამ საბუთში მოხსენებულია აფსილიისა და მისიმიანიის მხარის მმართველები, რომლებიც იმავე დროს ლაზიკის პატრიკიოზები არიან, ხშირად იდევნებიან. აგრეთვე ამ საბუთში რამდენიმე ადგილას ნახმარია ტერმინი „მთავარი" ლაზიკის მმართველის მიმართ. ლაზიკის მმართველი ხშირად იდევნება და ამ დევნილობისას თავს აფარებს აბაზგიის მთავრებს, რომლებიც ლაღად გრძნობენ თავს საკუთარ ქვეყანაში და ხშირადაც მათ რჩევას ასრულებს. ანასტასი ლაზიკის მმართველის შესახებ წერს: „რამდენიმე დღის შემდეგ იქიდან გააძევეს ზემოხსენებული მთავარი"[18]. ამ ცნობიდან ჩანს ისიც, რომ უფლებაშეზღუდული მთავრის მდგომარეობა მტკიცე არ ყოფილა. ის იდევნება საკუთარი ქვეყნიდან.

VII საუკუნისათვის ლაზიკის მთავრის თანამდებობა უტოლდება აბაზგიის მთავრის თანამდებობას. მაგრამ ამავე დროს მისი მდგომარეობა სავსებით განსხვავდებოდა აბაზგიის მთავრის მდგომარეობისაგან. ეგრისის ყოფილი სამეფო დაშლის გზას ადგა, ხოლო აბაზგიის სამთავრო თანდათანობით ძლიერდებოდა. ამაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ წინათ ლაზიკის სამეფოში შემავალი აფსილია უკვე თითქმის გამოეყო მას და აბაზგიის მთავრების გავლენის ქვეშ მოექცა, თუმცა ჯერ კიდევ აქ ლაზიკის მთავრის გავლენა ნაწილობრივ ვრცელდებოდა. ლაზიკის ერთი მთავარი სამუდამოდ იდევნება და „შემდეგ, მის ადგილას მოსული სხვა მთავარი თანაგრძნობით"[19] შეხვდა ანასტასს. ერთი მთავარი იცვლება მეორით, თუმცა გაუგებარია ირჩეოდა თუ ინიშნებოდა ეს მთავარი. არც ახალი მთავრის მდგომარეობა იყო მყარი; ისიც იდევნებოდა ხშირად. იგივე ანასტასი ლაზიკის მმართველს პატრიკიოზსაც უწოდებს.

მაქსიმეს გარდაცვალებიდან ჩვენ ლაზიკის შესახებ ცნობებს გვაწვდის თეოფანე ყამთააღმწერელი, მაგრამ მის ცნობებში არ არის აღნიშნული ლაზიკის პატრიკიოზის ხელისუფლების დაცემის პირობები. მაინც უეჭველია ის, რომ ლაზიკის პატრიკიოზის ხელისუფლება თანდათანობით იზღუდებოდა და საბოლოოდ მოისპო. მართალია პ. ინგოროყვა ამტკი-

---

18 გეორგიკა, ტ. IV, ნაკ. I, გვ. 44.
19 იქვე, გვ. 44.

ცებს, რომ ლაზიკის უკანასკნელი მმართველები ერისთავებად იწოდებოდნენ, რომლებიც აფხაზეთში გადასახლდნენ და-იქ განამტკიცეს თავიანთი მდგომარეობა, მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეიცავს. ეს საკითხი შემდეგ თავში იქნება განხილული.

VII საუკუნეში, როგორც აღვნიშნეთ, აფხაზეთის მმართველები იწოდებიან მთავრებად. ამაზე მიუთითებს თეოდოს-განგრელის ცნობა იმავე ანასტასის ლაზიკაში გადასახლებასთან დაკავშირებით. „იქაურმა ქრისტესმოყვარე მმართველებმა ურჩიეს, რომ ჩემთან თანაგრძნობით ყოფილიყო და სრულიადაც არ ეწარმოებინა დევნა, ჩემგან სიტყვები ესმინა და არა გმინვა, და ისიც შეჰპირდა მათ, რომ, თუ ის იქიდან დაადწევდა თავს და აღიდგენდა მმართველობას, ყველაფერს შეასრულებდა ჩემს სანუგეშებლად და დასამშვიდებლად (უნდა ითქვას, რომ თვითონ ისინი, აბაზგიის ქრისტესმოყვარე მთავრები, თანამიგრძობდნენ მე, საწყალობელს, თუმცა არ მიცნობდნენ)“[20].

„მთავარ:“ მისი სრული მნიშვნელობით მფლობელს ნიშნავს და ის განსხვავდება „ერისთავისაგან“. ერისთავი მეფის მოხელეა და მეფეს შეუძლია მისი დანიშვნა და გადაყენება. მთავარი კი დამოუკიდებელია და სარგებლობს იგივე მეფის უფლებებით. ამრიგად, მთავარი მხოლოდ უცდის ხელსაყრელი პირობების შექმნას, რომ აბსოლუტური დამოუკიდებლობა მოიპოვოს. მთავარი თავის ქვეყანას მემკვიდრეობით ფლობს.

როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველოს ტომები მონათესავენი იყვნენ, მაგრამ ამავე დროს ზოგი მათგანის ენა და ზნე-ჩვეულებანი ერთმანეთთან უფრო ახლოს და საერთო წარმოშობისა იყვნენ, ვიდრე სხვა ტომებისა. VII საუკუნეში ხდება ზოგიერთი ტომების კონსოლიდაცია და ზოგიც ინარჩუნებს ტომობრივ დამოუკიდებლობას მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთ პოლიტიკურ ერთეულში შედიოდნენ. სვანები და ლაზები უფრო განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან და მათ შეინარჩუნეს ერთიმეორისაგან განსხვავებული საკუთარი სამეტყველო ენა, მიუხედავად მათი განუწყვეტელი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობისა და ეროვნული ერთიანობისა. ხოლო მისიმიელები, როგორც ჩანს, მალე შეუერთდნენ აფსილებს, რაც თვით საზოგადოების განვითარების შედეგი იყო. ასევე აბაზგებისა და სანიგების შერწყმა ძირითადად სრულდება VIII საუკუნეში. ამავე

---

20 გეორგიკა, ტ. IV, ნაკ. I, გვ. 43.

დროს სრულდება აბაზგეთისა და აფსილეთის ეკონომიური, პოლიტიკური და ეთნიკური გაერთიანება. ამ გაერთიანების შედეგი იყო, რომ ცხუმი ითვლებოდა აფსილეთისა და აბაზგეთის ქალაქად[21]. წყაროებში, რომლებიც VIII საუკუნის ამბებს აღწერენ, მითითებულია, რომ ქალაქი ცხუმი ერთი და იმავე დროს ეკუთვნოდა აფსილეთსაც და აბაზგეთსაც. იქ აღნიშნულია „ქალაქი აფხაზეთისა და აფშილეთისა ცხუმი"[22]. „ქართლის ცხოვრების" ახალ გამოცემაში (ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით) აღნიშნულია მხოლოდ „ქალაქი აფშილეთისა ცხუმი"[23] და გამოტოვებულია „აფხაზეთისა". აქ უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ანასეული „ქართლის ცხოვრების" ავტორს მხედველობაში ჰქონდა აბაზგეთისა და აფსილეთის ერთიანობის ამბავი. ამას ადასტურებს ისტორიული სინამდვილე, არაბების განდევნის შემდეგ აბაზგია და აფშილეთი გაერთიანებულია ერთ საერისთავოში.

VII საუკუნეში აფსილეთი აფხაზეთის შემადგენლობაში არ შედიოდა და მდინარე ეგრისის დასავლეთი მხარე ლაზიკის პატრიკიოზს ემორჩილებოდა. VIII საუკუნის მეორე ნახევარში აფსილეთი, როგორც პოლიტიკური ერთეული, აღარ იხსენიება. აგრეთვე სანიგების ჩრდილოეთით მოსახლე ტომებიც, ეტყობა, აფხაზების მონათესავე ტომები ყოფილან. თუ VII საუკუნეში აბაზგიის ჩრდილოეთი საზღვარი მდინარე ბზიფს არ სცილდებოდა, VIII საუკუნისათვის კი ეს საზღვარი აღწევდა მდინარე ნიკოფსიამდე. სწორედ ბზიფსა და ნიკოფსიას შორის მოსახლე ტომებიც აფხაზების ახლო მონათესავე ტომები იყვნენ და მათთან გაერთიანება ხელსაყრელი პირობების შექმნისას არ გართულებულა. ზ. ანჩაბაძე ამის შესახებ სამართლიანად აღნიშნავს: „В источниках не сохранилось сведений о том, каким образом граница Абазгии (Абхазии) была доведена до р. Нечепсухо. Важную роль здесь, очевидно, сыграло то обстоятельство, что данная территория (от Бзыби до Нечепсухо) была заселена ближайше родственным абазгам населением — санигами и зехами. Общие интересы борьбы против иноземных захватчиков (в частности, против хазаров) также стимулировали, надо полагать, это объединение"[24].

ამრიგად, VIII საუკუნის პირველ ნახევარში აბაზგეთის

---

21 დაწვრილებით იხილეთ ზ. ანჩაბაძის დასახელებული შრომა, გვ. 69.
22 ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1942, თბილისი.
23 ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 235.
24 ზ. ანჩაბაძე, დასახელებული შრომა, გვ. 68.

მონათესავე ტომების გაერთიანება ძირითადად დამთავრდა. სწორედ ამ ტომების შერწყმის შედეგად შეიქმნა ერთი ეთნიკური ერთეული, რომელიც შემდეგში ქართულ წყაროებში, აფხაზების სახელწოდებით არის ცნობილი, ხოლო ბერძნულ წყაროებში კი იწოდება აბაზგიად. იქმნება ერთი ენა და ერთი პოლიტიკური ერთეული. სწორედ VIII საუკუნის აფხაზეთის ეთნიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შეჯამებას წარმოადგენს ზ. ანჩაბაძის აზრი, სადაც აღნიშნულია: „Таким образом, процесс образования аохазской феодальной народности завершился, в основном, в VIII в. Главную роль в формировании абхазской народности сыграли абазги и апсилы. Слияние этих мелких народностей привело к созданию этнического ядра единой абхазской феодальной народности, с которым впоследствии слились и другие этнические компоненты, бытовавшие на территории исторической Абхазии — мисимиане, саниги и др. Обитатели горных районов Абхазии, по-видимому, в меньшей степени были втянуты в процесс этнической консолидации абхазского народа“[25]. აფხაზეთში ერთიანი ფეოდალური ეროვნების შექმნა ხელს უწყობდა ერთი პოლიტიკური ერთეულის შექმნას. ამ ახლად შექმნილი პოლიტიკური ერთეულის სიძლიერეც სწორედ ამ ერთიანობაში გამოიხატებოდა. მონათესავე ტომების ეს კავშირი გამოდგა მეტად მტკიცე, ვიდრე ლაზიკის სამეფოში შემავალი სხვა ტომების კავშირი.

ქართულ წყაროებში VIII საუკუნის პირველი ნახევრის აფხაზეთის მმართველი იწოდება ერისთავად, ხოლო ბერძნულ წყაროებში ეს არაა აღნიშნული. მაგალითად ქართულ წყაროში აღნიშნულია „...შენდა მიბრძანებიეს ერისთაობა აფხაზეთისა შენ და შვილთა შენთა და მომავალთა შენთა მიუკუნისამდე“[26]. აქ ტერმინი „ერისთავი“ ხელოვნურადაა ნახმარი, ვინაიდან VII საუკუნის მეორე ნახევრიდან აფხაზეთის მმართველებს „მთავრებს“ უწოდებდენ, ხოლო მას აქეთ ბიზანტიისათვის ხელსაყრელი პირობები არ შექმნილა, რომ აფხაზეთის მთავრის ხელისუფლება დაექვემდებარებია. იმ დროს არაბების შემოსევა ამის საშუალებას არ იძლეოდა. ფაქტიურად ლეონ II (რომელიც უკვე VIII საუკუნეში მოღვაწეობდა) აფხაზეთის ხელმწიფე იყო, რომელიც გარკვეული ხელშეკრულების საფუძველზე ემორჩილებოდა არჩილს. სწორედ ამაზეა მითითებული იმავე საბუთში, სადაც სწერია: „ამიე-

25 ზ. ანჩაბაძე, დასახელებული შრომა, გვ. 69.
26 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 240.

რითგან ნულარამცა ხელგეწიფების ვნებად მათდა საზღვართა მათთა ეგრისათა, ვიდრემდის იყვნენ მანდა ანუ განვიდენ მანდით"[27]. ეს ადგილი მიუთითებს იმაზე, რომ აფხაზეთის მმართველი ხელმწიფეა და მისი ხელმწიფობა არ უნდა ყოფილიყო არჩილისათვის ზიანის მიმყენებელი. გარდა ამისა ერისთავს უფლება არ ჰქონდა სხვისი ტერიტორიების დაპყრობისა და ლეონისათვის ცხადი უნდა ყოფილიყო ეს ამბავი და არ უნდა დასჭირებოდა კეისრის მიერ გაფრთხილება. სინამდვილეში ლეონი მოქმედებს დამოუკიდებლად საკუთარი მოსაზრებების მიხედვით. ამის შესახებ დაწვრილებით შემდეგ თავში აღვნიშნავთ.

ამრიგად, აფხაზეთის მთავრების ხელისუფლება თანდათანობით მტკიცდება და VIII საუკუნის ორმოცდაათიან წლებისათვის მის ხელქვეით გაერთიანებული იყო თითქმის მთელი ის ტერიტორია, რომელსაც დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია მოიცავს, ე. ი. VIII საუკუნის ორმოცდაათიანი წლების ბოლოს უნდა დასრულებულიყო აფხაზეთის გაერთიანება. აფხაზეთის მთავრის პოლიტიკურ უფლებებზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ არაბების წინააღმდეგ ბრძოლისას მას ურთიერთობა არ ჰქონია ბიზანტიასთან და არც ქართლის მეფეს ემორჩილებოდა. პირიქით, ქართლის მეფეები მაშინ თავშესაფარს მასთან ეძებდენ და საერთო მტრის წინააღმდეგ იბრძოდნენ გაერთიანებული ძალით.

VIII საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოდან ეგრისი არჩილის სამფლობელოს წარმოადგენდა. აქ სავარაუდოა, რომ დასავლეთ საქართველოს ის ნაწილი, რომელიც არჩილის სამფლობელოს წარმოადგენდა, არ იყო ერთიანი. აქ ერთგვარ აშლილობას უნდა ჰქონოდა ადგილი, რომელიც ამ მხარის პოლიტიკურ დასუსტებას ხელს უწყობდა. სწორედ ასეთ მდგომარეობასაც ხელი უნდა შეეწყო აფხაზეთის მთავრის მიერ დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისათვის.

ამრიგად, VII საუკუნეში დასავლეთი საქართველო პოლიტიკურად დაშლილია. ამ დროს ლაზების მმართველის ხელისუფლება საკმაოდ დაცემულია, ხოლო აბაზგიის მთავრებისა შედარებით უფრო ძლიერია. ეს აშკარად ჩანს VII საუკუნის მეორე ნახევარში.

VIII საუკუნის დასაწყისშიაც დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა — აქ არაბები ბატონობენ. არაბების ბატონობა ძირითადად შეეხო ეგრისს და ნაწილობრივ აფსილეთსაც. აბაზგია პოლიტიკუ-

---

27 ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 240.

რად ძლიერდება და ის იქცევა არაბების წინააღმდეგ ბრძოლის ბურჯად.

ასეთი იყო დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა VII და VIII საუკუნეებში. არაბებისა და ბიზანტიელების წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი შედეგების შესახებ საკითხი განხილული იქნება მომდევნო თავში.

თ ა ვ ი V

დასავლეთ საქართველოს ურთიერთობა ბიზანტიასთან VII—VIII სს.

1. ბრძოლა არაბებთან და ბიზანტიასთან

VI საუკუნეში დასავლეთ საქართველო ვასალურ დამოკიდებულებაში იყო ბიზანტიასთან. ამ ურთიერთობის შინაარსის შესახებ ზემოთ იყო აღნიშნული. ეს ვასალური დამოკიდებულება გრძელდება მომდევნო ორ საუკუნეში.

VII საუკუნის პირველ მეოთხედში დასავლეთ საქართველოზე ბიზანტიის გავლენა უნდა დასუსტებულიყო. იმ დროისათვის იმპერია პოლიტიკურად დასუსტებულია. იმ დროს ბიზანტია განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მას დიდი საფრთხე მოელოდა აღმოსავლეთიდან. აგრეთვე ეს პერიოდი ემთხვევა ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვებას ბიზანტიის იმპერიაში. იქმნება თემური ორგანიზაციები. ამ ორგანიზაციების შექმნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ნაციონალური ჯარის შექმნა, რომელიც უფრო სანდო იქნებოდა შემოსეული მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, ვიდრე დაქირავებული ჯარი. „თემების ჩამოყალიბება უკავშირდება ქვეყნის ფეოდალიზაციას, ე. ი. ის თემები, რომლებიც ჩამოყალიბდა VII საუკუნეში ირაკლის დროს, წარმოადგენენ იმ მსხვილ ფეოდალურ სამფლობელოებს, რომელთა მფლობელებს, ფეოდალებს, თავის მხარეში ძალაც და გავლენაც მოეპოვებოდათ, პატარა მაგრამ სანდო ჯარიც ჰყავდათ და ეკონომიურადაც ღონიერნი იყვნენ"[1]. ამ ფეოდალის ხელში გაერთიანებული იყო სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლება, რომელიც მის პოლიტიკურ ძლიერებას ხელს უწყობდა. მთავრობაც ხელს უწყობდა ამ ფეოდალების გაძლიერე-

1 ს. ყაუხჩიშვილი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, პირველი წიგნი, 1948, გვ. 165.

ბას იმ თვალსაზრისით, რომ ძლიერი ფეოდალი მესაზღვრე რაზმით დაიცავდა ქვეყნის მისადგომებს. VII საუკუნეში აზიაში არსებული ოთხი თემიდან სამი თემის ჩამოყალიბების მიზანი იყო არაბთა შემოსევებისაგან თავდაცვა. ეკონომიურად და პოლიტიკურად გაძლიერებული ფეოდალი ხშირად მიისწრაფოდა ცენტრალური ხელისუფლებისაკენ. აგრეთვე VII საუკუნის პირველ ათეულ წლებში ბიზანტიაში მწვავდებოდა კლასობრივი წინააღმდეგობა. უკმაყოფილება იზრდებოდა ჯარშიც, რაც გამოწვეული იყო ფეოდალური ლაშქრის შექმნით. მოლაშქრე მიწათმოქმედის მდგომარეობაში იმყოფებოდა. ხარჯები სამხედრო საჭიროებისათვის მცირდებოდა და ჯარში ძველ რომაულ წესებს ნერგავდნენ. 588 წელს სპარსეთის წინააღმდეგ მებრძოლ ჯარში დიდი უკმაყოფილება იყო. ასეთ ამბოხებებს ჰქონდა ადგილი 594 და 600 წლებში. ყველაზე ძლიერი ამბოხება იყო 602 წელს. ეს ამბოხება დაიწყო მაშინ, როცა ჯარს უბრძანეს დუნაის გაღმა მტრის ტერიტორიაზე დაბანაკება. აჯანყება მოხდა ცენტურიონ ფოკას მეთაურობით, რომელმაც მავრიკის მთავრობა გადააყენა. ამ გადატრიალებას მ. ლევჩენკო შემდეგნაირად ახასიათებს: „Таким образом, политический переворот 602 г., движущими силами которого была армия и константинопольский плебс, сбросил правительство крупных земельных собственников"[2]. რამდენადაც მსხვილი მიწათმფლობელების მთავრობა იქნა გადაყენებული, ამდენად ეს უკანასკნელნი ფოკას ოპოზიციაში ედგნენ. VII საუკუნის პირველ ათეულ წლებში გამწვავებული კლასობრივი წინააღმდეგობის შედეგად დაწყებული სამოქალაქო ომი გრძელდებოდა ირაკლის მეფობამდე. ამ სამოქალაქო ომის შესახებ მ. ლევჩენკო წერს: „Эта гражданская война, в которой на первый план выступают партии зеленых и голубых, была борьбой не только династической, но и социальной, религиозной, племенной и велась со страшным ожесточением"[3]. ასეთ პირობებში მყოფ ბიზანტიის მთავრობას აღარ შეეძლო განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა დასავლეთ საქართველოსათვის.

VI საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან ვიდრე ირაკლის მეფობამდე, დასავლეთ საქართველოს ტომები, განსაკუთრებით ლაზები, ნაკლებად იჩაგრებოდნენ ბიზანტიელების მიერ. ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა უნდა ყოფილიყო მხო-

---

[2] მ. ლევჩენკო, დასახელებული შრომა, გვ. 104.

[3] იქვე, გვ. 104.

ლოდ და მხოლოდ გარკვეულ ხელშეკრულებაზე დამყარებული. ბიზანტიას უკვე იმ დროისათვის აღარ შეეძლო ძალით ლაზიკისა და აბაზგიის დამორჩილება. თუ ჯერ კიდევ ლაზიკა და აბაზგია რჩებოდა ფორმალურად ბიზანტიის გავლენის ქვეშ, ეს იმას ნიშნავდა, რომ სხვა უცხო დამპყრობელს არ ეცალნა მათი დამორჩილება. რამდენადაც ბიზანტია ითვლებოდა დასავლეთ საქართველოს ტომების მფარველად, ამდენად ამათ წინააღმდეგ ომი ნიშნავდა თვით ბიზანტიის წინააღმდეგ ომს. ამრიგად, მტერი ადვილად ვერ ბედავდა დასავლეთ საქართველოს დაპყრობას. ეს ფორმალური მხარე ურთიერთობისა გახდა მშვიდობიანობის ერთგვარი გარანტია.

ურთიერთობა შესამჩნევად იცვლებოდა ირაკლის მეფობისას. ამ ურთიერთობის ერთგვარ შეცვლას ხელი შეუწყო თვით ბიზანტიის იმპერიის შიგნით მომხდარმა ცვლილებამ.

როგორც აღვნიშნეთ, ფოკამ გადმოაგდო მავრიკის მთავრობა. ბიზანტიის ისედაც დაუძინებელი მტერი ირანი ახლა ცდილობს ბიზანტიის პროვინციების დაპყრობას. ირანელებმა ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთი ტერიტორიები დაიპყრეს და აგრეთვე მნიშვნელოვანი ქალაქი დარა 605 წელს აიღეს. ბიზანტიისათვის სახიფათო მდგომარეობა იქმნებოდა. საჭირო იყო ქვეყნის ძალების გაერთიანება. ასეთ დროს ფოკას წინააღმდეგ აჯანყდა აფრიკის ექზარხოსი ირაკლი. აგრეთვე 609 წელს ფოკას აუჯანყდნენ აფრიკის მსხვილი მიწათმფლობელები, რომლებსაც მხარი დაუჭირა ჯარმა. ამ აჯანყებამ გაიმარჯვა. აფრიკის ჯარს მხარს უჭერდა მწვანეების პარტია. აფრიკაში აჯანყების გამარჯვების შემდეგ კონსტანტინეპოლში პურის შემოგზავნა შეწყდა და ფლოტიც დაიძრა დედაქალაქის ასაღებად. 610 წელს ფოკა გადააყენეს და დასაჯეს კიდეც. ამავე წელს სენატმა მხარი დაუჭირა ირაკლის და იგი ტახტზე აიყვანა.

პირველ ხანებში ირაკლიმ ვერ შესძლო ქვეყნის ძალების გაერთიანება და ხალხთა მასების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ქვეყანა ზედიზედ კარგავს პროვინციებს. ირანელები 611 წელს ანტიოქიას დაეუფლნენ, 613 წელს დამასკო აიღეს, 619 წელს კი ეგვიპტე დაიპყრეს. კონსტანტინეპოლში პურის შეზიდვა ისევ შეწყვეტილი იყო. იმპერიის მდგომარეობა ისევ გართულებული რჩებოდა. ირანის წარმატებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ მის მიერ დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობა (თუმცა ეს დროებითი მოვლენა იყო) მას თვლიდა ერთგვარ მხსნელად, ვინაიდან ამ ხალხს აწვა მძიმე გადასახადები იმპერიის სასარგებლოდ.

ამრიგად, იმპერიამ დაჰკარგა მდიდარი პროვინციები და

აღმოსავლეთთან ვაჭრობა შეფერხდა. ყოველივე ამან ხაზინა დააცარიელა. 615 წელს მთავრობა ვერცხლის მონეტის წონას ერთი ორად ამცირებს. ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხების შეძენა გაძნელდა. მთავრობა იძულებული გახდა 622-623 წლებში საეკლესიო ჭურჭელი გადაედნო. „ეკლესიის მიერ ბოძებულმა სიმდიდრემ საშუალება მისცა ირაკლის მცირე აზიაში ახალი სისტემით შეექმნა ჯარი და შეეძინა მოკავშირეებიც: იბერიელები, არმენიელები, ლაზები, აფხაზები და ხაზარები გახდნენ ირაკლის ძირითადი მოკავშირეები“[4].

ახალი სისტემა ჯარისა მდგომარეობდა თემურ ორგანიზაციაში. ირაკლის დროს სახელმწიფოს თემებად დაყოფა დასრულდა, რომელიც წარმოადგენდა სამხედრო და სამოქალაქო რეფორმას. ამ რეფორმას თ. უსპენსკი შემდეგ შეფასებას აძლევს: „Существующий признак фемного устройства заключается в том, что оно преследовало главнейшие военные цели, вызвано исключительно военными потребностями и представляло для правительства наилучший способ использовать живые силы населения для государственных целей“[5]. თემის სათავეში იდგა სამხედრო პირი სტრატიგის წოდებით. სტრატიგს ემორჩილებოდა თემის ყველა მოსახლეობა.

დასავლეთ საქართველოში მდგომარეობა სხვანაირი იყო. ამ მხარის მდგომარეობა თემის მდგომარეობისაგან გასხვავდებოდა. თემური ორგანიზაციები იქმნებოდა იმპერიის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე, სადაც გაუქმებული იყო ადგილობრივი მმართველობის ფორმები, ან მის საკუთარ ტერიტორიაზე. თემის მმართველი იმპერიის მთავრობის მოხელე იყო, ხოლო დასავლეთ საქართველოში ასეთ მოვლენას ადგილი არ ჰქონია. თემების დაარსების მთავარი მიზანი იყო სამხედრო ორგანიზაციის გაძლიერება და ეს თემები იქმნებოდნენ იქ, სადაც იმპერიას მეტი საშიშროება მოელოდა. მაგალითად, მცირე აზიაში ჩამოყალიბებული იყო 4 თემი (ოფსიკიონის, არმენიაკთა, ანატოლიკისა და კიბირიოტთა). თემები იმპერიის სხვა ტერიტორიებზეც ჩამოყალიბდა.

დასავლეთ საქართველოში უკვე არსებობდა ფეოდალური სახელმწიფო. ამდენად ფეოდალური ურთიერთობის განვითარების მხრივ დასავლეთ საქართველო წინ უსწრებდა ბიზანტიას[6]. როდესაც დასავლეთ საქართველოს ხალხები გა-

---

4 ს. ყაუხჩიშვილი, დასახელებული შრომა, გვ. 151.
5 თ. უსპენსკი, დასახელებული შრომა, გვ. 790.
6 ვ. ლევჩენკო, დასახელებული შრომა, გვ. 112-114.

მოდიოდნენ ბიზანტიის მხარეზე, ისინი გამოდიოდნენ არა როგორც იმპერიის თემები, არამედ როგორც მოკავშირეები, განსაკუთრებით კი 623 წლის ირანის წინააღმდეგ ომში.

რატომ იბრძოდნენ ლაზები და აბაზგები ირანელების წინააღმდეგ, თუ ბიზანტიელების მხრიდან ძალდატანებას არ ჰქონდა ადგილი? ირანის ვერაგობა, მისი დამოკიდებულება დასავლეთ საქართველოს ხალხებისადმი ცნობილი იყო დიდი ხნიდან. განსაკუთრებით ეს აშკარა იყო VI საუკუნის ორმოციან წლებიდან. მან ხომ გაანადგურა ეგრისის სახალხო მეურნეობა ამავე საუკუნეში. ირანელების სიმკაცრე აბაზგებისათვისაც იყო ცნობილი. ამჟამად კი, როდესაც ისევ მოსალოდნელი გახდა საფრთხე ირანის მხრიდან, ლაზებმა და აბაზგებმა საჭიროდ სცნეს ამ საფრთხის წინააღმდეგ ბიზანტიელებთან ერთად ბრძოლა და სინამდვილეშიც მონაწილეობა მიიღეს ამ ბრძოლაში. ხოლო, როდესაც თვით ირანში ლაშქრობის საკითხი დადგა, მაშინ კი უარი განაცხადეს ამ ლაშქრობაზე. ამრიგად, ლაზებისა და აბაზგების მონაწილეობა ირანის წინააღმდეგ 623 წლის ომში უნდა ყოფილიყო მათივე ინტერესებიდან გამომდინარე. როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველო არ წარმოადგენდა თემს. თემის მმართველი ვალდებული იყო იმპერიის მთავრობის მხარეზე ებრძოლა, ხოლო მოკავშირეები კი ვალდებულნი არ იყვნენ. ომში მათი მონაწილეობა მათსავე სურვილებზე იყო დამოკიდებული

ამავე დროს ირანის წინააღმდეგ ომისათვის მოსამზადებელი მუშაობა გრძელდებოდა. მმართველი წრეები და სასულიერო პირნი რელიგიურ ფანატიზმს აძლიერებდნენ ქრისტეს მტრების წინააღმდეგ. ამ მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების შემდეგ დაიწყო ომი ირანის წინააღმდეგ. 622 წელს ირაკლიმ დიდი ლაშქრობა მოაწყო ირანელების წინააღმდეგ და მეფე ხოსროს მისწერა, რათა მას ზავი დაედო. ამ თხოვნის შეუსრულებლობისას ირაკლი მის წინააღმდეგ გაილაშქრებდა. დაიწყო ომი. სწორედ ამ ომის დროს ირაკლის მოკავშირეები იყვნენ. ლაზები, აბაზგები და იბერიელები. 623 წელს შიდა ირანში ლაშქრობისას ამ მოკავშირეებმა თავი შეიკავეს ლაშქრობაში მონაწილეობისაგან. ამის შესახებ თეოფანე ჟამთააღმწერელი წერს: „მაგრამ ჯარმა არ დაუჭირა მას ამაში მხარი, განსაკუთრებით არ დაეთანხმნენ მისი მოკავშირეები ლაზთაგან, აბაზგთაგან და იბერიელთაგან“[7]. აქ თეოფანე პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ლაზები და აბაზგები ირაკლის მოკავშირეები იყვნენ. ალბათ, საჭიროდ სცნო აღე-

7 გეორგიკა, ტ. IV, ნაკ. I, გვ. 95.

ნიშნა ირაკლის ურთიერთობა ლაზებთან და აბაზგებთან. გარდა ამისა, მათი ურთიერთობის შესახებ გაცილებით მეტ წარმოდგენას ქმნის ის გარემოება, რომ ირანში ლაშქრობაზე უარი განაცხადეს ირაკლის მოკავშირეებმა: ლაზებმა, აბაზგებმა და იბერიელებმა. მართალია, ირაკლის მხარს არ უჭერდნენ ჯარის სხვა ნაწილებიც, მაგრამ განსაკუთრებით შორეული ლაშქრობის წინააღმდეგი იყვნენ ლაზები, აბაზგები და იბერიელები. იგივე თეოფანე ლაზებისა და აბაზგების დაბრუნებაზე შემდეგს გვატყობინებს: „ლაზებს და მათთან ერთად აბაზგებს შეეშინდათ და ისინი გამოეთიშნენ რომაელთა მოკავშირეობას და საკუთარ ქვეყანაში დაბრუნდნენ“[8]. ეს ცნობაც ლაზებისა და აბაზგების ირაკლის მოკავშირეობას ამტკიცებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ შესძლებდნენ უკან დაბრუნებას, როგორადაც არ უნდა იყვნენ შეშინებულნი. ჩვენთვის ცნობილია ბევრი ფაქტი, როცა ქართველი მეფეები იძულებული იყვნენ უცხო მოძალადის სასარგებლოდ შორეულ ქვეყანაში ელაშქრათ. ამ შემთხვევაში არც მეფეებს და არც ჯარს არ ჰქონდა სურვილი ომისა, მაგრამ მათ ამ ლაშქრობაზე უარის თქმის უფლება არ ჰქონდათ. ირანში ლაშქრობისას კი ირაკლის მოკავშირეებმა ლაშქრობაზე მტკიცე უარი განაცხადეს. ეს გარემოება აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ბიზანტიის გავლენა დასავლეთ საქართველოზე VII საუკუნის პირველ მეოთხედში უმნიშვნელო იყო.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ლაზებმა და აბაზგებმა უარი განაცხადეს 623 წლის ირანის წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებაზე. ამავე დროს დავასკვენით, რომ ეს იყო ლაზებისა და აბაზგების ბიზანტიელებისადმი დამოკიდებულების გამომხატველი მოვლენა. ლაზებისა და აბაზგების ომში მონაწილეობაზე უარის თქმა მართლაც პოლიტიკური ურთიერთობის გამომხატველი ფაქტი იყო, თუ კონკრეტული პირობების შედეგი? ამ საკითხის გარკვევისათვის მნიშვნელოვანია ირაკლის მეფობის პირველი ოცი წლის მოკლე მიმოხილვა მაინც.

ირაკლის მეფობის დაწყებისას იმპერიაში ძლიერი იყო შინაური შფოთი; აჯანყება აჯანყებას მოსდევდა. ქვეყანა არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეკონომიურადაც დაცემული იყო. ირაკლის მეფობის პირველ წლებს თ. უსპენსკი შემდეგნაირად ახასიათებს: „Первые годы правления Ираклия изображаются в историографии как период наибольше-

[8] გეორგიკა, ტ. IV, ნაკ. I, გვ. 97.

го унижения и самых крупных потерь империи в Европе и Азии. Хотя положение дел на Востоке становилось более и более тревожным со времени вступления Ираклия на престол, но он долго не был в состоянии распологать достаточными военными средствами для войны с Хосроем"[9]

ასეთ პირობებში მყოფ მეფეს, რა თქმა უნდა, აღარ შეეძლო დასავლეთ საქართველოს ხალხებისათვის ძალდატანება. პირიქით, ამ დროს საჭირო ხდება იმპერიის მთელი ძალების მობილიზაცია ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ისტორიულ ვითარებას იგივე თ. უსპენსკი ასეთ შეფასებას აძლევს: „И нужно признать, что византийский царь весьма глубоко оценил значение событий и понял, что борьба с персами требует полного успокоения северной границы, и что нужно, во что бы то ни стало, обеспечить себя со стороны Балканского полуострова"[10].

ირაკლი ცდილობდა ირანის წინააღმდეგ ბრძოლებისათვის მოსამზადებელ ღონისძიებების გატარებას, მაგრამ ეს ამ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. იმპერიის მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. ირაკლიმ 618 წელს მოისურვა დედაქალაქის კართაგენში გადატანა, მაგრამ მას ამ საქმეში ხელი შეუშალა პატრიარქმა სერგიმ. ბიზანტიაზე თავდასხმები არ შეწყვეტილა არც აღმოსავლეთიდან და არც ჩრდილო-დასავლეთიდან. ხშირი იყო შემთხვევა, როცა იმპერიის დედაქალაქსაც მოელოდა საფრთხე. ამრიგად, 626 წლამდე იმპერიის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. ამრიგად, ამ ხნის განმავლობაში ლაზები და აბაზგები, ეტყობა, ხელსაყრელ პირობებს ხედავდნენ ბიზანტიელებისადმი ურჩობაში. ხოლო, რაც შეეხება 623 წლის ირანის წინააღმდეგ ომის საკითხს, აქ ლაზებმა და აბაზგებმა შემთხვევით კი არ ისარგებლეს, არამედ ეს იყო ძალთა თანაფარდობის და პოლიტიკური ურთიერთობის შედეგი.

ირან-ბიზანტიის ომში 626 წელი იყო გარდატეხის წელი; ირაკლიმ შესძლო ირანის დამარცხება. 627 წელს მან გაანადგურა ირანის ჯარი ნინევიასთან. 630 წელს კი ირანმა ბიზანტიას დაუბრუნა მისი ძველი სამფლობელოები. ასე რომ, ბიზანტიას უკვე საფრთხე არ მოელოდა ირანის მხრიდან. მიუხედავად ამისა, ბიზანტიის მდგომარეობა რთულდებოდა, მას ემუქრებოდა ახალი საფრთხე არაბების სახით.

---

9 თ. უსპენსკი, დასახელებული შრომა, გვ. 679.
10 იქვე, გვ. 681.

არაბებს ძველითგანვე ბიზანტიასთან ჰქონდათ ურთიერთობა. არაბების მისწრაფებას ეროვნული მთლიანობისაკენ ემთხვევა მუჰამედის მოღვაწეობა. მის მიერ შექმნილი სახელმწიფო მისი სიკვდილის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა. არაბებმა გააძლიერეს დაპყრობითი ომები, ვინაიდან მათ აინტერესებდათ ხარკი და ნადავლი. პირველ რიგში არაბებმა თავისი დაპყრობითი ომები მიმართეს ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ. დაიწყეს მისი აღმოსავლეთი პროვინციების დაპყრობა.

პირველი ლაშქრობა არაბებისა ბიზანტიის წინააღმდეგ დაიწყო ომარის დროს. 635 წელს არაბებმა დამასკო აიღეს, ხოლო 636 წელს მთელი სირია დაპყრობილი ჰქონდათ. 638 წელს აიღეს იერუსალიმი. 641—642 წლებში არაბებმა დაიკავეს ქალაქი ალექსანდრია და რამდენიმე წლის განმავლობაში მთელი ეგვიპტე დაიპყრეს. არაბების ასეთ წარმატებას ხელი შეუწყო თვით ბიზანტიის მთავრობის ეკონომიურმა პოლიტიკამ, რომელსაც ის ატარებდა იმპერიის პროვინციებში. ამ პროვინციების ხალხები არაბებში ხედავდნენ მხსნელებს აუტანელი ჩაგვრისაგან. არაბები დაპყრობილი ხალხებისაგან ამ პერიოდში მოითხოვდნენ მხოლოდ ხარკს და ისინიც დიდი სიამოვნებით ხვდებოდნენ მას.

ესე იგი ირაკლის ეპოქაშიც, რომელმაც ირანთან მოიპოვა გამარჯვება, არაბები აღწევენ წარმატებებს და ეს წარმატებები ბიზანტიისათვის იმდენად სახიფათო იყო, რომ მას აღარ შეეძლო ამის უგულებელყოფა და ლაზიკისათვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა.

კონსტანტინეს დროს მდგომარეობა ცოტათი შეცვლილი იყო. 647 წელს დაიწყო აფრიკის დაპყრობა არაბების მიერ, მაგრამ იმ დროს დაიწყო მოლაპარაკება და დიდი გამოსასყიდის შემდეგ არაბებმა დათმეს ეს ადგილი. 659 წლამდე არ განახლებულა აფრიკის წინააღმდეგ ომი. სამაგიეროდ არაბებმა საომარი ოპერაციები გადაიტანეს ხმელთაშუა ზღვის აუზში.

VII საუკუნის სამოციან წლებში არაბები ძარცვავენ ბიზანტიის ზღვის სანაპირო მხარეებს, რომელიც დიდ ზიანს აყენებდა ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას. არაბების ამ მძარცველობის მნიშვნელობაზე თ. უსპენსკი სამართლიანად აღნიშნავს შემდეგს: „Сухопутные набеги на внутренние города и опустошения приморских мест ставили империю в чрезвычайно тяжелое положение, так как лишало культурные области Малой Азии постоянного оседлого населения, с которого собирались подати, и шла воин-

ская повинность"[11]. აგრეთვე, VII საუკუნის შუა წლები ხასიათდება იმპერიის მატერიალური დაცემით, რაც გამოწვეული იყო იმპერიის ტერიტორიების დიდი ნაწილის დაკარგვით. ასეთ პირობებში მთავრობა იძულებული იყო გამოენახა სახსრების შეძენის ახალი საშუალებები. სწორედ ამ დროიდან უნდა დაწყებულიყო ბიზანტიელების მიერ ლაზების შევიწროება, რომელიც აუტანელი ხდება VII საუკუნის ბოლოსათვის. ამან ააჯანყა ლაზიკის პატრიკიოზი სერგი, რომელმაც 697 წელს თავისი ქვეყანა ჩააბარა არაბებს. სერგის აჯანყების შესახებ თეოფანე ქამთააღმწერელი შემდეგს წერს: „ამავე წელს (დასაბამითგან 6189 წ. — მ. გ.) ალიდმა ილაშქრა რომანიაზე; მან მრავალი ტყვე იგდო ხელთ და უკან გაბრუნდა. (ამ წელს) აჯანყდა ლაზიკის პატრიკიოსი სერგი, ბარნუკის ძე. და ეს ქვეყანა არაბებს დაუქვემდებარა"[12]. რა თქმა უნდა, არაბებისათვის ეგრისის ჩაბარება სერგის კაპრიზის შედეგი არ იქნებოდა, არამედ ეს უნდა ყოფილიყო ეგრისის წარჩინებულთა ბიზანტიელებისადმი უმმაყოფილების გაძლიერების შედეგი, ბიზანტიური ბატონობის აუტანლობის შედეგი. ბიზანტია-ეგრისის ურთიერთობის შესახებ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ „VII საუკუნის დამლევს „ლაზიკის მეფე" უკვე აღარ იხსენიება და ქვეყნის მმართველი „პატრიკიოზის" პატივს ატარებს. ეს იმას ნიშნავდა, რომ ეგრისის მმართველის უფლებები მეტად შევიწროებულა, ქვეყანას დამოუკიდებლობა დაუკარგავს და ის ბიზანტიის პროვინციის მდგომარეობამდე მისულა"[13].

მართალია კეისრის მთავრობა VII საუკუნის მეორე ნახევრიდან აქტიურად ერევა ეგრისის საკითხებში, მაგრამ მისი გავლენა ამავე საუკუნის ბოლოს წყდება.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ VII საუკუნეში ბიზანტიის გავლენა დასავლეთ საქართველოს ყველა ტომებზე თანაბრად არ ვრცელდებოდა: ეგრისში სხვანაირი იყო — უფრო ძლიერი, ხოლო აბაზგიაში კი შედარებით ნაკლები. განვიხილოთ ამასთან დაკავშირებული, თუმცა მცირე, წერილობითი ცნობები.

VII საუკუნეში დასავლეთ საქართველოს ტომებსა და ბიზანტიას შორის ურთიერთობის შესახებ ცნობებს გვაწვდის თეოდოს განგრელი. მას აქვს აღწერილი მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების უკანასკნელი წლების შესახებ.

---

11 თ. უსპენსკი, დასახელებული შრომა, გვ. 868.
12 გეორგიკა, ტ. IV, ნაკ. I, გვ. 105.
13 საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 114.

მაქსიმეს დევნა დაიწყო 653 წელს სხვადასხვა ადგილებზე გადასახლების შემდეგ 662 წელს გაასამართლეს და მიუსაჯეს ენისა და მარჯვენა ხელის მოჭრა და შემდეგ ეგრისში გადასახლება. თეოდოსი წერს: „მაშინ იპატქოზმა ჩაიბარა ისინი, [illegible], მოსჭრა მათ ენები და პატიოსანი ხელები, და, როდესაც შემოატარა მთელი ქალაქი, თანახმად ტირანის განკარგულებისა, ლაზიკეში გააძევა ეს ჭეშმარიტი აღმსარებელნი და ქრისტესათვის წამებულნი“[14]. მაქსიმესთან ერთად გადაასახლეს მისი ორი მოწაფე, რომლებსაც ერქვათ ანასტასი. „როდესაც ისინი ჩავიდნენ ქრისტესმოყვარე ლაზთა ქვეყანაში, მაშინვე დააშორეს ისინი ერთმანეთს (თვით ის დიდი მაქსიმე, ამ წერილის დამწერი და მისი სენხია. ეს ქმნეს მათ) იმ ქვეყნის მაშინდელი მმართველის განკარგულებით; წაართვეს მათ ყველაფერი, რაც კი ჰქონდათ, ისე რომ აღარაფერი დარჩათ იმ ნივთებიდან, რომლებიც საჭიროებისათვის შეეძინეს მათ ქრისტესმოყვარე პირებისაგან. ის ღვთაებრივი კაცი, — მე წმინდა მაქსიმეს ვგულისხმობ, — რომელსაც არც სახედარზე შეჯდომა შეეძლო, არც საკაცეზე დაწოლა. რადგან ლოგინად იყო ჩავარდნილი, დადვეს წნელებისაგან მოწნულ ლასტზე და ისე წაიღეს და მოათავსეს ერთ ციხეში, რომელსაც ეწოდება სქიომარი და რომელიც მდებარეობს მახლობლად ალანებად წოდებულ ხალხისა. უფალი ამბა ანასტასი და ამ წერილის დამწერი შესხეს ცხენებზე და ასე გაამგზავრეს და ჩაამწყვდიეს: პირველი — აბაზგიის მახლობლად ერთ ციხეში, რომელსაც სკოტორი ეწოდება, ხოლო მეორე — სხვა ციხეში, ზემოხსენებულ ალანთა საზღვრებში რომ მდებარეობს და ბუკოლუსი რომ ეწოდება“[15].

როგორც ირკვევა, ეგრისი VII საუკუნეში წარმოადგენდა მონოფელიტთა გადასახლების ადგილს. VII საუკუნის მეორე ნახევარში ბიზანტიის გავლენა ეგრისზე რომ არ ვრცელდებოდეს, მაშინ დევნილებს იქ არ გადაასახლებდნენ. ეგრისის მაშინდელი მთავრებიც პატიმრებს ეპყრობოდნენ ისე, როგორც ამას კეისრის მთავრობა მოითხოვდა. ამ ურთიერთობაზე დამაჯერებლად მიუთითებს ანასტასის წერილი თეოდოსისადმი, სადაც აღნიშნულია მისდამი ეგრისის და აბაზგიის მთავრების დამოკიდებულების შესახებ. აი რას წერს ის: „სხვათა შორის მოკლეთვე გაუწყეთ იმასაც, რაც მე — ცოდვილსა და საწყალობელს — შემემთხვა და რა პირობებში ვიყავი მე. მის შემდეგ რაც მე დაუძლურებული ვიქენი ორი თვის განმავლობაში თაკვერიის ზემო-

---

14 გეორგიკა, ტ. IV, ნაკ. I, გვ. 41.
15 იქვე, გვ. 41.

ხსენებულ ციხეში და ცოტაოდენი სიმშვიდე ვპოვე, მთავარმა კვლავ გადამგზავნა აფსილიისა და მისიმიანის მხარეში, რათა ფუსტას ციხეში დავემწყვდიეთ. საბოლოოდ რომ ვთქვა, ის შვიდი თვის განმავლობაში აქეთ-იქით მატარებდა ფეხით ყველა ზემოხსენებულ მხარეებში, ტიტველს და ფეხშიშველს, მშიერსა და მწყურვალს — და უნდოდა მეც გამოვესალმებინე სიცოცხლეს.

რამდენიმე დღის შემდეგ იქიდან გააძევეს ზემოხსენებული მთავარი. შემდეგ, მის ადგილას მოსული სხვა მთავარი თანაგრძნობით შემხვდა მე. სხვათა შორის, ზემოხსენებულ ჯუსტელთა ციხიდან წამიყვანა და თავისი სახლის მახლობლად მომათავსა. ხოლო ერთი წლის შემდეგ — ეშმაკის ჩაგონებით — ზემოხსენებულ ციხეში გამგზავნა... მაგრამ იმავე დღეს, როდესაც მე გამაძევა, ის თვითონაც იქმნა გაძევებული იქიდან და დახეტიალობდა ქრისტესმოყვარე აბაზგების ქვეყანაში. იქაურმა ქრისტესმოყვარე მმართველებმა ურჩიეს რომ ჩემთან თანაგრძნობით ყოფილიყო და სრულიადაც არ ეწარმოებინა დევნა, ჩემგან სიტყვები ესმინა და არა გმინკა, და ისიც შეეპირდა მათ, რომ, თუ ის იქიდან დააღწევდა თავს და აღიდგენდა მმართველობას, ყველაფერს შეასრულებდა ჩემს სანუგეშებლად და დასამშვიდებლად (უნდა ითქვას, რომ თვითონ ისინი, აბაზგიის ქრისტესმოყვარე მთავრები, თანაგრძნობდნენ მე, საწყალობელს, თუმცა არ მიცნობდნენ)"[16]. ამ ცნობის მიხედვით მისიმიანებისა და აფსილიის მხარის დაკავერიის ციხის მიდამოებში მთავრად იყო ერთი პიროვნება, რომელიც ანასტასის წამებით იყო დაინტერესებული. ეს მთავარი ასრულებდა კეისრის მთავრობის ბრძანებას. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ ახალი მთავარი, რომელიც ანასტასის მფარველობა იკისრა, გადაყენებულ იქნა. ამ მთავარმა თავი შეაფარა აბაზგიას. შემდეგში, როდესაც ისევ თავის თანამდებობას დაუბრუნდა, ანასტასის მიმართ მტრული ურთიერთობა დაიკავა. ამრიგად, დევნილი მთავარი თავს აფარებს აბაზგიას. მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიის მთავრობა მოითხოვდა გადასახლებულთათვის აუტანელი მდგომარეობის შექმნას, აბაზგიის მთავარი იცავდა მათ და არიგებდა ლტოლვილ მთავარს შეეწყვიტა ანასტას აპოკრისიარის დევნა. კეისრის მთავრობა დევნილ ხალხს ასახლებდა მისდამი დაქვემდებარებულ ქვეყნებში. ამის შესახებ ა. ბრილიანტოვი სამართლიანად აღნიშნავს: „Для Максима, главного лица между сосланными туда в 662 г. противниками монофелитства, Схимарис-Ухимерий и избран был, можно

16 გეორგიკა, ტ. IV, ნაკ. I, გვ. 44.

думать, как место заключения наиболее суровое и притом, ввиду особо важного значения этой крепости, особенно твердо держимое ромеями в своих руках"[17].

ყოველივე ზემოხსენებული ფაქტებიდან აშკარა ხდება, რომ VII საუკუნის მეორე ნახევარში ლაზიკაში რომაული გავლენა ძლიერია. ზოგი გადასახლებული მოათავსეს აფსილიისა და მისიმიანიის მხარეში, მაგრამ ამ გადასახლებულთაგან არცერთი არ მოუთავსებიათ აბაზგიის ციხეებში. ეს გარემოება კი მიუთითებს იმაზე, რომ აბაზგია იმ დროს ბიზანტიისაგან განკერძოებით დგას. მისი მთავრები თავს იმის უფლებასაც კი აძლევენ, რომ შეიფარონ კეისრის მიერ დევნილი ლაზიკის მთავრები, ან ლაზიკის მთავრებს ურჩევენ ლმობიერად მოექცნენ ისევ კეისრის მთავრობის მიერ დევნილ სასულიერო მოღვაწეებს. ამას ზედ ემატება ის ფაქტიც, რომ, როცა ლაზიკის პატრიკიოზი აუჯანყდა კეისარს და თავისი ქვეყანა ჩააბარა არაბებს, აბაზგიის მთავრები ქართლის მეფეებთან მხარი-მხარ იბრძოდნენ არაბების წინააღმდეგ; ე. ი. აბაზგებს არ გახუცდიათ ბიზანტიელების მხრივ ჩაგვრა. აგრეთვე, როცა აბაზგები არაბების წინააღმდეგ იბრძოდნენ მათ არავითარი ფაქტიური დახმარება არ მიუღიათ ბიზანტიელებისაგან. ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზების ბრძოლა არაბების წინააღმდეგ იწყება აფხაზეთის და საერთოდ დასავლეთ საქართველოს საზღვრების გარეთ, ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიების დაცვისათვის. მართალია აფხაზების მიზანს არ წარმოადგენდა ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიების დაცვა არაბ დამპყრობლებისაგან, მაგრამ ეს ბრძოლა მიზანშეწონილი იყო იმდენად, რამდენადაც ის მიზნად ისახავდა ახალი აგრესორის წინსვლის შეჩერებას. როგორც ცნობილია, არაბები არ დაკმაყოფილდებოდნენ ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციების დაპყრობით, არამედ ისინი მიისწრაფოდნენ შავი ზღვის ჩრდილოეთი ნაპირებისაკენაც. ასეთ ფაქტს ადგილი ჰქონდა VII—VIII საუკუნეებში.

ეტყობა არაბების მიზნები ცნობილი იყო აფხაზებისათვის და, ალბათ, ამიტომაც გადაწყვიტეს არაბების წინააღმდეგ გამოსვლა მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელნი აპირებდნენ არმენიაკის თემის დალაშქრვას. ამის შესახებ ცნობები მოეპოვება ბალაძორს. ის წერს: „...И провел Хабиб со своими в Каликале несколько месяцев, но, узнав о том, что пат-

---

[17] А. Бриллиантов, О месте кончины и погребения св. Максима исповедника, отдельный оттиск из «Христианского Востока», т. IV, вып. 1, г. Петербург, 1918, стр. 46.

рикий (фемы) Армениакос собирает против мусульман большие войска, и что к нему присоединились вспомогательные отряды жителей Аллана, Апхаза, Самандра и Хазар, он обратился к Осману с просьбой о помощи и тот написал Моавии, чтобы он направил к нему (Хабибу) тех из сирийцев и жителей Джазиры, которые пожелают участвовать в священной войне и добыче"[18]. ბალაძორი აღნიშნავს, რომ არმენიაკოს პატრიკიოზს მხარი დაუჭირეს აფხაზებმა, ხაზარებმა და სხვ. როგორც ცნობილია არმენიაკოს თემი იყო ბიზანტიის იმპერიის ერთ-ერთი თემთაგანი და ამდენად ამ თემისათვის დახმარების გაწევა ნიშნავდა ბიზანტიისათვის დახმარების გაწევას. საინტერესოა საკითხი თუ რატომ იბრძოდნენ აფხაზები ბიზანტიის მხარეზე? ეს ხომ არ იყო ბიზანტიის მხრიდან ძალდატანების შედეგი? ასე არ უნდა ყოფილიყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აფხაზები ხაზარებთან და ალანებთან ერთად გამოვიდნენ საომრად. თუმცა ეს არაა საბოლოოდ დამაჯერებელი, მაგრამ მაინც მიუთითებს იმაზე, რომ აქ ბიზანტიის მხრიდან ძალდატანებას არ ჰქონდა ადგილი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ არაბების წინააღმდეგ ომისას აფხაზები ითვალისწინებდნენ არაბებისაგან მოსალოდნელ საფრთხეს, ერთი მხრით, ხოლო ბიზანტიის მხრიდან არ უნდა ყოფილიყო ჩაგვრა, მეორე მხრით. შესაძლებელია ომში ეს მონაწილეობა სხვა მიზეზითაც იყოს გამოწვეული, კერძოდ დაქირავებული ლაშქრის სახით თუ ღებულობდნენ მონაწილეობას ამ ომში?

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ არმენიაკის თემის დასახმარებლად არ გამოსულან ლაზები. არაბების წინააღმდეგ აფხაზების გამოსვლა ბიზანტიის მხრიდან ძალდატანების შედეგი რომ ყოფილიყო, მაშინ ამ ძალდატანებას ადგილი უნდა ჰქონოდა ლაზების მიმართაც. VII საუკუნის შუა წლებში ლაზიკა ბიზანტიის გავლენის ქვეშ იმყოფება, მაგრამ მიუხედავად ამისა მათ ამ ომში მონაწილეობა არ მიუღიათ[19]. ისინი, როგორც ჩანს, სასტიკად იჩაგრებოდნენ ბიზანტიელებისაგან, და ამდენად მათ არავითარი სურვილი არ ჰქონდათ ომში მონაწილეობისა. პირიქით, ამავე საუკუნის ბოლოს მათ კიდევაც საჭიროდ სცნეს არაბების მხარეზე გადასვლა.

---

18 Баладзори, Книга завоевания стран, изд. II Жузе, Баку, 1927 г. стр. 5

19 შესაძლებელია, რომ ლაზებმა ამ ომში მონაწილეობა მიიღეს. თუ ეს ასეა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ლაზები ამ ომში მონაწილეობას ღებულობდნენ, არა როგორც მოკავშირეები, არამედ ისინი შედიოდნენ ბიზანტიის ჯარში. ჩვენი აზრით, ასეთი მიზეზის გამო ბალაძორმაც არ აღნიშნა მათი ამ ომში მონაწილეობა.

ჩამოთვლილი ფაქტები აშკარად მიუთითებენ იმაზე, რომ აბაზგები VII საუკუნის თითქმის მთელ მანძილზე ბიზანტიური ჩაგვრისაგან თავისუფალნი უნდა ყოფილიყვნენ. ამრიგად, VII საუკუნეში რომაული გავლენა ვრცელდება დასავლეთ საქართველოს მხოლოდ შუა და სამხრეთ ნაწილებში, კერძოდ ლაზიკაში მის მიერ დამორჩილებულ მხარეებთან ერთად. აბაზგია კი დამოუკიდებელი იყო. ხოლო VII საუკუნის ბოლოდან ლაზიკაც გამოეცალა ბიზანტიას და არაბებს დაუმორჩილდა. იმ დროს, როცა ლაზიკის პატრიკიოზმა თავისი ქვეყანა არაბებს დაუმორჩილა, აბაზგია ისევ ძველ მდგომარეობაში იმყოფებოდა. აბაზგიის მთავრებს არ ჩაუბარებიათ არაბებისათვის თავისი ქვეყანა. მათ შეინარჩუნეს დამოუკიდებლობა. მიუხედავად იმისა, რომ აბაზგიის მთავრები არ ემორჩილებოდნენ ბიზანტიის მთავრობას, მაინც ის აბაზგიის სიუზერენად თვლიდა თავს. ბიზანტიის მთავრობის ასეთი თვალსაზრისი მისდამი ოდესმე დაქვემდებარებული ქვეყნებისადმი გრძელდება შემდეგშიაც IX-X საუკუნეებში. აბაზგების ბიზანტიასთან ურთიერთობის ფორმალურობა არ ამტკიცებს იმას, რომ ამ დროს მაინცდამაინც ადგილი ჰქონდა ეკონომიურ თუ პოლიტიკურ ჩაგვრას. რამდენადაც ბიზანტიის ჯარი არ იდგა აბაზგიაში, ამდენად ასეთ ჩაგვრასაც ადგილი არ უნდა ჰქონოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, VII საუკუნის ბოლოდან ეგრისში ბიზანტიელები შესცვალეს არაბებმა. არაბების ბატონობა არაფრით არ სჯობდა ბიზანტიელების ბატონობას, პირიქით, ის უარესი იყო. ამის შესახებ საკმაოდ სწორი შეხედულებისაა პ. ინგოროყვა. ის აღნიშნავს შემდეგს: „ამრიგად, 697 წლის აჯანყების შემდეგ ქვეყანამ არა თუ თავისუფლება ვერ მოიპოვა, არამედ იგი ბევრად უფრო მძიმე განსაცდელში ჩავარდა. ბიზანტიელების მფლობელობა შეიცვალა ბევრად უფრო მძიმე უღლით, არაბების ბატონობით“[20].

VIII საუკუნის დასაწყისიდან არაბების აგრესია ბიზანტიის იმპერიის მიმართ გაძლიერდა. ჯერ კიდევ 697 წელს არაბებმა დაიკავეს ქართაგენი. ისინი უახლოვდებოდნენ კონსტანტინეპოლს და 717 წელს ალყა შემოარტყეს მას, რომელიც გაგრძელდა ერთი წლის განმავლობაში. იმპერიის მდგომარეობა სახიფათო იყო, რომლის ძლიერების აღდგენა შესძლეს ისავრიელთა დინასტიის წარმომადგენლებმა. სამართლიანად აღნიშნავს მ. ლევჩენკო, რომ გახრწნის გზაზე მდგარი იმპერიის და მის გაბატონებული კლასის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში ისავრიელებმა ბევრი რამ გააკე-

20 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 196.

თეს. სწორედ ლეონ III ისავრიელმა იხსნა ამჟამადაც კონსტანტინეპოლი.

არაბების დაპყრობითი ომები დასავლეთ საქართველოს წინააღმდეგ მიმართული იყო ჯერ კიდევ VII საუკუნის ბოლოდან, მაგრამ მათ შესძლეს ამ მხარის მხოლოდ დროებით დაკავება. VIII საუკუნის პირველ ნახევარშივე ისინი განდევნილ იქნენ დასავლეთ საქართველოდან.

ამიერკავკასიაში არაბებმა ყველაზე გვიან სწორედ დასავლეთ საქართველო დალაშქრეს. მათ აბაზგიის დალაშქვრაც ვერ შესძლეს და პირველი დამარცხება სწორედ ახაკოფიის ციხესთან იგემეს. ფაქტია ის, რომ დაახლოებით ნახევარი საუკუნის განმავლობაში ეგრისი იმყოფებოდა არაბების ბატონობის ქვეშ. ამავე პერიოდში თვით ბიზანტიასაც მოელოდა დიდი საფრთხე იმავე არაბებისაგან. ამდენად ბიზანტიელებს აღარ შეეძლოთ დასავლეთ საქართველოს დამორჩილება. შემდეგშიაც ბიზანტიის იმპერიაში მიმდინარეობს ეკონომიური ბრძოლა, რომელიც ცნობილია ხატმებრძოლეობის სახელით.

ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოს ტომები ებრძოდნენ ბიზანტიელებს, ირანელებს და არაბებს. ერთის წინააღმდეგ მეორის ძალას იყენებდნენ და ხშირად მიზანსაც აღწევდნენ, მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ დასავლეთ საქართველოს ტომები თავს ინთავისუფლებდნენ უცხო ხალხის ბატონობისაგან. ამ შემთხვევაში კი ეს ტომები საერთო ძალით ორგანიზებულად იბრძვიან არაბების თავისი ქვეყნიდან განდევნისათვის. არაბების წინააღმდეგ ბრძოლა მათი შემოსვლის პირველი დღეებიდანვე დაიწყო, მაგრამ ეს განსაკუთრებით გაძლიერდა VIII საუკუნის ოცდაათიან და ორმოციან წლებში.

ეხება რა არაბების წინააღმდეგ ბრძოლას, პ. ინგოროყვა ამტკიცებს, რომ ეს ბრძოლა დასავლეთ საქართველოში დაწყებულა VIII საუკუნის ოციან-ოცდაათიან წლებში და ამ ბრძოლას სათავეში ედგა ლაზიკის მთავარი ლეონ პირველი. მისი აზრით ლეონ პირველი არაბების წინააღმდეგ ბრძოლისათვის ნიადაგის მოსამზადებლად გადასულა აფხაზეთში და იქ გამაგრებულა. იქვე დასძენს, რომ იმ დროს აბაზგიაც, დასავლეთ საქართველოს სხვა პროვინციებთან ერთად, არაბების ხელში ყოფილა. მისი გაგებით მთელი დასავლეთ საქართველო არაბების ხელში ყოფილა, ხოლო ზოგიერთი პუნქტი, რომელიც არაბებს გადაურჩა, ეჭირათ ბერძნებს. აი რას წერს: „არაბებმა ფაქტიურად დაიკავეს დასავლეთ საქართველო თითქმის მთლიანად, გარდა ზოგიერთი ზღვის სანაპირო

ქალაქებისა, რომლებიც შეინარჩუნეს ბიზანტიელებმა"[21]. არაბებს მთელი დასავლეთ საქართველო არ დაუკავებიათ. როგორც აღვნიშნეთ, აბაზგია მათ ვერც კი დალაშქრეს. არც სანიგეთი მოქცეულა მათი ბატონობის ქვეშ. ამავე დროს პ. ინგოროყვა არ მიუთითებს სახელდობრ რომელი ქალაქები იმყოფებოდნენ ბიზანტიელების ხელში. ჩვენ კი გვგონია, რომ ამ დროს დასავლეთ საქართველოში ბიზანტიელებს არ ჰყავდათ სამხედრო გარნიზონები. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ დასავლეთ საქართველოდან არაბების განდევნაში ბიზანტიელებიც მიიღებდენ მონაწილეობას. ბიზანტიელების ამ ომში მონაწილეობის შესახებ წყაროებში არაა მითითებული. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბიზანტიელებს დასავლეთ საქართველოდან არაბების განდევნაში მონაწილეობა არ მიუღიათ. თუ არა და რატომ მირმა და არჩილმა და მათთან ერთად ლეონმა აცნობეს კეისარს არაბების განდევის შესახებ? ამის შესახებ ჯუანშერი გვაცნობებს: „და წარავლინეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა მირ და არჩილ და ლეონ, ერისთავმან აფხაზეთისამან, და აუწყეს ესე ყოველი, რაცა იქმნა ღმრთისა მიერ ხელითა მათითა"[22]. ბიზანტიის ჯარს რომ მიეღო მონაწილეობა ამ ომში, მაშინ არა ქართლის მეფეები ან აფხაზეთის ერისთავი აცნობებდნენ კეისარს არაბების განდევნის შესახებ, არამედ ბიზანტიის ჯარის სარდლები. გარდა ამისა ტექსტის ის ნაწილი, სადაც წერია „რაცა იქმნა ღმრთისა მიერ ხელითა მათითა" ჩვენი გაგებით ნიშნავს იმას, რომ მირმა, არჩილმა და ლეონმა აცნობეს კეისარს ის, რაც მათ ჩაიდინეს (რომ არაბები განდევნეს). ამიტომ უსაფუძვლო არ იქნება თუ ვიტყვით, რომ დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კი ეგრისში, ბიზანტიის ჯარი არ მდგარა მას შემდეგ, რაც ეს მხარე არაბებს ჩაბარდა. აბაზგებს ბიზანტიელებისაგან დახმარება არ მიუღიათ. პირიქით, აფხაზები ბიზანტიის ბატონობას თავს აღწევენ და კეისრის მთავრობა დაინტერესებულია აფხაზეთის აწიოკებით.

ჯერ კიდევ ისტინიანე II დროს აბაზგები ბიზანტიისაგან გამდგარნი იყვნენ, ამიტომ კეისარი ცდილობდა მოექრთამა ალანები, რათა ისინი შესეოდენ აბაზგებს. ამის შესახებ თეოფანე ჟამთააღმწერელი შემდეგს გადმოგვცემს: „იუსტინიანეს არ სურდა მისთვის აშკარად ევნო (ლეონ III იესავრიელისათვის, რომელიც ჯერ იმპერატორი არ იყო, —მ. გ.), მაგრამ რაღაც უსიამოვნო გრძნობა მაინც ჰქონდა გულში ჩარ-

21 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 196.

22 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 239.

ჩენილი და ამიტომ გაგზავნა ის ალანიაში; თან გაატანა დიდძალი ფული და დაავალა მას წაექეზებინა ალანები აბაზგიის წინააღმდეგ, იმ დროს როდესაც სარკინოზებს ეპყრათ აბაზგიაც, ლაზიკეც და იბერიაც... ამასობაში ალანებმა დიდი პატივით მიიღეს სპათარი, დაუჯერეს მის ნათქვამს, შეიჭრნენ აბაზგიაში და წარტყვევნეს ეს ქვეყანა"[23]. ამ ცნობაში აღნიშნულია, რომ აბაზგიაც არაბების ხელში იყო. ეს ცნობა არ უნდა იყოს სწორი, ვინაიდან არაბების პირველი ლაშქრობა აბაზგიის წინააღმდეგ მერვან იბნ მუჰამადის სარდლობით მარცხით დამთავრდა. დასავლეთ საქართველოზე ბიზანტიის გავლენის შესახებ ნ. ბერძენიშვილი წერს: „გაგულისებული კეისარი—კი ცდილობდა მოეკრთამა ალანები, რათა ისინი შეეფოდხენ აფხაზეთს, ეგრისსა და ქართლს და ბიზანტიისადმი ურჩობის გამო ეს ქვეყნები აეოხრებინა"[24].

არაბების წინააღმდეგ განწყობილებას ერთი მხრით ხელს უწყობდა მიწის მფლობელობის არაბული წესი. ამ წესის მიხედვით მიწის მფლობელი იყო სახელმწიფო. რამდენადაც არაბებში VII—VIII საუკუნეებში მიწაზე სახელმწიფოებრივი საკუთრების ფორმა იყო, ამდენად ისინი ცდილობდნენ მოეშალათ მიწის მფლობელობის ადგილობრივი ფორმა. ამის შესახებ ზ. ანჩაბაძე აღნიშნავს: „На территории нынешнего Азербайджана арабам довольно быстро удалось лишить местных феодалов земли и перевести ее в государственный фонд, но в Армении и, в особенности, в Грузии они натолкнулись на сильное сопротивление местных феодалов, не желавшим уступать свою собственность захватчикам. По арабским законам, частные владельцы могли получить землю лишь на началах условного феодального держания („икта"), которое давалось лишь во временное или пожизненное пользование служилым людям, мусульманам по вероисповеданию"[25].

VII—VIII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში ფეოდალური ურთიერთობა საკმაოდ განვითარებული იყო. აქ უკვე მიწა კერძო საკუთრებას წარმოადგენდა. ამიტომ ფეოდალები ვერ თმობდნენ თავიანთ მიწებს და სწორედ ეს გახდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არაბების წინააღმდეგ ბრძოლისა. გარდა ამისა „არაბთა სახელმწიფო საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომ ხალხთა ნაძა-

23 გეორგიკა, ტ. IV, ნაკ. I, გვ. 106, განტვირთვა ჩვენია.
24 საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 116.
25 ზ. ანჩაბაძე, დასახელებული შრომა, გვ. 90.

ლადეგად გაერთიანებას წარმოადგენდა. ასეთი გაერთიანების ეკონომიური საფუძველი იმ დროს არ არსებობდა და ამდენადვე ეს ორგანიზაცია უნიადაგო იყო და მასში მოყოლილ ხალხთა განვითარებას აფერხებდა"[26].

არაბები ხშირად დამსჯელ ექსპედიციებს აწყობდნენ ურჩი ხალხების წინააღმდეგ. ერთ-ერთი ასეთი ლაშქრობა მოაწყვეს 736—738 წლებში. არაბებმა მურვანის სარდლობით დალაშქრეს ჯერ აღმოსავლეთი საქართველო და ქართლის მეფეები გააქციეს. ეს უკანასკნელნი კი თავს აფარებენ აფხაზეთს. ქართულ წყაროებში მურვანის ლაშქრობის შესახებ შემდეგია აღნიშნული: „და ვითარ ცნა, რამეთუ მეფენი ქართლისანი და ყოველნი ნათესავნი მათნი წარვიდეს ეგრისად და მუნით კუალად მიიცვალნეს აფხაზეთად, შეუდგა კუალსა მათსა და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ეგრისის ქუეყანისანი. და ციხე იგი სამ-ზღუდე, რომელ არს ციხე-გოჯი, შემუსრა, და შევლო ზღუდე იგი საზღვარი კლისურისა"[27]. მურვანს დაუნგრევია სამ-გალავნიანი ციხე-გოჯი და ეგრისის ქალაქები და სიმაგრეები. ამის შემდეგ მურვანი დაიძრა აბაზგიის დასაპყრობად. ამ დროს ანაკოფიის ციხეში გამაგრებულნი იყვნენ ქართლის მეფეები მირი და არჩილი, ხოლო აფხაზეთის ერისთავი ლეონი კი გამაგრებული იყო სობღისის ციხეში, „რომელ არს გარდასავალსა ოვსეთისასა"[28]. მურვანის ლაშქრობის ეს ეპიზოდი შემდეგნაირად არის აღწერილი „ქართლის ცხოვრებაში": „და ვითარცა შევლო ყრუმან კლისურა, რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა, შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი. და მოადგა ციხესა ანაკოფისასა, რომელსა შინა არს ხატი ყოვლად წმინდისა ღმრთისმშობელისა, არა კაცობრივითა ხელითა დაწერილი, არამედ ზეგარდამო, რომლისათვის არავინ უწყის—ვინა იგი მოსრული იპოვა თავსა ზედა მის გორისასა, რომელსა მოსდგამს სამხრით ზღუა და ჩრდილოთ ჭალაკი მწყურნები. მუნ შინა იყვნეს მაშინ მეფენი ქართლისანი მირ და არჩილ; ხოლო მამა მათი გარდაცვალებულ იყო და დამარხულ ეგრსა შინა"[29].

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ იმ დროს, როცა ლაზიკა არაბების მოხარკე იყო, აბაზგია ებრძოდა არაბებს და ის ძველი ბიზანტიური გავლენა, რომელსაც შერჩენოდა მხოლოდ ფორმალური მხარე, შენარჩუნებული იყო და VIII საუკუნის

---

26 საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 118.
27 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 234.
28 იქვე, გვ. 235.
29 იქვე, გვ. 235.

პირველ ნახევარში, როცა არაბები თავდასხმას აწყობდნენ აბაზგიაზე, კლისურა ითვლებოდა საბერძნეთისა და საქართველოს საზღვრად. იმ დროს ქართლი და ლაზიკა კლისურამდე არაბების ხელში იყო, ხოლო კლისურის დასავლეთით ეგრისის ტერიტორიად არ ითვლებოდა. საზღვარი გადიოდა კელასურზე. არაბებს სწორედ ამ კედლის გადალახვა მოუხდათ, როდესაც აბაზგიის დასაპყრობად მოემართებოდნენ. მათ დალაშქრეს დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი — ეგრისი და აფსილეთი და მოადგნენ აბაზგიას.

აბაზგიის უძლიერეს სასაზღვრო სიმაგრეს წარმოადგენდა ანაკოფიის ციხე. არაბებმა ვერ შესძლეს მისი აღება. ანაკოფიის ციხე-სიმაგრე იმ დროს უძლიერეს სიმაგრეს წარმოადგენდა არა მარტო აბაზგიაში, არამედ დასავლეთ საქართველოს მთელ ზღვის სანაპირო ზოლში. ამ სიმაგრის სამხედრო-სტრატეგიულ მნიშვნელობას მ. თრაფში შემდეგნაირად აღწერს: Входные ворота в крепость расположены у юго-западной угловой башни, являющейся самой мощной из всех анакопийских башен. Эта башня надежно защищала входные ворота крепости. Древняя узкая дорога, подходившая к воротам крепости, шла немного ниже угловой башни, огибая ее слева. Неприятель должен был пройти здесь над крутым откосом, находясь под массированными ударами со стороны защитников башни, поражавших его с правой, незащищенной щитом стороны. Мало того, обогнув башню, противник попадал на узкую тесную площадку, искусственно созданную перед воротами крепости. Но если бы даже и при этих условиях врагам удалось взять ворота, они попали бы не внутрь крепости, а в отдельный треугольный дворик, созданный позади главной башни, где встретили бы перед собой новую мощную стену с дополнительными воротами. Брать крепость со стороны южной стены второй линии обороны прямым ударом тоже представлялось почти невозможным, так как на этом ответственном участке было сконцентрированно семь башен, которые, в отличие от башен цитадели, выступают вперед из стен, давая возможность флангового обстрела наступающего неприятеля"[30]. რა თქმა უნდა ასეთი სიმაგრის აღება არაბებმა ვერ შესძლეს, ვინაიდან ამ ციხის მშენებლობისას გათვალისწინებული იყო საომარი ოპერაციების წარმოების ყველა სახე. ანაკოფიასთან დამარცხების შემდეგ არაბები ზედიზედ გა-

30 მ. თრაფში, დასახელებული შრომა, გვ. 123.

ნიცდიან დამარცხებას და ისინი დასავლეთ საქართველოდან განდევნილ იქნენ. არაბების განდევნაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქართლის მეფეებმა თავიანთი რაზმებით.

არაბების განდევნის შემდეგ ქართლის მეფეებმა მირმა და არჩილმა და აფხაზეთის ერისთავმა ლეონმა ყველაფერი ის, რაც მოხდა მათ ქვეყანაში აცნობეს კეისარს. კეისარმა კი მოსწერა არჩილსა და მირს შემდეგი: „თქუენი იყოს მეფობა, სიმხნე და სიბრძნე ქართლსა შინა. აწ დაღაცათუ იდევნებით ჩუენ თანა მსახურებისათვის ჯუარისა, მოქცევასა ჩუენსა, ვითარცა აღმითქუა ჩუენ ღმერთმან, ჩუენ თანავე იდიდნეთ. არამედ დაადგრით სიმაგრეთა შინა თქუენთა, ვიდრემდის წარხდეს წელიწადნი მათნი სამასნი“[31]. აქ იგრძნობა კეისრის კმაყოფილება იმით, რომ ის ქართლის მეფეებს ქართლში მეფობის უფლებას უტოვებს. აქ, როდესაც მატიანე მიუთითებს ქართლზე, მხედველობაში აქვს მთელი დასავლეთ საქართველოც აფხაზეთის გამოკლებით, ვინაიდან ქართლის მეფე არჩილი არაბების განდევნის შემდეგ მეფობს უშუალოდ ლაზიკაში, რომლის ჩრდილოეთი საზღვარი იყო კლისურა.

კეისარმა წერილი მისწერა აფხაზეთის ერისთავსაც, სადაც იგრძნობა ბრძანების კილო. აფხაზეთის ერისთავს ლეონს უფლებას აძლევს აფხაზეთის მემკვიდრეობით მმართველობისა და ამასთანავე ავალებს, რომ ქართლის მეფეებს სათანადო პატივი სცეს. ის წერს: „ხოლო შენდა მიბრძანებიეს ერისთაობა აფხაზეთისა შენ და შვილთა შენთა და მომავალთა შენთა მიუკუნისამდე. არამედ კეთილად პატივსცემდი მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა, და ამიერითგან ნულარამცა ხელგეწიფების ვნებად მათდა და საზღვართა მათთა ეგრისათა, ვიდრემდის იყვნენ მანდა ანუ განვიდნენ მანდით“[32]. კეისარი აფხაზეთის ერისთავს უკრძალავს, ეტყობა, ტერიტორიის გაფართოებას, როცა წერს „ამიერითგან ნულარამცა ხელგეწიფების ვნებათ მათდა და საზღვართა მათთა ეგრისათა“. ეს ადგილი კეისრის წერილისა მიუთითებს იმაზე, რომ ლეონს სჭირდება გაფრთხილება, თორემ მას შეუძლია არჩილის სამფლობელოს საზღვრები გადალახოს და ვინ იცის მთელი მხარეც დაიკავოს. აქვე აღსანიშნავია, რომ კეისარს არ უნდა ლეონის გაძლიერება; მას ურჩევნია ეგრისი ქართლის მეფეების განკარგულებაში იყოს, ვიდრე აბაზგიის მთავრის ხელში.

---

31 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 239.
32 იქვე, გვ. 240.

არაბების განდევნის შემდეგ ქართლის მეფეებმა და აფხაზეთის ერისთავმა მისწერეს კეისარს არაბების განდევნის შესახებ და შემდეგშიაც კეისრის გავლენა აღიარეს. ერთი შეხედვით იბადება აზრი იმის შესახებ, იყო თუ არა დასავლეთი საქართველო იმ დროს ბიზანტიის გავლენის ქვეშ. იყო გავლენა, რომელსაც ჰქონდა მხოლოდ და მხოლოდ ფორმალური მხარე. ქართლის მეფეებს და ლეონს აშინებდა ალბათ არაბების მომავალი აგრესია და ამ აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის კავშირს ამყარებდენ ბიზანტიასთან. ხოლო კეისარი კი თავის მხრივ დაინტერესებული იყო თავის გავლენის გავრცელებით დასავლეთ საქართველოზე. ამრიგად, ობიექტურმა პირობებმა ისევ დააკავშირა დასავლეთ საქართველო და ბიზანტია მიუხედავად იმისა, რომ არაბების განდევნის დროს ბიზანტიას არავითარი დახმარება არ გაუწევია მოკავშირეებისათვის.

არაბების განდევნის შემდეგ დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით კი ეგრისის მეფობა არჩილს ერგო. როდესაც მირი ანდერძით ქვეყნის ნახევარს უთმობდა არჩილს, ჩამოთვალა ეგრისი, სვანეთი, თაკვერი, არგვეთი და გურია. აფხაზეთის შესახებ კი არაფერია ნათქვამი. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აფხაზეთი არ ექვემდებარებოდა არჩილს, არამედ ლეონსა და არჩილს შორის მეგობრული ურთიერთობა იყო და შემდეგში ნათესაური კავშირიც კი დაამყარეს. არც არჩილმა დაივიწყა ლეონის პატივისცემა და სამაგიეროს გადახდა მოისურვა. არჩილი ლეონს მიმართავს შემდეგი სიტყვებით: „კურთხეულ იყავ შენ უფლისა მიერ, რამეთუ კეთილად იღუაწე სტუმრობა ჩუენი, და დამიცვენ ჩუენ ადგილთა შენთა მშვიდობით: გარნა აწ უწყიეს შენება ადგილთა ჩუენთა კლისურითგან აღმართ. წარვალ და დავეშენები ციხე-გოჯსა და ქუთათისს. აწ ითხოვე თავისა შენთვის რა გნებავს ჩემგან, ნაცვლად კეთილისა მსახურებისა შენისა“[33]. ამ წერილიდან აშკარად ჩანს, რომ არჩილი მზად იყო იაეთმო ლეონისათვის ის, რასაც თვითონ მოისურვებდა .არჩილის და მისი ძმის მირის მფარველობისათვის. აქ თანასწორუფლებიანობა ჩანს, ვიდრე ერთისადმი მეორის დაქვემდებარება.

ლეონს უნდოდა არჩილის უფროსი ძმის მირის ქალიშვილის ცოლად შერთვა და ამიტომ არჩილის წინადადებაზე შემდეგი პასუხი გასცა: „მომეცა მე კეისარმან ქუეყანა ესე მკვიდრობით კეთილად სიმხნითა თქუენითა. ხოლო ამიერითგან არს ესე მამულობით სამკვიდრებელ ჩემდა კლისურითგან

---

33 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 242.

ვიდრე მდინარედმდე დიდად ხაზარეთად, სადა დასწუდების წუერი კავკასიისა ამის. შემრთე მეცა მონათა შენთა თახა, რომელნი-ესე დღეს ღირს ყვენ შვილად და ძმად შენდა. არა მინდა ნაწილი შენგან, არამედ ჩემიცა ესე შენდავე იყოს"[34]. ამის შემდეგ მირის მეშვიდე ქალი გურანდუხტი შერთეს ლეონს, რის შემდეგ მყარდება ნათესაური და მეგობრული ურთიერთობა ლეონსა და არჩილს შორის.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ არაბების განდევნის შემდეგ ლეონის სამფლობელოს სამხრეთი საზღვარი გადიოდა მდინარე კელასურზე. ეს საზღვარი დიდხანს არ უნდა დარჩენილიყო ძალაში. არჩილსა და ლეონს შორის ნათესაურ ურთიერთობას გავლენა უნდა მოეხდინა მათ საზღვარზე. ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ ლეონის სამფლობელოში არ შედიოდა აფსილეთის მეტი ნაწილი. ლეონთან ნათესაურ ურთიერთობაში მყოფი არჩილი, უნდა ვიფიქროთ, რომ არ აწყენინებდა სიძეს და მას დაუბრუნებდა მთელ აფსილეთს. ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ იქნება განხილული.

აფხაზეთის სამხრეთ საზღვრად „ქართლის ცხოვრება" აღიარებს კლისურას. „ქართლის ცხოვრების" კლისურა უდრის დღევანდელ კელასურს და მის ვიწრობებთან დაკავშირებულ სასიმაგრო ხაზს „რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა"[35]. ამის შესახებ ზ. ანჩაბაძე წერს: „Эта область представляла собой основную укрепленную часть района Великой Абхазской стены, которую византийцы несомненно должны были занять своими гарнизонами, отторгнув фактически от западно-грузинских владений Арчила"[36]. ესე იგი ლეონ აფხაზეთის ერისთავის სამფლობელოს სამხრეთი საზღვარი პირველ ხანებში აღწევდა კელასურამდე. მას შემდეგ, რაც არჩილი გადავიდა ქუთაისში, ლეონის სამფლობელოს სამხრეთი საზღვარი უნდა გადაწეულიყო მდ. ენგურამდე. ამაზე უნდა მიუთითებდეს არჩილის სიტყვები, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ. უეჭველი უნდა იყოს ისიც, რომ აფხაზეთის პოლიტიკურ ერთეულში შედიოდა მისიმიანეთიც. ამ დროს აფხაზეთის ერისთავის ლეონის ხელში იყო სობღისის ციხე, რომელიც, როგორც ჩანს, მდებარეობდა მარუხის უღელტეხილზე. ამის შესახებ ზ. ანჩაბაძე წერს: „Таким образом, в состав Абхазского владетельства, помимо собственной Абазгии, вошли: Санигия на севере, значительная часть Апсилии (до р. Келасури

34 ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 242.
35 იქვე, გვ. 235.
36 ზ. ანჩაბაძე, დასახლებული ზრომა, გვ. 68.

и нагорные ее области), а также, по-видимому, и Мисиминия, поскольку Леон I владел крепостью Собгиси, которая вероятнее всего находилась у Марухского перевала, а бывший „мисимийский путь“ на Северный Кавказ, как отмечалось выше, отныне стал именоваться „Абхазским путем“ (Клухорский перевал)“[37].

რაც შეეხება იმას, რომ ბიზანტიელებს უნდა დაეკავებინათ კელასურსა და ეგრის-წყალს შორის მდებარე ტერიტორია, არ უნდა შეეფერებოდეს სინამდვილეს. ჯერ ერთი, ბიზანტიას არავითარი დახმარება არ გაუწევია ლეონისათვის არაბების განდევნაში, ხოლო მეორეც, ასეთი ძალდატანება ბიზანტიას აღარ შეეძლო იმ დროს, ვინაიდან ამ ძალდატანებას შეეძლო აფხაზეთში აჯანყების გამოწვევა, რომლის შედეგად აფხაზეთის ერისთავს შეეძლო, მსგავსად ეგრისის პატრიკიოს სერგისა, თავის ქვეყანაში მოეწვია ისევ არაბები. ბიზანტიისათვის ასეთი მდგომარეობის შექმნა ხელსაყრელი არ იყო. რაც მთავარია, არსებულ წყაროში, რომელიც ჩვენთვის სარწმუნოა, ხაზგასმულია, რომ კეისარი აღნიშნულ მხარეს უთმობს ლეონს სამემკვიდრეოდ. ამავე დროს ლეონს უმორჩილებს ქართლის მეფეებს. ამ წყაროს მიხედვით ლეონი კეისრის ერისთავი კი არ არის, არამედ მისდამი დამოკიდებული მთავარია. ეს დამოკიდებულებაც საკმაოდ შეზღუდულია.

ბ. ინგოროყვა უარყოფს ასეთ მოსაზრებას და ამტკიცებს, რომ აფხაზეთის საზღვარი VIII საუკუნის პირველ ნახევარში სამხრეთით განისაზღვრებოდა მდ. კელასურით. მისი აზრით, აფსილეთი, რომელიც VI—VII საუკუნეების მანძილზე აფხაზეთის შემადგენლობაში შედიოდა, ეხლა, აფხაზეთის საერისთავოს შექმნისას, გამოეყო მას. იგი წერს: „ეთნოგრაფიულად და ისტორიულად ეს ბუფერული ზონა შიდა ეგრისის ნაწილს შეადგენდა და აფხაზეთთან იგი მხოლოდ პოლიტიკურად ყოფილა დაკავშირებული, ისიც ხანმოკლე დროის განმავლობაში. საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, რომ მთელი ანტიკური ხანის მანძილზე და აგრეთვე ადრეულ საშუალო საუკუნეებში ვიდრე მე-5 საუკუნემდე ეს ბუფერული ზონა საკუთრივ ეგრისის ნაწილს შეადგენდა. ხოლო მე-7 საუკუნის მეორე ნახევარში, ასევე მე-8 საუკუნეში, როდესაც ჩამოყალიბდა აფხაზეთის საერისთავო, ეს კუთხე უკვე აღარ შედიოდა აფხაზეთის მხარეთა შემადგენლობაში და ისევ ძველებურად ეგრისის (ლაზიკის) ნაწილად ითვლებოდა. ამრიგად, უშუალო პოლიტიკური კავშირი ამ კუთხისა აფხაზეთ-

---

37 ზ. ანჩაბაძე, დასახელებული შრომა, გვ. 69.

თან მე-6-7 საუკუნეთა ფარგლებს არ გასცილებია"[38]. აქ პ. ინგოროყვა მცდარ აზრს გამოსთქვამს. მის მიერ დასახელებული ტერიტორია თუ VI—VII საუკუნეებში შედიოდა აფხაზეთის პოლიტიკურ ერთეულში, მითუმეტეს VIII საუკუნეში, როდესაც მოხდა მონათესავე ტომების კონსოლიდაცია და ამავე დროს აფხაზეთის საერისთავო უკვე მოღონიერებული იყო, არ შეიძლებოდა ეს მხარე აფხაზეთიდან გამოყოფილიყო. ჩვენთვის არაა ცნობილი არჩილმა მისცა თუ არა ლეონს თავისი სამფლობელოს ნაწილი. მაგრამ ამავე დროს სავარაუდოა, რომ გარკვეული დროის შემდეგ აფხაზეთის ფარგლებში მოექცა აფსილიის ტერიტორია. ხოლო რაც შეეხება კეისრის მიერ ლეონის სამფლობელოს სამხრეთი საზღვრის კელასურით შემოფარგვლას, ჩვენი აზრით ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმით, რომ კეისარს ეშინოდა ლეონის გაძლიერებისა, ხოლო არჩილი კი ქართლის მეფე იყო, და რამდენადაც მისი სამფლობელო არაბების ხელში იყო, იმდენად მას დასჭირდებოდა კეისრის დახმარება და არ ექნებოდა ბიზანტიისაგან განდგომის სურვილი. მიუხედავად ამისა, მას შემდეგ, რაც ლეონი არჩილის სიძე გახდა, ეს უკანასკნელი ლეონს დაუთმობდა აფხაზეთის დანარჩენ ტერიტორიას, ვინაიდან ეს პასუხობდა ორივეს ინტერესს.

მაშასადამე VIII საუკუნის პირველ ნახევარში, ე. ი. არაბების დასავლეთ საქართველოდან განდევნის შემდეგ, აფხაზეთი ბიზანტიისაგან დამოუკიდებელი რჩება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მათ შორის ურთიერთობის წმინდა ფორმალურ მხარეს. და ეს მხარე აფხაზეთ-ბიზანტიის ურთიერთობაში თანდათან სუსტდება და VIII საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოს გაერთიანების შედეგად საბოლოოდ ისპობა.

ბიზანტიის დასავლეთ საქართველოსთან ურთიერთობის განსაზღვრაში სხვადასხვა აზრი არსებობს მეცნიერებს შორის. ამთგან ზოგი არასწორად გადმოგვცემს ამ დამოკიდებულებას. ამის მიზეზი არსებული მასალების უცოდინარობა და ზოგ შემთხვევაში კი მისი ზერელე განხილვა წარმოადგენს. ასეთ მოვლენას ადგილი აქვს განსაკუთრებით აფხაზეთსა და ბიზანტიას შორის ურთიერთობის ახსნაში. კ. კუდრიავცევის აზრით VII საუკუნეში, ე. ი. ირაკლი კეისრის მეფობის დროს, აბაზგიის მმართველებს ნიშნავდა კეისარი. ასე მაგალითად, აფხაზეთის მმართველი ლეონ პირველი ირაკლი კეისრის მიერ დანიშნული ყოფილა. ამის შესახებ კ. კუდრიავცევი წერს: „Разобрав все данные мы приходим к сле-

38 პ. ინოგროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 128.

дующим выводам. Один из туземных правителей, которых мы видим почти во все времена, благодаря неизвестным нам пока причинам, объединил Абхазию в одно владение. Византийские императоры считаясь с совершившимся фактом санкционировали его и официально передали Абхазию во владение Леона и его потомства. И так полунезависимому владетелю дали, титул куропалата, что, сопоставляя разные данные, мы предпологаем отнести к 612 и в крайнем случае к 613 году"[39]. ჯერ ერთი ლეონი ირაკლი კეისრის მიერ არ იყო ერისთავად დამტკიცებული და მეორეც, აფხაზეთის გაერთიანება არ მომხდარა VII საუკუნის დასაწყისში. ჩვენთვის ცნობილია, რომ ლეონის ერისთავად დანიშვნა მოხდა აფხაზეთიდან არაბების განდევნის შემდეგ, ხოლო მთელი აფხაზეთის გაერთიანება კი კიდევ უფრო გვიანდელი ამბავია.

აქ ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ კუდრიავცევს არც არაბების შემოსევის შესახებ აქვს სწორი წარმოდგენა. ის მურვან ყრუს ლაშქრობას ათარიღებს 668 წლით, და მისი აზრით VII საუკუნის სამოცდაათიან წლებამდე აფხაზეთში მოღვაწეობდა ორი ლეონი. სინამდვილეში კი არც ერთ ლეონს არ მიუღია ხელისუფლება (ყოველ შემთხვევაში ამის შესახებ ცნობა არ მოგვეპოვება). კ. კუდრიავცევის აზრით ირანის წინააღმდეგ ლაშქრობის დროს ირაკლის მოკავშირე აბაზგების მეთაური ლეონი იყო. ის წერს: „Судя по впечатлению от отношении Льва I к Византии в частности к Ираклию, мы предполагаем, что Леона уже не было в живых. Упоминающегося же во время нашествия Мурван Кру Мурвана Глухого Леона мы считаем новым лицом по следующему основанию. Так как, по нашим предположениям, Леон I получил Абхазию во владение в 612 году, а нашествие арабских войск под предводительством Мурвана Глухого было в 668 году, то трудно допустить, чтобы один человек был предводителем страны в течении 56 лет, даже предположив его смерть в тот же год нашествия арабов"[40]. აქ კ. კუდრიავცევი იმეორებს ზემოთ აღნიშნულ შეხედულებას და უმატებს მეორე დაუსაბუთებელ დებულებას მურვან ყრუს ლაშქრობის შესახებ. თუმცა თვითონვე აღნიშნავს, რომ ის ვარაუდობს, მაგრამ ეს ნავარაუდევი სინამდვილეს ეწინააღმდეგება.

---

39 კ. კუდრიავცევი, დასახელებული შრომა, გვ. 88.

40 იქვე, გვ. 89.

მურვან ყრუს ლაშქრობის თარიღად კი დადგენილია 736—738 წლები და ამდენად ამ ლაშქრობასთან დაკავშირებულ მოვლენებს არ ექნებოდათ ადგილი VII საუკუნეში.

ასეთივე აზრი აქვთ გამოთქმული ი. ნ.—ს[41], გ. ლასკინს[42] და ა. ფადეევს[43].

ამრიგად, VIII საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთ საქართველოდან განდევნილ იქნენ არაბები, ხოლო აქ ბიზანტიის გავლენა საკმაოდ შეიკვეცა და ის ატარებდა წმინდა ფორმალურ ხასიათს. ისიც მომდევნო ხანებში საბოლოოდ გაუქმებულ იქნა.

2. აფხაზეთის სამეფოს წარმოქმნა და ბიზანტია.

IV—V საუკუნეებში ეგრისის სამეფოში გაერთიანებული იყო მთელი დასავლეთ საქართველო. ფეოდალური ურთიერთობის განვითარების საფუძველზე და ამ მხარის საერთაშორისო მდგომარეობის გართულების შედეგად მას გამოეყო აფხაზეთი. აფხაზეთის ამ გამოყოფას ხელი შეუწყო ბიზანტიამაც, რამდენადაც კეისრის მიერ დაქუცმაცებული ეგრისის დამორჩილება ადვილი იქნებოდა.

როგორც აღნიშნული იყო, აფხაზეთი VI საუკუნის დასაწყისიდან ბიზანტიის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. ამიერიდან დაწყებული ვიდრე VIII საუკუნის მეორე ნახევრამდე დასავლეთ საქართველო არ გაერთიანებულა.

VI საუკუნეში ეგრისში მიმდინარეობდა ხანგრძლივი ომი ბიზანტიელებსა და ირანელებს შორის, რომელმაც ეგრისი ეკონომიურად და პოლიტიკურად დასცა, რის შედეგადაც მის მეფეს უკვე აღარ შეეძლო ბრძოლა დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისათვის. არც აფხაზეთის ერისთავები იყვნენ ძლიერნი, რომ მათ შესძლებოდათ დასავლეთ საქართველოს ხელმეორე გაერთიანება. არც VII საუკუნეში შექმნილა დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისათვის ხელსაყრელი პირობები. VIII საუკუნის პირველ ნახევარში აქ არაბები ლაშქრობდნენ. მხოლოდ არაბების განდევნის შემდეგ იქმნება ხელსაყრელი პირობები აფხაზეთისა და ეგრისის გაერთიანებისათვის.

მიდრეკილება აფხაზეთისა და ეგრისის გაერთიანებისაკენ ძლიერდება და საჭირო ხდება ძლიერი მთავრის ინიციატივა.

---

41 И. Н., Абхазия и в ней Ново-Афонский Симоно-Канонитский монастырь, Москва, 1898 г., стр. 146.

42 Г. Ласкин, Ираклии, Харьков, 1889 г., стр. 49—51.

43 А. Фадеев, Краткий очерк истории Абхазии, часть I, Сухуми, 1934 г., стр. 76.

სწორედ ასეთ პირობებში ამ გაერთიანების ინიციატორი გახდა აფხაზეთის ერისთავი ლეონ მეორე.

მაშასადამე, თუ IV საუკუნეში დასავლეთ საქართველოს გამაერთიანებლად გვევლინება ლაზი მთავრები, VIII საუკუნეში კი ამ გაერთიანებას სათავეში უდგებიან აფხაზი ერისთავები.

როგორი იყო ბიზანტიის გავლენა დასავლეთ საქართველოს გაერთიანებამდე და რა პირობებში მოხდა ეს გაერთიანება?

ამ საკითხის გარკვევისათვის საჭიროა განვიხილოთ კონკრეტული ფაქტები, რომლებიც დაკავშირებულია ამ საკითხთან.

VIII საუკუნის პირველ ნახევარში არაბები აფხაზეთიდან განდევნილ იქნენ. აფხაზეთის მმართველს ლეონს ბიზანტიის კეისარმა აფხაზეთის მემკვიდრეობით მმართველობის უფლება მისცა. ეს საყურადღებო მოვლენაა. აფხაზეთიდან არაბების განდევნაში ბიზანტიელებს მონაწილეობა არ მიუღია; ყოველ შემთხვევაში ამის შესახებ წერილობით ცნობებში ნითითებული არაა. თუ აფხაზეთი ბიზანტიელების დახმარების გარეშე განთავისუფლდა უცხო მოძალადისაგან (არაბებისაგან), მაშინ კეისრის სანქციას რა მნიშვნელობა ჰქონდა? ფაქტიურად აფხაზეთი ამ დღიდან (არაბების განდევნიდან) თავს დამოუკიდებლად გრძნობდა და კეისარიც კმაყოფილდებოდა აფხაზეთზე მფარველობის მისი ფორმალური მხრით[44].

ხანგრძლივი მშვიდობიანობა ხელს უწყობდა ამ მხარის ეკონომიურ ძლიერებას. აფხაზეთის გაძლიერებას ხელს ვერ შეუშლიდა ბიზანტიაც, რამდენადაც ამ დროისათვის კეისარი ამით არ იყო დაინტერესებული (ამ დროს არაბები ბატონობდნენ აღმოსავლეთ საქართველოში, მცირე აზიაში). არაბების წინააღმდეგ ბრძოლას სჭირდებოდა ძლიერი მოკავშირეც. თუ ამ მხრით მივუდგებით საკითხს, მაშინ ლაზიკის არაბებისაგან განთავისუფლება და მისი აფხაზეთთან გაერთიანება უნდა ყოფილიყო იმპერატორის მიერ ნებადართული.

აფხაზეთისა და ეგრისის პოლიტიკური გაერთიანების შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს. ზ. ანჩაბაძე ამ გაერთიანებას ათარიღებს ლეონ ხაზარის მოღვაწეობით (775—780 წწ.), მხედველობაში აქვს რა აფხაზეთის მმართველ ლეონისა და ლეონ ხაზარის ნათესაური კავშირი. აი რას წერს ის: „Нам кажется, что присоединение Эгриси к Абхазии вероятнее всего могло призойти в годы правления визан-

---

44 ამიერიდან ჩვენ მხედველობაში გვექნება დასავლეთ საქართველოსა და ბიზანტიას შორის პოლიტიკური ურთიერთობის ფორმალური მხარე, როცა გვექნება საუბარი ბიზანტიის გავლენაზე.

тийского императора Льва Хазара (775—780 гг), которому Леон Абхазский приходился двоюродным братом"[45]. რამდენადაც აფხაზეთის ერისთავი და კეისარი დედით ნათესავები იყვნენ, ამდენად ლეონ ერისთავის მიერ დასავლეთ საქართველოს გაერთიანებას ხელს არ შეუშლიდა ლეონ ხაზარი. მიუხედავად იმისა, რომ ლეონის მიერ დასავლეთ საქართველოს გაერთიანება იწვევდა აფხაზეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ ძლიერებას, ლეონ ხაზარი მაინც იძულებული ხდებოდა მხარი დაეჭირა ამ გაერთიანებისათვის. ყოველ შემთხვევაში ის ამ საქმის წინააღმდეგ არ წავიდოდა. ამ გაერთიანებაზე სწორი შეხედულებისაა ზ. ანჩაბაძე. ის წერს: „...объединение Абхазии и Эгриси под властью Леона Абхазского, связанного с византийской царской династией родственными отношениями, могло в тот период даже соответствовать интересам правящей византийской верхушки, поскольку создавалось относительно мощное зависимое от Византии буферное государство между византийской империей, с одной стороны, и хазарским ханатом и арабскими владениями в Восточной Грузии,— с другои"[46]. ბიზანტიის მმართველი წრეების ეს დათმობა იძულებით იყო გამოწვეული. არც ლეონ ხაზარიც შეხვდებოდა ამ საქმეს დიდი სიამოვნებით, მიუხედავად იმისა, რომ მისი ძმა (დეიდაშვილი) იქნებოდა ამ გაერთიანებული ქვეყნის მმართველი. აფხაზეთის ბიზანტიისადმი დამოკიდებულების ფორმალურობა ორივე მხარისათვის ცნობილი იყო. მაგრამ ეს შედარებით უმნიშვნელო იყო და ამავე დროს არა იმდენად სახიფათო იმპერიისათვის, როგორც მის გვერდით (ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით) არაბების არსებობა.

მას შემდეგ, რაც აფხაზეთის მთავარმა შესძლო დასავლეთ საქართველოს გაერთიანება, მასზე ბიზანტიის გავლენა საკმაოდ შეიკვეცა. რაც შეეხება ბიზანტიის პრეტენზიებს დასავლეთ საქართველოს მიმართ, რაც გამოწვეული იყო ამ მხარეზე მისი გავლენის შენარჩუნების სულისკვეთებით, უკვე VIII საუკუნის შუა წლებში აფხაზეთის მთავრის მიერ უგულებელყოფილია.

დასავლეთ საქართველოს გაერთიანება არ იყო შემთხვევითი მოვლენა. მიუხედავად იმისა, რომ „რაც დრო გადიოდა და ეგრის-აფხაზეთი სოციალ-ეკონომიურად წინაურდებოდა, დაშლილობის ნაცვლად ქვეყანაში გაერთიანებისადმი მიდ-

---

45 ზ. ანჩაბაძე, დასახელებული შრომა, გვ. 101.
46 იქვე, გვ. 101.

რეკილება ძლიერდებოდა"[47]. აფხაზეთის მთავარს მოუხდა იარაღით დაპყრობა დასავლეთ საქართველოსი. პ. ინგოროყვა უარყოფს იმ ფაქტს, რომ აფხაზეთის მთავრებმა შესძლეს დასავლეთ საქართველოს გაერთიანება, სახელდობრ, იარაღის მეშვეობით. იგი წერს: „ამრიგად, ამ შეხედულების თანახმად, აფხაზებს მე-8 საუკუნის დასასრულს ვითომც დაუპყრიათ დასავლეთი საქართველო — ვიდრე ლიხის მთამდე და დაუარსებიათ „აფხაზთა სამეფო"[48]. შემდეგ უმატებს: „სინამდვილეში არავითარი დაპყრობა დასავლეთ საქართველოსი აფხაზების (ე. ი. აფხაზეთში მოსახლე ქართველი ტომის) მიერ არ მომხდარა, არამედ მოხდა აფხაზეთის ერისთავის მოთავეობით განთავისუფლება როგორც აფხაზეთისა, ისე დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ტერიტორიებისა ბიზანტიის იმპერიის ბატონობისაგან"[49].

მართლაც ბიზანტიის გავლენისაგან დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება და ამ მხარის გაერთიანება მოხდა აფხაზეთის ერისთავის მოთავეობით, მაგრამ ეს არ ნიშნავს მექანიკურ შეერთებას. მიუხედავად ყოველგვარი პირობის შექმნისა ამ მხარის გაერთიანებისას, მაინც მოინახებოდნენ ისეთი ადგილობრივი ძალები, რომლებიც ამ გაერთიანების წინააღმდეგნი იქნებოდნენ. არც ერთი წყარო არ მიუთითებს ისეთ ვითარებაზე, რომელიც ხელსაყრელი ყოფილიყოს ასეთი (ბრძოლის გარეშე) გაერთიანებისათვის. თუ პ. ინგოროყვას მხედველობაში აქვს ისეთი მოვლენა, როგორსაც ადგილი ჰქონდა ბაგრატ III დროს საქართველოს გაერთიანებისას, აქაც, მიუხედავად ყოველგვარი ხელსაყრელი პირობების შექმნისა, ბრძოლის გარეშე არ დასრულებულა საქმე. „როდესაც ბაგრატ მეფემ საქმეების მოსაწესრიგებლად აფხაზეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსვლა მოინდომა, მას ქართლის საზღვარზე დაუხვდნენ დიდგვარიანი აზნაურები ქავთარ ტბელის მეთაურობით და ომი აუტეხეს"[50]. ბაგრატმა მხოლოდ იარაღის მეშვეობით ამ აზნაურების დამარცხების შემდეგ შესძლო ქართლში გადმოსვლა. აქ კი — დასავლეთ საქართველოში ასეთი პირობები არ არსებობდნენ. პ. ინგოროყვას აზრით ლეონის მოთავეობით უბრძოლველად მოხდა აფხაზეთისა და დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ტერიტორიების განთავისუფლება ბიზანტიის გავლენისაგან. ცხადი უნდა იყოს ის ამბავი, რომ ერთ კაცს არ შეეძლო ეგ-

---

47 საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 123.
48 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 116.
49 იქვე.
50 საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 139.

რისის დაპყრობა და არც ბიზანტიის გავლენისაგან თავის დაღწევა სამხედრო ძალის გამოყენების გარეშე. მთავარი იყო დასავლეთ საქართველოს გაერთიანება, რის გარეშე ბიზანტიური გავლენის გაუქმებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. დასავლეთ საქართველოს გაერთიანების საკითხში ზ. ანჩაბაძე არ უარყოფს სამხედრო ძალების გამოყენებას. ის წერს: „Тем не менее недостаток источников не позволяет нам категорически утверждать, что объединение Абхазии и Эгриси в одну политическую единицу было осуществлено только мирным путем при отсутствии какого бы то ни было насилия со стороны абхазского владетеля"[51]. სინამდვილეშიც ადგილი ჰქონდა ძალდატანებას. მართალი უნდა იყოს ი. კალფოგლუ, როცა ამბობს, რომ ლეონ II ხაზარების დახმარებით დაიპყრო ეგრისი. სწორედ ამ საქმეში სჭირდებოდა ლეონს დახმარება. მას შემდეგ, რაც მთელი დასავლეთ საქართველო მტკიცედ იქნა გაერთიანებული, ეს მხარე და მისი მეფე არ ემორჩილებოდნენ კეისარს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს მხარე ფორმალურად ითვლებოდა, მცირე ხნით მაინც, ბიზანტიის ვასალად. ლეონ II იოანე საბანისძის მიერ აღწერილ პერიოდში მეფის უფლებებით სარგებლობდა, მხოლოდ ამ მდგომარეობას სჭირდებოდა იურიდიული გაფორმება.

ჩვენ ვერ დავეთანხმებით პ. ინგოროყვას აზრს დასავლეთ საქართველოს გაერთიანების შესახებ, სადაც აღნიშნულია: „ე. ი. აფხაზთა ერისთავმა აფხაზეთიდან კი არ დაიპყრა ეგრისი, არამედ ორივე მხარე, აფხაზეთიცა და ეგრისიც ვიდრე ლიხის მთამდე, დაიპყრა ბიზანტიელთაგან, განათავისუფლა ბიზანტიელთა ბატონობისაგან"[52]. ლეონს აფხაზეთი ბიზანტიელებისათვის არ წაურთმევია. აფხაზებმა მოძმე ქართველ ხალხთან ერთად თავისი ქვეყნიდან განდევნეს არაბები, რომლის შემდეგ კეისარმა ლეონ პირველის მემკვიდრეობითი მმართველობის უფლება აღიარა, ხოლო ლეონ მეორემ კი ეს მხარე მიიღო ისევე მემკვიდრეობით ბიძის ლეონ პირველისაგან. ბიზანტიის წინა ხანებში მათი გავლენის ქვეშ მყოფ აფხაზეთს არაბების თავდასხმისას დახმარება ვერ გაუწიეს. რამდენადაც ბიზანტიას აღარ შეეძლო დახმარების გაწევა, ამდენად ამ უკანასკნელის უფლებები აფხაზეთზე ფაქტიურად ძალას კარგავდნენ. რაც შეეხება ეგრისს, ის მართლაც დაიპყრო ლეონმა, მაგრამ არც ეს წაურთმევია ბიზანტიელებისათვის. ეს მხარე იმ დროს ბიზანტიელებს არ ეკუთვნოდათ.

---

51 ზ. ანჩაბაძე, დასახელებული შრომა, გვ. 101.

52 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 116.

პ. ინგოროყვას აზრით დასავლეთ საქართველოში განუწყვეტლივ მდგარა ბიზანტიის ჯაი. ის წერს: „ბიზანტიას, როძელიც დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამფლობელოს სიუზერენი იყო, საფიქრებელია, უნდა ჰყოლოდა, და როგორც ირკვევა ჰყოლია კიდეც, თავისი ჯარები დაბანაკებული დასავლეთ საქართველოში“[53]. აბ შემთხვევაში ის ეყოდხობა აგათიას ცნობებს, რომლებიც VI საუკუნეს ეხებიან. VI საუკუნეში ბიზანტიის გავლენა ძთელ დასავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა და აძავე დროს საკმაოდ ძლიერიც იყო, მაგრამ VIII საუკუნის პირველ ნახევარში აქ არაბები ბატონობდნენ. ასე რომ, პ. ინგოროყვას ბტკიცება სინამდვილეს ეწინააღმდეგება. შემდეგ წერს: „ლეონ II-ეს, როგორც ირკვევა, მოუხდა ბრძოლა დასავლეთ საქართველოში დაბანაკებულ ბიზანტიის ჯარებთან და ძათი განდევნა დასავლეთ საქართველოს ფარგლებიდან“[54]. ვერც ამაში ვეთანხმებით მას. ეს ასე რომ ყოფილიყო, მაშინ დასავლეთ საქართველოს გაერთიანება და ლეონის მიერ მეფის ტიტულის მიღება ერთდროული აქტი იქნებოდა. სინამდვილეში კი მოხდა ჯერ დასავლეთ საქართველოს გაერთიანება და შემდეგ კი მისი განთავისუფლება ბიზანტიის გავლენისაგან.

საყურადღებოა მეორე გარემოებაც. საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ დასავლეთ საქართველოში ბიზანტიელები ბატონობდნენ. ბიზანტიელები არ ემვეგოდნენ დასავლეთ საქართველოს მაშინაც კი, როდესაც ამ მხარის დამოუკიდებლობა ოფიციალურად გამოცხადებულ იქნა. ამის შესახებ იქ აღნიშნულია: „დიდხანს არ ეხსნებოდნენ ამის შემდეგ ბიზანტიელები დასავლეთ საქართველოს. პირდაპირი ომით თუ სხვა ღონისძიებით ისინი არაერთგზის შეეცადნენ იქ თავიანთი ბატონობის აღდგენას, მაგრამ საბოლოოდ დამარცხდნენ[55]“. უნდა ითქვას, რომ ასეთი აგრესიის შესახებ ცნობები არ მოიპოვება განსაკუთრებით კი ბიზანტიის გავლენაზე უარის განცხადების პირველ ხანების შესახებ. VIII საუკუნის დასასრულამდე ბიზანტიას ამის საშუალება აღარ გააჩნდა. იმ დროს იმპერიის მთავრობა იძულებული იყო შერიგებოდა, დროებით მაინც, შექმნილ მდგომარეობას.

დასავლეთ საქართველოს გაერთიანებასთან და მასთან ბიზანტიის იმპერიის ურთიერთობასთან დაკავშირებით პ. ინგოროყვა წერს: „მას შემდეგ, რაც დასავლეთ საქართველო გან-

---

53 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 216.
54 იქვე, გვ. 217.
55 საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 124.

თავისუფლებულ იქმნა არაბთა მფლობელობისაგან და ამრიგად ფაქტიურად ხელახლა გაერთიანდა ლაზეთის ყოფილი სამთავროს ქვეყნები და „აფხაზეთის“ მხარეები ერთ პოლიტიკურ ერთეულად — „აფხაზეთის“ მფლობელის მმართველობის ქვეშ, — ბიზანტიას, როგორც „აფხაზეთის“ სამფლობელოს სიუზერენს, უკვნია მომხდარი ფაქტი და მოუხდენია ამ ახალი მდგომარეობის პოლიტიკური რეგლამენტაცია. ამის შემდეგ „აფხაზეთის“ მფლობელი ოფიციალურად არის ცნობილი როგორც მეთაური გაერთიანებული დასავლეთ საქართველოსი, ბიზანტიის სუვერენიტეტის ქვეშ[56]. ფაქტიურად დასავლეთ საქართველოზე სიუზერენობის გაწევა ბიზანტიას შეეძლო ამ მხარის გაერთიანებამდე, ე. ი. დასავლეთ საქართველოდან არაბების განდევნის პირველ ხანებში. როგორც ცნობილია და აღიარებულია, ბიზანტია ყოველთვის ცდილობდა დასავლეთ საქართველოს დამორჩილებას მისი დაქუცმაცების საშუალებით. ამ შემთხვევაში ბიზანტიას აღარ შეეძლო ამ გაერთიანებისათვის ხელის შეშლა. გაერთიანება, უეჭველია, კვისრის სურვილის წინააღმდეგ მოხდა. მაშასადამე, თუ სიუზერენის სურვილების წინააღმდეგ მოქმედებს ვასალი და არ ემორჩილება მას, მაშინ სიუზერენობაც კარგავს თავის მნიშვნელობას. სინამდვილეში ბიზანტიის სიუზერენობა ატარებდა ფორმალურ ხასიათს, რაც, ალბათ, გამოწვეული იყო იმით, რომ ლეონ II ნაწილობრივ ერიდებოდა კვისართან ურთიერთობის უკიდურეს გამწვავებას, ე. ი. ლეონის დიპლომატიის შედეგი უნდა ყოფილიყო.

დასავლეთ საქართველოს გაერთიანება და ლეონ მეორეს მიერ მეფის ტიტულის მიღება არ შეიძლება ერთდროული აქტი იყოს. მიუხედავად „მატიანე ქართლისა“-ის ცნობისა, ჯერ უნდა მომხდარიყო ეგრისის შემოერთება აფხაზეთთან და შემდეგ დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება ბიზანტიის ყოველგვარი გავლენისაგან. ამის შესახებ ზ. ანჩაბაძე წერს: „На самом деле, присоединение Эгриси к Абхазии и образование независимости Абхазского царства были два разновременных акта... и произошли они в последовательности как раз противоположной той, на которую указывает И. Калфоглы“[57]. ი. კალფოგლუს აზრი მართლაც სინამდვილეს ეწინააღმდეგება. თუ ლეონს შეეძლო ბიზანტიისაგან დამოუკიდებლობის მოპოვება ხაზარების დახმარე-

---

56 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩული, გვ. 200.

57 ზ. ანჩაბაძე, დასახელებული შრომა, გვ. 96. განტვირთვა ჩვენია. კალფოგლუს აზრით ლეონ მეორემ ბიზანტიელებისაგან გაწმინდა აფხაზეთი და შემდეგ ხაზარების დახმარებით დაიპყრო ეგრისი.

ბის გარეშე იმ დროს, როცა ჯერ კიდევ აფხაზეთ-ეგრისი არ იყო გაერთიანებული, მაშინ არც ეგრისის დაპყრობისათვის დასჭირდებოდა ეს დამხმარე ძალა, ვინაიდან ეგრისი გაცილებით უფრო უძლური იყო (სამხედრო ძლიერების თვალსაზრისით) ბიზანტიასთან შედარებით. ლეონი ჯერ უნდა გაძლიერებულიყო, დაეპყრო ეგრისი, რომ შესძლებოდა ბიზანტიისათვის წინააღმდეგობის გაწევა.

საინტერესოა საკითხი დასავლეთ საქართველოს გაერთიანების წინ ეგრისში პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. რას წარმოადგენდა ეს მხარე პოლიტიკური თვალსაზრისით?

ჩვენთვის ცნობილია, რომ არაბების განდევნის შემდეგ ეგრისი მირის სამფლობელოს წარმოადგენდა. გარდაცვალების წინ მირმა თავის ძმას არჩილს უანდერძა შემდეგი: „ხოლო საუხუცესოდ რომელ მქონდა მომიცემია შენდა, და გქონდეს საუხუცესოდ: ეგრისი, სუანეთი, თაკუერი, არგუეთი და გურია“[58]. მირის გარდაცვალების შემდეგ დასახელებული მხარე არჩილის საბრძანებელი იყო. ამაზე იგივე წყარო მიუთითებს: „წარმოვიდა არჩილ და დაემკვიდრა ეგრისს ვიდრე შოროპნადმდე. და განაგნა ყოველნი ციხენი და ქალაქნი, და აღაშენა ციხე საზღუარსა ზედა გურიისა და საბერძნეთისასა. და წარხდა ამათ ძინა წელიწადი თორმეტი, და იწყო შენებად ქართლმან. გარდამოვიდა არჩილ ეგრისით, და დაჯდა ნაციხარსა ხიდრისასა“[59]. ეტყობა მირის გარდაცვალების შემდეგ არჩილი დიდხანს არ დარჩენილა ეგრისში (დასავლეთ საქართველოში); 12 წლის შემდეგ დაუტოვებია ეს მხარე. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ არჩილმა დაუტოვა ბიზანტიას დასავლეთი საქართველო (აფხაზეთის გამოკლებით)? საინტერესოა მეორე ცნობაც, რომელიც ეხება ლეონისა და არჩილის ურთიერთობას. ამ ცნობაში აღნიშნულია: „მაშინ მისცა ლეონს ცოლად ძმისწული მისი გურანდუხტ და გვირგვინი იგი, რომელი ბერძენთა მეფესა წარმოეცა მირისთვის. და ყვეს აღთქმა და ფიცი საშინელი, ვითარმედ არა იყოს მტერობა შორის მათსა, არამედ ერჩდეს ლეონ არჩილს ყოველთა დღეთა მისთა“[60]. არჩილმა ლეონს გადასცა კეისრის მიერ მირისათვის ბოძებული გვირგვინი. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ არჩილმა თავისი სურვილით მთელი დასავლეთ საქართველო ლეონს გადასცა? არ ნიშნავს. არჩილი ეგრისიდან წავიდა, მაგრამ ეს მხარე ჯერჯერობით მის სამფლობელოში შედიოდა. „მატიანე ქართლისა“-ს ცნობაში აღნიშნულია, რომ არჩილის სიკვდილის

58 ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 241.
59 იქვე, გვ. 243.
60 იქვე, გვ. 242.

შემდეგ მისი სამფლობელო გაიყვეს მისმა შვილებმა იოანემ და ჯუანშერმა. „მატიანე ქართლისა"-ს ავტორი წერს: წარვიდა იოვანე ეგრისად და წარიტანა თანა დედა და ორნი დანი თვისნი"[61]. მაგრამ არჩილის გარდაცვალების შემდეგ ლეონის მიერ დადებულ ფიცსაც ძალა ეკარგებოდა, ვინაიდან ამ ფიცის მიხედვით არჩილის სიცოცხლეში არ უნდა ყოფილიყო მტრობა. ამ ფიციდანაც და კეისრის მიერ მოწერილ წერილიდანაც ირკვევა, რომ ლეონ I მიისწრაფოდა არჩილის სამეფოს ხელში ჩაგდებისაკენ. სწორედ არჩილის სიკვდილის შემდეგ ლეონ მეორის წინაშე წამოიჭრა საკითხი ეგრისის დაპყრობისა.

საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, თუ რა ურთიერთობაში იმყოფებოდა დასავლეთ საქართველო ბიზანტიასთან აღებულ დროის მონაკვეთში. აკად. ს. ჯანაშიას აზრით ლეონ მეორის მიერ ეგრისის დაპყრობამდე ეს მხარე ბიზანტიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და ისიც ძლიერი გავლენისა. მისი აზრით კეისრის მთავრობამ აქ გააუქმა ადგილობრივი მმართველობის ყოველგვარი ფორმა. ის წერდა: „Глубоко интересно, что у Сабанисдзе нет даже намека на Эгриси (Лазику) и его владетеля; этот факт, в свете некоторых сообщений других грузинских источников, наводит на мысль, что к данному времени императорское правительство успело ликвидировать местные органы управления и последние остатки автономии Лазики, что и облегчило ее захват (или мирное присоединение, с санкции императора) абхазским владетелям"[62].

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ დასავლეთ საქართველოს გაერთიანებას ბიზანტიის მთავრობამ ხელი არ შეუშალა. ბიზანტიის მთავრობა მართლაც დაინტერესებული იქნებოდა ამ მხარის გაერთიანებით, თუ ეგრისი არჩილის მემკვიდრეების სამფლობელო იქნებოდა, რამდენადაც ამ გაერთიანებული მხარის მმართველი კეისრის ნათესავი იქნებოდა. გარდა ამისა, ეგრისი რომ ბიზანტიის გავლენის ქვეშ ყოფილიყო და აფხაზეთის ერისთავს ლეონს ძალით დაეპყრო იგი, მაშინ ამავე დღიდან თავს დამოუკიდებლად გამოაცხადებდა. მაგრამ ასე არ მომხდარა. ლეონს ბიზანტიისათვის არ წაურთმევია ეს მხარე, არამედ ეს წაართვა ქართლის ყოფილი მეფეების მემკვიდრეებს... აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქართლში VIII საუკუნის მეორე ნახევარში ბატონობენ არაბები და ქართლის მმართველობა ეევალება ამირას. ქართლი ამ დროს

61 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 249.
62 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, გვ. 339.

ხარკს უხდის არაბებს. ამ დროს ქართლის მმართველებს აღარ შეეძლოთ ეგრისისათვის საჭირო ყურადღების მიქცევა. ამავე დროს ხაზარებიც ანადგურებდენ ქართლის დასახლებულ პუნქტებს. „764 წელს ხაზარებს მცირე ხნით თბილისიც კი დაუპერიათ“[63]. სწორედ ეს გარემოება ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო ლეონ მეორის მიერ ეგრისის დაკავებისათვის.

დასავლეთ საქართველოს გაერთიანება აფხაზეთის მთავრის მეთაურობით მოხდა VIII საუკუნის მეორე ნახევარში. ამავე საუკუნის ოთხმოციან წლების დასაწყისში ეს გაერთიანება დამთავრებული იყო. ამაზე მიუთითებს ამავე საუკუნის თხზულება, რომლის ავტორია იოანე საბანისძე. ამ თხზულებაში აღნიშნულია, რომ ქართლის კათალიკოსმა სამოელმა ოფიციალური წერილი მისწერა იოანეს და დაავალა აბოს მოღვაწეობის და წამების აღწერა. ასეთი დავალება იოანემ მიიღო იმიტომ, რომ იოანე აბოს პირადად იცნობდა. იოანესთვის აუცილებლად ცნობილი იქნებოდა მაშინდელი აფხაზეთის საზღვრები.

VIII საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზეთის სამხრეთი საზღვრების დადგენაში შეცდომა დაუშვა აკად. კ. კეკელიძემ. ის წერდა: „ამ საზღვრებში (მხედველობაშია იოანე საბანისძის მიერ აღწერილი საზღვრები — მ. გ.), ავტორის ცნობით, იმყოფება („მუნ არს“) ტრაპეზუნტიაი, საყოფელი აფსარეაისაი და ნაფსიის ნავთსადგური“. ამრიგად, ტრაპიზონი იმ ხანებში აფხაზეთის საზღვრებში შედიოდა, და ეს რომ სწორია, ჩანს 787 წლის საეკლესიო კრების აქტებიდან“[64]. კ. კეკელიძის აზრით აფსარეა და ნაფსიის ნავთსადგურიც იმყოფებოდნენ აფხაზეთის საზღვრებში. ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთსავე შეცდომას უშვებს პ. ინგოროყვაც. „მისაზღვრადმდე ქალდიაისა“ მისი აზრით ნიშნავს „ქალდიის ჩათვლით“. მისი გაგების დასასაბუთებლად შემდეგს ამბობს: „რომ ტექსტის მხოლოდ ამნაირი გაგებაა სწორი, ეს უდავოდ დასტურდება მომდევნო წინადადებებიდან“[65]. და შემდეგ მოყავს ადგილი ტექსტიდან „ტრაპეზუნტი მუნ არს...“ და ა. შ. პ. ინგოროყვას მიერ მოყვანილი წინადადება მომდევნო წინადადება კი არაა, არამედ პირველის გაგრძელებაა. ამ ტექსტის ინგოროყვასებური გაგება იქამდე მიგვიყვანს, რომ იძულებული ვიქნებით თვით კონსტანტინეპოლიც აფხაზეთის საზღვრებში ვიგულისხმოთ. ტექსტის ამნაირი გაგება, რა

---

63 საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 118.
64 კ. კეკელიძე, ადრეული ფეოდალური ქართული ლიტერატურა, ნაკ. I, გვ. 28.
65 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 210.

თქმა უნდა, მცდარია. აი კიდევ რას წერს: „სახელდობრ, ლეონ II-ის დროს მომხდარა შემოერთება დასავლეთ საქართველოსთან (დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამფლობელოსთან) სამხრეთ კოლხეთის (ჭანეთის) ტერიტორიისა — ტრაპიზონის მხარისა“[66]. ჯერჯერობით არ მოიპოვება არც ერთი საბუთი, რომელიც ამტკიცებდეს აფხაზეთის საზღვრებში ტრაპიზონის მხარის არსებობას. „აბოს წამებაში“ იოანეს მიერ აღწერილია აფხაზეთის სამხრეთი საზღვრები შემდეგნაირად: „რამეთუ საზღვარ მათდა არს ზღუაი იგი პონტოისაი, სამკვიდრებელი ყოვლადვე ქრისტიანეთაი, მისაზღვრადმდე ქალდიაისა, ტრაპეზუნტიაი მუნ არს, საყოფელი იგი აფსარეაისაი და ნაფსაის ნავთსადგური. და არს ქალაქები იგი და ადგილები საბრძანებელად ქრისტეს მსახურთა იონთა მეფისა, რომელი მოსაყდრე არს დიდსა მას ქალაქსა კონსტანტინეპოვლისასა“[67]. აქედან ირკვევა, რომ კონსტანტინეპოლი იმ მხარეში იმყოფებოდა, სადაც იყო ტრაპიზონი, აფსარეა და ნაფსაის ნავთსადგური, ე. ი. საკუთრივ ბიზანტიის ტერიტორიაზე.

იხილავს რა აფხაზეთის სამხრეთ საზღვრებს, აკად. ს. ჯანაშია უარყოფს კ. კეკელიძის აზრს იმავე საკითხთან დაკავშირებით. აგრეთვე ეს ეხება პ. ინგოროყვას შეხედულებასაც. ჩვენ გვგონია, რომ აკად. ს. ჯანაშიას აზრი სინამდვილეს ემთხვევა. იგი წერს: „Однако, такое толкование совершенно неприемлемо как текстуально, так и исторически: мы знаем хорошо, что Абхазия, в политическом смысле, не простиралась южнее реки Чорохи и едва ли она ее когда нибудь даже достигала“[68].

დასავლეთ საქართველოდან არაბების განდევნის შემდეგ აფხაზეთის ერისთავმა ლეონმა სამემკვიდრეოდ მიიღო აფხაზეთი, რომლის სამხრეთი საზღვარი გადიოდა მდ. კელასურზე. კელასურის სამხრეთით მდებარე აფსილიის ნაწილი და მთელი ეგრისი ქართლის მეფეების მირის და არჩილის სამფლობელო გახდა. აქ არაბები დიდხანს ვერ დარჩნენ. „ქვეყანა ხანგრძლივი მშვიდობიანობით სარგებლობდა და ფეოდალური ურთიერთობის განვითარების გზით სწრაფად მიდიოდა წინ“[69]. არც ლეონი და არჩილი ერჩოდნენ ერთმანეთს; მათ შორის მეგობრული და შემდეგ ნათესაური ურთიერთო-

---

66 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 202.
67 კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I. 1946, გვ. 62.
68 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, გვ. 338.
69 საქართველოს ისტორია, გვ. 123.

ბა დამყარდა. უკვე აქედანვე შეიმჩნევა ამ მხარის გაერთიანებისაკენ მისწრაფება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლეონის სამფლობელოს საზღვრის გარეთ რჩებოდა აფსილეთის მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს რა თქმა უნდა, ლეონისათვის არ იქნებოდა სასიამოვნო, მაგრამ იმ დროს მას არ შეეძლო არჩილისათვის წინააღმდეგობის გაწევა. პირიქით, მან საჭიროდ მიიჩნია ნათესაური ურთიერთობის დამყარება. მას შემდეგ, რაც ლეონი მირის სიძე გახდა, არჩილი, ალბათ, თანახმა იქნებოდა ლეონისათვის დაებრუნებინა აფსილეთის ის ტერიტორია, რომელიც მის სამფლობელოში იყო მოქცეული. არჩილი გადასახლდა შიდა ეგრისში. აქ არ ჩანს ძალადატანება რომელიმე მხარის მიერ. ამ ფაქტის შესახებ ჯუანშერი გვატყობინებს: „და ყვეს აღთქმა და ფიცი საშინელი, ვითარმედ არა იყოს მტერობა შორის მათსა, არამედ ერჩდეს ლეონ არჩილს ყოველთა დღეთა მისთა“[70]. ეს ამბავი მოხდა მას შემდეგ, რაც ლეონმა ცოლად შეირთო მირის ქალიშვილი გურანდუხტი. ამ გარემოებას შემდეგნაირად ახასიათებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. ნ. ბერძენიშვილი: „ერთი ძველი ქართული წყაროს ცნობით, VIII საუკუნის შუა წლებში ქართლის მეფის არჩილის საბრძანებელში ეგრისიც შედიოდა და ქუთაისი მის სამკვიდრო ქალაქად იყო გამოცხადებული, ხოლო აფხაზეთის ერისთავი ლეონ პირველი ქართლის მეფის ყმადნაფიცი იყო[71]. ამ შემთხვევაში ლეონ პირველი განსხვავდებოდა სხვა ყმადნაფიც მთავრებისაგან. საქართველოს ყმადნაფიცებს ეშინოდათ სამხედრო ძალის და ამიტომაც იძულებულნი იყვნენ ხარკი ეძლიათ საქართველოს მეფისათვის და ყმადნაფიცად გამოეცხადებინათ თავი. ასეთი იყო ურთიერთობა, მაგალითად, XII საუკუნეში ერზინკის სულთანთან, არზრუმის ამირასთან, ხლათის სულთანთან და სხვებთან. ასე რომ, ლეონი არ იყო ძალით დამორჩილებული ყმადნაფიცი. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა ეს ისტორიული აქტი მიუთითებს იმაზე, რომ იქმნებოდა პირობები ფეოდალური საქართველოს გაერთიანებისათვის.

როგორც ჩანს, ლეონ პირველს არ დაურღვევია ფიცის პირობები. ის მართლაც არჩილის ერთგული აღმოჩნდა. ლეონ პირველის შემდეგ აფხაზეთის ერისთავობა მიიღო მისმა ძმისშვილმა ლეონ მეორემ. ლეონ მეორის მეთაურობით იწყება ბრძოლა დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისათვის.

---

70 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 243.
71 საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 123.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერ უნდა მომხდარიყო დასავლეთ საქართველოს გაერთიანება და შემდეგ კი ამ მხარის ეკონომიური და პოლიტიკური მოღონიერების შედეგად უნდა დაწყებულიყო დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება. ამის შესახებ საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოში შემდეგია აღნიშნული: „VIII საუკუნის მიწურულს კი დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური სურათი ასეთი იყო: ფეოდალურ სამთავროებს შორის ბრძოლაში გამარჯვება აფხაზეთის სამთავროს დარჩენოდა. აფხაზთა მთავარს მორჩილებდა ეგრის-აფხაზეთის ვრცელი ქვეყანა. ამ ერთიან ფეოდალურ სამთავროს სათავეში აფხაზთა მთავარი ლეონ II იდგა. იმ დროს ეგრის-აფხაზეთი ყოველმხრივ წარმატებაში შესულ მხარეს წარმოადგენდა. არაბთა მძლავრობა აქამდე ვეღარ აღწევდა, ხოლო ბიზანტიელთა ბატონობა დასასრულს მიახლოებულიყო“[72]. აქ აღნიშნულია, რომ, როცა ეგრის-აფხაზეთი ლეონ II მორჩილებდა, მასზე ვრცელდებოდა ბიზანტიელთა ბატონობა, ე. ი. ჯერ გაერთიანდა ეს მხარე და შემდეგ კი გაუქმდა მასზე ბიზანტიური გავლენა.

დასავლეთ საქართველოს გაერთიანების პირობების გაგებისათვის საჭიროა დადგენილ იქნას აფხაზეთის ერისთავის და ქართლის მეფეების ბიზანტიის იმპერიასთან ურთიერთობის შინაარსი.

უკვე გარკვეულია, რომ დასავლეთ საქართველო გაერთიანდა აფხაზეთის ერისთავის მეთაურობით. აგრეთვე აღვნიშნეთ, რომ ამ გაერთიანებას დასჭირდა შეიარაღებული ბრძოლა. ისმება კითხვა იმის შესახებ, რომ იყო თუ არა ეს გაერთიანება მარტოდმარტო დაპყრობის შედეგი, თუ გააჩნდა მას სხვა სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური საფუძვლები.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჯერ კიდევ ადრე იწყება აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე მონათესავე ეთნიკური ერთეულების კონსოლიდაცია, რომელიც, რა თქმა უნდა, არ იყო შემთხვევითი მოვლენა. ამას ჰქონდა თავისი სოციალური და ეკონომიური საფუძვლები. ზ. ანჩაბაძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ აფხაზურ ენას საფუძვლად უნდა ედოს აფსილიური დიალექტი[73].

ქვეყნის ძლიერების და მის საზღვრების გაფართოებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, ეკონომიურ ინტერესებთან ერთად, ეთნიკურმა ნათესაობამ. ასევე სამართლიანად აღნიშნავს ზ. ანჩაბაძე, რომ აფხაზეთის ჩრდილოეთი საზღვრების შდ. ნეჩეფსუხომდე გავრცელებაში დიდი როლი შეასრულეს

---

72 საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 123.
73 ზ. ანჩაბაძე, დასახელებული შრომა, გვ. 69.

აქ მოსახლე აფხაზების მონათესავე ტომებმა. ის წერს: „Важную роль здесь, очевидно, сыграло то обстоятельство, что данная территория (от Бзыби до Нечепсухо) была заселена ближайще родственным абазгам населением — санигами и зехами. Общие интересы борьбы против иноземных захватчиков (в частности, против хазаров) также стимулировали, надо полагать, это объединение"[74].

ფეოდალური ურთიერთობის განვითარების ახალმა გზებმა, მასთან დაკავშირებით მეურნეობის და ხელოსნობის განვითარების სწრაფმა ტემპებმა, საჭირო გახადეს ამ ეთნიკური ერთეულების დაახლოება. იქმნება ერთი ეროვნება ერთიანი ენით და კულტურით. ეს პროცესი VIII საუკუნეში დასრულებულად ჩანს.

ამრიგად, მონათესავე აფხაზური ტომების გაერთიანების შემდეგ დღის წესრიგში დგება საკითხი დასავლეთ საქართველოს სხვა ტომების გაერთიანებისა ერთ პოლიტიკურ ერთეულში. ეს საკითხი და შემდეგში მის სისრულეში მოყვანა აუცილებლობის შედეგი იყო.

როგორც ცნობილია, VIII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში მშვიდობიანობა იყო დამყარებული, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მურვან ყრუს ლაშქრობას. სოფლის მეურნეობის და ხელოსნობის პროდუქტების ზრდის შედეგად ვაჭრობაც ვითარდებოდა. ამ მხარის სხვადასხვა რაიონებში მეურნეობის სხვადასხვა დარგი ვითარდებოდა. აუცილებელმა ეკონომიურმა საჭიროებამ დასავლეთ საქართველოს გაერთიანების საკითხი. ამას ხედავდნენ ლაზი და აფხაზი ფეოდალები და ამისკენ მიისწრაფოდნენ.

ქვეყნის გაერთიანების საკითხს ყველა ფეოდალი, რა თქმა უნდა, ერთნაირად ვერ ეკიდებოდა. ყოველი ძლიერი ფეოდალი, როგორც საერთოდ ფეოდალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელია, ცდილობდა დამოუკიდებლობის შენარჩუნებას იმის იმედით, რომ ის მალე გაძლიერდებოდა და მის თანასწორთა შორის პირველი იქნებოდა და შემდეგში კიდევ მეფის წინააღმდეგ გამოსვლას აპირებდა. ეგრისში, მართალია, მეფეები არ იყვნენ, მაგრამ ძლიერი ფეოდალები კი იქნებოდნენ, რომლებიც, ალბათ, ოცნებობდნენ ეგრისში პირველობაზე. აფხაზეთში კი იყო ერისთავი ეკონომიურად და პოლიტიკურად ძლიერი. აფხაზეთის ერისთავის ძლიერებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ აქ არაბები არ იყვ-

74 ზ. ანჩაბაძე, დასახელებული შრომა, გვ. 68.

ნენ (აფსილია დალაშქრეს არაბებმა, მაგრამ მისი ხანმოკლეობის გამო ნაკლებად აღიბეჭდა მის მიერ მოტანილი ზიანი, ხოლო აბაზგიას და სანიგეთს ხომ სრულებით ვერ მიაყენეს ზიანი) დიდხანს და მისი ეკონომიკა შეუფერხებლად ვითარდებოდა. ეგრისში კი შედარებით სხვა პირობები იყო. ჯერ აქ ბიზანტიური ბატონობა აუტანელი იყო. შემდეგ კი ეს შეიცვალა არაბთა ბატონობით, რომელმაც დიდი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიურ ძლიერებაზე. ამის შესახებ სამართლიანად აღნიშნავს პ. ინგოროყვა შემდეგს: „ამრიგად, 697 წლის აჯანყების შემდეგ ქვეყანამ არა თუ თავისუფლება ვერ მოიპოვა, არამედ იგი ბევრად უფრო მძიმე განსაცდელში ჩავარდა. ბიზანტიელების მფლობელობა შეიცვალა ბევრად უფრო მძიმე უღლით, არაბების ბატონობით“[75]. მისივე სიტყვებით „არაბების ბატონობამ დასავლეთ საქართველოში გასტანა ნახევარი საუკუნე, 697 წლიდან — მე-8 საუკუნის 40-იან წლებამდე“[76]. აქედან ნათლად ჩანს, თუ როგორი მდგომარეობა იყო ეგრისში. ეგრისის და აფხაზეთის ეკონომიურ მდგომარეობაზე ზ. ანჩაბაძე წერს: „И действительно, как отмечалось выше, Лазика взяла на себя основную тяжесть борьбы против персидских, византийских и арабских захватчиков, а кроме того, именно на территории Лазики происходили разорительные ирано-византийские и византийско-арабские войны. Что же касается Абхазии, то она пострадала от этих войн значительно меньше и поэтому ее внутренние силы не только не слабели, а, наоборот, росли“[77]. აქედან აშკარად ჩანს, თუ როგორი ძალთა თანაფარდობა იყო ეგრისსა და აფხაზეთს შორის. ეკონომიურად ასეთნაირად დაცემულ მხარეს გაუძნელდებოდა ამ მხრივ შედარებით ძლიერ მთავრისათვის — აფხაზეთის ერისთავისათვის წინააღმდეგობის გაწევა. სწორედ ეს იქნებოდა ერთ-ერთი ხელსაყრელი პირობა ამ მხარის გაერთიანებისას აფხაზეთის ერისთავის დაწინაურებისა. აგრეთვე ეგრისის საერთაშორისო მდგომარეობა აიძულებდა მას მტკიცე კავშირში ყოფილიყო აფხაზეთთან. დასავლეთ საქართველოდან არაბების განდევნის შემდეგაც მის მეზობლად, აღმოსავლეთ საქართველოში არაბები ბატონობდნენ და მათ მხრივ საფრთხე ჯერ კიდევ ძალაში რჩებოდა. მაგრამ ეს კავშირი ნებაყოფლობით პრინციპზე იქნებოდა აგებული, ხოლო გაერთიანება კი ძალდატანებაზე. ამდენად, ვახუშტის

---

75 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 196.

76 იქვე.

77 ზ. ანჩაბაძე, დასახელებული შრომა, გვ. 97.

ცნობა იმის შესახებ, რომ იოანეს სიცოცხლეშივე ეგრისი ლეონს ემორჩილებოდა, რამდენადაც ლეონი იოანესთან ნათესაურ ურთიერთობაში იმყოფებოდა, არ უნდა ეყრდნობოდეს რომელიმე წყაროს, რომელიც სარწმუნო იქნებოდა. წარმოუდგენელია ეგრისის მმართველი ემორჩილებოდეს აფხაზეთის ერისთავს მხოლოდ იმისათვის, რომ ის მისი შორეული ნათესავი იყო (ლეონი იოანეს ბიძაშვილის ქმარი იყო). ჩვენ ვიცით, რომ ფეოდალურ ურთიერთობაში, როცა ძმა ძმას არ უთმობს ერთ მტკაველ მიწას, შვილი მამას კლავს ამავე მიზეზით, ერთი მთავარი მეორეს არ დაუთმობდა თავის სამფლობელოს მთლიანად და ისიც უბრძოლველად. ლეონისა და იოანეს ნათესაურ ურთიერთობაზე სწორ აზრს გამოთქვამს იგივე ზ. ანჩაბაძე. ის წერს: „Что касается указания Вахушти на родство Леона абхазского с эгрисским царем Иоанном как на причину подчинения Эгриси Абхазии еще при жизни Иоанна, то этот момент может быть учтен лишь в качестве династического аргумента, которым, как видно, воспользовался Леон II, чтобы канонизировать присвоение им царских прав потомков Арчила на Эгриси“[78].

როგორც ჩანს, ამ გაერთიანებას ჰქონდა ეკონომიური და პოლიტიკური საფუძვლები; მასზე გავლენა მოახდინა აგრეთვე ამ მხარის საერთაშორისო მდგომარეობამაც.

დიდ ინტერესს იწვევს საკითხი იმის შესახებ, თუ როდის უნდა განთავისუფლებულიყო ბიზანტიის გავლენისაგან ისეთი ძლიერი პოლიტიკური ერთეული, როგორიც იყო იმდროინდელი აფხაზეთი. ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა აზრია გამოთქმული.

ცნობილია, რომ აფხაზეთის განთავისუფლება ბიზანტიის გავლენისაგან ემთხვევა ლეონის გამეფებას (ლეონის მიერ მეფის ტიტულის მიღებას). ვახუშტი ლეონის გამეფებას ათარიღებს 786—787 წლებით და უკავშირებს იოანესა და ჯუანშერის მოღვაწეობას. ბროსეც ლეონის გამეფებას ათარიღებდა 786 წლით და ამავე დროს აფხაზეთის პირველ მეფედ აღიარებდა ლეონ პირველს. ამ შემთხვევაში ბროსე ეყრდნობა დოსითეოსის ტაბულას (დოსითეოსი იყო იერუსალიმის პატრიარქი 1641—1707 წლებში). დოსითეოსის აფხაზეთის მეფეთა ნუსხა ემთხვევა ე. თაყაიშვილის მიერ ნაპოვნ ქართულ ხელნაწერებში აღნიშნულ მეფეთა ნუსხას. ამ ნუსხის მიხედვით ლეონ პირველიდან იწყება მეფეთა მოღვაწეობის

78 ზ. ანჩაბაძე, დასახელებული შრომა, გვ. 37, 98.

ხანგრძლივობის აღნიშვნა და მოდის ბაგრატ მესამემდე. ამ ნუსხის მიხედვით, უკუთვლითი გამოანგარიშებით, გამორკვეულია, რომ ლეონ პირველი მოღვაწეობდა 746-791 წლებში. აქ დასახელებული ლეონი იყო იმ ლეონის ძმისწული, რომელმაც აფხაზეთიდან არაბების განდევნის შემდეგ მიიღო აფხაზეთის ერისთავობა. ნუსხაში აღნიშნული ლეონ პირველის წინამორბედებია თეოდორე და კონსტანტინე და გამოტოვებულია ის ლეონი, რომლის ერისთავობამ კეისრის სანქციი მიიღო. ლეონ პირველის ვინაობაზე ს. ჯანაშია წერს: „Можно считать достоверным лишь идентичность Леона из „Дивана" с вышеуказанным Леоном II, положившим действительно начало независимости абхазской династии, как сообщают другие грузинские источники, в частности Вахушти"[79]. ნუსხაში აღნიშნულ ლეონ პირველის ისტორიულობაში ეჭვი შეაქვს აკად. ს. ჯანაშიას, მხედველობაში აქვს რა, რომ აფხაზეთის მეფეთა ნუსხაში აღნიშნულია მხოლოდ ერთი ლეონი. ის წერს: „Однако, историчность этого Леона I-го для нас находится под некоторым сомнением, которое поддерживается и тем фактом, что «Диван царей» знает лишь одного Леона, соответствующего Леону II-ому «Матианэ картлисай»". ს. ჯანაშიას აზრით 746 წელი არ შეიძლება აღიარებულ იქნას ლეონ მეორის მეფობის დასაწყისად. ის წერს: „Поэтому дату, которая была предложена для этого события Такайшвили и принята другими исследователями, а именно — 746 г., приходится решительно отбросить"[81]. ამავე დროს მისი აზრით ლეონ II უნდა დაბადებულიყო არა უადრეს 750 წლისა. თუ ე. თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილ ნუსხას დავუჯერებთ, მაშინ მისივე გამოანგარიშებული ლეონის მოღვაწეობის ქრონოლოგიური ჩარჩოებიც (746-791 წწ.) უნდა ვაღიაროთ. გარდა ამისა, ე. თაყაიშვილის მიერ დადგენილი 746 წელი არ უნდა ყოფილიყო ლეონის მეფობის (მეფის ტიტულის მიღების) წელი.

მხედველობაში მისაღებია ერთი გარემოება, რომ შესაძლებელია ქართული ნუსხის (რამდენადაც იგი დედნად ითვლება) ავტორს ჰქონდა ზუსტი ცნობები სწორედ იმ ლეონიდან, რომელიც მისივე ნუსხაში პირველადაა დასახელებული. ამ მოსაზრების სისწორეს ამტკიცებს ის ფაქტი, რომ სწორედ ამ ლეონიდან იწყება მეფეთა მოღვაწეობის განსაზღვრა. თუ

---

79 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, გვ. 325.
80 იქვე, გვ. 330.
81 იქვე, გვ. 329.

ლეონ პირველიდან მოყოლებული მეფეთა ნუსხის სისწორეში ეჭვს არ შევიტანთ, მაშინ ლეონ პირველის (სინამდვილეში მეორის) მოღვაწეობის თარიღი 746—791 წლები სინამდვილეს უახლოვდება. ეს თარიღი აღიარა აკად. ივ. ჯავახიშვილმაც.

დასავლეთ საქართველოს ბიზანტიის გავლენისაგან განთავისუფლების შესახებ საყურადღებო ცნობას იძლევა „მატიანე ქართლისა". იქ აღნიშნულია, რომ აფხაზები ბერძნებს გადაუდგნენ იმ დროს, როცა ეს უკანასკნელნი დასუსტებული იყვნენ. ამის შესახებ ეს წყაროა აღნიშნავს: „ხოლო რაჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომლისად მიეცა სამკვიდროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხნამდე, სახელიდვა მეფე აფხაზთა, რამეთუ მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჯუანშერ"[82]. ამ ცნობის მიხედვით ლეონი ჯერ განუდგა ბერძნებს და მერე გააერთიანა აფხაზეთი და ეგრისი. ჩვენი აზრით მართალნი უნდა იყვნენ ს. ჯანაშია და ზ. ანჩაბაძე, რომლებიც ამბობენ, რომ ჯერ მოხდა დასავლეთ საქართველოს გაერთიანება და შემდეგ ბიზანტიის გავლენისაგან განთავისუფლება. ს. ჯანაშია მიუთითებს: „Отпадение Абхазии произошло позже, когда внутреннее и внешнее положение Византийской империи значительно изменилось. Случилось это при ближайших политических преемниках Льва Хазара"[83]. ს. ჯანაშიას ამ ფრაზაში ზედმიწევნით სწორად არის აღნიშნული, რომ ლეონს შეეძლო მხოლოდ გარკვეულ პირობებში უარის თქმა ბიზანტიის გავლენაზე. „მატიანე ქართლისაიში" მითითებულია, რომ ლეონმა დაიხმარა ხაზარების სამხედრო ძალა, მაგრამ შესაძლებელია, რომ ეს ძალა გამოყენებული იყო მხოლოდ ეგრისის დაპყრობისათვის, ხოლო ბიზანტიის წინააღმდეგ ასეთი ძალა არ იყო გამოყენებული. გაძლიერებულმა (სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიური თვალსაზრისით) ლეონმა ოფიციალური უარი განაცხადა ბიზანტიის ბატონობაზე. ამ განდგომისათვის შერჩეული იყო ხელსაყრელი დრო, ე. ი. იმპერიის პოლიტიკური დასუსტება. ასეთ შემთხვევაში კეისარს აღარ შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა და იგი იძულებული იყო შერიგებოდა არსებულ ვითარებას. ასეთ პირობებში ბიზანტიის გავლენისაგან დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებისას არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული ხაზართა სამხედრო ძა-

---

82 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 251.
83 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, გვ. 331.

ლა. ჩვენი აზრით ამის საჭიროება არ არსებობდა. „მატიანე ქართლისაი“ მიუთითებს, რომ ხაზართა ძალით ლეონი განუდგა ბერძნებს და დაიპყრო აფხაზეთი და ეგრისი. ჩვენი აზრით ამ ცნობაში დაშვებულია შეცდომა სწორედ ისტორიული აქტების ჩამოთვლის თანმიმდევრობაში. ლეონს ჯერ უნდა დაეკავა აფხაზეთი და ეგრისი და შემდეგ კი უარი უნდა განეცხადა ბიზანტიელთა გავლენაზე. ეს აზრი აღიარებულია თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში. ეს ისტორიული სინამდვილე არასწორადაა აღწერილი „მატიანე ქართლისაის“ ავტორის მიერ. ეგრის-აფხაზეთის გაერთიანებას და ბიზანტიის გავლენისაგან განთავისუფლებას შორის უნდა გასულიყო რამდენიმე წელი. ასე რომ, თუ ლეონმა ეს ძალა გამოიყენა ბერძენთაგან განდგომისათვის და ეგრისის შემოერთებისათვის, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ძალა ორ სხვადასხვა დროს ყოფილა მოწვეული. ჩვენს მიერ დასახელებული წყარო კი მიუთითებს მხოლოდ ერთხელ მოწვევაზე. წყაროში მეორე წინააღმდეგობაცაა. ქართულ ისტორიოგრაფიაში აღიარებული თვალსაზრისით ლეონმა თავი მეფედ გამოაცხადა როგორც კი განთავისუფლდა ბიზანტიელთა გავლენისაგან. ამის შესახებ საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოში აღნიშნულია: „სწორედ ამ ხანებში, ე. ი. VIII საუკუნის მიწურულს ეგრის-აფხაზეთმა აღიდგინა პოლიტიკური დამოუკიდებლობა. იმ დროს ბიზანტიაში დიდი შინაური შფოთი და არევ-დარევა იყო. ამით ისარგებლა მთავარმა ლეონ მეორემ, მოირთო ძალა ხაზართა მეფისაგან, რომლის ასულის შვილიც იგი იყო, უკუაგდო ეგრის-აფხაზეთიდან ბიზანტიელები, თავი მეფედ გამოაცხადა და სამეფო ტახტი ქუთაისში დაიდგა“[84]. ცხადია ერთი, რომ ლეონმა თავი მეფედ გამოაცხადა როგორც კი განთავისუფლდა ბიზანტიელთაგან. „მატიანე ქართლისაის“ მიხედვით ლეონ II ჯერ განთავისუფლდა ბიზანტიელთაგან და შემდეგ დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი. გამოდის რომ ლეონმა თავი მეფედ გამოაცხადა ეგრის-აფხაზეთის გაერთიანებამდე. ეს კი ისტორიულად წარმოუდგენელი მოვლენაა. ამდენად, ზემოთ ხსენებულ წყაროში აღნიშნული ისტორიული აქტების თანმიმიმდევრობაში, რომლის მიმართაც იგივე წყაროს ავტორს გამოყენებულად მიაჩნია ხაზართა ძალა, უნდა იყოს დაშვებული შეცდომა. ეს კი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ხაზართა ძალა გამოყენებული იყო ეგრისის აფხაზეთთან შეერთებისათვის და არა ბიზანტიის პოლიტიკური გავლენი-

---

85 საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 124.

საგან განთავისუფლებისათვის, რომელსაც სინამდვილეში ჰქონდა მხოლოდ და მხოლოდ ფორმალური მხარე.

საყურადღებოა ის ამბავი, რომ „მატიანე ქართლისაი“ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ლეონმა ხაზარების ძალის შემწეობით დაიპყრო აფხაზეთი და ეგრისი. ეს ცნობა საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ აფხაზეთის მმართველის თანამდებობაზე სხვა პრეტენდენტიც ყოფილა, რომელიც ეცილებოდა ლეონს. ალბათ, ლეონს აფხაზეთის მმართველობის ხელში ჩაგდებისათვის დასჭირებია ხაზართა ძალა. ასევე საეჭვოდაა, რომ ლეონმა ერთდროულად შესძლო აფხაზეთის მმართველის უფლებების მოპოვება და ეგრისის დაქვემდებარება. ამას კი ხელს შეუწყობდა ხაზართა სამხედრო ძალის იქ ყოფნა. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ამბავი, რომ „მატიანე ქართლისაის“ ავტორი ერთ მოვლენად აღწერს ლეონის მიერ აფხაზეთისა და ეგრისის დაპყრობას. ის წერს: „დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე“. სხვანაირად წარმოუდგენელია, რომ ლეონი, როგორც. ჩანს, რომელსაც არ ეკუთვნოდა არც აფხაზეთი და ეგრისი, ჯერ ხაზართა ძალით განუდგა ბერძნებს და მერე დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ლიხამდე. ისტორიული სინამდვილე პირიქით მოითხოვდა: ჯერ დასახელებული მხარის დაუფლებას, შემდეგ კი ბიზანტიის გავლენაზე უარის თქმას.

მაშ, როდის შეიძლებოდა შექმნილიყო ხელსაყრელი პირობები დასავლეთ საქართველოს ბიზანტიის გავლენისაგან განთავისუფლებისათვის?

მოყვანილი წყაროების მიხედვით ძნელი გასარკვევია, თუ როდის შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ბიზანტიის გავლენისაგან დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის. იოანე საბანისძის მიხედვით, როდესაც ნერსე და აბო მოვიდნენ აფხაზეთში (782 წ.), აფხაზეთის მთავარი ჯერ კიდევ მეფედ არ იწოდებოდა, არამედ ატარებდა „მთავარი“-ს ტიტულს. იოანე საბანისძე წერს: „და ვითარცა მიიწინეს იგინი ქუეყანად აფხაზეთისა, **მთავარმან** მის ქუეყანისამან შეიწყნარა ნერსე ყოვლით ერით მისითურთ“[85]. აქედან ირკვევა, რომ ამ დროს ჯერ კიდევ აფხაზეთის მთავარს დამოუკიდებლობა არ მოუპოვებია.

ჩვენთვის უცნობი ხდება, თუ რამდენჯერ დაიხმარა ლეონმა ხაზარები. იმ ცნობის მიხედვით, სადაც ხაზარების დახმარების შესახებაა მითითებული, ირკვევა, რომ ჯერ „ძალითა მათითა (ხაზართა — მ. გ.) გაადგა ბერძენთა“, ხოლო შემდეგ კი დაიკავა „აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხნამდე“,

---

85 ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I, 1946, გვ. 61.

ე. ი. ლეონმა ხაზარების დახმარება მიიღო მხოლოდ ერთხელ და ისიც ბერძნებისაგან განდგომისას. ამ საბუთის მიხედვით ეგრისის დაპყრობა, ბერძნებისაგან განდგომა და მეფის სახელწოდების მიღება ერთდროულ აქტს წარმოადგენს. თუ სინამდვილეში ასე მოხდა, მაშინ იმ დროს, როდესაც ხერსე აფხაზეთში იმყოფებოდა, აფხაზეთის მმართველი ლეონი მეფედ უნდა ყოფილიყო წოდებული.

შესაძლებელია ხაზარებმა ლეონს დახმარება შესთავაზეს ბიზანტიელებისაგან განდგომისას, მაგრამ ამის საჭიროება არ უნდა ყოფილიყო. ძნელია იმის თქმა, რომ ბიზანტიის გავლენისაგან დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებას დასჭირდა ომი. ეს განდგომა ფაქტიურად დაიწყო ეგრისის და აფხაზეთის გაერთიანების დღიდან და იგი დეკლარაციულად გამოცხადებულ იქნა დაახლოებით VIII საუკუნის ოთხმოციან წლებში.

დასავლეთ საქართველოს ბიზანტიის გავლენისაგან განთავისუფლების ზუსტი თარიღი დღემდე არაა დადგენილი. ამ თარიღის დადგენისათვის მეცნიერები უკავშირებენ ორ მოვლენას: ბიზანტიის დასუსტებას და ხაზარების გამოყენებას მათ წინააღმდეგ ლეონის მიერ. ასეთი შედარების შემდეგ პ. ინგოროყვა შემდეგ დასკვნამდე მიდის: „ლეონ II გადადგამს გადამწყვეტ ნაბიჯს. იგი გადაუდგება ბიზანტიას, გამოაცხადებს დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის“ სამფლობელოს) დამოუკიდებლობას და მიიღებს მეფის წოდებულებას.

ეს მომხდარა, როგორც დასტურდება წყაროების ჩვენებათა შეფარდებიდან, 786-798 წლებს შორის“[86]. ეს თარიღიც არაა ზუსტი. ვახუშტი კი ლეონის მიერ მეფის ტიტულის მიღებას ათარიღებს 786—787 წლებით. ბროსე აღიარებს ამ წლებს. აკად. ს. ჯანაშია კი ამტკიცებს, რომ ლეონის განდგომა ბიზანტიისაგან შესაძლებელი იყო მხოლოდ 797 წლიდან. სწორედ ეს წელი მიაჩნია ყველაზე ხელსაყრელ დროდ ასეთი აქტის შესრულებისათვის. ირინეს ერთმმართველობის პერიოდი ყველაზე ხელსაყრელ დროდ მიაჩნია მას. ის წერს: „Отвратительное преступление Ирины (მან მოწამლა ქმარი, რომელიც აფხაზეთის მთავრის ლეონის დეიდაშვილი იყო. აგრეთვე მან დააბრმავა შვილიც — მ. გ.) давало повод и личному настроению против Ирины эристава Леона, близкого родственника несчастной жертвы — Константина VI-го“[87]. მართალია, 797 წლიდან იქმ-

---

86 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 216.
87 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, გვ. 333.

ნება ყველაზე ხელსაყრელი პირობები ლეონის განდგომისათვის, მაგრამ მანამდეც იქმნება საკმაოდ ხელსაყრელი პირობები ისიც იმავე ირინეს მმართველობის დროს და განსაკუთრებით VIII საუკუნის ოთხმოციან წლებში. ლეონის განდგომა არ შეიძლება მთლიანად გამოწვეული იყოს ირინესადმი შურისძიებით. ქვეყნის მმართველისათვის პირველ რიგში იდგა ქვეყნის საკითხი და არა შორეული ნათესავის სისხლის აღება. ამდენად ბიზანტიისაგან ლეონის განდგომის დათარიღება 797 წლით არ მიგვაჩნია დამაჯერებლად. თუ შურისძიებას ექნებოდა ადგილი ლეონის და ხაზარების მხრიდან, მაშინ ამ საქმისათვის ხომ საკმარისი საბაბი იქნებოდა ირინეს მიერ მისი ქმრის მოწამვლის შესახებ ხმის გავრცელება. ეს ფაქტი უკვე ლეონს უფლებას აძლევდა დამოუკიდებლობისათვის ებრძოლა. მაგრამ, ეტყობა, ამ დროს ირინეს მდგომარეობა იმდენად არ იყო შერყეული, რომ მის მორჩილებაზე უარის თქმა შესაძლებელი ყოფილიყოს. ამ დროს ჯერ კიდევ შინაური ბრძოლა არ იყო გამწვავებული.

ბიზანტიის დასუსტების რომელი პერიოდი იყო ხელსაყრელი ასეთი განდგომისათვის შეიძლება დადგენილ იქნას თვით ბიზანტიის ოთხმოციანი წლების მდგომარეობის სწორი გაგების შედეგად.

ცნობილია, რომ ბიზანტიაში მთელი VIII საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა ბრძოლა ხატის თაყვანისმცემელთა და მათ მოწინააღმდეგეებს შორის, რომელიც ცნობილია ხატმებრძოლეობის სახელწოდებით. მიუხედავად მისი ფორმალური მხარისა, ეს იყო ბრძოლა მიწათმფლობელობისათვის. ამ ბრძოლამ გარკვეული როლი შეასრულა ქვეყნის ძლიერების დასუსტებაში, განსაკუთრებით კი ირინეს მეფობის პირველ წლებიდან. ირინეს მეფობა კი იწყება 780 წლიდან და გრძელდება 802 წლამდე. ირინემ გაანახლა ხატის თაყვანისმცემლობა. მის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილი აღმოსავლეთი თემები, რომლებიც წინათ ხატისმებრძოლებს ემსახურებოდნენ. ამას ზედ ემატება არაბების აგრესია, რომელიც ბიზანტიისათვის არასასურველ სახეს იღებდა. ქვეყნის ძლიერება იქამდე დაეცა, რომ ირინე იძულებული შეიქმნა 783 წელს ეყიდა ზავი არაბებისაგან სამი წლის ვადით, რომლის თანახმად უნდა ეხადა ყოველწლიურად 70 ათასი ოქრო. ჯერ კიდევ არ იყო გასული ეს სამი წელი, რომ გაძლიერდა ბულგარების შემოტევა. ირინე აქაც ყიდულობს ზავს. მთავრობას უკვე აღარ შეუძლია მოწოლილი მტრებისათვის სათანადო წინააღმდეგობის გაწევა. სწორედ 786 წელს ბიზანტია ხარკს უხდის არაბებსაც და ბულგარელებსაც ერთდროულად. ამიტომ ეს წელი

ერთ-ერთი ხელსაყრელი წელი იყო დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის ბიზანტიის გავლენისაგან. სწორედ ამ დროს ბიზანტიაში უკვე აღარ მეფობდა ლეონ II დეიდაშვილი ლეონ IV ისავრიელი, არამედ მეფობდა მისი მეუღლე ირინე, რომელმაც მოწამლა ქმარი. თუ აფხაზეთის მთავარს ლეონს უნდოდა შურისძიება, სწორედ დეიდაშვილის მოწამვლა იქნებოდა ყველაზე უკეთესი საბაბი ირინეს წინააღმდეგ მოქმედებისათვის. შურისძიებისათვის ეს იყო პირველი ყველაზე ხელსაყრელი პირობა. ასეთ ხელსაყრელ პირობას ლეონი, ალბათ, ხელიდან არ გაუშვებდა უკეთესი პირობების მოლოდინში.

ამიერიდან მთელი დასავლეთ საქართველო უნდა განთავისუფლებულიყო ბიზანტიის გავლენისაგან და მისი მთავარიც უნდა წოდებულიყო მეფედ.

ამრიგად, აფხაზეთის სამეფოს დაარსება დაკავშირებული იყო დასავლეთ საქართველოს ტომების ახალ პოლიტიკურ გაერთიანებასთან და მათზე ბიზანტიის გავლენის გაუქმებასთან.

ზოგადი დასკვნები

VI საუკუნეში დასავლეთ საქართველო პოლიტიკურად დაშლის გზაზე იდგა. სვანები ლაზების მეფეს ემორჩილებოდნენ, მაგრამ მათაც ჰყავდათ წინამძღოლი, ტომით სვანი. ეგრისის სამეფოს გამოეყო აბაზგია. ასევე ეგრისის სამეფოში არ შედიოდა აბაზგიის ჩრდილოეთის მდებარე ტომები — სანიგები და ზეხები.

ასეთ მდგომარეობაში მყოფი დასავლეთ საქართველო მჭიდრო პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობაში იმყოფებოდა ბიზანტიასთან.

დასავლეთ საქართველოს ტომების ბიზანტიასთან პოლიტიკური ურთიერთობა იყო იძულებითი, უკანასკნელთა მიერ ძალდატანების შედეგი. ბიზანტიის კეისრებს უნდოდათ მორჩილებაში ჰყოლოდათ დასავლეთ საქართველოს ტომები და სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ დაშლაში კეისრების აქტიური ჩარევა. ეგრისის სამეფოდან აბაზგიის გამოყოფაში ბიზანტიელებს ედოთ წილი. შემდეგშიაც ბიზანტიელები აქტიურად ერევიან აბაზგების საშინაო საქმეებში და გარკვეულ წარმატებასაც აღწევენ. 550 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ ბიზანტიელები აბაზგების სრული ბატონ-პატრონები გახდნენ.

პოლიტიკური დაშლის გზაზე მდგომი ეგრისი მოექცა ორ უძლიერეს აგრესორს შუა (ირანი და ბიზანტია). ერთიცა და მეორეც ცდილობდა ამ მხარის ხელში ჩაგდებას. გარკვეული მიზეზების გამო ეგრისის მეფემ საჭიროდ სცნო კეისრის მხარეზე გადასვლა. ეს მოხდა VI საუკუნის პირველი მეოთხედის ბოლოს. ამიერიდან ბიზანტიასთან ურთიერთობა არ შეწყვეტილა VIII საუკუნის ბოლომდე, თუმცა ეს გავლენა სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი იყო.

ბიზანტიასთან ურთიერთობის დამყარების პირველ დღეებიდანვე ლაზების პოლიტიკური უფლებები იზღუდება. ამას ზედ ემატება ეკონომიური ჩაგვრაც. როგორც ჩანს, ეს ჩაგვრა იმდენად გაძლიერდა, რომ მისი ატანა შეუძლებელი გახდა. სწორედ ამის შედეგად იყო, რომ ლაზები ბიზანტიელებს გა-

ნუდგნენ და ირანელებს მიემხრნენ. ბიზანტიელებმა ფაქტიურად ეგრისი თავის კოლონიად აქციეს და არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ ლაზთა მეფეს. ადგილი ჰქონდა აშკარა ძალადატანებას. ეგრისში შემოღებული საგაჭრო მონოპოლია აშკარად მიუთითებს ამ ორი ქვეყნის ურთიერთ დამოკიდებულებაზე.

ირანის მეფის ვერაგობამ და მრისხანებამ ლაზები აიძულა ისევ ბიზანტიელების მხარეზე გადასულიყვნენ. ამ შემთხვევაში ბიზანტიელებმა ცოტათი შესცვალეს ტაქტიკა ლაზების მიმართ ეკონომიურ საკითხებში. მათ მისცეს ვაჭრობის მეტი თავისუფლება.

მიუხედავად ამისა, ბიზანტიელი სარდლები და ლაზთა მეფე მტრულ დამოკიდებულებაში იყვნენ. მათი მიზნები ერთიმეორეს ეწინააღმდეგებოდნენ. ლაზთა მეფე გუბაზს უნდოდა ეგრისის სპარსელებისაგან განთავისუფლება, ხოლო ბიზანტიელი სარდლები ამით არც ისე იყვნენ დაინტერესებულნი. თუმცა ამ შემთხვევაში ეს სარდლები არც მათი კეისრის დავალებას ასრულებდნენ კეთილსინდისიერად. ადგილი ჰქონდა თვითნებობას ბიზანტიელი სარდლების მხრიდან, რომელსაც შედეგად მოჰყვა გუბაზის მკვლელობა.

ბიზანტიის მთავრობამ საჭიროდ მიიჩნია გუბაზის მკვლელთა დასჯა. ეს იყო თავისებური ტაქტიკა, რომელსაც დადებითი შედეგი უნდა მოეტანა ირანის წინააღმდეგ ომში.

გუბაზის მკვლელთა დასჯით და ლაზ წარჩინებულთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება — მათთვის მეფედ წათის დანიშვნით კეისარს უნდოდა ლაზების გამოყენება მათი ქვეყნიდან სპარსელების გასადევნად. ეს საქმე დასრულდა იუსტინიანე კეისრის მემკვიდრეობის დროს. VI საუკუნის ბოლოსათვის უკვე მთელი დასავლეთ საქართველო ბიზანტიის ბატონობის ქვეშ იმყოფება.

VII საუკუნეში სხვადასხვა ვითარებაში სხვადასხვანაირ მდგომარეობას ვხედავთ ეგრის-ბიზანტიის ურთიერთობაში. ირანის წინააღმდეგ ირაკლი კეისრის ლაშქრობისას ლაზები და აბაზგები ირაკლის მოკავშირეებად გამოდიან და იბრძვიან ირანელების წინააღმდეგ ირაკლის მხარეზე. ხოლო, როცა თვით ირანში ლაშქრობის საკითხი დადგა, მათ უარი განაცხადეს ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებაზე და უკან გამობრუნდნენ. მაგრამ შემდეგ ლაზებთან ბიზანტიელების ურთიერთობა, ეტყობა, იცვლება. VII საუკუნის სამოციან წლებში ეგრისში მეფე არ იხსენიება. ამ დროს მეფის თანამდებობა დაქვეითებულია. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ აქ ბიზანტიის გავლენა საკმაოდ გაძლიერდა. აგრეთვე, ამ დროს

ბიზანტიის მთავრობა ეგრისში გზავნის პოლიტიკურად დეცნილ ხალხს, ე. ი. ეს მხარე გადასახლების ადგილად ყოფილა გადაქცეული. ამ დროს ბიზანტიელების ბატონობა საკმაოდ ძლიერია და შემდეგში (იმავე VII საუკუნეში) ის აუტანელიც ხდება. 697 წელს ეგრისის პატრიკიოზი სერგი თავის ქვეყანაში არაბებს აბარებს. ალბათ, ამ დროს ადგილი ჰქონდა ისეთ მდგომარეობას, როგორსაც ჰქონდა VI საუკუნეში გუბაზის დროს.

განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა აბაზგია. მთელი VII საუკუნის მანძილზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს მხარე ბიზანტიისაგან დამოუკიდებელ მხარედ ითვლებოდა. აქ ადგილი არ უნდა ჰქონოდა ისეთ ჩაგვრას, როგორც ეგრისში. აბაზგიაში იგრძნობოდა ერთგვარი თავისუფლება და ამავე დროს აბაზგებს არ დასჭირდათ არაბების მოწვევა, როგორც ეს გააკეთეს ლაზებმა.

VIII საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველო ისევ დაშლილია: ეგრისი არაბების ბატონობის ქვეშ არის მოქცეული, ხოლო აბაზგიაში იგრძნობა ერთგვარი დამოუკიდებლობა.

VIII საუკუნის დასაწყისში ბიზანტიის იმპერიის მდგომარეობა რთულდება. ამ დროს არაბებმა საკმაოდ შეავიწროვეს იმპერიის ტერიტორია და ამავე დროს დაემუქრნენ იმპერიის დედაქალაქს. ასეთ მდგომარეობაში მყოფმა კეისარმა, რა თქმა უნდა, ვერ შეესლო სათანადო ყურადღების მიქცევა ეგრისისათვის და მით უმეტეს აბაზგიისათვის, რომელსაც იმ დროისათვის არც ისეთი დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა[1]. ამერიდან ბიზანტიამ ვერ შესძლო დასავლეთ საქართველოზე ბატონობის განახლება.

არაბების თავდასხმისას გამოქცეული ქართლის მეფეები აბაზგიაში მოვიდნენ და აბაზგებთან ერთად გადასწყვიტეს არაბებისათვის წინააღმდეგობის გაწევა. მურვან ყრუს ლაშქრობა მარცხით დამთავრდა. ამიერიდან იწყება არაბების დასავლეთ საქართველოდან განდევნა. როგორც ჩანს, პოლიტიკურად დასუსტებულ ბიზანტიას მონაწილეობა არ მიუღია დასავლეთ საქართველოდან არაბების განდევნაში. ამის შესახებ კეისარს აცნობეს აბაზგიის ერისთავმა ლეონმა და ქართლის მეფეებმა მირმა და არჩილმა. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ დასავლეთ საქართველოში ბიზან-

1 თუ ეგრისი იმ დროს ბიზანტიის მთავარ მტერს არაბებს ჰქონდათ დაპყრობილი, აბაზგია კი დამოუკიდებელი იყო. ბიზანტიის მთავრობის პირველ ამოცანას შეადგენდა იმ დროისათვის არაბების მხრიდან საფრთხის შენელება და საკუთარი ტერიტორიის დაცვა.

ტიელები უკვე აღარ ბატონობენ. დასავლეთ საქართველოდან არაბების განდევნის შემდეგ აბაზგიის ერისთავი და ქართლის მეფეები პოლიტიკურ კავშირს ამყარებენ ბიზანტიის იმპერიასთან. ამ ურთიერთობაში იგრძნობა კეისრის სიუზერენობა, მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ფორმალურ მხარეს წარმოადგენდა. ამას ადასტურებს შემდეგში აბაზგიის დაუბრკოლებლად გაძლიერება და ბოლოს მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანება. მთელ ამ პროცესში არ ჩანს ბიზანტიელთა ბატონობის კვალი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ ამბავს, რომ კეისრები თავის თავს თვლიდნენ მეზობელი ქვეყნების სიუზერენებად, მაგრამ ეს არ ამტკიცებს ბიზანტიელთა ბატონობას დასავლეთ საქართველოზე. დასავლეთ საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობაში დარჩენილი ეს ფორმალური მხარეც უქმდება VIII საუკუნის მეორე ნახევარში — ოთხმოციან წლებში, რომელსაც საფუძვლად ედო დასავლეთ საქართველოს გაერთიანება და აფხაზეთის სამეფოს შექმნა. ამ გაერთიანებულ სამეფოს სათავეში ედგა აფხაზთა ერისთავის ლეონის ძმისშვილი ლეონ მეორე, რომელიც ხაზართა ხაკანის დისშვილი იყო.

წყაროები და ლიტერატურა

წყაროები

პროკოპი კესარიელი — ომების შესახებ, გეორგიკა, ტ. II, თბილისი, 1934 წ.

პროკოპი კესარიელი — შენობათა შესახებ, გეორგიკა, ტ. II, თბილისი, 1934 წ.

პროკოპი კესარიელი — საიდუმლო ისტორია, გეორგიკა, ტ. II, თბილისი, 1934 წ.

აგათია სქოლასტიკოსი — იუსტინიანეს მეფობის შესახებ, გეორგიკა, ტ. III, თბილისი, 1936 წ.

მენანდრე პროტიქტორი — ისტორია, გეორგიკა, ტ. III, თბილისი, 1936 წ.

თეოფანე უამთააღმწერელი — ქრონოგრაფი, გეორგიკა, ტ. IV, ნაკ. I, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. I, თბილისი, 1941 წ.

ეპიფანე კონსტანტინეპოლელი — მარიამის ცხოვრება, გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. I, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ I, თბილისი, 1941 წ.

ეპიფანე კონსტანტინეპოლელი — ანდრიას ცხოვრება, გეორგიკა, ტ. IV, ნაკ. I, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. I, თბილისი, 1941 წ.

იოანე მალალა — ქრონოგრაფი, გეორგიკა, ტ. III, თბილისი. 1936 წ.

სტეფანე ბიზანტიელი — ეთნიკა, გეორგიკა, ტ. III, თბილისი, 1936 წ.

ევაგრი სქოლასტიკოსი — საეკლესიო ცხოვრება, გეორგიკა, ტ. III, თბილისი, 1936 წ.

თეოდოს განგრელი — ანასტას აპოკრისიარის წერილი, გეორგიკა, ტ. IV, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. I, თბილისი, 1941 წ.

თეოდოს განგრელი — მოგონებები, გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. I, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. I, თბილისი, 1941 წ.

პასქალური ქრონიკა — გეორგიკა, ტ. IV, ნაკ. I, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. I, თბილისი, 1941 წ.

თეოფილაქტე სიმოკატა — ისტორია, გეორგიკა, ტ. IV, ნაკ. I, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1940 წ., ნაკ. I, თბილისი, 1941 წ.

ლეონტი მროველი — ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა, ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი, 1955 წ.

ჯუანშერი — ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955 წ.

„მატიანე ქართლისა“ — ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი, 1955 წ.

იოანე ხაბანისძე — წამება წმინდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტესისა ჰაბოისი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I, თბილისი, 1946 წ.

დ. ბაქრაძე — ისტორია საქართველოსი (უძველესი დროიდამ მე-X საუკ. დასასრულამდე), თბილისი, 1889 წ.
ნ. ბერძენიშვილი — კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში. შრომები (ისტორიის ინსტიტუტის), ტ. I, თბილისი, 1955 წ.
ნ. ბერძენიშვილი — მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში, შრომები (ისტორიის ინსტიტუტის), ტ. II, თბილისი, 1956 წ.
ნ. ბერძენიშვილი — ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელ ფეოდალიზაციის გზაზე, მიმომხილველი, ტ. III, თბილისი, 1953 წ.
ნ ბერძენიშვილი — პ. ინგოროყვას წიგნის — „გიორგი მერჩულეს" გამო. მნათობი, № 12, დეკემბერი, თბილისი, 1956 წ.
გ. გოზალიშვილი — ბიზანტიასა და ირანს შორის ბრძოლა იბერია-ლაზიკისათვის VI საუკუნეში. თ. ს. უ. შრომები XXVI, თბილისი, 1944 წ.
გ. გობეჯიშვილი — არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბილისი, 1952 წ.
ვახუშტი — საქართველოს ცხოვრება, მეორე გამოცემა, თბილისი, 1913 წ.
ვახუშტი — საქართველოს ისტორია, თბილისი, 1913 წ.
ვახუშტი — აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941 წ.
ე. თაყაიშვილი — ეგრეთ წოდებული აფხაზეთის ისტორია ბაგრატ მეფისა. ძველი საქართველო, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. II, გან. III, თბილისი, 1913 წ.
პ. ინგოროყვა — გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, თბილისი, 1954 წ.
პ. ინგოროყვა — ლეონტი მროველი, ქართველი ისტორიკოსი VIII ს. აკად. მარის სახელობის ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, X, თბილისი, 1941 წ.
ვ. კახაძე — ლაზიკა VI საუკუნეში და სტრატეგოსი ჯიბუ. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 31, თბილისი, 1954 წ.
კ. კეკელიძე — იოანე საბანისძე მარტვილობა აბო თბილელისა. ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, ნაკ. I, თბილისი, 1935 წ.
ალ. კალანდაძე — სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1954 წ.
მ. ლორთქიფანიძე — ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 31, თბილისი, 1954 წ.
ნ. ლომოური — ქალაქი პიტრა და მისი ადგილმდებარეობა. ხელმძღვანელი ს. ყაუხჩიშვილი, თბილისის უმაღლესი სასწავლებლების II კონფერენციის წიგნები, წიგნი I, თბილისი, 1948 წ.
ვ ლექვინაძე — კონსტანტინე აფხაზის შეკიდული ბეჭედი, საქარ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XVI, № 5, თბილისი, 1955 წ.
ქ. ლომთათიძე — აფხაზთა ვინაობისა და განლაგების ზოგიერთი საკითხის შესახებ (პ. ინგოროყვას ნაშრომის „გიორგი მერჩულეს" გამო). მნათობი, № 12, დეკემბერი, თბილისი, 1956 წ.
გ. მელიქიშვილი — საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბილისი, 1955 წ.
საქართველოს ისტორია — თბილისი, 1958 წ.
ს. ყაუხჩიშვილი — ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, წიგნი I, თბილისი, 1948 წ.
ს. ყაუხჩიშვილი — მისიმიანთა ტომი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. I, პირველი სერია, საზოგადოებათმეცნიერებანი, თბილისი, 1919 წ.

ს. ყაუხჩიშვილი, ი. ბერიძე — სვანეთის ხელმეორე აღება ბიზანტიელების მიერ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. VII, თბილისი, 1938 წ.
ნ. ხოშტარია — დიხა გუძუბა, კოლხიდის დაბლობის ძველი მოსახლეობა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. IV, № 12, თბილისი, 1944 წ.
ივ. ჯავახიშვილი — საქართველოს საისტორიო გეოგრაფია. ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბილისი, 1948 წ.
ივ. ჯავახიშვილი — არაბების შემოსევა და მათი ბატონობა პირველ ორ საუკუნეში. ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბილისი, 1948 წ.
ივ. ჯავახიშვილი — საქართველოს მდგომარეობა VIII-X სს. ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბილისი, 1948 წ.
ივ. ჯავახიშვილი — ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის, ქართველი ერის ისტორია, წიგნი, II, თბილისი, 1948 წ.
ივ. ჯავახიშვილი — საქართველოს ცხოვრება და თავგადასავალი I საუკუნიდან VII ს. პირველ ნახევრამდე. ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბილისი, 1951 წ.
ივ. ჯავახიშვილი — საქართველოს კულტურა I-VII სს. ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბილისი, 1951 წ.
ივ. ჯავახიშვილი — საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი მეორე, თბილისი, 1935 წ.
ივ. ჯავახიშვილი — ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.), თბილისი, 1945 წ.
ს. ჯანაშია — ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. შრომები, ტ. I, თბილისი, 1949 წ.
ს. ჯანაშია — საქართველო ადრინდელ ფეოდალიზაციის გზაზე. შრომები, ტ. I, თბილისი, 1949 წ.
ს. ჯანაშია — გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში. შრომები, ტ. II, თბილისი, 1952 წ.
ს. ჯანაშია — ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისთვის საქართველოში. შრომები, ტ. II, თბილისი, 1952 წ.
ს. ჯანაშია — ადრეული ფეოდალიზმი. შრომები, ტ. II, თბილისი, 1952 წ.
ს. ჯანაშია — ფასიდი, შრომები, ტ. II, თბილისი, 1952 წ.
ს. ჯანაშია — აფხაზთა სამეფოს ისტორიიდან. შრომები ტ. II, თბილისი, 1952 წ.
ს. ჯანაშია — ეგრისის სამეფოს წარმოშობა. შრომები, ტ. II, თბილისი, 1952 წ.
ს. ჯანაშია — არაბობა საქართველოში. შრომები, ტ. II, თბილისი, 1952 წ.
ს. ჯანაშია — საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 ს-მდე. შრომები, ტ. II, თბილისი, 1952 წ.
ს. ჯანაშია — ბრძოლა მიწის ფეოდალური მითვისებისათვის ძველ საქართველოში. შრომები, ტ. II, თბილისი, 1952 წ.
ს. ჯანაშია — თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი. შრომები, ტ. III, თბილისი, 1959 წ.
А. Апакидзе — Бичвинта. Результаты археологических раскопок 1952 г. Тезиси докладов. Тбилиси, 1962 г.
А. Л. — Абхазия и в ней Ново-Афонский Симоно-Канонитский монастырь. Москва, 1885 г.
З. Анчабадзе — Вопросы истории Абхазии в книге П. Ингороква «Георгий Мерчуле — грузинский писатель X века». Труды Абхазского института языка, литературы и истории, т. 27, Сухуми 1956 г.

З. Анчабадзе — Вопросы истории Абхазии в трудах акад. С. Н. Джанашия. Труды Абхазского института языка, литературы и истории, т. 25, Сухуми, 1954 г.
З. Анчабадзе — Из истории средневековой Абхазии (VI—XVII вв), Сухуми, 1959 г.
Д. Бакрадзе — Кавказ в древних памятниках христианства. Записки Общества Любителей Кавказской Археологии, кн. 1, Тбилиси, 1875 г.
А. Башкиров — Археологические изыскания летом 1925 года. Известия Абхазского научного общества. Выпуск IV, Сухуми, 1926 г.
А. Бриллиантов — О месте кончины и погребения Максима Исповедника. «Христианский Восток», г. IV, вып. 1, Петроград, 1918 г.
Ф. Брун — Черноморские готы и следы долгого их пребывания в Южной России. Сб. «Черноморье», Петербург, 1883 г.
С. Броневский — Новейшие географические и исторические известия о Кавказе, часть 1, Москва, 1823 г.
БСЭ, т. 1, второе издание.
А. Владимирова — Древности Черноморского побережья Кавказа. Брошюра, СПб 1900 г.
Г. Гельцер — Очерк политической истории Византии. Перевод Бенешевича, С. Петербург, 1912 г.
Д. Гулия — История Абхазии, т. 1, Сухуми, 1925 г.
Фр. Де Монпере Дюбуа—Путешествие вокруг Кавказа, т. 1, Сухуми, 1937 г.
И. Джавахов — Проповедническая деятельность ап. Андрея и св. Нины в Грузии. Журнал М. Н. Пр. 1901 г., январь.
И. Джавахишвили — Проблемы истории Грузии, Кавказа и ближнего Востока. Вестник древней истории, 4, Москва, 1939 г.
Н. Джанашиа—Религиозные верования абхазов. «Христианский Восток", т. IV, вып. 1. Петроград, 1915 г.
С. Джанашиа — Абхазия в пределах колхидского царства. Рукопись, хранится в семье покойного автора.
С. Джанашиа — О времени и условиях возникновения Абхазского царства. Труды, т. II, Тбилиси, 1952 г.
Г. Жузе — Грузия в XVII стол. в изображении антиохийского патриарха Макария, Баку, 1957 г.
М. Иващенко — Великая Абхазская стена. Известия АбНО, вып. IV, Сухуми, 1926 г.
К. Кекелидзе — Сведения грузинских источников о преп. Максиме Исповеднике. Труды Киевской духовной Академии, Киев, 1912 г.
К. Кудрявцев — Сборник материалов по истории Абхазии, Сухуми, 1922 г.
Н. Кондаков — Русские древности, IV выпуск, СПб, 1891 г.
Ю. Кулаковский — Где был построен имп. Юстинианом храм для Авазгов? Археологические известия и заметки, год V, Москва, 1897 г.
Б. Куфтин — Материалы к археологии Кавказа, Тбилиси, 1950 г.
И. Кальфоглу — Эллины на Кавказе, 1908 г.
И. Кальфоглу — Город Петра-Цихисдзири. ИКОИРО, т. XVIII, № 1, Тифлис, 1905—1906 г.
Г. Ласкин — Ираклии. Харьков, 1889 г.
В. Латышев — К истории христианства на Кавказе, Спб. 1911 г.

М. Малевченко — История Византии, Москва, 1940 г.
Н. Ломоури — К вопросу о греческой колонизации побережья Колхиды. Сообщения Академии Наук Грузинской ССР, т. XXV, № 2, 1960 г.
Л. Люлье — Общий взгляд на страны, занимаемые горскими народами Черкесами (Адиге), Абхазами (Азега) и другими смежными с ними. Записки Кавказского Отдела Императорского Русского Географического Общества, кн. IV, Тифлис, 1857 г.
Н. Марр — Крещение армян, грузин, абхазов и аланов святым Григорием. ЗВОИРАО, т. XVI, вып. IV, С. П., 1906 г.
Н. Марр — О языке и истории абхазов. Ленинград, 1938 г.
А. Муравьев — Грузия и Абхазия, 1848 г.
Л. Меликсет-бек — Древняя Пицунда у Понта Эвксинского, Одесса, 1914 г.
И. Пантюхов — Абхазцы. Газета «Кавказ». № 97, 1865 г.
И. Петрушевский — Раннефеодальное общество в странах Закавказья в V—сердсине IX в. Всемирная история, т. III, 1957 г.
Н. Пигулевская — Византия и Иран на рубеже VI—VII веков, М. Л., 1946 г.
Путешествие Шардена по Закавказью в 1672—1673 гг. Тифлис, 1902 г.
М. Сюзумов — Некоторые проблемы истории Византии. Вопросы истории, № 3, г. Москва, март, 1959 г.
М. Селезнев — Руководство к познанию Кавказа, кн. 1, СПб, 1847 г.
М. Трапш — Археологические раскопки в Анакопии в 1957—1958 гг. Труды Абхазского института языка, литературы и истории, вып. XXX, Сухуми, 1960 г.
Гр. Уварова—Кавказ. Путевые заметки гр. Уваровой, М., 1887 г.
З. Удальцова — Кризис рабовладельческого строя и зарождение феодальных отношений Восточной Римской империи (Византии). Поселение на ее территории славян и других народов. Всемирная история, т. III, Москва, 1957 г.
Ф. Успенский — История Византии, т. 1, Спб., 1913 г.
А. Фадеев — Краткий очерк истории Абхазии, часть первая, Сухуми, 1925 г.
А. Фадеев — К вопросу о феодализме в Абхазии, Сухуми, 1931 г.
В. Чернявский — Из исследовании в Юго-западном Закавказьи. Изв. Имп. Русс. Г. Общ. т. XIII, вып. IV, г. С. П. 1877 г.
Д. Хахутайшвили — Картвельские племена причерноморья по данным греко-латинских писателей (VI в. до н. э. VI в. н. э.) Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тбилиси, 1955 г., на правах рукописи.
Якубовский — Раннефеодальное общество в Иране в V — первой половины VII в. Всемирная история, т. III, г. Москва, 1957 г.

შინაარსი

	გვ.
წინასიტყვაობა	3
თავი I. ლიტერატურული და წყაროების მიმოხილვა	5
1. წყაროები .	5
2 ლიტერატურა	13
თავი II. დასავლეთ საქართველოს საშინაო ვითარება VI ს.	28
1. ეთნიკური შემადგენლობა (ლაზები, აფსილები, მისიმიელები, სვანები, აბაზგები, სანიგები)	28
2 დასავლეთ საქართველოს სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა	53
ა) ეკონომიური მდგომარეობა	53
ბ) სოციალური წყობილება (ფეოდალიზმის გამარჯვება)	61
გ) შინაპოლიტიკური ვითარება .	81
თავი III. დასავლეთ საქართველოს ურთიერთობა ბიზანტიასთან VI ს.	87
1. ურთიერთობა VI ს. პირველ მესამედში . .	87
2. ირან-ბიზანტიის ომი და დასავლეთ საქართველო . . .	114
3. ბიზანტია და დასავლეთ საქართველო VI ს. მეორე ნახევარში	149
თავი IV დასავლეთ საქართველო VII—VIII სს.	155
1. სოციალ-ეკონომიური ვითარება	155
2. პოლიტიკური ვითარება .	169
თავი V. დასავლეთ საქართველოს ურთიერთობა ბიზანტიასთან VII—VIII სს. . .	176
1. ბრძოლა არაბებთან და ბიზანტიასთან .	176
2. აფხაზეთის სამეფოს წარმოქმნა და ბიზანტია .	201
ზოგადი დასკვნები	224

Михаил Михайлович Гунба

Западная Грузия и Византия в VI—VIII вв.

(На груз. яз.)

Михаил Михаил-иԥа Гунба

Мраҭашәаратәи Қырҳтәылеи Византиеи VI—VIII ашәышқусақуа рзы.

(Қырҳ бызшәала)

რედაქტორი ზურაბ ანჩაბაძე

გამომც. რედაქტორი ლ. დადიანი

ტექრედაქტორი მ. ხახმიგერი კორექტორი მ. პერტაია

ეი00690 გადაეცა წარმოებას 12.V.1962 წ. ხელმოწ. დასაბეჭდად 18.VII.1962 წ. სააღრ.-საგამომც. თაბახ. რაოდენ. 13,2. ნაბეჭდ თაბახთა რაოდენობა 14,75. შეკვ. № 2042 ტირაჟი 1000. ფასი 76 კ.

სოხუმი, საკმთავარგამომცემლობის ლენინის სახ. სტ.